კვირის პალიტრა

მზე

N29 (214) 15/VII.-21/VII.2004.

ფასი 60 თ.

1168
2004

რა ძალას ფლობს კოკოითი

რეპორტაჟი ოსური სოფლიდან – „ისინი პატარა ბავშვებსაც კი ასწავლიან სროლას“

სტუდენტი ბავშვობის მეგობრის დანაშ იმსხვერპლა

რატომ აღარ შეხვდა თიკა კანდელაკს შალვა რამიშვილი

თამარ სულუხიას ქმარმა ნულ კლასში მიცემული პირობა აუსრულა



ბაკურიანი

სასტუმრო „მელისი"

ბაკურიანი, აღმაშენებლის ქ. 55

სათაო ოფისი: თბილისი, უზნაძის ქ. 113ბ

ტელ: 94-23-55; 8(99) 24-86-86

№29 (214)
15 - 21 ივლისი 2004
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
დამოუკიდებლობა კოკოიითურად ანუ მუსკულები ლიახვის ხეობაში 3
კონფლიქტი
რა ტიპის და რაოდენობის იარაღია კონფლიქტის ზონაში? 4
საქართველო
ცხინვალის რეგიონიდან გამოპარულ ოსებს კასპელები მალავენ 5
სახელმწიფო
სისხლის ღვრა თავიდან ავიცილეთ, მაგრამ რის ფასად? რუსეთი დღეს საინფორმაციო ომს აგებს! 7
საპატარძლო
„მინდა, იას ჩვენი შეხვედრის მომენტი შევახსენო“ 10
სასიძო
მძინარა ნიკა მემანიშვილი გვპირდება – საპატარძლოსთან არ შეგარცხვენთო... 11
კრიმინალი
მეორე კურსის სტუდენტი ბავშვობის მეგობრის მიერ მოქნეულმა დანამ იმსხვერპლა 15
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 18
შეუცნობელი
ლალი მოროშკინა – გებუნებრივი ნიჭის მქონე მამინაცვლის მემკვიდრე 18
თემა
როგორ ავირჩიოთ პროფესია? აბიტურიენტები და გამოცდები 20
ოჯახი
ნულ კლასში ნათქვამი სიტყვა – ამ გოგოს ცოლად მოვიყვანო – მინისტრის მეუღლეს პირნათლად შეუსრულებია 23
მარტივი კითხვები
როგორ დავითანხმოთ ქალი ან მამაკაცი ქორწინებაზე 26
გზავნილები
„...ჩემი თავი შემძულდა... ასე დამღუპა გულისთქმის აყოლამ“ 27
ჯანმრთელობა
- აკვიატებული მოქმედება 30
- ყველაფერი თავბრუსხვევით იწყება 31
- კითხვა-პასუხი 32
- ინტიმი შეტევის შემდეგ 32

სასარგებლო რჩევები
მკვებავი კრემი ზაფხულის მცხუნვარე მზისგან დაგიცავთ 33

ცხინვალის რეგიონიდან გამოპარულ ოსებს კასპელები მალავენ

საკაშვილის დიდი იმედი გვაქვს, ოსები მას პატარა სტალინს ვეძახით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ კოკოევი უნდა დაემორჩილოს საქართველოს ხელისუფლებას... ჩვენი ინფორმაციით, ცხინვალის რეგიონში ვითარება საკმაოდ დაძაბულია. რამდენიმე იქაურმა ოჯახმა ჩვენს სოფელში ნათესავებთან გამოხიზნა შვილები...

5

როგორ ავირჩიოთ პროფესია? აბიტურიენტები და გამოცდები

ბევრი ადამიანის ცხოვრებაში მისაღებმა გამოცდებმა წარუშლელი კვალი დატოვა...

როგორ ირჩევენ ახალგაზრდები პროფესიებს? რა ცრურწმენები ახასიათებთ აბიტურიენტებსა და მათ მშობლებს? როგორ იგონებენ გამოცდების ციებ-ცხელებას ყოფილი აბიტურიენტები?

20

შალვა რამიშვილი: „როდესაც ქალს ვხვდები, პირდაპირ ვეუბნები, რა მინდა მისგან...“

ჩემი აზრით, ყველა მამაკაცი უნდა ფიქრობდეს, რომ ნებისმიერი ქალი მისით აღფრთოვანებული უნდა იყოს. სხვა შემთხვევაში, შეყვარებულთან წარმატებას ვერ მიაღწევს. ...თავდაჯერებული და თავხედი ადამიანი ვარ, პაემნისთვის წინასწარ მომზადება არ დამჭირვებია.

50

ნულ კლასში ნათქვამი სიტყვა მინისტრის მეუღლეს პირნათლად შეუსრულებია

ბოდიში, მაგრამ უკვე იმდენი წელი გავიდა... მაშინ ორივე პირველად ვიყავით ტალინში. იანვარი იყო... ხშირად გვინატრია, რომ კიდევ ერთხელ გავემგზავროთ ტალინში, მაგრამ აუცილებლად ზამთარში წავალთ, რომ წარსულის ასოციაცია გაგვიჩნდეს...

23

ტაძარი
„ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ“ 34
ფესვები
გენები – ჩვენი წარსულის „მემატიანე“ 35
ტესტი
ერთგული მკითხველი 36
ადამიანი, რომელიც...
„ეს ბავშვი სულ კუდში დამდევდა და რაღაცას მეტიკტიკებოდა...“ 37
ვარსკვლავი
ლუისი ლიუ – წლის საუკეთესო აფთარი 38
ბომონდი 39
რომანი
რუსუდან ბერიძე. მტაცებლის ინსტინქტი (გაგრძელება) 42
ფალავანი
უწესოდ მხოლოდ ქუჩაში იბრძვიან ანუ საით მივყავართ სამურაის გზას 46
ეკრანს მიღმა
„წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო“ ანუ რა საერთო აქვს მოყვარულ მხატვარ სევას დიდ გალაკტიონთან 48
პირველი პაემანი
შალვა რამიშვილი: „როდესაც ქალს ვხვდები, პირდაპირ ვეუბნები, რა მინდა მისგან...“ 50
ბიზნესი
ჰიუ ჰეფნერი და მისი კურდღლები 52
სპორტული მოზაიკა 55
ავტო 56
ფავორიტები
ბრილიანტი, რომელიც 20 წელი მაინც იბრწყინებს 58
ჰოროსკოპი
კვირის (19-25 ივლისი) ასტროლოგიურ პროგნოზი 60
სკანვორდი 61
იუმორი 62
ტესტი
ხართ თუ არა ცნობისმოყვარე? 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

მძინარა ნიკა მომანიშვილი გვკვირდება – საკაბარძლოსთან არ შეგარცხვენთო...

ზურაბ ქვანიასთან მიღებაზე გახლდით მისული. მისაღებში დავჯექი და ველოდი, როდის მოვიდოდა ჩემი რიგი. მოახსენეს – ახლა ნიკა მემანიშვილი შემოვაო. მერე უთხრეს: – ბატონო ზურაბ, ნიკას ისე ღრმად სძინავს, ვერ ვაღვიძებთო... ბატონი ზურაბი კაბინეტიდან გამოვიდა, რომ ენახა, როგორ მეძინა და...

11

მკვეთავი კრემი ზაფხულის მცხუნვარე მზისაგან დაგიცავთ

მართალია, წლევანდელ ზაფხულს აუტანელი სიცხეებით ჯერ არ შევუწუხებივართ, მაგრამ მზის გავლენა ქალის სახის კანზე მაინც გასათვალისწინებელია. იმაზე, თუ როგორ მოვუაროთ სხვადასხვა ტიპის სახის კანს, კოსმეტოლოგი მოგვითხრობს.

33

ლიუსი ლიუ – წლის საუკეთესო აფთარი

სწორედ ეს „წოდება მიენიჭა ჩინური წარმოშობის ამერიკელ მსახიობს. ეს სავსებით ლოგიკური იყო, რადგან ლიუს სამსახიობო აქტივში, ცნობილი „ჩარლის ანგელოზის“ გარდა, უკვე ათობით „კინოვამპირია“...

38

მტაცებლის ინსტინქტი

ამასობაში, ბადრაგმა ზურგზე ხელებდაწყობილი ანდრო შემოიყვანა. მეგი მას, მკაცრი მასწავლებლის გამოჩენით დამფრთხალი მოსწავლესავით მაშინვე ფეხზე წამოუდგა.

– ბრძანდებოდეთ... – მეგის უჩვეულო შეკრთომა არ გამოჰპარვია ანდროს.

42

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

დამოუკიდებლობა ყოყოითურად ანუ მუსკულები ლიახვის ხეობაში

კაი ქვეყანაა ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი: რა გინდა სთხოვო, უარი რომ გითხრას?! მაგრამ ერთი ნაკლი მაინც აქვს: ტვინი აქვს „დუმაში“. ჰოდა, დუმაში რომ ბრძნული აზრები მოდიოდეს, ცხვარი ფილოსოფოსი იქნებოდა. ამიტომ, არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ გაიძახიან დუმაში მყოფი დეპუტატები, ჩვენია სამხრეთ ოსეთი და თუ არ გჯერათ, კოკოითს ჰკითხეთო.

ვკითხეთ, ბატონო, კოკოითს და დამოუკიდებლობის ცნების ისეთი ცოდნა გვიჩვენა, რომ თუ სადმე სამართალია, ეს ძველი მოჭიდავე ახლაც ტატამზე უნდა ბერავდეს მუსკულებს: — მე დამოუკიდებელი ქვეყანა ვარ და რუსეთის შემადგენლობაში უნდა ვიყოო... თუ ძმა ხარ, რუსეთის შემადგენლობაში ყოფნა კარგი რომ იყოს, შენ შეგვასწრებდი?!

ასეა, ბატონო, საქართველო და სამხრეთ ოსეთი ერთიანი რომ უნდა იყოს, ეს ფაქტია, მაგრამ ახლა იმაზე მიდის მუსკულების „კაჩავი“, ვინ ვის უნდა შეუერთდეს: ჩვენ — ოსეთს თუ ოსეთი — საქართველოს. ისე, ურიგო არც პირველი ვარიანტია: ჩვენ შეეუერთდეთ, ქვეყანას სახელიც გამოვუცვალოთ და „საქართლ-ოსო“ დავარქვათ; პრეზიდენტადაც ის კაცი დავსვათ — ბოლოს და ბოლოს, რამდენი ხანია უკვე, რაც ედუარდი აღარ გვყოლია პრეზიდენტად!..

მოკლედ, რომელი პრეზიდენტიც მოიგებს ახლა საინფორმაციო ომს, „ლელოსაც ის გაიტანს“. ამ მხრივ, ჩვენი მზეჭაბუკი ნამდვილი დიდოსტატია: — არიქა, მთელ მსოფლიოს უნდა გავაგებინოთ, რაც საქართველოში ხდებაო, — და ერთ პრეზიდენტთან შესახვედრად რომ მიფრინავს, მეორეს ტელეფონით ესაუბრება, მესამეს ინტერნეტით უგზავნის შეტყობინებას და მეოთხეს წერილს სწერს.

სათქმელიც ბევრი აქვს: ჰუმანიტარული პროდუქტი შეაქვს, უფასო სამედიცინო გამოკვლევებს უტარებს, ბავშვები ზღვაზე მიჰყავს და ა.შ. მოკლედ, საცოდავ „კოკოს“ ისე შემოეფცქვნა სამეზობლო, სიგარეტზე ვინმეს გაგზავნა რომ უნდოდეს, მეზობლის ბავშვს ვერ ნახავს ეზოში — ყველა ჩაქვის პლაჟზეა წამოწოლილი.

რა ქნას, როგორ მოიგოს საინფორმაციო ომი?! თვითმფრინავი მაგას არა აქვს და დიპლომატიური პასპორტი, რომ უცხო ქვეყანას ეწვიოს? მობილური ტელეფონი კი აქვს, მაგრამ არ იჭერს ეს ოხერი ამ ლიახვის ხეობაში და რა მისი ბრალია?! თანაც, დეპოზიტი ჰქონია ამოწურული და ვის დაურეკოს?! ყველა ქვეყნის პეზიდენტი პუტინი ხომ არაა, ზარი რომ შეუშვა და თვითონ გადმოგირეკოს...

ერთადერთი, ძველებური მეთოდი შემორჩა: გამთენიისას, სიწყნარე რომაა, ცეცხლი დაანთოს კოშკზე და ხმამაღლა იყვიროს, რომ ჩრდილოკავკასიელებს მაინც მიაწვდინოს ხმა. საიდუმლო კავშირებით შევიტყვე, რომ ასეც მოქცეულა: აუტეხია გამთენიისას ყვირილი, მაგრამ ვინ მიაქცია ყურადღება: მეზობლებს უფიქრიათ — ნადირობიდან ახალი დაბრუნებულია, კიდევ მთვრალიაო, — და ძილი გაუგრძელებიათ...

ჩვენმა ხელისუფლებამ მაინც გააგებინა მსოფლიოს, 190 შეიარაღებული „ბომჟი“ შემოვიდა ჯავაშიო. ტყუილია, ბატონო! რა შეიარაღებად შეიძლება ჩაითვალოს 190 ცალი ავტომატი და ორი „ბე-ტე-ერი“?! მით უმეტეს, რომ 30 ლიტრი ჭაჭა გაიმეტა სოფლის მოსახლეობამ და 190-ვე ავტომატიც იყიდა და ის ორი „ბე-ტე-ერიც“ უკვე ლაღად ხნავს ჯაველი გლეხების ნაკვეთებს...

ახლა ბატონი კოკოითი საქართველოსთან ომის მოსაგებად იმ წყალქვეშა ნავებს ელოდება, რუსეთი რომ დაჰპირდა... ასე რომ, „ცუდადაა ჩვენი საქმე“!..

P.S. *მეზობელი ბავშვი კოკოითის კარზე აკაკუნებს.*

— ძია ედუარდ, მე ჩაქვში მივდივარ ორი კვირით დასასვენებლად და გასაღებს დაგიტოვებთ, ირაკლი უნდა მოვიდეს ოქრუაშვილი...

— მე მაგ დროისთვის შეიძლება „გასული“ ვიყო, შვილო, და ვინმე სხვას დაუტოვე...

პროვოკატორი

რა ტიპის და რაოდენობის იარაღია კონფლიქტის ზონაში?

„რაკეტების დაბრუნება რუსეთისთვის პრინციპის საქმეა!“

მას შემდეგ, რაც თბილისმა კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების ქართული კვოტა შეავსო, ცხინვალის მისადგომებთან მოვლენები სწრაფად ვითარდება. მართალია, ბრიტანეთში ვიზიტის პირველ დღეს, ლონდონში ჩასულმა საქართველოს პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება, — სისხლის ღვრის თავიდან აცილება მოვახერხეთო, — კონფლიქტოლოგებისა და პოლიტოლოგების აზრით, ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლებისგან კვლავ უნდა ველოდოთ უსიამოვნო სიურპრიზებს. ბევრს მიაჩნია, რომ ამჟამად, მოჩვენებით სიმშვიდესთან გვაქვს საქმე, რადგან სადაც იმდენი იარაღი და დაძრავებული „ბოევიკია“ თავმოყრილი, რამდენიც დღეს კონფლიქტის ზონაშია, დამშვიდების საფუძველი არ გვაქვს. სამხედრო არსენალი კი, ცხინვალის სეპარატისტულ ხელისუფლებას, „კეთილი“ მეზობლების წყალობით, მართლაც, შთამბეჭდავი აქვს. ამ ფაქტს სამხედრო ექსპერტი, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტი ირაკლი ალადაშვილიც გვიდასტურებს.

ნანა ქიბიმაური

— ბატონო ირაკლი, აქვს თუ არა საქართველოს ხელისუფლებას ზუსტი მონაცემები იმის შესახებ, თუ რა ტიპის და რაოდენობის იარაღმა მოიყარა თავი კონფლიქტის ზონაში?

— კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების სამი ბატალიონიდან ყველაზე კარგად დაკომპლექტებული, შეიარაღებული და აღჭურვილი რუსული ბატალიონია, რომლის შემადგენლობაშიც 460-დან 550-მდე ჯარისკაცია. იგი შეიარაღებულია 4 სადაზვერვო „ბე-ერ-დეემით“, 4 ჯავშანტრანსპორტიორითა და 38 ქვეითთა საბრძოლო მანქანით. რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ შეიარაღებაში 6 ავტომატური ყუმბარსატყორცნი, 565 ავტომატი, 26 ხელის ყუმბარსატყორცნი და 18 სნაიპერული შაშხანაა. საკმაოდ კარგი შეიარაღება აქვს ჩრდილო ოსეთის სამშვიდობო ბატალიონ „ალანიას“ — 458 კაცი, 20 ჯავშანტრანსპორტიორი, 316 ავტომატი, 28 ტყვიამფრქვევი РПГ-7. რადგან როკის გვირაბი რეალურად დაკეტილი არ არის და იქ იარაღის დამატებით შემოტანა ხდება, მოსალოდნელია, რომ კონფლიქტის ზონაში სამხედრო არსენალი გაიზარდოს.

ქართული სამშვიდობო ბატალიონის დაკომპლექტება და შეიარაღება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა — 498 საშტატო ადგილზე მხოლოდ 149 სამხედრო იმყოფებოდა. არ ჰყავდათ არც ერთი შეჯავშნული საბრძოლო მანქანა. მას შემდეგ, რაც უყურადღებოდ მიტოვებულ თავდაცვის სამინისტროს ძალებს შინაგანი ჯარი ჩაენაცვლა, მდგომარეობა ჩვენდა სასიკეთოდ შეიცვალა.

— საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, კონფლიქტში აქტიურად ჩაერთვებიან სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ძალოვანი უწყებები. მათ შესახებ რა ინფორმაცია გაქვთ?

— ამჟამად, იქ ძალოვან უწყებას წარმოადგენს თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციების სამინისტრო, რომელშიც 1000 კაცამდეა გაერთიანებული და 1100-კაციანი შს სამინისტრო, რომელსაც მილიციის განსაკუთრებული დანიშნულების რაზმი — „ომონი“ ჰყავს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი და საიმიგრაციო კონტროლის სამსახური.

საკმაოდ კარგი შეიარაღება აქვს ჩრდილო ოსეთის სამშვიდობო ბატალიონ „ალანიას“

— ჩვენი შინაგანი ჯარის შენაერთით სამშვიდობო ძალების შევსების შემდეგ, „ცისფერჩაფხუტიანებმა“ დამატებითი საგუშაგოები გახსნეს. თუ არის ხელშეკრულებით განსაზღვრული, რამდენი საგუშაგო უნდა იყოს კონფლიქტის ზონაში?

— ახალი საგუშაგოების გახსნა მხარეებთან უნდა იყოს შეთანხმებული. სამწუხაროდ, იმ დოკუმენტებს, სადაც ეს წესებია განსაზღვრული, დღეს აღარავინ კითხულობს, თუმცა, ბევრი მათგანი საქართველოსთვის ძალზე წამგებიან მოთხოვნას შეიცავს. ცხინვალის მისადგომებთან ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ რუსმა სამშვიდობოებმა უნდა დატოვონ კონფლიქტის ზონა. ამჯერადაც ისინი ოსების ქვედანაყოფის გვერდით დადგნენ. დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ რუსების დახმარების გარეშე, ოსები ვერ მოახერხებდნენ ჩვენი ჯარისკაცების ტყვედ აყვანას. ამ ქმედებით მათ შური იძიეს ჩამორთმეული რაკეტების გამო.

— არსებობს თუ არა ოფიციალური დოკუმენტი იმის შესახებ, თუ რა მიზნით გადაადგილდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე რაკეტებით დატვირთული მანქანები და რატომ მოითხოვს რუსეთი ამ შეიარაღების ზუსტად იქ დაბრუნებას, სადაც მისი ჩამორთმევა მოხდა?

— ეს არის პრინციპის საკითხი, თორემ რუსეთისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, 60 რაკეტით მეტი ექნება თუ ნაკლები. მოსალოდნელია, რომ დაბრუნების შემთხვევაშიც, რუსული მხარე ამ იარაღს აღარ გამოიყენებს, რადგან არსებობს დაუწერელი კანონი: იმ იარაღის გამოყენება, რომელიც თუნდაც სულ მცირე ხნით მოხვდა მოწინააღმდეგის ხელში, არ შეიძლება... არ არის გამორიცხული, მასზე ისეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა დამონტაჟდეს, რომელიც საკმარისი იქნება საიმისოდ, რომ შვეულმფრენი, თავის იარაღიანად ჰაერში ააფეთქოს.

— უკავშირდება თუ არა ვაზიანში მიმდინარე წვრთნა ცხინვალის

რეგიონში მდგომარეობის შესაძლო გართულებას? როგორც გვახსოვს, ფოთის აკვატორიაში მოწყობილმა სამხედრო წვრთნამ გარკვეული როლი შეასრულა აჭარაში მიმდინარე მოვლენების განვითარებაში...

— არანაირი კავშირი ამ წვრთნებს კონფლიქტის ზონასთან არა აქვს; ვაზიანში ინგლისელებისა და ქართველების ერთობლივი წვრთნა 2 წლის წინ დაიგეგმა.

— ...და თუ მაინც დაიწყო საბრძოლო მოქმედებები?..

— დარწმუნებული ვარ, რომ ამას ქართული მხარე არ დაუშვებს, რადგან ამ ეტაპზე დრო ჩვენს სასარგებლოდ „მუშაობს“: დაქირავებულებს, რომლებმაც კონფლიქტის ზონაში მოიყარეს თავი, როგორც ამბობენ, დღეში 100-100 დოლარს უხდიან. მათი შენახვა კოკოითის მთავრობას ძვირი უჯდება, თანაც, კონტრაბანდის ძირითადი გზის გადაკეტვის შემდეგ, მან დიდი შემოსავალი დაკარგა. არ არის გამორიცხული, რომ უმაყოფილების ტალღამ დაქირავებულებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორისაც იჩინოს თავი: ბოევიკები ხომ უცერემონიო ქცევით გამოირჩევიან... შეუძლებელია, აქვე არ შევეხოთ საზღვრის უკანონო გადაკვეთის პრობლემას. ყველას კარგად გვახსოვს, თუ როგორ ისტერიას ტეხდნენ რუსული მასმედია და მაღალი რანგის ჩინოსნები იმის გამო, რომ საქართველოში, ჩეჩენ ლტოლვილებთან ერთად, ტერორისტები და კრიმინალები გადმოდიოდნენ. არადა, ლაპარაკი იყო მიუვალ ადგილებში საზღვრის გადალახვაზე! ახლა კი, როცა რუსი მესაზღვრეების მიერ კონტროლირებად მონაკვეთზე აბსოლუტურად ღიად, თავხედურად გადმოდიან კაზაკები თუ სხვა ჯურის დაქირავებულები, ამის შესახებ არავინ იღებს ხმას. უცნაურია — კონკრეტულად ამ საკითხზე რატომ არ გამოთქვამს ჩვენი ხელისუფლება კატეგორიულ პროტესტს რუსეთის სასაზღვრო ძალებისა და საერთოდ, ჩვენი მეზობლის მიერ გამოვლენილი ორმაგი სტანდარტის მიმართ?!. და თუ მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა, სწორედ უცხოტომელთა იქ ყოფნა მოგვევლინება ვითარების გართულების დამატებით ფაქტორად. დავუბრუნდები უშუალოდ დასმულ კითხვას და გეტყვით:

თუ მდგომარეობა მაინც გართულდება და ქართულ საშშვიდობო ბატალიონს იერიშის მოსაგერიებლად ძალა არ ეყოფა, მას ჯერ შინაგანი ჯარის ნაწილები დაეხმარებიან, შემდეგ კი, პროცესში თავდაცვის სამინისტრო ჩაერთვება. ეს კი იმის მიმანიშნებელი იქნება, რომ კონფლიქტი ფართომასშტაბიან დაპირისპირებაში გადაიზარდა და სხვა სტრატეგია უნდა ავირჩიოთ. იმედია, ეს ყველაფერი მხოლოდ თეორიული მსჯელობის საგნად დარჩება... ■

ცხინვალის რეგიონიდან გამოპარულ ოსებს კასპელები მალავენ

„მათი ნდობა არ შეიძლება... მე ქართველებს იარაღს ვერ დავუშიბნებ...“

1992-93 წლებში, როდესაც ქართულ-ოსური კონფლიქტი შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა, ერთ იუმორისტულ ჟურნალში გამოქვეყნდა ასეთი კარიკატურა: სამხედრო, იარაღის მუქარით ეკითხება კაცს — სად იმალებიან ოსებიო? ისიც პასუხობს — კასპის რაიონშიო... არ ვიცი, რა იუმორისტული დატვირთვა ჰქონდა მაშინ ამ კარიკატურას, მაგრამ მისი შინაარსი სწორად ასახავდა სინამდვილეს. კასპის რაიონში დღესაც, 1800-მდე ოსი ადამიანი ცხოვრობს და 7 წმინდა ოსური სოფელია.

ემა ტუხიაშვილი

როგორც თავად მოსახლეობა ამბობს, ისინი ლენინგორის (ამჟამად ახალგორის) ხეობის ოსები არიან და ქართველებთან ხანგრძლივი თანაცხოვრება აკავშირებთ. ქართლის შუაგულში მათი შემოსვლის პროცესი კი, დაახლოებით ასე დაიწყო: რამდენიმე ასეული წლის წინ, ეს მიწა-წყალი თურმე, კასპის თავადებს — ამილახვრებს ეკუთვნოდათ. თავად დავით ამილახვარს მშვენიერი ფრანგი ქალი, სახელად რენე შეურთავს ცოლად და მის პატივსაცემად ნადიმი სწორედ ამ ადგილ-ამბულში გაუმართავს. რენეს ძალიან მოსწონებია მთის კალთების ქვეშ შეფენილი ფერდობი, ამიტომ თავად ამილახვარს უბრძანებია, რომ იმ მიდამოში სოფელი აეშენებინათ და მეუღლის პატივსაცემად, მისი სახელი ეწოდებინათ. სახელი რენე სოფელს დღემდე შემორჩა, თუმცა ახლა იქ არც ამილახვრები და არც ფრანგები, არამედ ახალგორის ხეობიდან ჩამოსახლებული ოსები ცხოვრობენ. ქართველებთან მჭიდრო ნათესაური კავშირის მიუხედავად (იქ მრავლად შეხვდებით შერეულ ოსურ-ქართულ ოჯახს), მათ არც საკუთარი ტრადიციები დაუკარგავთ და მშობლიური ენაც შეინარჩუნეს. სამხრეთ ოსეთში ვითარების დაძაბვამ, მათ სერიოზული შეშფოთების საფუძველი მისცა, რადგან დღემდე კოშმარივით ახსოვთ 1992-93 წლების უმძიმესი პერიოდი.

ვახტანგ ტეხაშვილი *(ტეხოევი) კასპის რაიონის მკვიდრი:*

— დაახლოებით 2-3 საუკუნის წინ, ჩემი წინაპრები ლიახვის ხეობაში ცხოვრობდნენ, რომელიც ცხინვალის რაიონს ეკუთვნოდა. რა თქმა უნდა, საქართველოს ტერიტორია იყო. შემდეგ პაპაჩემი და მამაჩემი საცხოვრებლად კასპის რაიონში გადმოსულან და როგორც ხედავთ, ჩემი ეროვნების მიუხედავად, მე ამ მიწა-წყალზე დავბერდი. ჩემი მეუღლე ქართველია, მეც და ჩემს შვილებსაც ქართული განათლება გვაქვს მიღებული და გარწმუნებთ, რაც არ უნდა მოხდეს, ამ მიწა-წყალზე დავიმარხებით.

— 1992-93 წლების შემდეგ ოსური მოსახლეობის ნაწილმა დატოვა ეს რეგიონი და საცხოვრებლად სამხრეთ ოსეთში გადავიდა. თქვენ რატომ არ მიიღეთ ასეთი გადაწყვეტილება?

— მართლაც, ზოგი ჩვენი ნათესავი, მეგობარი და ახლობელი გაიხიზნა ოსეთსა თუ რუსეთში, მაგრამ ბევრი მა-

ლევე დაბრუნდა. მინდა გითხრათ, რომ ჩვენ იქაურ ოსებს არ ვუყვარვართ, ძალიან მძიმე და ცივი ხალხია, ჩვენ კი ალბათ ქართველებს დავემსგავსეთ... კონფლიქტს რაც შეეხება – ჩემი წინაპრებისგან მსმენია, რომ ის ჯერ კიდევ ნოე ჟორდანიას მმართველობის პერიოდიდან იღებს სათავეს. მიზეზი მაშინაც, საქართველოს კუთვნილი ტერიტორიები იყო, რომლებსაც ოსების ზურგს ამოფარებული რუსები ეპოტინებოდნენ. მაშინ ამ კონფლიქტს თურმე ოსურ-ქართული ჩხუბი უწოდეს. შემდეგ იყო 1992 წელი, რომელიც კოშმარული სიზმარივით გვახსოვს. მაშინ შექმნილი ვითარებით ბევრმა არაფორმალურმა შეიარაღებულმა დაჯგუფებამ ისარგებლა: შემოდიოდნენ ოსურ სოფლებში, აწიოკებდნენ ოჯახებს... ჯერ იყო და, შემოსასვლელი გზები გადავთხარეთ, რომ ვერავინ შემოსულიყო, მაგრამ სოფლები, როგორც ხედავთ, ცენტრალური სავალი გზის ორივე მხარეს არის განლაგებული, ამიტომ ცეცხლს პირდაპირ ტრასიდან გვიხსნიდნენ ხოლმე. სოფელში ზარი გვქონდა, რომელსაც საფრთხის შემთხვევაში, განგაშის მაუწყებლად ვიყენებდით. მოსახლეობა სახლებიდან ბაღებში გარბოდა, რადგან ქონებას არავინ ჩიოდა – მთავარი იყო, რომ ადამიანების სიცოცხლე გადაგვერჩინა. იყო შემთხვევები, როდესაც შვილები დაუძლურებულ, ავადმყოფ მშობლებს შინ ტოვებდნენ და თვითონ თავშესაფარში გარბოდნენ. რა თქმა უნდა, იყო ძარცვა, მუქარა, შეურაცხყოფა, მაგრამ მსხვერპლი ჩვენს მოსახლეობაში არ ყოფილა. ჩვენმა მეზობელმა ქართველებმა გადაგვარჩინეს, რადგან საკუთარი ძმებივით გვედგნენ მხარში. იყო შემთხვევები, როდესაც პატარა ბავშვებს ქართველების საბძლებში ვმალავდით... არ არსებობს სახელმწიფო, სადაც მხოლოდ ერთი ერი ცხოვრობს, ქართველებსა და ოსებს შორის კი, დიდი ნათესაური კავშირი არსებობს.

— დღეს შექმნილ ვითარებას როგორ აფასებთ და რა ინფორმაციას ფლობთ ცხინვალის რეგიონში მყოფი თქვენი ნათესავებისა თუ ახლობლების შესახებ?

– პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ ჩვენ საკაშვილის დიდი იმედი გვაქვს, ოსები მას პატარა სტალინს ვეძახით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ კოკოევი უნდა დაემორჩილოს საქართველოს ხელისუფლებას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღდგეს და ოსებსა და ქართველებს ერთად მშვიდად ცხოვრების საშუალება უნდა მოგვცენ. ჩვენი ინფორმაციით, ცხინვალის რეგიონში ვითარება საკმაოდ დაძაბულია. რამდენიმე იქაურმა ოჯახმა ჩვენს სოფელში ნათესავებთან გამოხიზნა შვილები, მათი მშობლები თვითონ გამოსვლას ვერ ბედავენ. მათ ვერ ვუკავშირდებით და უფრო კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით...

სწორედ ამ საუბრის დროს, სოფლის შარაზე ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა. ყველა მისკენ გაიქცა და შეკითხვები დააყარა. როგორც გაირკვა, ის ცხინვალის რეგიონის მკვიდრი ყოფილა, შემოვლითი გზებით კონფლიქტის ზონიდან, კერძოდ – სოფელ ოქონადან გამოპარულა... ვინაობის გამჟღავნებაზე უარი მითხრა: ჩემი მშობლები იქ დარჩნენ, როდესაც გამოვიყვან, გპირდებით, ყველაფერს მოგიყვებითო. თუმცა, რამდენიმე შეკითხვაზე მაინც მიპასუხა:

ვინაობის გამჟღავნებაზე უარი მითხრა:ჩემი მშობლები იქ დარჩნენ, როდესაც გამოვიყვან, გპირდებით, ყველაფერს მოგიყვებითო...

— რატომ გამოიპარე? შენ ხომ ოსი ხარ. გავიწროებდნენ?

– კონკრეტული ზეწოლა ვინმეს მხრიდან ჯერ არ ყოფილა, მაგრამ მათი ნდობა არ შეიძლება, პატარა ბავშვსაც კი იარაღს აძლევენ და სროლას ასწავლიან.

— ვისი ნდობა არ შეიძლება — რუსების თუ ოსების?

– მერწმუნეთ, რომ ჩვენი სოფლის მისადგომებთან არც ერთი რუსი ჯარისკაცი არ დგას – მხოლოდ შეიარაღებული ოსები არიან. ვითარება ყოველ წამს შეიძლება დაიძაბოს. მე ან იარაღი უნდა ამეღო ხელში, ან ღალატში დამდებდნენ ბრალს. საქართველოში დაბადებული და გაზრდილი კაცი ვარ, ვის დავუმიზნო იარაღი – საკუთარ ძმებს?

— სოფლიდან გამოსვლა როგორ მოახერხე?

– საცალფეხო ბილიკებით. მთელი ღამის განმავლობაში ვიარე, რომ აქამდე მომეღწია. ახლა კი იმაზე ვფიქრობ, მშობლები როგორ გამოვიყვანო იქიდან. ყოველდღიურად, უამრავი ადამიანი ტოვებს ამ ბილიკების საშუალებით კონფლიქტის ზონას...

ადგილობრივი მეგზურის დახმარებით, ოსურ სოფლებში იმდენი ვიმოგზაურე, სანამ კოკოევების რძალს არ მივაკვლიე. როგორც გაირკვა, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტს შესაძლოა, საერთოდაც ქართული წარმომავლობა ჰქონდეს...

ზინაიდა კოდალოვა, *კასპის რაიონის მკვიდრი:*

– ჩემი მეუღლე გვარად ქოქოევი

ვახტანგ ტეხაშვილი (ტეხოევი) მარცხნივ

გახლდათ. მინდა გითხრათ, რომ არასწორია, როდესაც ქართულად კოკოევს წერენ. ასო „კანით“ ეს გვარი, მხოლოდ რუსულ ენაზე იწერება. საერთოდ, ქოქოევები წარმოშობით ქარელის რაიონიდან, სოფელ წნორიდან არიან, ამ გვარის წარმომადგენელს საქართველოში იშვიათად შეხვდებით, რადგან ახლა ისინი ძირითადად ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე ცხოვრობენ. ვერ დავიჩემებ იმას, რომ თვითგამოცხადებული ოსეთის პრეზიდენტი ჩემი ნათესავია, მაგრამ გეტყვით, რომ ეს გვარი საკმაოდ მცირერიცხოვანია.

— **ასეთი გვარის გამო თქვენს მეუღლეს საქართველოში ხომ არ ავიწროებენ?**

— ჩემი მეუღლე უკვე დიდი ხანია, გარდაიცვალა. თუმცა, წლების წინ, ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს, იყო ზეწოლის მცდელობები ჩემზე და ჩემს შვილზე. გვემუქრებოდნენ, მოითხოვდნენ, რომ წავსულიყავით საქართველოდან. მაგრამ ჩემი თანამშრომლების გვერდში დგომამ გადამარჩინა.

— **სად მუშაობთ?**

— გორის პროკურატურაში მდივნად ვმუშაობ, დაახლოებით 40 წლის განმავლობაში. ბევრი გავლენიანი ადამიანი მიცნობს, სწორედ მათი თანადგომის წყალობით გადავრჩი, თუმცა — მხოლოდ დროებით.

— **რას ნიშნავს — დროებით?**

— მართალია, გავლენიანმა ადამიანებმა სამსახურიც შემინარჩუნეს და მშვიდი ცხოვრების პირობებიც შემიქმნეს, მაგრამ ჩემს შვილს, მისი გვარისა და ეროვნების გამო, ყველგან და ყველაფერში წინააღმდეგობა ხვდებოდა. იმედგაცრუებულმა მიატოვა აქაურობა და ცხინვალში გაემგზავრა. მართალია, მაშინ პრეზიდენტი, მისი მოგვარე არ ყოფილა, მაგრამ ვერც მისი ეროვნების ადამიანებთან პოვა ნუგეში, ვერც იქ გამოინახა მისთვის სამსახური და ფარხმალდაყრილი, კვლავ აქ დაბრუნდა. 35 წლის კაცმა ვერ გაუძლო ამდენ დამცირებს, ნერვებმა უმტყუნა და ერთხელაც, სახლში დაბრუნებულს, ჭაღზე ჩამომხრჩვალი დამხვდა... ჩემი შვილის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი გამიახლდა ახლა, როდესაც ოსეთის მისადგომებთან ვითარება ისევ დაიძაბა. ჩვენმა ხელისუფლებამ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რომ ის დიდი იარა კვლავ არ გაიხსნას.

■

სისხლის ღვრა თავიდან ავიცილეთ, მაგრამ რის ფასად?

რუსეთი დღეს საინფორმაციო ომს აგებს!

ახლა დრო ჩვენზე მუშაობს



პუტინს სურს თავისი განცხადებით ჰიპნოზი გაგვიკეთოს

ნანა ქიბიშაური

კარგ მაგალითს დიდ პოლიტიკაშიც რომ გადამდები ძალა ჰქონია, ამაში ვლადიმირ პუტინის მიერ ოსი მოსახლეობისთვის გამოგზავნილმა ჰუმანიტარულმა ტვირთმაც დაგვარწმუნა და მის მიერ ბოლო დროს გაკეთებულმა შედარებით კორექტულმა განცხადებებმაც. ქართულ ჰუმანიტარულ სასუქს რუსული ჰუმანიტარული ფქვილი ისე შეაჯიბრეს, რომ არც უფიქრიათ, განბაჟებას თუ მოითხოვდა ვინმე. ამის გამო გულმოსულმა რუსმა გენერალმა ხან მარჯვნივ გადააფურთხა, ხან — მარცხნივ, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და სწორედ ისე ჩაიქნია ხელი, როგორც მხოლოდ რუსი გენერლები იქნევენ... ეს რაც შეეხება სამშვიდობო ძალების სარდალ გენერალს. რუსეთის პრეზიდენტი კი, ამჯობინებს, მეტი დიპლომატია შეიტანოს ქართულ-რუსულ ურთიერთობაში და საჯაროდ აცხადებს, რომ მისმა ქვეყანამ უნდა შეძლოს, საქართველოსთან მიმართებაში, სხვა ქვეყნებს გაუწიოს კონკურენცია, რათა მასთან — ე.ი. რუსეთთან ურთიერთობა მისი სამხრეთელი მეზობლისთვისაც მიმზიდველი იყოს(!)...

რამ აიძულა პუტინი კავკასიაში და კონკრეტულად საქართველოში გავლენის შესანარჩუნებლად, საკუთარი „დერჟავის“ კონკურენტუნარიანობაზე ალაპარაკებულიყო? — საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა წარმატებულმა საგარეო პოლიტიკამ, საერთაშორისო თანამეგობრობის ჩვენდამი გაზრდილმა ყურადღებამ, თუ მხოლოდ სურვილმა იმისა, რომ საკუთარი პოზიციით შთაბეჭდილება მოახდინოს მსმენელზე?..

კონფლიქტის ზონაში დღეს მიმდინარე მოვლენებისა და მასში ჩართული ქვეყნების პოზიციების შესახებ კომენტარი პოლიტოლოგ ***პაატა ზაქარეიშვილს*** *ვთხოვეთ.*

— **ბატონო პაატა, დავიწყოთ რუსეთის პოზიციის შეფასებით...**

— სამხრეთ ოსეთში მიმდინარე კონფლიქტი სხვა არაფერია, თუ არა, კავკასიაში რუსეთის ინტერესების სრული რეალიზაციის მცდელობა. პრეზიდენტ პუტინის განცხადება, რომ რუსეთს სურს, იყოს კონკურენტუნარიანი დსთ-ის ქვეყნებთან ურთიერთობისას, — ორმაგი სტანდარტის კლასიკური მაგალითია. ის, რაც უნდა, ერთია და რაც სინამდვილეშია — მეორე. სწორედ რუსეთი ამარაგებს სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას იარაღით; რუსეთიდან ხდება კონფლიქტის ესკალაცია და ჩვენი ქვეყნის საზღვრის, საფრთხის წინაშე დაყენება. ასე არ იქცევიან კონკურენტუნარიანი სახელმწიფოები. პუტინს სურს, თავისი განცხადებით ჰიპნოზი გაგვიკეთოს და ამ დროს, ცხინვალში თავისი პოზიციები გაამყაროს.

— **რუსეთის პრეზიდენტს დიპლომატიურობას ალბათ, საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნების ზეწოლასთან ერთად, სხვა ფაქტორებიც აიძულებს, რასაც ვერ ვი-**

პაატა ზაქარეიშვილი

ტყვით, დუმის ბევრ დეპუტატზე, რომლებიც აბსურდულ, უცერემონიო განცხადებებს აკეთებენ და ცხინვალის რეგიონზე ისე ლაპარაკობენ, როგორც საკუთარი ქვეყნის შემადგენელ ნაწილზე.

— რუსეთის პრეზიდენტის კორექტულობა მიზანმიმარული ქართული პოლიტიკის შედეგია. მაგრამ ის ფაქტი, რომ რუსეთი ცდილობს, სიტყვები შეარჩიოს, იმ ფონზე, რაც რუსეთის პარლამენტში ხდება, არაფერს ნიშნავს. პუტინის ირგვლივ სწორედ ის პოლიტიკური წრე ტრიალებს, რომლის წარმომადგენლებიც ამბობენ: სააკაშვილი მოდის ტანკივით და დროა, მის შეჩერებაზე ვიფიქროთ, სანამ სამხრეთ ოსეთსაც დაგვაკარგვინებსო, — და თავიანთი პრეზიდენტისგან ამ რეგიონში აქტიური და აგრესიული პოლიტიკის გატარებას მოითხოვენ. რუსეთმა ფაქტობრივად, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ქართული მხარე იძულებული გაეხადა, ჩაბმულიყო შეიარაღებულ დაპირისპირებაში. მაგრამ ამ ეტაპზე, ეს ვერ მოახერხეს და ეჭვი მეპარება, რომ იმ მდგომარეობას, რომელშიც აღმოჩნდნენ — ვგულისხმობ იმას, რომ დიდი რაოდენობით ბოევიკი ჰყავთ შესანახი, რომლებსაც ფაქტობრივად ტყუილად უხდიან ფულს, — იოლად შეეგუვნენ.

— ცხინვალში მიმდინარე მოვლენებში რუსი სამშვიდობოების როლის შესახებ რას გვეტყვით? რჩება შთაბეჭდილება, რომ ბოლო დროს, მათ მოქმედებაშიც მეტი სიფრთხილე და პოზიტიური ქმედება შეინიშნება...

— პირადად მე, მათ ქმედებებში პოზიტივის დანახვა მიჭირს. რუსი სამშვიდობოები დღესაც აქტიურად თანამშრომლობენ სხვადასხვა ჯურის ბოევიკებთან და იმ კაზაკებთან, რომლებიც კონფლიქტის ზონაში სისხლის დასაღვრელად ჩამოვიდნენ. ამიტომ მიმაჩნია, რომ ისინი თავიანთ მისიას ვერც ამჟამად ართმევენ თავს. რუსეთის იარაღის გაცვლას რომ მოითხოვენ ოსების მიერ ტყვედ აყვანილ ქართველებში, ესეც არ მესმის! რა კავშირშია ერთი მეორესთან?.. — ეს არის იმის მაგალითი, რომ რუსი სამშვიდობოები ოს სეპარატისტებთან არიან შეკრულნი და ერთიან დანაშაულებრივ პოლიტიკას ატარებენ. თუმცა, იმასაც ვამბობ, რომ ამ ეტაპზე, კონფლიქტის ზონიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანა მდგომარეობას უფრო გაართულებს. ახლა რომ დავუშვათ პოლიტიკური შეცდომა და მოვითხოვოთ მათი გაყვანა, რომ მოხდეს სასწაული და ისინი მართლაც, გავიდნენ კონფლიქტის ზონიდან, ისეთ პროვოკაციულ ნაღმებს დატოვებენ, რომ უფრო სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებით, ვიდრე დღეს ვიმყოფებით. მაშინ კი, ნამდვილად ვეღარ მოვახერხებთ სისხლის ღვრის თავიდან აცილებას. რუსეთი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ჩვენვე ვთქვათ: სამშვიდობოები რომ ისევ აქ ყოფილიყვნენ, ეს არ მოხდებოდა-თქო. ახლა შეიარაღებული დაპირისპირება რომ განახლდეს, ამისთვის ისინიც იქნებიან პასუხისმგებელნი და აქედან გამომდინარე, იძულებული არიან, მანდატის შესაბამისად იმოქმედონ.

— საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ შეიარაღებული შეტაკების თავიდან აცილება მოახერხა. ეს იმგვარად იყო ნათქვამი, თითქოს საფრთხე აღარ გველოდება... რა იქნება ხვალ? რისი დათმობის საფუძველზე მოგვიწევს მშვიდობის შენარჩუნება?

— კი ავირიდეთ თავიდან სისხლის ღვრის საფრთხე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის აღარ არსებობს. დღეს ცხინვალში ისეთი მდგომარეობაა შექმნილი, რომ ქართული პოლიტიკის დღევანდელი წარმატება, ხვალინდელი წარმატებული დღის საწინდარი არ არის. არავინ იცის, როგორ განვითარდება იქ მოვლენები.

— ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ალაპარაკდნენ იმაზე, რომ კონფლიქტის ზონა უნდა შემცირდეს, რადგან ახლა მასში გორის რაიონის დიდი ნაწილიცაა მოქცეული, რაც არანაირი თვალსაზრისით არაა მართებული...

სამშვიდობოები ოს სეპარატისტებთან არიან შეკრულნი და ერთიან დანაშაულებრივ პოლიტიკას ატარებენ

— ვფიქრობ, ამ საკითხის გადასინჯვაც დღევანდელ სიტუაციაში ჩვენთვის არ იქნება მომგებიანი: ამ ნაბიჯით მეორე მხარესაც ვაიძულებთ, თავისი პოზიციებიდან გადასინჯოს იგივე საკითხი და ახალი, მზაკვრული გეგმა მოიფიქროს, შემოგვთავაზოს ალტერნატივა და აამუშაოს მექანიზმი, რომელიც მისი მოთხოვნების შესრულებას გვაიძულებს. ამიტომ მიმაჩნია, რომ მაშინ, როცა კონფლიქტის ზონაში დაძაბული მდგომარეობაა, იმ დოკუმენტში ცვლილებების შეტანა, რომელიც ხელმოწერილი გვაქვს, ომის გაჩაღების მსურველთა წისქვილზე დაასხამს წყალს. ამის დრო მოვა მაშინ, როცა ვნებათაღელვა დაცხრება და მხარეები მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდებიან.

— ქართული მხარე ხშირად აგებდა საინფორმაციო ომს. თქვენი აზრით, დღეს რა მდგომარეობაა ამ მხრივ?

— კმაყოფილი ვარ იმით, რომ რუსული საინფორმაციო საშუალებებით გამოსვლისას პოლიტიკოსები, დუმის

რუსი სამშვიდობოები დღესაც აქტიურად თანამშრომლობენ სხვადასხვა ჯურის ბოევიკებთან

ძალიან პრიმიტიულები არიან, ღიად, დაუფარავად ეწევიან ანტიქართულ პროპაგანდას

წევრები, თავიანთ სახეს გვიჩვენებენ. ძალიან პრიმიტიულები არიან, ღიად, დაუფარავად ეწევიან ანტიქართულ პროპაგანდას და შემიძლია თამამად ვთქვა: რაც უფრო ხშირად გამოჩნდებიან ისინი ტელეეკრანზე თუ გაზეთის ფურცლებზე, მით უფრო მალე შეიქმნება საერთაშორისო აზრი ერთიანი – რეალური რუსეთის შესახებ... მიმაჩნია, რომ რუსეთი დღეს საინფორმაციო ომს აგებს. საქართველოს კი კარგი პოზიციები უკავია და თუ გონივრულ პოლიტიკას გააგრძელებს, მიეცემა რეალური შანსი იმისა, რომ ძალიან მალე, საკუთარ იურისდიქციაში მოაქციოს ადრე დაკარგული ტერიტორიები.

P.S. ზატულინებს, ბაბურინებსა და კოკოშინებს ახალ-ახალი ფიგურები ემატება. ამ დღეებში, მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით თავისი „ბრძნული“ კომენტარი გააკეთა რუსეთის დუმის დსთ-ის ქვეყნების კომიტეტის თავმჯდომარემ, ვინმე ახმედ ბილალოვმა: „ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში საომარი მოქმედებების დაწყება, მოვლენების განვითარების ყველაზე ცუდი გაგრძელება იქნება და მას გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვება. საქართველოსთვის ეს სამხრეთ ოსეთის დაკარგვით შეიძლება დამთავრდეს“. აი, ასე – ბატონი ბილალოვი თითქოს უფრთხის ომს, მაგრამ მის ყველაზე ლოგიკურ შედეგად, მხოლოდ მისთვის სასურველ დასასრულს მიიჩნევს. თუმცა დასძენს: უმჯობესი იქნება, თუ სიტუაცია განვითარდება სცენარით – „არც ომი, არც მშვიდობაო“, – და რაც მთავარია, მიზანშეუწონლად მიაჩნია კონფლიქტის დასარეგულირებლად საქმეში ახალი საერთაშორისო სუბიექტების ჩართვა.

ბილალოვი ბევრი რუსი პოლიტიკოსისა და ჟურნალისტის წადილს ახმოვანებს. ცხადია, ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს ურჩევნია სტატუს-კვოს შენარჩუნება და სულაც არ ანაღვლებს ის, თუ რას იტყვიან მასზე. სწორედ ამიტომ წერს ერთ-ერთი ჩვენი რუსი კოლეგა – საქართველოს პრეზიდენტი დაუბრუნდა „ნორმალური ქართველი ნაციონალისტის“ სახეს (სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულებთან შეხვედრისას, მიხეილ სააკაშვილის მიერ წარმოთქმულ სიტყვას გულისხმობს), რომელსაც არ შეიძლება, უყვარდეს რუსეთი(?!), მაგრამ ამაში შემაშფოთებელი არაფერია, რადგან სულაც არაა აუცილებელი, რომ ვუყვარდეთო... შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აზრის გაგრძელება ასეთია: სიყვარული არ გვჭირდება, მთავარია, ეშინოდეთ ჩვენი და გვემორჩილებოდნენო... ალბათ, სწორედ ამიტომ აღშფოთდნენ და გაოცდნენ, როცა ცხინვალის რეგიონში – ე.ი. საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლად არ შეუშვეს ე.წ. „პრეზიდენტ პუტინის საჩუქარი“. მართლაც, როდის იყო, რუსეთის ჯარს – თუნდაც სამშვიდობოს, თუნდაც კონფლიქტის ზონაში – შემოსატანი ტვირთის განბაჟებას სთხოვდნენ?.. ადრე არ სთხოვდნენ, ახლა კი სთხოვენ. მომავალში ალბათ მეტს მოსთხოვენ...

■

მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების საყურადღებოდ!

ს ტ ი პ ე ნ დ ი ე ბ ი!

სექტემბრიდან ყოველ კვირა დღეს ტელეკომპანია „მზეზე“,
„ეტალონი“ – ყველაზე ეროვნული მედიაპროექტი.

მიიღეთ მონაწილეობა! ორშაბათობით იკითხეთ ჟურნალი „რეიტინგი“,
შეავსეთ „ცოდნის კუპონი“ და ჩაერთეთ საგანმანათლებლო-შემეცნებით პროექტში.

თქვენ 1-წლიანი ყოველთვიური სტიპენდია გეკუთვნით!

*პროექტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა
და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა კურთხევით ხორციელდება.*

რეიტინგი

შეხვედრამდე „მზეზე“

„გზის“ წინა ნომრის „საპატარძლომ“ — ია ფარულავამ თქვა, რომ ძალზე უყვარს გემრიელი ნამცხვრებისა და ტორტების ჭამა. სწორედ ამიტომ, ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა „სიყვარულის ტორტის“ რეცეპტი შესთავაზა. ურიგო არ იქნებოდა, ჩვენს მკითხველებსაც გამოეყენებინათ ეს რეცეპტი: „ავიღოთ ერთი ჭიქა მეგობრობა, 2 ჭიქა ღიმილი, 4 ს/კ ურთიერთგაგება, დავამატოთ კოცნა გემოვნების მიხედვით, ეს ყველაფერი კარგად ავურიოთ და ჩავასხათ გულში, კარგად გამოცხობამდე“... ვიდრე ია ტორტს მოამზადებს, მის სახელზე მოსულ გამოხმაურებებს გავეცნოთ, მერე კი არჩევანის გაკეთებასაც აღარაფერი დაუდგება წინ.

„მინდა, იას ჩვენი შეხვედრის მომენტი შევუხსენი“

მარი ჯაფარიძე

„იას ჰკითხეთ, სოფო ფარულავა მისი ძმისშვილია?“

„არ ვიცი, როგორ გადასცემთ იას ამ ყველაფერს, მაგრამ ჩემს აზრს მაინც დავაფიქსირებ. ვარ 32 წლის, იურისტი, ვმუშაობ იუსტიციის სამინისტროში. საკმაოდ სიმპათიური, მაღალი... ერთი სიტყვით, კაი ტიპი. ფულიანი არ ვარ, მაგრამ არც უფულო. მყავდა მეუღლე, 9 თვეა, რაც გავიყარეთ, შეიძლება ითქვას, ვაფრენ, ია ისე მომწონს, მისი ლამაზი ღიმილითა და გამოხედვით. მის გამო ხშირად დამვიწყნია საკუთარი „მე“. გადაეცით, რომ მე ის უკვე მიყვარს. დიდი მადლობა“.

„რა ვქნა, ძალიან მიყვარს ია. მისი სურათი ჩემს საფულეს ამშვენებს. ძალიან გთხოვთ, გადაეცით, რომ მასზე მეტად არავინ მიყვარს“.

„ისევ გამოჩნდა მშვენებით სავსე, რა ლამაზია, ვით თოვლში ია, მიყვარს, არ ვიცი, რად მიყვარს ასე ეს ჩემი ია. უცნობი“.

„მარი, მინდა დიდი მადლობა გადაგიხადო იმ მშვენიერი „საპატარძლოსთვის“, რომელსაც მე უდიდეს პატივს ვცემ. მან მე საკუთარი თავი მაპოვნინა. ია, გისურვებ ყველაზე სუპერმამაკაცს. ნამდვილად იმსახურებ. შენი გადაცემის გმირი, მშვენიერი ლედი, მაკა“.

„ია, ძალიან მომეწონე. დიდი სიამოვნებით შევირთავდი ასეთ ლამაზ ქალს“.

„გამარჯობა, ია. როგორ ხარ? რა თქმა უნდა, კარგად იქნები. მე ვარ ის, ვისაც შენ ეძებ. როგორ შეიძლება შენი გაცნობა? მითხარი, როგორ შევხვდეთ ერთმანეთს. თუ გაინტერესებს, როგორი ვარ, გეტყვი: პატიოსანი, კარგი ბიჭი. თუ დაინტერესდები, დამიმესიჯე“.

„ორშაბათს გნახე და შემიყვარდი, სამშაბათს გულმა დამიწყო ძგერა. ოთხშაბათს ტრფობა გამოგიცხადე, შაბათს გვექნება ჩვენ ქორწინება“.

„იას გადაეცით, რომ ძალიან მიყვარს. მინდა, ყველა ოცნება მალე აისრულოს. ქრისტინეც მაგარია. ორივე ძაან მიყვარს“.

„ძალიან ლამაზი ხარ, ია. შენ მართლაც გაზაფხულის ყვავილივით ხარ, რომელიც ჩემს გულში ყვავილობს და ხარობს, მაგრამ ჩემს გულში შენ სულ ხარ და თუ ჩემ გვერდით იქნები, გაიხარებ კიდეც. უცნობი იკასაგან, ნაცნობ იას.“

„მი სი მალატ („მიყვარხარ“), ია! ძალიან კარგი გოგო ხარ. მე ვარ სწორედ ის ადამიანი, როგორსაც შენ ეძებ — თბილი და ალერსიანი, მაღალი, შავგვრემანი, მხარბეჭიანი. ნამდვილი სვანური სვანი. შენი გუჯა“.

„ია, ჩემო კარგო, თუ კაცს შენი დანახვისას გული არ შეუტოკდა, სისხლი არ აუჩქროლდა, არ აღფრთოვანდა და არ მოიხიბლა შენი ქალურქალობით, ის კაცი არ ყოფილა. თუ რომელიმე ქალს არ მოსწონხარ, მას შენი შურს და შენს ადგილზე ყოფნა სურს. ეჰ, რომ გამოჩნდებოდეს ვინმე ღვთისნიერი ქველმოქმედი, რომელიც ქართულ კინოს ააღორძინებდა და გადაიღებდა ფილმს — „სიყვარული ვენახში-2“, ოღონდ, მოქმედება ხდებოდეს არა კახეთში, არამედ იმერეთში, ყველა მსახიობს ვაჯობებდი და შენი პარტნიორი გავხდებოდი. იმერლის ფიქრები — მშვენიერი ლედის კავალერი ვიქნები!.. თვით მხეცი მაიკ ტაისონიც კი შენ წინაშე ქედს მოიდრეკდა და შენი გულის დასაპყრობად უგანათლებულეს არისტოკრატად გადაიქცეოდა.“

„ძალიან მიყვარს ია. მოხიბლული ვარ მისი სილამაზითა და ქალურობით. დიდი სურვილი მაქვს, ჩემი შვილი მოვანათვლინო. თუ ეს შესაძლებელია, გთხოვთ, დამიკავშირდეთ“.

შ.პ.ს. «დელტა»
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
მაღალი ხარისხი-მისაღები ფასები
მის: მ.ლაღიძის ქ.№9 ტ: 92 32 08; 92 14 95.

„ეჭ გოჩა გახლავართ. მინდა, იას ჩვენი შეხვედრის მომენტი შევახსენო. 1990 წლის 9 აპრილს აღინიშნა ამ ტრაგედიის წლისთავი. პარლამენტთან დიდი თავყრილობა იყო. სამთავრობო ლოჟის მისასვლელთან ვიდექი, როდესაც ია მოვიდა და მთხოვა, იქ შემეშვა; რაღა თქმა უნდა, უარი არ მითქვამს. ჰოდა, თუ ვახსოვარ, იქნებ დამიკავშირდეს? ძალზე დიდ პატივს ვცემ ამ ქალბატონს“.

„მას მერე, რაც ვნახე ფილმი — „სიყვარული ვენახში“, იას მიმართ საოცარი გრძნობა გამიჩნდა. როგორ მინდა, პაპუაშვილის მაგივრად მე გამეწია პარტნიორობა მისთვის!..“

„ჩემო მშვენიერო ლედი, საოცრად ლამაზი, მიმზიდველი და სექსუალური ხარ. იცი, როგორ მინდა, ცხადად გიქციო ის ფანტაზია, რომელიც შენს ქორწილთან დაკავშირებით გაამხილე?.. მოკლედ, გემი ჩემზე იყოს, საპატარძლო კაბასა და დღესასწაულის მოწყობასაც მე ვკისრულობ. შენ მხოლოდ დამთანხმდი. „კაპიტანი ნემო“.

„მამაკაცი არ ვარ, მაგრამ ია ჩემთვის მისაბაძი ქალია. ვცდილობ, თმა მისნაირად დავივარცხნო, მანერებიც მასავით დავხვეწო. ჯერ 15 წლის ვარ. ვიდრე გავიზრდები, ვფიქრობ, შევძლებ, იას მსგავსი ვიყო“.

„ჩემო ია, ვაცხადებ პრეტენზიას შენი მეულლის ვაკანტურ ადგილზე. თამამი ვარ, რადგან შემიძლია, ყველა შენი მოთხოვნა დავაკმაყოფილო“.

„კარგია, ორჯერ რომ ხარ გათხოვილი. ალეგროვას სიმღერა გახსოვს? „Все мы, бабы, стервы, милый, что с тобой? Кто у нас не первый, тот у нас второй...“ „მეორეობა“ ნაღდად „ტეხავს“, ან პირველი უნდა იყო, ან — ბოლო. მგონი, ბოლო ჯობია, რადგან სამუდამო და გარანტირებული ადგილია. მე კი ვფიქრობ, თუ ცხოვრებას დამიკავშირებ, ნაღდად ბოლო ვიქნები, რადგან სურვილიც არ გაგიჩნდება, სხვასთან წახვიდე და მე მიმატოვო. გკოცნი. დათო“.

„ასეთ მშვენიერ ქალბატონზე ყველა მამაკაცი ოცნებობს, მათ შორის — მეც. რა, გამონაკლისი ვარ? სამწუხაროდ, მხოლოდ ის არის, რომ მასზე პატარა ვარ. რა იქნებოდა, 18 წლით გვიან დაბადებულიყავი, ჩემო ანგელოზო?.. დარწმუნებული ვარ, ჩემი გახდებოდი და არასოდეს დაგთმობდი. ნეტავ შემეძლოს, მალე გავიზარდო. ვიდრე შენნაირ გოგოს არ ვიპოვი, ცოლს არ მოვიყვან. ისე, ქრისტინე მაინც გამირიგე, მშვენიერო ქალბატონო!..“ ■

მძინარა ნიკა მემანიშვილი გვაცილებდა - საქართველოსთან ერთად

დღევანდელი „სასიძო“ საკმაოდ მძიმეწონიანი, 24 წლის ნიკა მემანიშვილი გახლავთ. ახალგაზრდა მუსიკოსთან ურთიერთობისას გამუდმებით იმის შეგრძნება მაქვს, რომ ძალზე კეთილ კაცს ესაუბრები. მას ადამიანების მხოლოდ ერთი რამ შურს. თუ რა — ამაზე და კიდევ ბევრ სხვა საინტერესო კითხვაზე მისი ინტერვიუ გაგცემთ პასუხს.

მარი ჯაფარიძე

— **ნიკა, გაგვაცანი შენი ოჯახი.**

— ვცხოვრობ დედასთან ერთად. დედა გახლავთ ჩემი თანაშემწეც, მდივანიც, თანამშრომელიც, მეგობარიც. ის მიწესრიგებს ძალზე ბევრ საქმეს. აგროვებს ჟურნალ-გაზეთებს, სადაც ჩემი ინტერვიუები იბეჭდება და აკეთებს არქივს. რაღა თქმა უნდა, მივლის და ბოლო დროს ხშირად მსაყვედურობს იმის გამო, რომ ცოლი არ მომყავს.

— **მერე, რატომ არ ქორწინდები?**

— აუჰ, იცით, რამდენი საქმე მაქვს?!. ისე ვარ დაკავებული, რომ პირადი ცხოვრებისთვის საერთოდ ვერ ვიცლი. დილით ადრე გამოვდივარ შინიდან და გვიან ღამით ვბრუნდები. ხანდახან დედაჩემს ვენატრები კიდეც, რადგან მასთან საუბრისა და მოსიყვარულების დროც არ მრჩება. თანაც, მიმაჩნია, რომ ოჯახის შესაქმნელად ჯერ მზად არ ვარ. ცოლს ძალზე დიდი ყურადღება სჭირდება. ის ხომ არ არის მთავარი, რომ მოვიყვანო და შინ დავსვა? დედაჩემისთვის ხომ არ მოვიყვან?!.. არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებ ამას! მან ჩემ გვერდით უნდა იტრიალოს, თუმცა, ჩემს საქმეებში ცხვირის ჩაყოფის უფლებას არ მივცემ. ვერ ვიტან, როდესაც ცოლი მართავს ქმრის სამსახურს და გავლენას ახდენს მის თანამშრომლებსა თუ მეგობრებზე. მაგრამ მას მოუწევს, შეიყვაროს ჩემი მეგობრები. მაო უმეტესობა საკმაოდ ცნობილი ხალხია, ამიტომ შორიდან უკვე ეცოდინება რაღაც-რაღაცები, შემდეგ, როდესაც ახლოს გაიცნობს, უნდა დაუმეგობრდეს და პატივი სცეს მათ, გაიზიაროს მათი წუხილი თუ სიხარული. აი, ასეთი ცოლი მინდა მე.

— **დაგვიხასიათე შენი თავი.**

— ვარ დამთმობი, უბოროტო, არასოდეს მშურს სხვისი წარმატება. ერთადერთი, ვისიც მშურს, ეს არის გამხდარი ადამიანი... არა ვარ ბოღმიანი, გულში წყენას არ ჩავიხვევ. თუ ვინმე მაწყენინებს, მხოლოდ 5 წუთის განმავლობაში მახსოვს, შემდეგ უკვე მავიწყდება. თუ საღამოს მაწყენინეს, დილით აღარ მახსოვს. შესაძლოა, გამახსენდეს, რომ რაღაც მეწყინა, მაგრამ რა — ეს უკვე აღარ... ვარ ძალზე ხელგაშლილი. შესაძლოა, რაღაც პროექტში გადამიხადონ დიდი ფული, მაგრამ ეს თანხა მხოლოდ რამდენიმე დღის განმავლობაში გამყვეს. მერე ისევ უფულოდ ვრჩები. მიყვარს ხარჯვა და რა ვქნა?.. ვაგროვებ კომპაქტდისკების კოლექციას. შინ უამრავი დისკი მაქვს, მათი უმეტესობა უცხოეთიდან ჩამოვიტანე. ამასაც ხომ ფული სჭირდება... ჩვენი, ქართველი მომღერლების დისკიც ბლომად მაქვს. რაღა თქმა უნდა, ახალი ალბომის ჩაწერისთანავე, თითქმის ყველა მათგანი საჩუქრად მიძღვნის ხოლმე დისკს. მაგრამ მე მირჩევნია, ვიყიდო, რათა მცირე წვლილი მაინც შევიტანო მის ფინანსურ კეთილდღეობაში: მე რომ ვიყიდი,

პატარა ნიკა
დედასთან ერთად

იქიდან რაღაც მცირე ნაწილი მასაც შეხვდება; რომ მაჩუქოს, მაშინ ზარალდება. ჩემს კოლექციაში არის ერთი უნიკალური დისკი, რომელზეც ჩაწერილია „კარმენის“ პირველი შესრულება. საზღვარგარეთ ყოფნის დროს, ბევრი მუსიკალური ნაწარმოების ნოტები გადავბეჭდე და საქართველოში ჩამოვიტანე. ისინი დღესაც კონსერვატორიაში დევს, ამაში არავინ დამხმარებია, ჩემი სახსრებით გავაკეთე და გავამდიდრე ქართული მუსიკალური არქივი.

— ასტროლოგიის თუ გჯერა?

— ასტროლოგიური პროგნოზების მიხედვით ვაწყობ მომავალ გეგმებს-მეთქი, — რომ გითხრათ, მოგატყუებთ. ხანდახან კი, სასაცილოდაც არ მყოფნის, რასაც ამა თუ იმ გაზეთში წავიკითხავ. მაგრამ ამას წინათ ძალზე აღშფოთებული დავრჩი: სამსახურში რამდენიმე მეგობართან ერთად ასტროლოგიურ პროგნოზებს ვკითხულობდი, ჩემს ზოდიაქოზე ეწერა — უნდა შეზღუდოს ჭამა, ძილი და დასვენებაო; ამან ჩემი მეგობრების საერთო მხიარულება გამოიწვია, მე კი ძალზე აღვშფოთდი. ჭამა ძალიან მიყვარს და აბა, როგორ შევზღუდავ?.. ამიტომაც არ ვუჯერებ ჰოროსკოპებს.

— ეი. გინდა, გამხდარი იყო, ხომ?

— იცით, როგორ მინდა, რომ გამხდარი ვიყო?.. მაგრამ ნებისყოფა არ მყოფნის იმისთვის, რომ ვიშიმშილო. ამას წინათ დავიწყე დიეტა, პირველი რამდენიმე დღის განმავლობაში მაწონი და ხაჭო უნდა მეჭამა. კმაყოფილი ვიყავი, რადგან ორივე ძალიან მიყვარს. მერე უფრო შემზღუდეს, ამიტომ ავდექი და გემრიელად გეახელით... თუმცა სულ ვამბობ — ორშაბათიდან დიეტას ვიწყებ-მეთქი — ვერა და ვერ მოვახერხე. სასაცილო

ამჟამად არც ის ვიცი, ვინმეს ვუყვარვარ თუ არა. ყველამ მიმაგდო და ვარ ასე...

ამბავს მოგიყვებით. მოგეხსენებათ, ძალზე დატვირთული დღის რეჟიმი მაქვს, ვერაფერს ვასწრებ, ამიტომ გასართობად ვერ ვიცლი. ჩემი მეგობარი, ჟურნალისტი გიორგი თარგამაძეც ასეთ დღეშია და სულ იმას ჩივის, ბავშვებს სათანადო ყურადღებას ვერ ვაქცევო. ერთხელ მოხდა ისე, რომ ორივემ გამოვნახეთ დრო და გიორგის შვილებთან ერთად ზოოპარკში წავედით. სიცილის ოთახს ვეწვიეთ. ხომ იცით, ბევრი სარკე რომ არის და ყველაში სხვადასხვანაირად ჩანხარ?.. ჰოდა, ერთ სარკეში რომ ჩავიხედე, გადავირიე, ისეთი მაღალი და გამხდარი ვიყავი. ისე მომეწონა ჩემი თავი, რომ იმ სარკეს ველარ მომაშორეს — გავშლიდი ხელებს და ჩემი ნაზი მკლავების ყურებით ვტკბებოდი. სამი საათი ვიდექი ამ სარკის წინ. გიორგიმ რის ვაი-ვაგლახით წამომიყვანა. ამის შემდეგ მტკიცედ გადავწყვიტე — დიეტაზე დავჯდები-მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, რომ მომშივდება, ყველაფერი მავიწყდება.

— საერთოდ, ცნობილია, რომ მშიერი მამაკაცი ცუდ ხასიათზე დგება. შენს ხასიათზე თუ აისახება შიმშილი?

— იცით, ამაზე პასუხს ვერ გაგცემთ, რადგან არასოდეს მშია. როგორც კი ეს გრძნობა ოდნავ მაინც გამიჩნდება, მაშინვე ვიკმაყოფილებ მას. ამიტომ ნამდვილად არ ვიცი, ბრაზიანი და ავი ვარ მშიერი თუ არა.

— ბუზღუნა თუ ხარ?

— არა, სულაც არ ვარ ბუზღუნა. რაზე ვიბუზღუნო? ვის ვებუზღუნო? თუ მშია — ვჭამ, რაიმე მინდა — ავისრულებ. რომ ვიბუზღუნო, ვინ რას გამიკეთებს?

— როგორი სიმთვრალე გაქვს?

— არასოდეს ვთვრები. ყოველთვის ძალზე ზომიერად ვსვამ. ერთი-ორი ჭიქა და მორჩა. აბა, ორმა ჭიქამ რა უნდა მიყოს?!.

— შეყვარებული როგორი ხარ?

— იცით, სულ რაღაც ოთხჯერ ვიყავი შეყვარებული და სულ სხვადასხვაგვარი ვიყავი. ალბათ იმიტომ, რომ ასაკიც განსხვავებული მქონდა. პირველად სკოლაში შემიყვარდა — მაშინ ვიყავი გადარეული შეყვარებული. ასე აღარასოდეს შემყვარებია. ნამდვილი შეშლილი ვიყავი. მუსიკას ვწერდი და სულ ის გოგონა მედგა თვალწინ. პირველმა გრძნობამ ლექსების წერა დამაწყებინა და საკუთარ თავს ახლა დავცინი, რადგან ძალზე უნიჭო ლექსები გამომდიოდა. ვეჭვიანობდი ყველაზე, ვისაც კი შეხედავდა. ჩემს მეზობელ მერხთან იჯდა, გვერდით კი — თანაკლასელი ბიჭი ეჯდა. იმდენი ვქენი, რომ ეს ბიჭი ყველაზე ახლო ძმაკაცად გავიხადე, რომ საეჭვიანოდ არ მქონოდა საქმე... ის გოგო გათხოვდა და უცხოეთში ცხოვრობს. ახლა რომ ვხვდები ხოლმე, სულ სიცილით ვიხსენებთ იმ დროს... მეორე სიყვარული კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში მეწვია. ამ დროს უკვე გაწონასწორებული შეყვარებული ვიყავი, ჩემს თავზე უკვე საკმაოდ კარგი წარმოდგენა მქონდა და თავს ჭკუის დაკარგვის უფლებას არ ვაძლევდი. რადგან თავს ვაკონტროლებდი, ე.ი. ძალიან არც მყვარებია... მესამე სიყვარული ავსტრიაში მეწვია. ეს გრძნობა თანაცხოვრებაში გადაიზარდა და აბსოლუტურად სხვანაირი ურთიერთობა ჩამოყალიბდა, ცხოვრებისეული გამოცდილებაც შემმატა და რაღაც საპასუხისმგებლო ნაბიჯადაც იქცა. ევროპაში ასეთი ურთიერთობები უფრო იოლია და არანაირ უხერხულობას არ გიქმნის. ამიტომაც ერთი პერიოდი, სწორედ ასე ვცხოვრობდი საყვარელ ქალთან ერთად. მაგრამ მერე მოვუხშირე საქართველოში სიარულს და ამის გამო ეს ურთიერთობა გაწყდა. მეოთხედ გრძნობა ისევ თბილისში მეწვია და ძალზე უცნაური დამოკიდებულება მქონდა. ეს იყო ადამიანი, რომელსაც არ ვიცნობდი და

არა, სულაც არ ვარ ბუზღუნა. რაზე ვიბუზღუნო? ვის ვებუზღუნო? თუ მშია — ვჭამ, რაიმე მინდა — ავისრულებ

თოჯინასავით ლამაზი გოგონები არ მხიბლავს. ქალს რაღაც შარმი უნდა ჰქონდეს, თავისებური მომხიბვლელობა...

არანაირი შეხება არ მქონდა. ახლა თამამად შემიძლია ვთქვა, რომ შეყვარებული არა ვარ... მქონია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ვუყვარდი ადამიანს და ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. პირველად, როდესაც ასეთი რამ შევნიშნე, გამიკვირდა. იმ გოგონას ჩემთვის სიყვარული არ გაუმჟღავნებია. შემდეგ მეგობრებმა და ოჯახმა ჩემს გარემოცვას ჩამოაშორეს. ამჟამად არც ის ვიცი, ვინმეს ვუყვარვარ თუ არა. ყველამ მიმაგდო და ვარ ასე...

— ჰოდა, ჩვენ დაგეხმარებით და დაგაქორწინებთ...

— არ გირჩევთ, რადგან მგონია, რომ აუტანელი ქმარი ვიქნები, ჩემი მოუცლელობის გამო.

— ქალმა რომ მზითვი უნდა მოიტანოს, ამას მტკიცება არ სჭირდება. შენ რას დაახვედრებ ცოლს?

— დიდ სამეგობრო წრეს, საინტერესო ცხოვრებას, მშენებარე ბინას ყიფშიძის ქუჩაზე, ბინას, სადაც ახლა ვცხოვრობ და დავხვდები მე. ეს ცოტაა?.. ასევე ვაშენებ თეატრს და მოუწევს ჩემთან ერთად იყოს „პრარაბიც“, შეისწავლოს მშენებლობის საკითხები, აგურის, ბლოკის, ცემენტისა და გადახურვის წვრილმანი დეტალები.

— როგორი გარეგნობის გოგონები მოგწონს?

— თოჯინასავით ლამაზი გოგონები არ მხიბლავს. ქალს რაღაც შარმი უნდა ჰქონდეს, თავისებური მომხიბვლელობა. ჩამოყალიბებული და კლასიკური სილამაზე შორიდან საცქერლად არის კარგი. მთავარია, ცოლისგან კარგი დედა დადგეს, რადგან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ბავშვების აღზრდის საკითხს. დედაჩემი მკაცრად მზრდიდა. არასოდეს მიშვებდა ჩემს ნებაზე. ყოველთვის მაიძულებდა, გამეკეთებინა ის, რაც აუცილებელი იყო და არა ის, რაც მე მინდოდა. თავდაპირველად პროტესტის გრძნობა მიჩნდებოდა, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ სწორად იქცეოდა.

— ტყუილი თუ გეხერხება?

— აუჰ, მაგრად!.. ბრწყინვალედ ვიტყუები, მაგრამ მაინც ყველა ხვდება, რომ ვატყუებ...

— მაშ, რატომღა ცდილობ, მოიტყუო?

— გამოუვალი სიტუაციიდან გამოძრომას ვცდილობ ხოლმე. ამ ბოლო დროს, ჩემზე იმდენად გავრცელდა ხმა — ბევრს იტყუებაო, — რომ უკვე ჩუმად მისმენენ ხოლმე და ჩემი ფანტაზიით ტკბებიან, თან ჩუმ-ჩუმად ეცინებათ... ვიტყუები მხოლოდ მაშინ, როცა რამეს ვერ ვასწრებ. ვიგონებ რაღაც უაზრობას და თავს ვიმართლებ ხოლმე. ყოფილა შემთხვევა, რომ ადამიანს შევთანხმებივარ შეხვედრაზე, მაგრამ ჩემი მოუცლელობის გამო ვერ მომიხერხებია დანაპირების შესრულება და ვიწყებდი ტყუილების შეთხზვას... ჰოდა, როცა სიმართლეს ვამბობ, უკვე აღარ მიჯერებენ და მიწევს მტკიცება, რომ სიმართლეს ვამბობ და არ ვიტყუები. მაგალითად, დედაჩემს დღემდე ჰგონია, რომ „ღრმა“ დიეტაზე ვარ. ახლა, თქვენი საშუალებით გაიგებს, რომ ვატყუებ...

— ძილი გიყვარს?

— უჰ, ძალიან. ჯერ ერთი, სულ გამოუძინებელი ვარ, რადგან გვიან ვიძინებ ხოლმე. ამ ცოტა ხნის წინ კი, ჭარბი წონის გამო, სუნთქვა გამიჭირდა და მთელი ღამე ვერ ვიძინებდი ხოლმე. ვსვამდი სპეციალურ წამლებს და სულ მეძინებოდა. ამის გამო ხშირად კურიოზულ სიტუაციაშიც აღმოვჩენილვარ. მაგალითად, ყოფილ პრეზიდენტთან შეხვედრაზე ჩამძინებია და ბევრჯერ ისე გულიანად გამომძინია — შენი მოწონებული!.. ერთხელ, ზურაბ ჟვანიასთან მიღებაზე გახლდით მისული. მისაღებში დავჯექი და ველოდი, როდის მოვიდოდა ჩემი რიგი. მოახსენეს — ახლა ნიკა მემანიშვილი შემოვაო. მერე უთხრეს: — ბატონო ზურაბ, ნიკას ისე ღრმად სძინავს, ვერ ვაღვიძებთო... ბატონი ზურაბი კაბინეტიდან გამოვიდა, რომ ენახა, როგორ მეძინა და ვიდრე გემრიელად არ შემაჯანჯღარა, ვერ გავიღვიძე... ასე, ძილში ვატარებდი ხოლმე თათბირსაც. თუ ოპერაში სპექტაკლზე მივდიოდი, თან მიმყავდა „ბულავკიანი“ ხალხი, რომ ეჩხვლიტათ და ასე გაველვიძებინე. თანაც, უხერხულია, ოპერაში რომ ჩაგეძინოს და გვერდით მჯდომ უცნობ ქალბატონს უნებურად ჩაეხუტო...

— ქორწილის ღამესაც რომ ჩაგეძინოს, ხომ მოგეჭრა თავი?!!

— არა, ახლა გამოძინებული ვარ და აბსოლუტურ მზადყოფნაში გახლავართ ცოლის მოსაყვანად. პირობას გაძლევთ — არ ჩამეძინება და არ შეგარცხვენთ...

ვფიქრობ, უნდა დავუჯეროთ ჩვენს „სასიძოს“... მასთან დაკონტაქტების მსურველებს შეუძლიათ დაგვირეკონ ან დაგვიმესიჯონ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61.

■

თავი დავუფარეთ ყურის ანთებას!

ПОЖСИ

(ჯორჯიეთის ეროვნული ბანკი)

ПОЖСИ-ის ... საშუალებაა, რომელსაც ... ეფექტი ... ბაქტერიული ... ინფექციური ... ეფექტი ... ბაქტერიული ... ინფექციური ... ПОЖСИ ... ПОЖСИ ... ПОЖСИ

გამტაცებლები მენარმის გამოსასყიდად 45 ათას დოლარს ითხოვდნენ

შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, 4 ივლისს ღამით, მეწარმე ნუკრი კოპაძის გატაცებაში ეჭვმიტანილი ორი პირი – 53 წლის გარეგინ სულთანიანი და 52 წლის ავთანდილ ღვინიაშვილი დააკავეს.

სამინისტროს ინფორმაციით, კოპაძე ქარელის რაიონიდან გაიტაცეს. გატაცების თარიღი ჯერჯერობით არ სახელდება. ბოროტმოქმედებს გატაცებული თბილისთან ახლომდებარე სახლში ჰყავდათ დაბმული ერთი დღის განმავლობაში. მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, მის ახლობლებს კი, გამოსასყიდის სახით, 45 ათასი დოლარი მოსთხოვეს.

როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, ღვინიაშვილი და სულთანიანი კოპაძის მეუღლის გატაცებასაც გეგმავდნენ, მაგრამ ამის შესახებ ცოლის გაფრთხილება გატაცებულმა დროულად მოახერხა. მან მალე, ბინიდან გაქცევაც შეძლო და მაშინვე შს სამინისტროში გამოცხადდა.

სამართალდამცავები აღნიშნულ დანაშაულში კიდევ რამდენიმე პირის მონაწილეობას ვარაუდობენ. მათი ვინაობა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით არ სახელდება. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი დაკავებული – სულთანიანი წარსულში ექვსჯერ იყო ნასამართლევი. ■

კლდიაშვილი ავტომანქანის მფლობელებს უსაფრთხოებას ჰპირდება

თბილისის შს პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის ირაკლი კლდიაშვილის განცხადებით, ავტომანქანების გამტაცებელთა დაკავების მიზნით, მასშტაბური ღონისძიებები იგეგმება. მისი თქმით, პოლიციის მიზანია, ავტომანქანის მფლობელს საკუთარი მანქანის ხელმეორედ გამოსყიდვა აღარ დასჭირდეს.

ამ დღეებში, სპეცოპერაციის შედეგად, პოლიციამ ავტომანქანების გამტაცებელთა ჯგუფის 4 წევრი და მძარცველთა ჯგუფის 12 წევრი დაიკავა. დაკავებულთა შორის, მრავალჯერ ნასამართლევი პირებიც არიან: ჯავახიშვილი – მეტსახელად ყარამანა, ხატიაშვილი – მეტსახელად პუჭურა და შამფრიანი – მეტსახელად როკი. ისინი ამჟამად წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფებიან. ■

დაკავებულები პოლიციას იარაღის ჩადებაში ადანაშაულებენ

7 ივლისს, შს კახეთის მთავრმა სამმართველომ კახეთის ორ სოფელში – ველისციხესა და შაშიანში სპეცოპერაცია ჩაატარა. აღნიშნულ სპეცოპერაციაში 100-მდე პოლიციელი და სპეცდანიშნულების რაზმი მონაწილეობდნენ. სამართლადამცავებმა საეჭვო ბინები გაჩხრიკეს და შედეგად „აკმ“-ის ავტომატი (მჭიდებით), საბრძოლო მასალა, სამი სხვადასხვა ტიპის პისტოლეტი, გადაჭრილი სანადირო თოფი, ხელყუმბარა და ნარკოტიკული ნივთიერება – მარიხუანა ამოიღეს. დაიკავეს ეჭვმიტანილი პირებიც. შვიდი დაკავებულიდან უმრავლესობა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენას ან შენახვას უარყოფს. ისინი აცხადებენ, რომ პოლიციამ იარაღი მათ განგებ ჩაუდო. მიუხედავად ამისა, შვიდივე დაკავებული, იზოლატორში გადაიყვანეს. გამოძიებას საგამოძიებო დეპარტამენტის გურჯაანის განყოფილება აწარმოებს. ■

თბილისში მოქმედი რამდენიმე ქურდი და რეკეტიორი საპყრობილეში მოათავსეს

10 ივლისს, თბილისში ბახტრიონის ქუჩაზე სამართალდამცავებმა, როგორც თავად აცხადებენ, დედაქალაქში მოქმედი კრიმინალური დაჯგუფების ორი წევრი დააკავეს – თენგიზ თენგიზის ძე ხუბულური, მეტსახელად კრისა და თეიმურაზ სერგოს ძე ელკანიშვილი, მეტსახელად კირპიჩა. ხუბულური და ელკანიშვილი საბრძოლო მასალის უკანონო ტარებისთვის აიყვანეს. შს სამინისტროს ცნობით, მათგან ჩხრეკისას „რგდ-5“-ის ტიპის ხელყუმბარა (დეტონატორით) ამოიღეს.

კრიმინალები – ე.წ. რეკეტიორები, სამართალდამცავთა ინფორმაციით, 13 ივლისს, გლდანის მასივის ერთ-ერთ მიკრორაიონშიც დააკავეს. ოფიციალური ცნობის თანახმად, დაკავებულები ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ. ჯგუფის ერთ-ერთი წევრისგან, წარსულში ნასამართლევი გიორგი ზურაბის ძე ვალიევისგან (მეტსახელად ჯიბორა) სამართალდამცავებმა 8,7 გრამი მარიხუანა ამოიღეს. შს სამინისტრო ასევე იუწყება, რომ აღნიშნული ჯგუფი თბილისში ბინების გაქურდვითა და სამარშრუტო ტაქსების დარეკეტებით იყო დაკავებული. მის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას საგამოძიებო დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამსახური აწარმოებს. ■

„კანარგოში“ თაღლითი თანამშრომლები აღმოჩნდნენ

10 ივლისს ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე ავტოგასამართი სადგურის „კანარგოს“ ოპერატორებმა პოლიციას მიმართეს და განაცხადეს, რომ დილის 7 საათისთვის, სამმა უცნობმა პირმა მათ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ კი ცეცხლსასროლი იარაღით დაემუქრა და ნავაჭრი თანხა – 8.100 ლარი გაიტაცა. მოგვიანებით, გამოძიების შედეგად დაადგინეს, რომ ყველაფერი სხვაგვარად მომხდარა. სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოს, ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს I განყოფილების ინფორმაციით, დადგინდა, რომ „კანარგოს“ ოპერატორები ცრუობდნენ, სინამდვილეში თავად მიითვისეს ზემოთ აღნიშნული თანხა, დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით კი, ყაჩაღური თავდასხმის ინსცენირება მოაწყვეს. სამართალდამცავთა თქმით, მათი ორი თანამზრახველის ვინაობაც დადგინდა: ესენი არიან შალამბერიძე და ცერცვაძე. შალამბერიძის ბინიდან უცხოური წარმოების უნომრო რევოლვერი (16 ვაზნით) ამოიღეს. ჯერჯერობით, ისინი დაკავებული არ არიან. რაც შეეხება იმ ოპერატორებს, რომლებმაც ყაჩაღობის შესახებ პოლიციას აუწყეს, სამართალდამცავთა თქმით, მათი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება. ■

მამის მკვლელი მოსკოვში აიყვანეს

7 ივლისს, მოსკოვში რუსმა სამართალდამცავებმა ლანჩხუთის შს რაიგანყოფილების მიერ მკვლელობისთვის ძებნილი, 1965 წელს დაბადებული ზაზა ბეჟანის ძე სიხარულიძე დააკავეს. სიხარულიძის შესახებ რუსეთის ფედერაციას ინფორმაცია ძებნის სამმართველომ მიაწოდა. შს სამინისტროს ინფორმაციით, ზაზა სიხარულიძემ 1997 წლის 29 ივლისს სანადირო თოფიდან გასროლილი ტყვიით საკუთარი მამა – ბეჟან სიხარულიძე გამოასალმა სიცოცხლეს. დაკავებული ჯერჯერობით საქართველოში არ გადმოუყვანიათ. როგორც ამბობენ, მასალები მისი ექსტრადიციისთვის ამჟამად მზადდება. ■

მეორე კურსის სტუდენტი ბავშვობის მეგობრის მიერ მოქნეულმა დანამ იმსხვერპლა

ხუმრობით ჩადენილი, შემთხვევითი მკვლელობა თუ კარგად მოფიქრებული დანაშაული?

სამი წლის წინ, ხონში, 21 წლის ირაკლი ჩარგეიშვილის მკვლელობის საქმის განხილვა გასულ კვირას, უზენაეს სასამართლოში ხმაურიანად დასრულდა. განსასჯელს, რომლისთვისაც მოკლულის დედა უმკაცრეს სასჯელს — სამუდამო პატიმრობას მოითხოვდა, კოლეგიამ 11 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. სასამართლომ პროკურატურის ბრალდება — ხულიგნური ქვეინაგრძნობით ჩადენილი განზრახ მკვლელობის მუხლი არ დაადასტურა და ჩათვალა, რომ ჩარგეიშვილს სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება მიაყენეს.

მეგი ცანავა

განაჩენით ორივე მხარე უკმაყოფილო დარჩა. მსჯავრდებული — 25 წლის პავლე ასლანიკაშვილი პროცესზე შავებში ჩაცმული და წვერმოშვებული ცხადდებოდა. როგორც თავად ხსნიდა, იგი ბავშვობის მეგობრის გარდაცვალებას გლოვობდა. იმ მეგობრის, რომლის სიცოცხლეც სწორედ მის მიერ მოქნეულმა დანამ შეიწირა. სხდომებზე ასლანიკაშვილი ირწმუნებოდა, რომ მეგობრის მკვლელობა მას განზრახ არ ჩაუდენია. მისი თქმით, ყველაფერი სრულიად შემთხვევით მოხდა, მომხდარმა კი ის ძლიერ დათრგუნა. „*დანა მისი სხეულიდან ამოვაძვრე და შორს მოვისროლე. ჭრილობიდან სისხლმა იჩქეფა. თვალებზე ორივე ხელი ავიფარე და ჩავიცუცქე. რამდენიმე წუთი ასე გაუნძრევლად ვიყავი... საავადმყოფოში მისი გარდაცვალების შესახებ რომ შევიტყვე, გარეთ გავედი და სამი საათის განმავლობაში უაზროდ დავეხეტებოდი ქუჩებში, მერე შინ წავედი და ოჯახის წევრებს ყველაფერი ვუთხარი*“, — ასე აღწერდა თავის განცდებს განსასჯელი ჩვენების მიცემისას.

ყოველივე ამას დაზარალებული — მოკლულის დედა აგრესიულად შეხვდა. იგი აცხადებს, რომ ასლანიკაშვილის არც ერთი სიტყვა სიმართლეს არ შეესაბამება და რომ ყველაფერი წინასწარ დადგმული, ბინძური სცენარით განვითარდა. მისი თქმით, ამ სცენარის განხორციელებაში სამართალდამცველებს ლომის წილი მიუძღვით.

ოფიციალური ცნობების თანახმად, პავლე ასლანიკაშვილი წარსულში ნასამართლევი ან რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედებებში შემჩნეული არ ყოფილა. იგი უცოლშვილოა, საშუალო განათლების მქონე, დაპატიმრებამდე არსად მუშაობდა. 2001 წლის 16 ნოემბერს, საღამოს, დაახლოებით 7 საათზე ასლანიკაშვილი ხონის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ სათამაშო დარბაზში, როგორც ყოველთვის, გასართობად მივიდა. საბრალდებო დასკვნის თანახმად, იქ ის მეგობარს — ირაკლი ჩარგეიშვილს შეხვდა. ასლანიკაშვილმა მას ბილიარდის თამაში შესთავა-

რუსთავში ოთხი კრიმინალური ავტორიტეტი აიყვანეს

14 ივლისს, დილით, რუსთავის შს სამმართველოსა და ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული სპეცოპერაციისას, ოთხი კრიმინალური ავტორიტეტი, ოთხივე რუსთავის მკვიდრი, აიყვანეს: 1964 წელს დაბადებული კობა შუშანაშვილი, 1977 წელს დაბადებული ბახვა კუჭაშვილი, 1977 წელს დაბადებული ალექსი მიგრიაული და 1980 წელს დაბადებული ხვიჩა კაკალაშვილი. რუსთავის შს სამმართველოს უფროსის დათო ცირეკიძის ინფორმაციით, ზემოთ ხსენებული პირები ერთ დაჯგუფებას არ წარმოადგენდნენ, ისინი ცალ-ცალკე სჩადიოდნენ დანაშაულებრივ ქმედებებს. ეჭვმიტანილები არიან ყაჩაღობებში, ძარცვებსა და ასევე სხვადასხვა ორგანიზაციისათვის ფულის გამოძალვაში. კობა შუშანაშვილს, რომლის ორი ძმა კანონიერი ქურდია (ისინი ამჟამად საქართველოში არ იმყოფებიან), ბინაში ჩხრეკისას „აკს“-ის ავტომატი, უცხოური წარმოების პისტოლეტი და ანტიკვარული — 1862 წელს გამოშვებული თოფი აღმოაჩნდა. ხვიჩა კაკალაშვილისგან სამართალდამცავებმა გადაჭრილი თოფი, ე.წ. „აბრეზი“, ავტომატის ვაზნები, ნიღაბი და სამი ხელყუმბარა ამოიღეს. იარაღი და საბრძოლო მასალა მას ჩანთაში ჰქონდა მოთავსებული. რაც შეეხება ალექსი მიგრიაულს, მას ნარკოტიკული ნივთიერება, სავარაუდოდ — ჰეროინი უპოვეს. ბახვა კუჭაშვილს კი ხელყუმბარა, ნიღაბი და ნარკოტიკული ნივთიერება, სავარაუდოდ — მარიხუანა აღმოაჩნდა.

დათო ცირეკიძის თქმით, ხსენებული პირები, კუჭაშვილის გარდა, წარსულში ნასამართლევი იყვნენ. მათგან მიგრიაული სამჯერაა ნასამართლევი, ორჯერ — ძარცვისათვის, ერთხელ — ქურდობისთვის.

■

ციხე ქმარს ციხეში ნარკოტიკებით ამარაგებდა

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ინფორმაციით, ამ დღეებში თბილისის №1 საპყრობილეში პატიმრის სანახავად მისული 38 წლის ქალბატონი ბ. უ. გაჩხრიკეს და მაშინვე დააკავეს. ქალბატონს, რომელსაც საპყრობილის საამანათო განყოფილებაში ამოწმებდნენ, ნარკოტიკები აღმოაჩნდა. 1,9 გრამი ჰეროინი მას ამანათში მოთავსებული ფეხსაცმლის ლანჩის ქვეშ ჰქონდა ჩამალული. როგორც გაირკვა, ბ. უ. პატიმარი ქმრის სანახავად იყო მისული ციხეში, ჰეროინის გადაცემასაც მისთვის აპირებდა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

■

მრავალჯერ ნასამართლევი ამჯერად ნარკოტიკებისთვის დააკავეს

წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი, თბილისელი კონსტანტინე ზურაბის ძე ფარესაშვილი სამართალდამცავებმა ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შენახვისა და რეალიზაციისთვის დააკავეს. პირადი ჩხრეკისას მისგან 0,027 გრამი ჰეროინი ამოიღეს, საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას კი — სარეალიზაციოდ გამზადებული და დაფასოებული 0,37 გრამი სუბოტექსი, ასევე 0,805 გრამი ოპიუმი, 0,197 გრამი ჰეროინი, 2 ცალი შპრიცი ჰეროინის ხსნარით, „ფ-1“ ტიპის ხელყუმბარა და ჯავშანჟილეტი. მომხდართან დაკავშირებით გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამსახური.

■

ზა, მაგრამ უარი მიიღო. ამ უმნიშვნელო საბაბით განაწყენებულმა, როგორც პროკურატურა აღნიშნავს, მეგობრის მოკვლა განიზრახა, ჯიბიდან დანა ამოიღო და სიცოცხლისთვის სახიფათო არეში ჩაარტყა – კერძოდ, გადაუჭრა მუხლქვეშა არტერია. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, დაჭრილი დროულად მიიყვანეს საავადმყოფოში, გადაუდებელი სამედიცინო დახმარებაც ჩაუტარდა, მაგრამ ინტენსიური სისხლდენისა და მწვავე სისხლნაკლებობის შედეგად იგი იქვე, საოპერაციოში გარდაიცვალა.

პავლე ასლანიკაშვილი, საქმის მასალების თანახმად, 17 ნოემბერს, დილის 5 საათზე, ბრალის აღიარებით გამოცხადდა პოლიციაში. სასამართლოზე მან მომხდარი ფაქტი ასე გადმოსცა:

„დარბაზში – „გასართობ თამაშებში“ ხშირად დავდიოდი. იმ საღამოსაც მივედი. ცოტა ხანს კომპიუტერზე თამაშს ვუყურე, შემდეგ კი ბილიარდის თავისუფალი მაგიდის კიდეზე ჩამომჯდარი, ბავშვობის მეგობარი – ირაკლი ჩარგეიშვილი შევნიშნე და მასთან მივედი. ერთმანეთი მოვიკითხეთ. ირაკლიმ სიგარეტი მთხოვა. სიგარეტთან ერთად ჯიბიდან სანადირო დანაც ამოვიღე და სიგარეტის მოკიდების შემდეგ, იმ დანით თამაში დავიწყე – მარცხენა ხელის გაშლილ თითებს შორის ვერტიკალურად ვატარებდი. ამ მომენტში ირაკლისგან ნახევარ მეტრში ვიდექი, ხელები მისი მუხლებიდან დაახლოებით 10 სანტიმეტრის სიმაღლეზე მქონდა. უცებ დამიძახეს, მეც სწრაფად მოვტრიალდი და იმავე წამს ირაკლიმ დაიყვირა: ეს რა მიყავი, ბიჭო! მისკენ რომ მივბრუნდი, დავინახე, რომ ჩემი დანა მის მარჯვენა ბარძაყში იყო ჩარჭობილი. მყისვე ამოვაძვრე დანა და ჭრილობიდან სისხლმა ძლიერად იფეთქა... როცა გონს მოვედი, ჩარგეიშვილი და დარბაზში მყოფი სხვა პირები იქ აღარ იყვნენ. გარეთ გასულს მითხრეს, ირაკლი საავადმყოფოში ფეხით წაიყვანესო. იქ რომ მივედი, უკვე საოპერაციოში ჰყავდათ შეყვანილი. მედპერსონალს ვთხოვე, ყველაფერი ელონა, რათა მის სიცოცხლეს საფრთხე არ შეჰქმნოდა. ექიმები მაშშვიდებდნენ, საშიში არაფერიაო. მედიკამენტების ნუსხა მომცეს და აფთიაქიდან საჭირო წამლები ნისიად წამოვიღე. როცა საავადმყოფოში დავბრუნდი, ირაკლი უკვე გარდაცვლილი დამხვდა... მისი მოკვლის განზრახვა არასდროს მქონია. ბავშვობის მეგობრები ვიყავით და ერთმანეთთან ბოლო დღემდე, ახლო და კარგი ურთიერთობა გვქონდა. მოკვლა რომ მნდომოდა, მაშინ დანას მუცელში, თავში ან გულმკერდის არეში ჩავარტყამდი, ახლოს არავინ იდგა და ხელსაც ვერ შემიშლიდნენ განზრახვის განხორციელებაში. თანაც, ასეთ განზრახვას სახალხოდ, ყველას თვალწინ კი არა, მალულად მოვიყვანდი სისრულეში. ირაკლის ბარძაყის არეში ჭრილობა სრულიად შემთხვევით მივაყენე. იმ დროს არც ვიცოდი, იმ ადგილას მუხლქვეშა არტერია თუ იყო...“

სასამართლო სხდომაზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი დაიკითხა, რომელმაც აღნიშნა, რომ აწ გარდაცვლილისთვის ასეთი ხასიათის ჭრილობის მიყენება იმ ვითარებაში, როგორც ამას ასლანიკაშვილი აღწერს, შეუძლებელია. გაირკვა ისიც, რომ ასლანიკაშვილს წინასწარი გამოძიებისთვის განსხვავებული ჩვენება მიუცია. ამის გამო სასამართლო კოლეგიამ არ გაიზიარა განსასჯელის ჩვენება და ერთ-ერთ საფუძვლად, წინასწარი გამოძიებისას, ეჭვმიტანილის სახით დაკითხვის ოქმი დაასახელა. ეს ჩვენება ასლანიკაშვილმა პოლიციაში ბრალის აღიარებით გამოცხადებიდან 5 საათში მისცა სამართალდამცავებს. *„ირაკლის ბილიარდის თამაში შევთავაზე. მან უარი მითხრა. მაშინ ბარძაყში დანა ხუმრობით, ჩხვლეტის მიზნით ჩავარტყი. დარტყმა ვერ მოვზომე და დანის პირი მას ბარძაყში ღრმად შეესო“*, – აღნიშნავს ასლანიკაშვილი. განზრახ მკვლელობა მან ამ დაკითხვის დროსაც უარყო. სასამართლომ მიიჩნია, რომ ასლანიკაშვილმა სწორედ მაშინ თქვა სიმართლე და არა სასამართლო პროცესზე. *„კოლეგიის შინაგანი რწმენით, პროკურატურის ბრალდება – ბილიარდის თამაშზე უარის თქმის გამო ჩადენილი განზრახ მკვლელობის თაობაზე, დამაჯერებლობას მოკლებულია. ამის მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება... დადგინდა, რომ ასლანიკაშვილმა ხუმრობით, დანის ჩხვლეტის მიზნით მიაყენა აწ გარდაცვლილს სხეულის მძიმე დაზიანება“*, – აღნიშნულია განაჩენში.

რაც შეეხება მოწმეებს, მათ პროცესზე დაადასტურეს, რომ მომხდარ ფაქტს ჩარგეიშვილსა და ასლანიკაშვილს შორის ჩხუბი ან კამათი არ უძღოდა წინ. *„დარბაზში 20-30 კაცი ვიყავით. შელაპარაკებას ან ჩხუბს ადგილი არ ჰქონია. ასლანიკაშვილი და ჩარგეიშვილი ერთმანეთთან მშვიდად საუბრობდნენ. ირაკლისთვის ჭრილობის მიყენება ყველასთვის მოულოდნელი იყო...“*, – აღნიშნა ერთ-ერთმა თვითმხილველმა. მოწმეებმა ისიც დაადასტურეს, რომ ასლანიკაშვილი საავადმყოფოში მივიდა და ცდილობდა მეგობრის შველას.

მომხდარ მკვლელობას სულ სხვაგვარად ხსნის დაზარალებული – მედუღი ჩარგეიშვილი. მისი თქმით, ასლანიკაშვილმა მას შვილი განზრახ მოუკლა და მის განზრახვას სერიოზული მოტივიც ჰქონდა, თუმცა, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი საბრალდებო დასკვნაში.

მედული ჩარგეიშვილი:

„ირაკლი ჩემი ერთადერთი შვილი იყო. 33 წლის ასაკში გამიჩნდა. ძალზე სანდომიანი, ჭკვიანი და თავშეკავებული ახალგაზრდა გახლდათ. თანაც მორწმუნე იყო. თბილისში, კომერციულ უნივერსიტეტში – „ლეგა და კომპანია“-ში სამედიცინო, სამკურნალო ფაკულტეტის მეორე კურსზე სწავლობდა, ამიტომაც, მასთან ერთად, ძირითადად, თბილისში ვცხოვრობდი. იშვიათად ჩადიოდა ხონში. ჩვენი სახლი კი, რომელიც უპატრონოდ, მეზობლების ანაბარა გვქონდა მიტოვებული, ირაკლის ბავშვობის დროინდელმა, შემდეგ გზას ამცდარმა მეგობრებმა, მათ შორის ასლანიკაშვილმა, თავშესაფრად გაიხადეს. ქურდობდნენ, ნაქურდალს კი იქ ინახავდნენ. ერთ დღესაც პოლიციელები კვალს დაადგნენ და ნაქურდალი ჩვენს სახლში რომ აღმოაჩინეს, ირაკლი დააკავეს. ყველამ კარგად იცოდა რაიონში, ჩემი შვილი დანაშაულის ჩამდენი რომ არ იყო, ამიტომაც პოლიცია მას იმ პირე-

ბის დასახელებას სთხოვდა, რომლებმაც ნაძარცვი საქონელი სახლში გადამალეს. ირაკლი მათ არ ასახელებდა. ასლანიკაშვილმა და მისმა თანამზრახველებმა შესანიშნავად იცოდნენ ირაკლის ხასიათი, ის, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ „ჩაუშვებდა“ მათ და იძულებული გახდებოდა, დანაშაული საკუთარ თავზე აეღო. ჩემი შვილი ხელწერილით გამოუშვეს. სასამართლო პროცესი 19 ნოემბრისთვის გახლდათ დანიშნული. ირაკლი ძალიან განიცდიდა ამ ამბავს. უჭირდა, სასამართლოს წინაშე ამ სამარცხვინო ფაქტზე რომ უნდა წარმდგარიყო. რამდენიმე დღით ადრე – 15 ნოემბერს თბილისიდან ხონში ჩავიდა, ასლანიკაშვილსა და მის ძმაკაცებს ეძებდა, რათა მათთვის ყოველივე მოეხსენებინა და პასუხიც მოეთხოვა. საბილიარდოში შესულა, იქ არც ერთი არ დახვედრია, მაგრამ ისევ მიბრუნებულა. შეხვედრია თუ არა პავლე ასლანიკაშვილს, მაშინვე სასამართლოს უწყება აუფრიალებია მისთვის ცხვირწინ. ასლანიკაშვილმა და მისმა მეგობრებმა დრო არ დაკარგეს და დანაშაულის დაფარვის მიზნით, იმის შიშით, რომ ჩემი შვილი მათ ამ შერცხვენას არ შეარჩენდა, მისი მოკვლა განიზრახეს. ჯერ ხელჩართული ჩხუბი გაუმართავს, მერე ასლანიკაშვილს დანა ამოუღია ჯიბიდან; ირაკლი ათლეტური აღნაგობის იყო, განსაკუთრებით ძლიერი ფეხები ჰქონდა და ამიტომაც, სიყმაწვილიდან მოყოლებული, ყველაფრის ფეხით მოგერიება სჩვეოდა. როგორც ჩანს, მაშინაც ფეხი მოიქნია ასლანიკაშვილის მოსაგერიებლად და ამ უკანასკნელმა სწორედ იმ მომენტში მოუქნია ძლიერად დანა. დანა, შესაბამისად, ბარძაყის არეში მოხვდა და არტერია გადაიჭრა. თუმცა, საშინელი შედეგის თავიდან აცილება კიდევ შეიძლებოდა. დაკითხვისას ექიმებმაც აღნიშნეს და ეს ყველამ კარგად იცის, რომ ჭრილობაზე ლახტი ან თუნდაც ცხვირსახოცი რომ გადაეჭირათ და მაშინვე საავადმყოფოში წაეყვანათ, ჩემი შვილი სისხლისგან არ დაიცლებოდა. ამის ნაცვლად, დანაშაულის დაფარვაზე დაიწყეს ზრუნვა. საბილიარდოს დამლაგებელმა კარი საჩქაროდ გადაკეტა იმ მიზნით, რომ მომხდარი გარეშე პირებს არ შეენიშნათ. როცა ჩემი დაჭრილი შვილი კარს მივარდა, რათა გაქცეულიყო და თავისთვის ეშველა, ჩარაზულ კარს შეეჯახა. ასეთ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი იცლებოდა სისხლისგან. დამლაგებელმა იატაკი მორეცხა, დანაც გააქრო, რის შემდეგაც ჩემი მომაკვდავი შვილი ასლანიკაშვილმა და დანაშაულში მონაწილე სხვა პირებმა საავადმყოფომდე თრევა-თრევით მიიყვანეს. უკვე თითქმის მკვდარი, საავადმყოფოს კიბემდე ასე მიათრიეს და შემდეგ თავდაღმა, ძირს დაგდებული, იქვე მიატოვეს. ამის შესახებ მოგვიანებით ექიმმა და სანიტარმა თავად მითხრეს.

დამნაშავეები იქაურობას გაეცალნენ. მოხდა ჯგუფური მკვლელობა, მასში ასლანიკაშვილთან ერთად მონაწილე დანარჩენი პირები კი დაუსჯელები დადიან. ასლანიკაშვილის ერთ-ერთმა მეგობარმა, რომელიც პროფესიით ადვოკატი გახლავთ და ხონში ადვოკატურას ხელმძღვანელობს, ძმაკაცის ტყვის გადასარჩენად ყველაფერი იღონა და ისიც მოახერხა, რომ პოლიციისთვის დროულად არ შეეტყობინებინათ. ხონი პატარაა, საავადმყოფო და პოლიციის განყოფილება კი, 50 მეტრით თუ იქნება ერთმანეთისგან დაშორებული. მორიგე ექიმმა თუ რაიმე ინტერესით არ შეატყობინა, პოლიციელები ამის გარეშეც, თავისთავად შეიტყობდნენ მომხდარის შესახებ, მაგრამ ასლანიკაშვილის მეგობრებმა მოახერხეს მათი დაინტერესება და შეჩერება. შემთხვევის ადგილზე პოლიცია დროულად არ გამოცხადდა. მხოლოდ მაშინ დაათვალიერეს იქაურობა, როცა ჯგუფური დანაშაულის, ჩხუბისა და საშინელი მკვლელობის კვალი უკვე წაშლილი იყო. ერთადერთ შვილზე გულმოკლულ დედას, მაშინ არაფრის თავი არ მქონდა, მაგრამ მოგვიანებით, როცა ყველაფერი გავაანალიზე, საშინლად გავმწარდი. მოწმეებს, რომელთაგან საბილიარდოში, შემდეგ კი საავადმყოფოში მომხდარი ფაქტების შესახებ შევიტყვე, გამოძიების დროს ჩვენებები შეაცვლევინეს. მათზე ასლანიკაშვილისა და მისი ახლობლების მხრიდან სასამართლო პროცესებზეც გრძელდებოდა ზეწოლა. საქმე იქამდე მივიდა, რომ არავინ ამბობს სიმართლეს. თვითმხილველები იმდენად დაშინდნენ, რომ ერთმანეთის მიყოლებით მისცეს განსასჯელის სასარგებლო ჩვენებები. რეალურად არსებობს მოწმე, რომელმაც ჩემთან საუბრისას თქვა, რომ სწორედ 16 ნოემბერს, შემთხვევამდე რამდენიმე საათით ადრე, ასლანიკაშვილი და მისი მეგობრები (მათი გვარებიც დაასახელა) მის კაფეში სვამდნენ, ძლიერად გამოთვრნენ და შემდეგ, საბილიარდოში წავიდნენო. მაშინვე მოვითხოვე ამ მოწმის ოფიციალურად დაკითხვა, დაჰკითხეს კიდეც, საქმის მასალებში კი ამის თაობაზე არაფერი წერია.

პროკურატურამ დანაშაული განზრახ მკვლელობის მუხლით დააკვალიფიცირა, თუმცა მკვლელობის რეალურ მოტივზე არ მიუთითა, იმ მიზნით, რომ საქმე სასამართლოში ადვილად წაეყვანათ ასლანიკაშვილისთვის სასარგებლო გზით. ამაში სასამართლოს გაყალბებული ჩვენებები და განადგურებული მტკიცებულებები კარგად დაეხმარებოდა. ასეც მოხდა. განსასჯელმა და მისმა ადვოკატმა გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის დადასტურება მოითხოვეს. კოლეგიამ, რომელსაც მოსამართლე თამაზ ილიაშვილი თავმჯდომარეობდა, მთლად ასე არა, მაგრამ განზრახ მკვლელობის მუხლი მაინც არ დაადასტურა.“

მოწმეებმა, რომელთა გვარებსაც დაზარალებული ხმამაღლა ასახელებს, მოკლულის დედის სიტყვები სასამართლოზე არ დაადასტურეს. ამას მედული ჩარგეიშვილი ასლანიკაშვილის მხრიდან ფსიქოლოგიური ზეწოლითა და მუქარით ხსნის. იგი საქმის მასალების გაყალბებაშიც რეალურ პირებს ადებს ხელს, მათ შორის – ხონის საავადმყოფოს მედპერსონალსაც და თითოეული მათგანის გვარს აფიქსირებს თავის საჩივარში, რომელსაც უახლოეს დღეებში, საკასაციო პალატას წარუდგენს. მის მიერ დასახელებულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი აქამდე არ დამდგარა, არც კოლეგიამ დაადასტურა მათი დანაშაულის დაფარვაში მონაწილეობა, მაგრამ დაზარალებული აცხადებს, რომ ის არ გაჩერდება. მოკლულის დედა მოითხოვს, რომ საქმე დიდმა პალატამ განიხილოს. ის ასევე პრეზიდენტის სახელზე აპირებს წერილის დაწერას, ამბობს, რომ აღარაფერი დარჩენია და თუ მის მოთხოვნებს პრეზიდენტი და სამართალდამცავები უყურადღებოდ დატოვებენ, პროტესტის ნიშნად, ბენზინს გადაისხამს და თავს დაიწვავს.

განაჩენის გასაჩივრებას მსჯავრდებულიც აპირებს. იგი, მის მიერ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის, სასჯელის შემსუბუქებას მოითხოვს. მსჯავრდებულის ადვოკატი და სასამართლო კოლეგიის წევრები მიიჩნევენ, რომ დაზარალებულის მოთხოვნები უსამართლოა და მის საქციელს ზედმეტად აგრესიულს უწოდებენ. მათი თქმით, დაზარალებულის არგუმენტები არ ემყარება რეალურ, დოკუმენტურ მასალას. მოკლულის დედა კი აცხადებს, რომ დოკუმენტური მასალა მართლაც არ არსებობს, რადგან ყველაფერი განგებ გაანადგურეს ან თავიდანვე არ შეადგინეს, მაგრამ მისივე თქმით, არსებობენ მოწმეები, რომელთაც სიმართლე იციან. რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლოს ზემდგომი ინსტანცია და დაადასტურებენ თუ არა მოწმეები დაზარალებულის სიტყვებს, მომავალი გვიჩვენებს. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. „ყანაჭრია“ და „კალია“ სინონიმებია.
2. ბორბალი შუმერებმა გამოიგონეს.
3. შამილ ბასაევს აფხაზი ცოლი ჰყავს.
4. პირდიდ და ფრთამაღალ ისარს ქეიბური ჰქვია.
5. პერიოდულობის კანონი მენდელეევმა ძილში აღმოაჩინა.
6. მზის ენერგიის 1/2200000000 წილი დედამიწაზე მოდის.

7. ადამიანმა ძაღლი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 12000 წელს მოიშინაურა.
8. ვიღაც მიმტკიცებდა, ვენერა მილოსელს ფრჩხილების კვნეტა უყვარდაო.
9. ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებს გელა ჩარკვიანი ერთნაირად ფლობს.
10. „მგლებში მაცხოვრებელმა ყმუილი უნდა იცოდეს“ – ღაღადებს ქართული ანდაზა.
11. ჯეკ ლონდონის „სიცოცხლის სიყვარული“ ლენინის უსაყვარლესი მოთხრობა იყო.
12. სტატისტიკის მიხედვით, მსოფლიოში ყოველ 10 წამში ერთი ადამიანი ავადდება შიდსით.
13. ლურჯი ვეშაპი „ბოინგ 72“-ზე უფრო დიდია. მისი გული ავტომობილ „ფოლკსვაგენის“ ზომისაა.
14. ბუკინგემის სასახლეში ყველა ნოხი მეწამული ფერის იყო. ეს ფერი საიმპერატორო ფერად იყო მიჩნეული.
15. სამყაროს უსასრულობას ბუდისტები გამოსახავენ დრაკონის სახით, რომელსაც საკუთარი კუდის წვერი პირით უჭირავს.
16. იემენში ჩატარდა სილამაზის დახურული კონკურსი, რომელსაც არც ერთი მამაკაცი არ ესწრებოდა. იემენის ყველაზე ლამაზი ქალბატონი ქალებმა აირჩიეს.
17. ყველაზე ძვირად ღირებული ქალაქების სიაში პირველი ადგილი ტოკიოს უკავია, მეორე – ლონდონს, მესამე – მოსკოვს.
18. ფიცროი მაკლეინი – ეს ის ადამიანია, რომელიც იან ფლემინგმა აგენტ 007-ის პროტოტიპად გამოიყენა.
19. სამი იდეალი მყავს ცხოვრება-

ალბათ ცოტამ თუ იცის, რომ ლალი მოროშკინას მამი-ნაცვალი და აღმზრდელი გახლდათ ცნობილი ფიზიკოსი და უფოლოგი თალეს შონია, რომლის კონტაქტებზე უცხო ცივილიზაციებთან არაერთხელ დაწერილა ქართულ პრესაში. იმაზე, თუ რა კვალი დატოვა მან ჩვენი რესპონდენტის ცხოვრებაზე, რატომაა საშიში მისი გაბრაზება და რატომ ემსგავსება ნელ-ნელა ტერმინატორის დედას, თავად ლალი მოროშკინა მოგვითხრობს.

ლალი მოროშკინა

ზებუნებრივი ნიჭის მქონე მამინაცვლის მემკვიდრე

სოფო ყარალაშვილი

— ქალბატონო ლალი, ვინ იყო თქვენთვის თალეს შონია და რა გავლენა მოახდინა მან თქვენს ცხოვრებაზე?

– ჩემთვის თალესი კეთილი ჯადოქარი იყო. ის, რომ ქართველი ვარ, მისი დამსახურებაა, თუმცა გვარი რუსული მაქვს და მამაც ნახევრად რუსი მყავდა – არაჩვეულებრივი თბილისელი კაცი. ქართული სკოლა რომ დავამთავრე, ესეც თალესის დამსახურებაა. მან კატეგორიულად მოსთხოვა დედაჩემს, რომ რუსულ სკოლაში არ შევეყვანე. მანვე გვაზიარა მე და ჩემი ძმა რელიგიას. შაბათ-კვირას ფეხით დავყავდით ქალაქგარეთ, ეკლესიებში, ვათვალიერებდით ფრესკებს. პირველად თალესმა გვაჩვენა სვეტიცხოველში, მარჯვენა კედელზე დახატული ფრესკა, რომელზეც მფრინავი თეფშები და სახეები მოჩანს... თალესს ბევრი ღვთისმსახური მეგობარი ჰყავდა, ისინი ერთად ადგენდნენ იმ ბიოენერგეტიკას, რომელიც ეკლესიაში არსებობს. როდესაც ლოცულობ, გრძნობ, რომ ლოცვა ზევით ადის და მადლის სახით გიბრუნდება... საერთოდ, ადამიანის ნათქვამი უკვალოდ არასდროს იკარგება. ამიტომაცაა, რომ წყევლა არ შეიძლება. ის კოსმოსში ტრანსფორმაციას განიცდის და ბუმერანგივით უკან უბრუნდება მაწყევარს ან მის შთამომავლობას. ანალოგიურად მოქმედებს ჯადოც. თალესს აინტერესებდა ლაბორატორიულად ამის გამოკვლევა, იმიტომ, რომ ჯადო შეიცავს ისეთ ქიმიურ ელემენტებს, რომლებიც ადამიანის ტვინის უჯრედების რღვევას იწვევს. საერთოდ, კარგი ჯადოქრები ყოველთვის კარგი ქიმიკოსები და ფიზიკოსები იყვნენ... თალესთან ხშირად მოდიოდნენ მეცნიერებიცა და ღვთის მსახურებიც და რაღაც სასწაულების შესახებ ეკითხებოდნენ. ის ფიზიკოსი იყო და ადვილად ხსნიდა და ასაბუთებდა ანომალიურ მოვლენებს. წლებ-

პირველად თალესმა გვაჩვენა სვეტიცხოველში, მარჯვენა კედელზე დახატული ფრესკა, რომელზეც მფრინავი თეფშები და სახეები მოჩანს...

ის განმავლობაში მუშაობდა ამ საკითხზე.

— მაშასადამე, თქვენც გჯერათ, რომ უცხო ცივილიზაციები არსებობს.

– რა თქმა უნდა. წარმოუდგენელია, რომ საუკუნეების წინ აგებული აკლდამები, ეგვიპტის პირამიდები მოკვდავთა ხელით იყოს ნაშენები და ამაში არამიწიერი ცივილიზაციების ხელი არ ერიოს. თალესის გარდაცვალებამდე 6-7 წლით ადრე, მე და დედამ ვიპოვეთ მისი ჩანაწერები, სადაც აღნიშნული იყო, რომ 1996 წელს დიდი შეხვედრა ექნებოდა. 1995 წელს მან უკვე წონაში კლება დაიწყო და გვთხოვა, არ ჩავრეულიყავით, მედიკამენტები არ მიგვეცა, იმიტომ, რომ იგი დიდი შეხვედრისთვის ემზადებოდა. 1996 წელს გარდაცვალების წინ, თალესმა უბრძანა ყველას, ოთახიდან გასულიყვნენ და მხოლოდ მე დამტოვა თავისთან. დედაჩემი გაოცდა: ლალის რას უშვრები? ხომ იცი, რა მშიშარაა!.. თალესმა მიუგო, რომ მხოლოდ მე შემეძლო ამის ატანა... მარტონი რომ დავრჩით, ხელი მომკიდა – პერიფერიებში უკვე პულსი აღარ ესინჯებოდა – და მითხრა: შენ ვაუკაცი გოგო ხარ და მინდა, ჩვენი ოჯახის

შემკვრელი იყოო... მას შემდეგ, შემიძლია, თავით ქვა დავამტვრიო. არ არსებობს ბარიერი, რომელსაც ვერ გადავლახავ. ჩემი შვილი ოხუნჯობს ხოლმე – ნელ-ნელა ტერმინატორის დედას ემსგავსებიო...

— თავად თუ გიგრძნიათ რაღაც ზებუნებრივი ძალის არსებობა ე.წ. მილმური სამყაროდან?

– სტუდენტობის პერიოდში, გოგონები მკითხავთან წავედით. მან მკითხა – შვილი გყავსო? – კი-მეთქი, – ვუპასუხე. აღარ გეყოლება და 17 რიცხვი დაიმახსოვრეო... მეტი აღარაფერი მახსოვს, თვალთ დამიბნელდა. გონს რომ მოვედი, თალესის გვერდით ვიჯექი აცახცახებული. ჩემს ტვინში, ეტყობა, რაღაც მოკლე ჩართვასავით მოხდა. მკითხავთან ყველაფერი დამილეწია... თალესმა ლოცვები წამიკითხა და დამამშვიდა – ნუ ნერვიულობ, მნიშვნელოვანი არაფერი მოხდებაო. გავიდა წლები და დამავიწყდა კიდეც ეს ამბავი. ერთხელაც, 17 ივნისს ჩემს 17 წლის შვილს დავურეკე და ვუთხარი – სადაც არ უნდა იყო, ახლავე მოდი-მეთქი. იმ დღეს მოსკოვში უნდა გავფრენილიყავი. ჩვენი სატელეფონო საუბრიდან 3 წუთის შემდეგ, ავარია მოუვიდა: ბიჭი, რომელიც არც სვამს და არც ეწევა, მოულოდნელად, საჭესთან გაითიშა. მანქანა დაეჯახა ბილბორდის ბოძს და ხეს, 7 მეტრის სიმაღლეზე აფრინდა და 14 მეტრი იფრინა! ეს სასტუმრო „საქართველოსთან“ მოხდა. ჩემი შვილი სასწაულებრივად გადარჩა, მანქანა ისეთი დაჭეჭყილი იყო, ხელსაც ვერ შეყოფდი. ამ ამბის შემდეგ, უფლება არ მაქვს, არ მჯეროდეს, რომ ღმერთი და თალეს შონიას სული მიფარავს!.. ჩემს შვილს ხიჭვი ჰქონდა ჩასობილი თავლში და სასწრაფო ოპერაცია სჭირდებოდა. ამიტომ დაუყოვნებლივ



ჩემს ტვინში, ეტყობა, რაღაც მოკლე ჩართვასავით მოხდა. მკითხავთან ყველაფერი დამილეწია... თალესმა ლოცვები წამიკითხა და დამამშვიდა

მოსკოვში წავიყვანეთ. მეორე დღისთვის, ოპერაცია დაუნიშნეს. თალესი მთელი ღამე ტელეფონით უკითხავდა ბავშვს ლოცვებს, დილით კი... ოპერაცია საჭირო აღარ იყო. საღ-სალამათი გამოწერეს საავადმყოფოდან – არადა, ექსპერტის დასკვნით, ეს წარმოუდგენელი იყო, იმხელა ჭრილობა ჰქონდა თვალში.

— თქვენ თუ გქონიათ კონტაქტები უცხო ცივილიზაციებთან?

– ვფიქრობ, რაც მოვყევი, ეს უკვე კონტაქტებია. შეიძლება, უცხო არსება ვერ დაინახო, მაგრამ მიხვდე, რომ ბიოენერგეტიკული ველი გაძლიერებულია... თალესმა სამჯერ გადაიტანა კლინიკური სიკვდილი. ვისაც გამოუცდია, ყველა ჰყვება გვირაბსა და მის ბოლოში არსებულ სინათლეზე. ბუნებრივია, თალესი ამ მოვლენას უფრო მიუახლოვდა. მე სიზმრების სახით ვიღებ ინფორმაციებს, წინასწარ ვგრძნობ ბავშვის ავადმყოფობას, მოსალოდნელ საფრთხეს და ა.შ.

— ერთ-ერთ ინტერვიუში ბრძანეთ, რომ თქვენი გაბრაზება საშიშია, რადგან ზეადამიანური უნარის მფლობელი ხდებით.

– როდესაც ადამიანი ბრაზდება, მის ორგანიზმში ადრენალინი გამოიყოფა, ტემპერატურა იმატებს და ბუნებრივია, რომ ამ დროს, რაღაც ხდება. თუ რაიმე ქვა არ მიკეთია, კბილი მებზარება ხოლმე... ყოველთვის ვერიდები გაბრაზებას, თორემ, მერე იმხელა მუხტი მოდის ჩემგან, რომ ზუსტად ვიცი, ადამიანს შეიძლება რამე ვავნო.

— კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს უნარი?

– ამის თქმა არ მინდა. ამაზე არ ვლაპარაკობ ხოლმე. ადამიანს რამე რომ დავმართო, ეს ჩემთვის გაცილებით დიდი ტკივილი იქნება, ვიდრე მის მიერ მოყენებული წყენა. საერთოდაც, სამაგიეროს გადახდის სურვილი არ მაქვს. მიმაჩნია, რომ ძალიან ძლიერი ვარ სულიერად და ვერასდროს ვიქნები ნაზი და მიუსაფარი ქალი. დრო თუ გამოვნახე, შესაძლოა, რაიმე ექსტრემალური სპორტითაც დავკავდე.

— მაშასადამე, გვერდზეც ძლიერი მამაკაცი გჭირდებათ. იპოვეთ თქვენი ოცნების გმირი?

– კი, მგონი, ვიპოვე. ასეთი მამაკაცი ჩემს ცხოვრებაში არსებობს, მაგრამ საკუთარი თავის იმედი უფრო მაქვს.

— სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

– დიდი სიამოვნებით დავუბრუნდებოდი ჟურნალისტიკას. ახლა ერთ საინტერესო პროექტზე ვმუშაობ. სხვათა შორის, სამსახურიც შემომთავაზეს სახელმწიფო სტრუქტურაში...

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

ში: ჟორა შავგულიძე, ვახტანგ ჭაბუკიანი და ნინო რამიშვილი, – ამბობს გივი სიხარულიძე.

20. იაპონელების მიერ პერლ-ჰარბორის დაბომბვის დროს, ლინკორ „არიზონის“ ქვეშ 1170 კაცი ჩაიხრჩო.

21. როდესაც იაპონელი, მფრინავი კამიკაძეების რიგებში ეწერებოდა, მას აღარც სახელი ჰქონდა და აღარც გვარი. იმ წუთიდან იგი ოფიციალურად მკვდრებში ირიცხებოდა.

22. ინტერნეტში მიღებულია ე.წ. „სმაილების“ – ღიმილის აღმნიშვნელი ნიშნების გამოყენება, მაგალითად, ასეთი „ :-)“, ან ასეთი „ (-: “. ნიშანი „ “ „სიგარეტს ვეწევის“ აღმნიშვნელია.

23. 1940 წელს ქალაქ ბალტიმორში გაჩენილი ხანძარი 30 საათის განმავლობაში მძვინვარებდა. მიუხედავად იმისა, რომ წყლის რეზერვი ადგილზე საკმარისზე მეტი იყო და ამასთანავე ბალტიმორელ მეხანძრეებს თავიანთი კოლეგები მეზობელი ქალაქებიდანაც მიეშველნენ, ხანძარმა ქალაქის 70 კვარტალი შთანთქა. სამწუხაროდ, იმ დროს ყველა ქალაქში სახანძრო მილყელების სხვადასხვა სტანდარტი არსებობდა და მეზობელი ქალაქებიდან დასახმარებლად მოსულმა მეხანძრეებმა ადგილობრივ მილებს თავიანთი შლანგები ვერაფრით მოარგეს. გადაწყვეტილება სახანძრო მილყელების სტანდარტიზაციის შესახებ აშშ-ის მთავრობამ ამ ტრაგედიის შემდეგ მიიღო.

24. „ვხედავ თქვენს შვილს მთის წვერზე რკინის კვერთხით ხელში“, – უთხრა ფილიპ კირკოროვის მშობლებს რამდენიმე ათეული წლის წინ ნათელმხილველმა ვანგამ. მწვერვალი ალბათ ესტრადა იყო, კვერთხი კი – მიკროფონი.

25. ლეონიდ გაიდაიმ, სანამ „ბივალის“ როლზე მორგუნოვს დაამტკიცებდა, 8 მსახიობი გასინჯა. ვიცინმა 4 კაცის გასინჯვის შემდეგ მიიღო „ტრუსის“ როლი. რაც შეეხება ნიკულინს, რეჟისორმა მისი დანახვისთანავე პირდაპირ გადაულაპარაკა ასისტენტს – „ბალბესა ბოლშე ისკატ ნე ნადო!“

■

ბევრი ადამიანის ცხოვრებაში მისაღებმა გამოცდებმა წარუშლელი კვალი დატოვა. ზოგისთვის გამოცდების ციებ-ცხელება ნამდვილ სატანჯველად იქცა, ზოგმა იოლად გაუძლო გამომცდელთა წნეხს, უმაღლესი სასწავლებელიც დაამთავრა, მაგრამ მერე შეიცვალა პროფესია.

როგორ ირჩევენ ახალგაზრდები პროფესიებს? რა ცრურწმენები ახასიათებთ აბიტურიენტებსა და მათ მშობლებს? როგორ იგონებენ გამოცდების ციებ-ცხელებას ყოფილი აბიტურიენტები?

როგორ ავირჩიოთ პროფესია?

აბიტურიენტები და გამოცდები

ლელა ჭანკოტაძე

მამუკა, *37 წლის:*

— სკოლას რომ ვამთავრებდი, ბაბუაჩემმა დაიჩემა — ღვინის ტექნოლოგიურზე უნდა ჩააბაროო. არადა, გული უნივერსიტეტისკენ მიმიწევდა, ფსიქოლოგიურ ფაკულტეტზე მინდოდა ჩაბარება. რა უნდა მექნა? ბაბუის სიტყვა ოჯახში კანონი იყო. დედამ მითხრა: შენზე იმხელა ამაგი აქვს, მაგ უბრალო რამის გამო გულს თუ ატკენ, ნამდვილად არ გაპატიებო. სამწუხაროდ, პროფესიის არჩევა ჩემს მშობლებს უბრალო რამედ მიაჩნდათ... ბევრი ვიფიქრე. ბაბუა მეუბნებოდა: მეღვინე თუ გამოხვალ, ნებისმიერ გადასაადგილებელ საშუალებას გიყიდი, შეიძლება თვითმფრინავსაც კი შევწვდეო!.. ფული მართლა ბევრი ჰქონდა, მე კი მანქანა ძალიან მინდოდა. მისაღები გამოცდები არასდროს დამავიწყდება. დიდ ოთახში მერხები სამ მწკრივად იდგა. მე ბოლოში ვიჯექი. შემეძლო, ყველა აბიტურიენტი დამენახა, მაგრამ ერთ ქერა გოგოს ვერ ვწყვეტდი თვალს: როგორც კი გამომცდელი მის მერხს გასცდებოდა, კაბას წამოიხდიდა და საკუთარ ფეხებს გულდასმით ათვალიერებდა. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა აღმოვაჩინე, რომ ფეხებზე მაგალითები ეწერა — სულ აჭრელებული ჰქონდა კანი!.. ის გოგო ჩემს ბედისწერად იქცა. გულისფანცქალით ველოდი, კაბას როდის აიწევდა და პირდაფჩენილი მივჩერებოდი მის საოცრად ლამაზ ფეხებს... როგორც კი გამოცდა დამთავრდა, გამოვეკიდე და ტელეფონის ნომერი ვკითხე. მაგრამ უარი მითხრა. მის გამო, ერთი მაგალითიც კი ვერ გამოვიყვანე, მან კი ჩემი გაცნობაც არ ისურვა.

— **მერე რა მოხდა?**

— ორიანი მივიღე. ეშმაკი გოგონა კი იმ წელს სტუდენტი გახდა... იძულებული გავხდი, მოსკოვში ბაბუის მეგობართან წავსულიყავი. საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა. საქართველოში თუ ვინმეს იცნობდა, ყველას დაამთავრებინა კვების ტექნოლოგიის ფაკულტეტი. მისი წყალობით განათლება მეც მივიღე.

თეა, *33 წლის:*

— მისაღებ გამოცდაზე იმდენი „შპარგალკა“ მქონდა წაღებული, რომ შეუძლებელი იყო, ისეთი ბილეთი ამეღო, რომლის პასუხიც ან ფეხსაცმელში არ მექნებოდა ჩაკუჭული, ან ბიუსტჰალტერში. კაბის ქამარშიც კი მეწყო „შპარგალკები“... უმარტივესი ბილეთი შემხვდა, მაგრამ გულმა არ მომითმინა და საგულდაგულოდ დავიწყე „შპარგალკის“ ძებნა. პატარა ფურცელი ცხვირსახოცში მოვაქციე და ის იყო, გადაწერა უნდა დამეწყო, რომ თავს გამომცდელი წამომადგა. მითხრა: ცხვირსახოცი მომეციო. რას მივცემდი?.. — გამოცდიდან მომხსნიდნენ!.. მეორე ლექტორიც მოვიდა, მესამეც და ბოლოს, გამოაცხადეს კიდეც: თეა ლომაძე მოიხსნა გამოცდიდან, „შპარგალკის“ გამოყენების გამოო. ეს სირცხვილი დიდი ხნის განმავლობაში ვერ დავივიწყე.

— **სად აბარებდი?**

— ფილოსოფიის ფაკულტეტზე. მეოთხე წელს ჩავირიცხე. ჩემდენი გულშემატკივარი ალბათ, არც ერთ აბიტურიენტს არ ჰყოლია. თანაც, ჩემმა მშობლებმა და ნათესავებმა იცოდნენ, სწავლის ფასიც და გამოცდების სიმწარეც: მამაჩემი სამედიცინო ინსტიტუტში მეათე წელს ჩაირიცხა, მამიდაჩემს კი, მეხუთე ცდაზე გაუმართლა...

ნინო, *40 წლის:*

— სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორებს ჩემი თავი ალბათ, არასდროს დაავიწყდებათ. ისეთი რამ ჩავიდინე, რომ საკუთარი გამბედაობა და მოხერხებულობა დღემდე მაკვირვებს. მისაღებ გამოცდაზე ბილეთი შევცვალე და... წინა წლის ბილეთი გამოვიყენე!..

— **ეს როგორ მოახერხე?**

— ჩემი მეგობრის ბებია უნივერსიტეტში მუშაობდა. სწორედ იმ საბრალო ქალის

დახმარებით მოვიპოვე ძველი ბილეთი. შიშის გრძნობა არ მქონია, პირიქით – ძალზე ოპტიმისტურად ვიყავი განწყობილი. საერთოდ, ძველი ბილეთები ნადგურდება და ვფიქრობდი, ვერავინ წარმოიდგენს, რომ ერთი ბილეთი დაიკარგა-მეთქი... გამოცდა საქართველოს ისტორიაში მქონდა. როგორც კი ბილეთის პირველი საკითხის მოყოლა დავიწყე, გამომცდელმა მთხოვა: მეორე საკითხზე გადადიო. სულ სხაპასხუპით მოვყევი, მესამე საკითხიც ასევე გამართულად ჩავთავე. მეგონა, მეტყოდნენ – „ყოჩაღ!" მაგრამ გამომცდელს სახეზე ღიმილი გადაეფინა და თქვა: მოხსნილი ხართ გამოცდიდან, ყალბი ბილეთის გამოყენების გამოო. ტირილი რომ დავიწყე, დაამატა: ჯობს, წახვიდეთ; ალბათ, არც იცით, თუ რა დანაშაული ჩაიდინეთო. გარეთ ახლობლები მელოდებოდნენ. მათ ადგილობრივი რადიოს საშუალებით შეეტყვეს ჩემი ხულიგნობის შესახებ. არც კი ვიცი, რატომ არ მომკლეს...

— მშობლებმა არ იცოდნენ, ყალბი ბილეთი რომ გქონდა?

– არა. მამაჩემი პედაგოგი იყო. თანაც ისეთი პატიოსანი, წესით, მის შვილს „შპარგალკის" გამოყენებაც კი არ უნდა ეკადრებინა. მე კი ნამდვილი დანაშაული ჩავიდინე... მამა წლების მანძილზე არ მცემდა ხმას. მაგრამ ყველაზე დიდი სასჯელი ის გახლდათ, რომ უნივერსიტეტის ხსენებაც კი ამიკრძალა. ამიტომ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩავაბარე და უნივერსიტეტში სწავლა აუხდენელ ოცნებად დამრჩა...

როგორ იხსენებენ მისაღებ გამოცდებს ის ადამიანები, რომლებიც ახლა თავად არიან გამომცდელები და აბიტურიენტების ცოდნას აფასებენ?

ნანა ფილია, *სამედიცინო უნივერსიტეტის ლექტორი:*

– ვინც პირველ გიმნაზიას ამთავრებდა, მისთვის უმაღლეს სასწავლებელში მოწყობა პრობლემას არ წარმოადგენდა, ამიტომაც გავბედე და მოსკოვის მეორე სამედიცინო ინსტიტუტში შევიტანე საბუთები. მაგრამ ვერ მოვეწყვე, ქართულმა გვარმა შემიშალა ხელი. მეორე წელს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ვცადე ბედი. ისეთი მომზადებული ვიყავი, მეგონა, ყველა გამოცდაში ფრიადს მივიღებდი. ბიოლოგიის გამოცდა ალბათ, ჩემი მეხსიერებიდან არასდროს ამოიშლება. ხუთიანს კომისიის თავმჯდომარე წერდა. ამიტომ ბილეთის ყველა საკითხი რომ მოვყევი, გამომცდელმა კომისიის თავმჯდომარესთან – არჩილ ასათიანთან გამიშვა. ის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი გახლდათ. ყველა კითხვაზე თავისუფლად გავეცი პასუხი. ბოლოს მკითხა: მითხარით, მურაბას რატომ ჰქვია მურაბაო?.. საშინელ დღეში ჩავვარდი. ჯერ ვიფიქრე, მეხუმრება-მეთქი, მაგრამ კითხვა რომ გამიმეორა, დაბნეულმა ვუპასუხე: ეს ნიშნავს – ხილი დამწვარი გლუკოზით-მეთქი. – ეს საკმარისი არ არისო – მითხრა და დასძინა: მარტო საგანი კი არ უნდა იცოდეთ, უნდა აზროვნებდეთ კიდეცო. ვთხოვე: აქედან ისე ნუ გამიშვებთ, რომ არ მითხრათ ამ კითხვის პასუხი-მეთქი. ოთხიანი დამიწერა და მითხრა: პასუხი თქვენ თვითონ მოძებნეთო. მაშინ საპრეტენზიო კომისია არსებობდა. ნიშანი გავასაჩივრე. მაგრამ ასათიანი მაინც ვერ დავარწმუნე, რომ ბიოლოგია ფრიადზე ვიცოდი. კომისიის წევრები ჩემ გამო წუხდნენ. ხოლო შემდეგ, სტუდენტობის 6 წლის მანძილზე – მთელი სამედიცინო ინსტიტუტი არჩილ ასათიანის უცნაური კითხვის შესახებ ღიმილით ლაპარაკობდა. ეს კითხვა ნამდვილ კურიოზად იქცა.

მეორედ რომ დავიბადო, ისევ მსახიობობას ავირჩევ...

— თქვენ როგორი გამომცდელი ხართ? მსგავსი ჩამჭრელი კითხვა არასდროს დაგისვამთ?

– გამოცდაზე ვცდილობ, ტკბილი სიტყვით დავამშვიდო დაბნეული ახალგაზრდები. თუმცა, ხუთიანს იოლად არც მე ვწერ. დავუმტკიცებ, დავაჯერებ, რომ ფრიადი არ ეკუთვნის. ახლა როცა ლექტორი ვარ, ვიცი – საუკეთესო სტუდენტიც კი შეიძლია ჩავჭრა, მაგრამ ნებისმიერ გამოცდაზე საკუთარ წარსულს ვიხენებ ხოლმე. ერთხელ ლექტორმა ორკაპიკიანი მომაწოდა და მითხრა: აიღე, ვინმეს დაარეკვინე, თუ გინდა, რომ ხუთიანი დაგიწეროო. მიხარია, რომ ეს ყველაფერი წარსულში დარჩა...

როგორ აირჩიეს პროფესია ცნობილმა ადამიანებმა? რას ფიქრობენ, წლების შემდეგ – სწორი აღმოჩნდა თუ არა მათი არჩევანი? რა დაამახსოვრდათ მისაღები გამოცდებიდან და როგორები იყვნენ გამოცდების ციებცხელების დროს?

ჯემალ ღაღანიძე:

– მიუხედავად იმისა, რომ არც დედა მყოლია მსახიობი და არც მამა, ამ პროფესიისადმი სიყვარული მაინც ბავშვობიდან გამოვავლინე. მათემატიკურ სკოლაში ვსწავლობდი. ჩვენი დირექტორი ძალზე ძლიერი მათემატიკოსი იყო. ვინც მისი სკოლა დაამთავრა, უმეტესობამ პროფესიად სწორედ მათემატიკოსობა აირჩია. ჩემს უფროს ძმაზე იტყოდა ხოლმე: ეს ბიჭი გამორჩეულია, ჯემალისგან კი, რა გამოვა, არ ვიცი, მაგას ხელში ფანდური უნდა მისცე და აცეკვოო. ერთხელ კი საკმაოდ მკაცრად მითხრა: ღაღანიძე, ასეთი სწავლით შორს ვერ წახვალო!.. გავიდა წლები. გასტროლები გვქონდა ნიუ-იორკში. მე, ეროსი მანჯგალაძე და ბატონი აკაკი ბაქრაძე ცათამბჯენებს შევყურებდით. მაშინ გამახსენდა, ბატონი ვალიკოს ნათქვამი. ეროსის ვუთხარი ამის შესახებ, თან დავამატე: ამაზე შორს სადღა უნდა წავიდე? – ნიუ-იორკში ვარ და მექსიკაში მივდივარ-მეთქი!..

— როგორი იყო აბიტურიენტი ჯემალ ღაღანიძე?

– მეათე კლასში სასწავლებლად საინგილოში წავედი. სკოლა იქ დავამთავრე. თეატრალურ ინსტიტუტში მიღება წელიწადის გამოშვებით იყო. თბილისში რომ დამემთავრებინა თერთმეტი კლასი, ერთი წელი გამიცდებოდა. სწორედ ერთი წლის მოგების მიზნით წავედი კახში. 1952 წელს ვაბარებდი ინსტიტუტში. იმ წელს აბიტურიენტები იყვნენ: თენგიზ არჩვაძე, გივი ბერიკაშვილი, ბორის წიფურია, ზინა კვერენჩხილაძე და თქვენ წარმოიდგინეთ ანზორ ბურჯანაძეც: მასაც თეატრალურ ინსტიტუტში უნდოდა ჩაბარება. მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და უნივერსიტეტში ჩააბარა.

— არასდროს გინანიათ, რომ ეს პროფესია აირჩიეთ და არა რომელიმე სხვა?

– არა, მეორედ რომ დავიბადო, ისევ მსახიობობას ავირჩევ, მიუხედავად იმისა, რომ მსახიობები მატერიალურად უზრუნველყოფილნი არასდროს ვყოფილვართ. მას შემდეგ, რაც რობიკო სტურუამ რუსთაველის თეატრს „ფეხი

ნიშნის გასაგებად ოთარი შევიდა ინსტიტუტში. რომ დააგვიანდა, ჩვენც შევაკითხეთ. ხელში მატრიკული ეჭირა და უცნაურად ატრიალებდა: – ტო, ეს მართლა ორიანია თუ მე ვერ ვცნობო?..

აადგმევინა“, მთელი ქვეყანა მოვიარეთ. მსოფლიოს ორი წრე შემოვარტყით! განა ეს ბედნიერება არ არის?!

გულნაზ რამიშვილი, *ოთარ რამიშვილის მეუღლე:*

– ოთარმა საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, უცხო ენათა ინსტიტუტში ჩააბარა. გერმანულ ენას ეუფლებოდა და იქნებ, მისგან პროფესიონალიც დამდგარიყო, რომ არა გიტარის სიყვარული. ახლა გერმანულად მხოლოდ ერთი სიმღერა იცის. ინსტიტუტი რომ მიატოვა, მუსიკალურ ტექნიკუმში აბარებდა. პირველსავე გამოცდაში ორიანი მიიღო. კინაღამ გაგიჟდა თურმე. ლექტორებს შეურაცხყოფაც კი მიაყენა: სმენა როგორ დამიწუნეთო?!. მართლაც, საოცარი ფაქტია, სმენაში ოთარის ორზე შეფასება... გამოცდიდან გაცეცხლებული რომ გამოვარდნილა, ქსენია ჯიქია შეხვედრია – ტექნიკუმის დირექტორი. მან ოთარს უთხრა: ნუ ნერვიულობ, მე ჩაგრიცხავო. ასეც მოხდა...

— როცა თქვენი შვილები აბარებდნენ მისაღებ გამოცდებს, ოთარი ნერვიულობდა?

– ზურიკოს გამოცდების წინ, უცნაურ სიზმარს ვნახულობდი ხოლმე: ერთი ქურთი ქალი მესიზმრებოდა. მას როზა ერქვა და ეს იმის ნიშანი იყო, რომ ზურიკო გამოცდას ფრიადზე ჩააბარებდა... ოთარი დილით უთენია მეკითხებოდა: როზა დაგესიზმრაო?! მიშიკო ისტორიულ ფაკულტეტზე აბარებდა. მესამე გამოცდა ქართულ წერაში ჰქონდა. ნიშნის გასაგებად ოთარი შევიდა ინსტიტუტში. რომ დააგვიანდა, ჩვენც შევაკითხეთ. ხელში მატრიკული ეჭირა და უცნაურად ატრიალებდა: – ტო, ეს მართლა ორიანია თუ მე ვერ ვცნობო?.. – მკითხა. არ უგრძნობინებია, რომ ნერვიულობდა, თუმცა, გამოცდების ციებ-ცხელებას ნერვიულობის გარეშე ვინ გადაიტანს?!

ვანიკო თარხნიშვილი:

– ბავშვობიდან უმაღლეს დიპლომატიურ სკოლაში მინდოდა სწავლა. მაგრამ 15 წლის ასაკში მოულოდნელად ფსიქოლოგიით დავინტერესდი. მისაღები გამოცდები მოახლოებული იყო, გადაწყვეტილება რომ შევცვალე და გამოვაცხადე: ისტორიულ ფაკულტეტზე უნდა ჩავაბარო-მეთქი.

— ასე რატომ მოიქეცი?

– ბავშვობის ოცნებამ შემახსენა თავი – ისევ დიპლომატობა მომინდა. თუ ისტორიულ ფაკულტეტს დავამთავრებდი, დიპლომატიურზე ჩაბარება გამიიოლდებოდა... ისტორიული ფაკულტეტი წითელ დიპლომზე დავამთავრე, მაგრამ იმის მაგივრად, რომ სწავლა მოსკოვის უმაღლეს დიპლომატიურ სკოლაში გამეგრძელებინა, გერმანიაში წავედი, მენეჯმენტის შესასწავლად.

— ბავშვობის ოცნებაზე უარი რატომ თქვი?

– დედაჩემის ბიზნესპარტნიორებისგან მივიღე შემოთავაზება, რომ მენეჯმენტი შემესწავლა. ძალიან მაცდუნებელი წინადადება იყო. მაშინ თბილისში ომი მძვინვარებდა. ადამიანები საშინელ სიდუხჭირესა და ქაოსში ცხოვრობდნენ. ოცნებებისთვის ვის ეცალა?! ალბათ, შემოთავაზებას იმიტომაც დავთანხმდი, რომ ომისთვის, გაჭირვებისა და გამუდმებული სტრესისთვის თავი დამეღწია... თუმცა, გერმანიაში დიუსელდორფის დიპლომატიური აკადემია მაინც მოვინახულე. ვიფიქრე – ბედი ხომ არ ვცადო-მეთქი? – მაგრამ დედაჩემის ბიზნესპარტნიორების მომერიდა, მათ შრომას და დახმარებას წყალში ვერ ჩავყრიდი – იმისთვის დამაფინანსეს, რომ მენეჯმენტი შემესწავლა...

— როგორი აბიტურიენტი იყავი? ცრურწმენები არ გქონდა?

– ამბობდნენ, ყველა გამოცდაზე ერთი და იმავე ტანსაცმლით უნდა მიხვიდე, კარგი ნიშნები რომ მიიღო. მაგრამ ასეთ წვრილმანებს ყურადღებას არ ვაქცევდი. ძალიან მობილიზებული ვიყავი. ყველას უკვირდა, ასეთი თავდაჯერებული როგორ ხარო?.. კარგი მომზადებული გახლდით. თუმცა, ჩემთვის რიცხვების დამახსოვრება, პრობლემაა. ამიტომ თუ ისეთი ბილეთი შემხვდებოდა, სადაც თარიღების გახსენება იქნებოდა საჭირო, აუცილებლად ჩავიჭრებოდი. მარტივი ბილეთი შემხვდა, მალე დავწერე, ვუპასუხე ყველა საკითხზე, შემდეგ კი ბიჭებს ვეხმარებოდი, თან ისე, რომ შენიშვნაც მივიღე და კინაღამ გამოცდაც დამატოვებინეს.

თათია გიორგოზიანი:

– XI კლასი ამერიკაში დავამთავრე. საქართველოში რომ ჩამოვედი, გამოცდების ციებ-ცხელებაში მაშინვე ჩავერთე. მიუხედავად იმისა, რომ ყველა საგანი ბრწყინვალედ ვიცოდი, მაინც ძალიან ვინერვიულე. ალბათ, ეს ბუნებრივიც იყო. დარწმუნებული ვარ, გამოცდებზე ნებისმიერი აბიტურიენტი ნერვიულობს.

— ჟურნალისტობა რატომ აირჩიე? პროფესიის არჩევა ხომ არ გაგიჭირდა?

– ჟურნალისტობა ბავშვობიდან მინდოდა. რაც წერა ვისწავლე, მას შემდეგ, ფურცლებზე რაღაც ტექსტებს ვწერდი ხოლმე, სარკის წინ ვდგებოდი და ვკითხულობდი, თითქოს დიქტორი ვიყავი. როცა ბავშვები თოჯინებით თამაშობდნენ, მე „ჟურნალისტობანას“ ვთამაშობდი. თუმცა, მაშინ ვერ ვაცნობიერებდი, თუ რაოდენ რთულ, საპასუხისმგებლო და შრომატევად პროფესიას ვეჭიდებოდი. ახლა, ჩემი არჩევანით ძალიან ბედნიერი ვარ.

— გამოცდების წინ ცრურწმენას თუ ავლენდი?

როცა ბავშვები თოჯინებით თამაშობდნენ, მე „ჟურნალისტობანას“ ვთამაშობდი

– არა. ყველა გამოცდის წინ სანთელს ვანთებდი და ლოცვებს ვკითხულობდი. ყველა გამოცდაზე კარგი ბილეთი შემხვდა. საერთოდ, გამოცდებზე იოლი ბილეთები მხვდება ხოლმე. ამ მხრივ, იღბლიანი ვარ.

— სიმღერას და ჟურნალისტობას როგორ უთავსებ ერთმანეთს?

– სიმღერის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. ჟურნალისტობა ამაში სულაც არ მიშლის ხელს. ამ ორ პროფესიას შორის საერთო იოლად მოვძებნე. როგორც ჟურნალისტს, კოლეგებთან – მომღერლებთან მიწევს ურთიერთობა. ეს ძალიან სასიამოვნოა.

■

ჩვეულებრივი 4-ოთახიანი ბინა საბურთალოს ქუჩაზე, ბევრი თავისუფალი სივრცე და ცოტა ავეჯი, სამაგიეროდ, ბევრი წიგნი და კედლებზე დაკიდებული, მეუღლის მიერ შესრულებული სურათები — ასე გამოიყურება საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრისა და მისი ოჯახის საცხოვრებელი. თამარ სულუხიას შინ რომ ვესტუმრეთ, ამ დროს, მასთან ინტერვიუს ჩასაწერად ერთ-ერთი ტელევიზიის გადამღები ჯგუფი იმყოფებოდა. სანამ ვიდეოჩაწერა მიმდინარეობდა, ჩვენი მასპინძლობა მინისტრის მეუღლემ, დავით ნიკოლაიშვილმა იტვირთა, მეც შემთხვევით ვისარგებლე და რამდენიმე კითხვა დავუსვი.



ემა ტუხიამვილი

— ბატონო დავით, თქვენ რას საქმიანობთ?

— პროფესიით მეც არქიტექტორი გახლავართ, მაგრამ ამჟამად ვმუშაობ ერთ-ერთ ამერიკულ ორგანიზაციაში, რომელსაც ეწოდება — „გადავარჩინოთ ბავშვები“. იმ პროგრამის ხელმძღვანელი გახლავართ, რომელიც იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

— რამდენი შვილი გყავთ?

— ორი: უფროსი — ქალიშვილი ელენე 14 წლისაა, გიორგი კი — 7-ის.

— როგორ გაიცანით მომავალი მეუღლე?

— მე და თამუნა თანაკლასელები გახლდით, ასე რომ, ნული კლასიდან ვიცნობთ ერთმანეთს. გაგიკვირდებათ, მაგრამ სწორედ ნულ კლასში ვიყავი, როდესაც პირველად ვთქვი: თამუნა ცოლად უნდა მოვიყვანო-მეთქი. 1990 წელს ეს სიტყვა შევასრულე...

— გამოდის, რომ მისდამი სიყვარული ბავშობიდანვე გწვევიათ... თუ მოგვიანებით გაჩნდა?

— ეს ძალიან პირადული საკითხია, ამიტომ, თუ ნებას მომცემთ, საიდუმლოდ დავტოვებ...

— როგორი ბავშვი იყო ქალბატონი თამარი?

— საკმაოდ ნიჭიერი და ბეჯითი მოსწავლე იყო, ამავე დროს სპორტული, ძალიან უყვარდა კალათბურთი და თხილამურები. მართალია, შატალოზეც დადიოდა ხოლმე, მაგრამ არა ისეთი სიხშირით, როგორითაც მე. არც ერთად ვიპარებოდით ხოლმე სკოლიდან.

— თქვენ და თქვენი მეუღლე ერთი პროფესიის ბრძანდებით. არჩევანიც ერთობლივად გააკეთეთ?

— არა. სკოლის დამთავრების შემდეგ მე სულ სხვა გეგმები მქონდა — მინდოდა, რომ დაზგურ გრაფიკას დავუფლებოდი სამხატვრო აკადემიაში. იმ ასაკში, უკვე რამდენიმე გამოფენა მქონდა მოწყობილი. მაგრამ მოხდა ისე, რომ მისაღებ გამოცდებზე ქულა დამაკლდა და ვერ ჩავირიცხე. შემდეგ საბჭოთა არმიაში გამიწვიეს. ხოლო იქიდან დაბრუნებულმა, არქიტექტურულზე ჩავაბარე. თამუნა იქ უკვე სწავლობდა. ასე აღმოვჩნდი კვლავ მის გვერდით.

— ალბათ პროფესიულ თემებზე ხშირად მსჯელობთ შინ, არა?

— საერთოდ, ვცდილობთ, რომ შინ ყოფნისას, მეტი დრო შვილებს დავუთმოთ. მინდა გითხრათ, რომ ძალიან ვუფრთხილდებით პირად ცხოვრებას.

— მეუღლის გამინისტრებას როგორ შეხვდით და უსერხულობას ხომ არ გიქმნით ის, რომ თქვენი მეუღლე მაღალი თანამდებობის პირია?

— რა თქმა უნდა, თამუნას საკმაოდ რთული ნაბიჯის გადადგმა მოუხდა, მაგრამ ამ გადაწყვეტილების მიღებისას მარტო არ ყოფილა. მე ყველანაირად დავუჭირე მხარი, რადგან ეს თანამდებობა მისი პროფესიონალიზმის ამაღლებასაც შეუწყობს ხელს და კიდევ იმიტომ, რომ საქართველოში პირველად შეიქმნა იმის პრეცედენტი, როდესაც მთავრობამ დააფასა პროფესიონალიზმი და ამას ვერაფრით აღვუდგებოდი წინ. თქვენი კითხვის მეორე ნაწილს რაც შეეხება, მიმაჩნია, რომ ის, ვისაც მეუღლის მაღალი თანამდებობა უხერხულობას უქმნის, გარკვეული სისუსტეების მატარებელია. თუ გააცნობიერებ, რომ შენი მეუღლე ქვეყნის სამსახურში დგას და ეს გარკვეულწილად შენი წარმატებაცაა, უეჭველად მოგეხსნება კომპლექსი.

— როგორი დიასახლისია ქალბატონი მინისტრი?

— საკმაოდ კარგი. არ ვიცი, დამიჯერებთ თუ არა, მაგრამ როგორი კარგი დიასახლისიც იყო აქამდე, ისეთივე კარგი დარჩა გამინისტრების შემდეგ. დღეში მინიმუმ ორ საათს აუცილებლად საოჯახო საქმეებს უთმობს. არაჩვეულებრივად აშზადებს „ბეფსტროგანოვს“, იცის, რომ ძალიან მიყვარს და ხშირად მიკეთებს ხოლმე.

— თქვენ თუ შეგიძლიათ, როცა მოუცლელია, რაღაცაში დაეხმაროთ საოჯახო საქმეში?

— კერძების მომზადება და სხვა საოჯახო საქმეების კეთება არ მეხერხება. რომ ვიცოდე, ნამდვილად დავეხმარებოდი ხოლმე. ბავშვებისთვის ყურდღების დათმობას რაც შეეხება, ეს ჩვენი უპირველესი საზრუნავია. მე და თამუნას ოჯახში ფუნქციები დანაწილებული ნამდვილად არ გვაქვს, ყველაფერი იმპროვიზებულად და ჰარმონიულად ხდება.

ამასობაში ქალბატონი თამარიც გათავისუფლდა და სატელევიზიო ინტერვიუ საყურნალომ შეცვალა. საუბარში, ბატონი დავითიც მონაწილეობდა — დროდადრო დელიკატურად ჩაერთვებოდა ხოლმე და ცოლს მივიწყებული ამბების გახსენებაში ეხმარებოდა.

— ქალბატონო თამარ, თქვენი პროფესიიდან გამომდინარე, უპირანი იქნება, გემოვნების საკითხებს შევეხოთ. როგორ ყალიბდებოდა თქვენი გემოვნება?

— სიმართლე რომ გითხრათ, ამის გაანალიზება არასოდეს მიცდია. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ოჯახს არანაირი შეხება არ ჰქონია ხელოვნებასთან, ბავშვობიდან ვხატავდი და ყოველთვის დიდ ინტერესს ვიჩენდი ხელოვნების მიმართ. მიმაჩნია, რომ სწორედ ხელოვნება უყალიბებს ყველაზე მეტად ადამიანს გემოვნებას. ალბათ ბუნებრივია, რომ სხვადასხვა ასაკში სხვადასხვანაირი გემოვნება მქონდა. ის, რაც წინათ მომწონდა, ახლა აღარ მომწონს და პირიქით. კარგად მახსოვს, როდესაც მე და ჩემი ძმა თანამედროვე მუსიკას ვუსმენდით, ჩვენი 80 წელს მიტანებული ბებია შემოვიდოდა ხოლმე და გვეტყოდა: ჯო დასენის კასეტა ჩამირთეთო. მხოლოდ ახლა ვხვდები, თუ რატომ მოსწონდა ბებიას ეს მუსიკა... ჩემი გემოვნებ-

მუსიკაში ცოტა ძველმოდური ვარ: უკვე რამდენიმე წელია, სტინგისა და შადეს ერთგული ვრჩები

ის ჩამოყალიბებაში საკმაოდ დიდი როლი ამერიკაში გატარებულმა ერთმა წელიწადმა ითამაშა. მხოლოდ 19 წლის ვიყავი, როდესაც იქ სასწავლებლად გავემგზავრე. ვნახე ის შედევრები, რომლებზეც მხოლოდ არქიტექტურისა და საერთოდ, ხელოვნების ისტორიის წიგნებში მქონდა წაკითხული. მოვიარე ამერიკის უდიდესი ქალაქების მუზეუმები და ვნახე ყველა დროის უნიკალური მხატვრების ტილოები.

— თქვენთვის საყვარელი მხატვრები ვინ არიან?

— ვფიქრობ ერთადერთი, რაშიც გემოვნება არ შემცვლია, ეს მხატვრობაა. ძალიან ბევრი სათაყვანებელი მხატვარი მყავს, ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. განსაკუთრებით, მომწონს ავსტრიელი მხატვარი კლიმტი; სულ რამდენიმე წელია, რაც გავეცანი გიუმზერტგასერის ხელოვნებას. მართალია, ჩვენს ქვეყანაში ეს მხატვარი პოპულარული არ არის, მაგრამ ევროპაში მას საკმაოდ კარგად იცნობენ. მიყვარს სიურრეალისტები, ისეთები, როგორებიც არიან: მირო და დალი. სრულიად მონუსხული ვარ ყველა იმპრესიონისტის შემოქმედებით.

— თქვენს ლიტერატურულ გემოვნებაზე რას გვეტყვით? თუ გახსოვთ პირველი წიგნი, რომელიც წაიკითხეთ?

— ალბათ შვიდი წლის ვიქნებოდი, როცა მოზრდილი ადამიანივით, საკმაოდ წვრილი შრიფტით დაბეჭდილი წიგნი წავიკითხე. „გოგონა ბურთზე", ასე ერქვა ამ წიგნს, რომლის ავტორიც სამწუხაროდ, აღარ მახსოვს. მაგრამ ეს წიგნი დღესაც გვაქვს შინ და ჩემმა გოგონამ იგი, თითქმის იმავე ასაკში წაიკითხა. ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში კი, ბევრი საინტერესო მწერალი აღმოვაჩინე. მიყვარს იაპონელი მწერლები.

— თეატრისა და კინოსთვის თუ გრჩებათ დრო?

— მართალია, თავისუფალი დრო ძალიან ცოტა მაქვს, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ ჩემს შვილთან, გიორგისთან ერთად მაინც მოვახერხე კინოთეატრში ფილმის ნახვა. თეატრი კი, ჩემი სუსტი წერტილია. განსაკუთრებულად მიყვარს კინომსახიობის თეატრი და შემიძლია გითხრათ, რომ მათი თითქმის ყველა სპექტაკლი მაქვს ნანახი. დათო დამეთანხმება, რომ თუ ადამიანს უნდა, ძალიან გამახაროს, თეატრში უნდა დამპატიჟოს.

— მეუღლე ხშირად განიჭებთ ამ სიხარულს?

— სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს, ეს ვეღარ ხერხდება, ხან მე ვარ დაკავებული, ხან — დათო. საზღვარგარეთაც გვიწევს ხოლმე მივლინებით წასვლა.

— ერთად არ ყოფილხართ საზღვარგარეთ?

— 3 წლის წინ დათო ამერიკაში, ქალაქ ცინცინატიში სწავლობდა, მე და ბავშვები კი, ვაშინგტონში ვიმყოფებოდით, სადაც მე უნივერსიტეტში ვმუშაობდი. ცინცინატიდან ვაშინგტონამდე მანქანით 12 საათი უნდა გევლო, ამიტომ დათო ჩვენთან მხოლოდ არდადეგებზე ჩამოდიოდა ხოლმე. მხოლოდ ერთხელ ვიყავით ერთად გერმანიაში.

დათო:

— საქორწინო მოგზაურობა დაგავიწყდა?

თამარი:

— დიდი ბოდიში, მაგრამ უკვე იმდენი წელი გავიდა... მაშინ ორივე პირველად ვიყავით ტალინში. იანვარი იყო და იქ გატარებული ერთი თვის თითოეული დღე მახსოვს. ხშირად გვინატრია მე და დათოს, რომ კიდევ ერთხელ გავემგზავროთ ტალინში, მაგრამ აუცილებლად ზამთარში წავალთ, რომ წარსულის ასოციაცია გაგვიჩნდეს...

— როგორ მუსიკას უსმენთ?

— მუსიკაში ცოტა ძველმოდური ვარ: უკვე რამდენიმე წელია, სტინგისა და შადეს ერთგული ვრჩები. ქართულ ესტრადას რაც შეეხება, ირაკლი ჩარკვიანი და ნინო ქათამაძე მომწონს. ცოტა ხნის წინ, ნინო ქათამაძის ორი კასეტა შევიძინე და მაშინ ვუსმენ, როდესაც დათო შინ არ არის, რადგან ამ სფეროში ჩემი და დათოს გემოვნება არ ემთხვევა ერთმანეთს.

— ხშირია თქვენ შორის აზრთა სხვაობა?

— საკმაოდ ხშირად ვკამათობთ, წვრილმანებზეც კი, მაგრამ — არა საოჯახო-სამეურნეო საკითხებზე, არამედ უფრო პროფესიულ და გლობალურ თემებზე და ეს საკმაოდ საინტერესოა.

— როიალზე თქვენ უკრავთ?

— სამწუხაროდ, მე არც ვუკრავ და არც ვმღერი. ეს ინსტრუმენტი დათოს ბებუისგან დავგრჩა. როიალზე დათო და ელენე უკრავენ. დათო თვითნასწავლი მუსიკოსია, ხოლო ელენე სერიოზულად უდგება ამ საქმეს.

— მოდაზე რას გვეტყვით? მას შემდეგ, რაც მინისტრთა კაბინეტის წევრი გახდით, თქვენი ჩაცმულობის სტილი რამდენად შეიცვალა?

— რა თქმა უნდა, შეიცვალა — უფრო ოფიციალური გახდა. ჯინსისა და ველვეტის ქურთუკით მინისტრი ყოველთვის ვერ ივლის. ახლა თითქმის სულ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი მაცვია, მაშინ, როდესაც ადრე სულ დაბლებზე დავდიოდი. თანამედროვედ ჩაცმა კი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იმ თარგზე მოჭრილი გეცვას, რომლითაც მთელი თბილისი დადის. თუ კარგი გემოვნება გაქვს, ნებისმიერ მოდურ სამოსს მოირგებ ისე, რომ ზედმეტად არ შეცვალო საკუთარი იმიჯი.

— საკუთარი დიზაინით თუ შეგიქმნიათ სამოსი და ხელსაქმე თუ გეხერხებათ?

— სტუდენტობის პერიოდში, ისე ვიყავი ქსოვით გატაცებული, რომ ერთ ზამთარში ჩემი ოჯახის ყველა წევრს მოვუქსოვე სამოსი. კერვა არასდროს მომიწადინებია, რადგან დედაჩემს ძალიან ეხერხებოდა და მისი შეკერილი ტანსაცმლით ვიყავი განებივრებული. თუმცა, მახსოვს ერთი შემთხვევა: როდესაც ელენე ძალიან პატარა გვყავდა, მაშინ მე ასპირანტი ვიყავი, დათო კი სტუდენტი და ჩვენი შემოსავალი ძალზე მცირე იყო.

განსაკუთრებით მომწონს მინანქრის ჯვარი, რომელიც ჩემმა ძმამ დაამზადა

დათოს უკვე დიდი ხანია, აღარაფერი დაუხატავს, ყველა ეს სურათი დაახლოებით 10-11 წლის წინაა შექმნილი

მოსწავლეები მყავდა ინგლისურში, დათოს კი თავისი ნახატები მოსკოვში მიჰქონდა ხოლმე, რადგან იქ ახერხებდა გაყიდვას... მაშინ ძალიან მომინდა, რომ ელენეს ჯინსის ქურთუკი ჰქონოდა. დათოს ჯინსი დავჭერი და ბავშვს მშვენიერი ქურთუკი შევუკერე. ახლაც შენახული მაქვს და ხშირად გამომაქვს და ვუცქერ ხოლმე.

— თქვენი სახლის კედლები მთლიანად დათოს ნახატებს ეთმობა. ალბათ ისინი ძალიან ძვირფასია თქვენთვის...

— დათოს უკვე დიდი ხანია, აღარაფერი დაუხატავს, ყველა ეს სურათი დაახლოებით 10-11 წლის წინაა შექმნილი. სხვათა შორის, თითოეული მე ჩავასმევინე ჩარჩოში. ძალიან სასაცილო სანახავი ვიყავი, როდესაც დიდი მუცლით (მაშინ ელენეზე ვიყავი ორსულად), ჩარჩოში ჩასმულ სურათებს დავატარებდი...

დათო:

— ერთი პერიოდი, ისე აქტიურობდა, რომ მედეა ჯაფარიძის კინოგმირის არ იყოს *(მხ/ფ „მზე შემოდგომისა“. — ავტ.)* შემეშინდა — ბინაც არ გადაცვალოს-მეთქი!..

— საინტერესოა, ორი არქიტექტორი საკუთარი ბინის დიზაინის შექმნაზე თუ მუშაობდით?

თამარი:

— ჩვენი ბინის დიზაინის მიხედვით, ნამდვილად ვერ იტყვი, რომ აქ ორი არქიტექტორი ცხოვრობს... მაგრამ გვაქვს მიწის ნაკვეთი, სადაც სახლს ჩვენი გემოვნებით ავაშენებთ. უკვე შევადგინეთ 5-6 ერთობლივი პროექტი. არ არის აუცილებელი, რომ სახლი დიდი იყოს, მაგრამ მასში სივრცე უნდა იგრძნობოდეს და არასტანდარტული ფორმის უნდა იყოს. რაც ყველაზე მთავარია, ჩვენს მომავალ სახლს ექნება ეზო, რადგან თბილისის კლიმატი იძლევა იმის საშუალებას, რომ წელიწადში ექვსი თვე ეზოში და ტერასაზე გაატარო. ძალიან გვიყვარს მინა და გვინდა, რომ მინის მეშვეობით სახლის ინტერიერისა და ექსტერიერის ჰარმონიული შერწყმა მოხდეს. სამწუხაროდ, ქართული რეალობა არ მოგვცემს იმის საშუალებას, რომ დამცავი გისოსებისა და ჟალუზების გარეშე დავტოვოთ...

— ალბათ ოჯახში გაქვთ რაღაც ისეთი, რაც თქვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია...

— ეს არის წიგნები და შეიძლება ითქვას, ხელოვნების უნიკალური კატალოგების კოლექცია. მას დიდი ხნის მანძილზე ვაგროვებთ. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში კი, დედაჩემი და ჩემი ძმა სერიოზულად დაინტერესდნენ მინანქრით, ამიტომ მათი ხელით გაკეთებული ბევრი ნივთი გვაქვს. განსაკუთრებით მომწონს მინანქრის ჯვარი, რომელიც ჩემმა ძმამ დაამზადა.

— სამუშაო კაბინეტი თუ გაქვთ?

— ნებისმიერ კუთხეში შემიძლია, ვაკეთო ჩემი საქმე. მაგალითად, შემიძლია, სამზარეულოში გასაკეთებელი საქმე ლოჯიაში გამოვიტანო და იქ ვაკეთო. მაქვს მობილური კომპიუტერი, ამიტომ ყველგან შემიძლია დავჯდე, მუხლებზე დავიდო და ჩემი საქმე გავაკეთო.

— როგორი მანქანები მოგწონთ?

დათო *(იცინის):*

— ჩაგეყარა წყალში ყველა მაღალფარდოვანი მსჯელობა გემოვნებაზე...

თამარი:

— „ნივა“ მყავს და ამის გამო დამცინის. მე კი ეს ავტომობილი ძალიან მომწონს. ჯერ მხოლოდ ერთი წელია, რაც მყავს. სხვათა შორის, საკმაოდ ძვირად ვიყიდეთ და ამ თანხით შემეძლო, უცხოური მარკის კარგი მანქანა შემეძინა. რა თქმა უნდა, ჯიპის ტიპის ავტომობილსაც არ დავიწუნებდი, მაგრამ მისი შენახვა ძალზე ძვირი ჯდება. სამწუხაროდ, სახელმწიფო მანქანა მემსახურება და ამის გამო, ჩემს „ნივასთან“ მხოლოდ კვირაობით „ვურთიერთობ“.

— ალბათ ძნელი არ იქნება თქვენი პოლიტიკური გემოვნების გამოცნობა...

— ნამდვილად არ ვიცი, როგორია ჩემი პოლიტიკური გემოვნება. შესაძლებელია, მოგწონდეს რომელიმე პოლიტიკოსი, მაგრამ არჩევანი ობიექტურობასა და სამართლიანობაზე უნდა იყოს დამყარებული. პოლიტიკური გემოვნება ფორმირებული უნდა გქონდეს არა საკუთარი გამორჩენის, საკუთარი სარგებლის საფუძველზე, არამედ ისეთ პრინციპებზე, რომლებიც საზოგადოების ინტერესებს იცავს და ეთანხმება. მე მომწონს საქართველოს დღევანდელი მთავრობა, მაგრამ არა იმიტომ, რომ მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენელი ვარ, არამედ იმიტომ, რომ ჩემი კოლეგების საქმისადმი თავგანწირვას ვხედავ. ძალიან ხშირად, ჩვენ არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმა გვიწევს, რადგან ძნელია, განვითარების გზაზე მყოფი ქვეყნის პირობებში, ყველაფერი სიმპათიურად აკეთო.

— ქალაქის იერსახესა და მის განვითარებაზე მინდა გკითხოთ. კერძოდ: რამდენად შეეფერება ის ფერები, რომლებიც ქალაქში დომინირებს, თქვენს გემოვნებას?

— თბილისი ფაქტობრივად, ზონებად უნდა განვიხილოთ. გულს უხარია, რუსთაველის გამზირის ზოგიერთი ძველი უბნის ხილვა; მოვლილი რომ იყოს, ძალიან საინტერესო იქნებოდა დავით აღმაშენებლის გამზირი. ნამდვილი ტრაგედიაა ქალაქის შედარებით ახალი უბნები, მათ შორის ის, სადაც მე ვცხოვრობ — რუხი, ნაცრისფერი და ბინძური. ალბათ მაშინ, როდესაც თბილისის ეს უბნები შენდებოდა, გემოვნების საკითხი არავის გახსენებია... არც 90-იანი წლების შემდეგ შეცვლილა ბევრი რამ. თუნდაც, მაღაზიების ინტერიერი ავიღოთ, რომელიც სიდუხჭირის პირობებში, ყოველგვარი დიზაინერული ჩარევის გარეშე კეთდებოდა. თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ ქალაქში უკვე გაჩნდა დახვეწილი დიზაინის მქონე რამდენიმე მაღაზია... რაც შეეხება ფერს — ის ნამდვილად არ არის გამოსავალი. რა თქმა უნდა, ფერიც გემოვნებით უნდა შეირჩეს, მაგრამ მთავარია, რომ ფერი, ფორმა და მასშტაბები ერთმანეთთან შესაბამისობაში იყოს.

— დაბოლოს: როგორია თქვენი გემოვნება საპირისპირო სქესთან მიმართებაში? რამ მოგხიბლათ თქვენს მეუღლეში ყველაზე მეტად?

— პირველ რიგში, იმან, რომ ჩემი და დათოს დამოკიდებულება გარემოს მიმართ ემთხვეოდა ერთმანეთს. განსაკუთრებით მხიბლავდა ის, თუ როგორ გამოხატავდა ის ჩემ მიმართ სიყვარულს — თუმცა, არ დავკონკრეტდები... კარგად ხატავდა, კარგად უკრავდა. საოცარი იუმორის გრძნობა აქვს. საერთოდ, მე მომწონს ჩემი მეუღლე...

■

გიორგი და ელენე მშობლებთან ერთად

როგორ დავითანხმოთ ქალი ან მამაკაცი ქორწინებაზე

ხშირად ხდება ისე, რომ ადამიანებს ერთმანეთი უყვართ, სიცოცხლე ვერ წარმოუდგენიათ უერთმანეთოდ და მაინც არ ჩქარობენ დაქორწინებას. ამ საქციელის ახსნას კი არცთუ ისე დამაჯერებელი არგუმენტებით ცდილობენ. ფსიქოლოგთა აზრით, ეს იმის გამო ხდება, რომ ქალებს და განსაკუთრებით მამაკაცებს, თავისუფლების სამუდამოდ დაკარგვის გაუცნობიერებელი შიში იპყრობთ. როგორ მოვიქცეთ, რომ ჩვენი რჩეული ქორწინებაზე დავითანხმოთ? პოპულარული ქართველები ამ მარტივ კითხვაზე გულახდილი პასუხების გაცემას შეეცადნენ...

სოფო ყარალაშვილი

გია მაჭარაშვილი:

— ქალს თავი უშუალობით და თავაზიანობით უნდა მოაწონო. შეძლებისდაგვარად დავპატიჟოთ სადმე და სიყვარულზე ვესაუბროთ. დროდადრო ჩვენს წრესაც უნდა შევაჩვიოთ. თუ ჩემი საახლობლო წრე არ მოეწონება, მე თავს დავანებებ — ე.ი. ერთმანეთის ღირსი არ ვართ. საერთოდ, ურთიერთობაში არ უნდა ითამაშო, მსახიობობა მაშინაა საჭირო, როდესაც ქალს უჭირს და შენ მის გამხიარულებას ცდილობ... აუცილებლად უნდა გააცნო მშობლებიც.

ლაშა კუკულაძე:

— პირველ რიგში, ქალმა უნდა დაინახოს, რომ მისი ერთგული ხარ, მაგრამ ზედმეტად არ უნდა გადაჰყვე. აუცილებელია, რომ მასთან ფიზიკური ურთიერთობაც გქონდეს: ხომ შეიძლება ვერ შეეწყოთ?.. ამის გამოც ინგრევა ოჯახები. ქორწინებაზე თუ ვერ ვითანხმებთ, მაშინ ურთიერთობა „დაჭერობანას“ თამაშს უნდა დავამსგავსოთ: ფიზიკურად მიუწვდომელი უნდა გახდეს ქალისთვის მამაკაცი, მაგრამ დაპირებებით უხვად უნდა კვებოს... ისე, ცოლად ყველა გამოგყვება, თუ მაგარი მანქანა და სახლი გაქვს, აუზითა და „ელექტროუნიტაზით“. ამას დღევანდელი თაობიდან გამომდინარე ვამბობ.

თემურ წიკლაური:

— პირველ რიგში, ქალს დიდი სიყვარული უნდა ვაჩვენოთ. ისე, ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა მხოლოდ სულელს შეუძლია, მაგრამ მაინც გიპასუხებთ: ქალს თავი უნდა შეაყვარო და მერე ყველაფერი თავისთავად მოხდება. ქალმაც და კაცმაც ერთად უნდა შეყოთ უღელში თავი და ჭაპანი გასწიოთ.

კახი კავსაძე:

— ქალი ისეთი არსებაა, რომ მას იძულებით ვერაფერს გააკეთებინებ. უნდა იხტუნაო მის გარშემო, ყველანაირად ეცადო, რომ შეგამჩნიოს. პირველ რიგში, უნდა გაარკვიო, რა მოსწონს. შეიძლება, სულელი კაცები მოსწონდეს — ამ შემთხვევაში, სულელი უნდა გახდე და როდესაც მიზანს მიაღწევ, მაშინაც კი არ უნდა დაჭკვიანდე, თორემ გაგექცევა. ქალი რთულია, ქვეტექსტებითაა სავსე...

ია ჩანტლაძე:

— იმის გამო, რომ მამაკაცის გულისკენ მიმავალი გზა კუჭზე გადის, პირველ რიგში, კულინარიით უნდა მოვხიბლოთ. ხშირად უნდა ვაქოთ და ვადიდოთ. ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც მას მოსწონს, არაფერში არ უნდა შევეწინააღმდეგოთ, არ მივცეთ შენიშვნები. ყოველთვის კარგ ხასიათზე უნდა გვხედავდეს და ჩვენი პრობლემები არ უნდა მოვახვიოთ თავზე. ყველაფერ ამის შემდეგ იმედია, გადაწყვეტილებას მიიღებს. ისე, როგორიც ვარ, ისეთს თუ მიმიღებს, კარგი იქნება.

რუსა მორჩილაძე:

— მრავალფეროვანი უნდა გახდე, უნდა გააგიჟო, სხვა შემთხვევაში ცოლად არ მოგიყვანს. უნდა აგრძნობინო, რომ თუ ის ახლავე არ მოგიყვანს, მაშინ სხვას გაჰყვები ცოლად. კაცს მოსწონს, როდესაც ქალი ფეხსაცმელს უწმენდს. სულ უნდა ვუმეოროთ, რომ ის კარგი ადამიანი და არაჩვეულებრივი მამაკაცია. ამასთანავე, ყოველთვის უნდა აღვნიშნოთ, რომ ის შესანიშნავად ოხუნჯობს... საერთოდ, ნორმალურები არ ვიქნებით, თუ გათხოვებას გადავწყვეტთ.

ელენე თევდორაძე:

— მე გათხოვებას არ ვაპირებ. ისე გეტყვით: იმისათვის, რომ მამაკაცი ქორწინებაზე დავითანხმოთ, ფორმაში ყოფნასთან ერთად, არასოდეს უნდა ვიწუწუნოთ მისი თანდასწრებით, თორემ დაფრთხება. აუცილებელია გემრიელი კერძებიც. ამ საკითხში ახალგაზრდებისთვის რჩევის მიცემა ზოგჯერ ღალატის ტოლფასია, შეიძლება, მისი მტერიც კი გახდე... ისე, თუ რომელიმე გოგონას სჭირდება რჩევა, რომ მისი მეუღლე ციხეში არ მოხვდეს, კონსულტაციაზე ველი...

გია ჯავჯანიძე, *ფსიქოლოგი:*

— იმისათვის, რომ ქალმა დაითანხმოს მამაკაცი ქორწინებაზე, უნდა იცოდეს, რომ მისი პოტენციური მონაა (ვითომ). მაქსიმალურად უნდა აჩვენოს, რომ იზიარებს მის აზრს და საერთოდაც, აღფრთოვანებულია მისით. ქალმა კაცი კომპლიმენტებით უნდა აავსოს, როდესაც კაცი ლაპარაკობს, ქალმა უნდა უსმინოს. აუცილებლად უნდა დაინტერესდეს მისი წარსულით, საგმირო თავგადასავლებით. თუ საღედამთილოს გაიცნობს, რჩეულთან უნდა აღნიშნოს, რომ მას საოცარი დედა ჰყავს...

მამაკაცმა რომ დაითანხმოს ქალი ქორწინებაზე, ამ შემთხვევაში, აუცილებელია, გამოიჩინოს ყურადღება, მოუწყოს სიურპრიზები. გაცნობისთანავე მამაკაცმა ქალს უნდა დაანახვოს, რომ მკაცრი და შეუვალია და ვერ ამჩნევს მის ღირსებებს; შემდეგი შეხვედრისას, უბრალოდ უნდა გამოელაპარაკოს, მაგრამ შესამჩნევი უნდა იყოს, რომ ჩუმჩუმად უთვალთვალებს ამ ქალს; შემდეგ უკვე უნდა გააკეთოს ის, რაც ქალს სიამოვნებს... კარგი იქნება, თუ კაცი ეტყვის ქალს, რომ მას აქვს ძალიან ლამაზი ხელის თითები; თუ არა აქვს, მაშინ უნდა უთხრას, რომ მისგან დადებითი ველი მოდის... ზოგიერთ ქალს ხანგრძლივი ფლირტი მოსწონს, კაცმა ეს უნდა გაარკვიოს.

■

როდესაც გულისხმას ავყევი...

„გზავნილების“ დღევანდელ თემას ძალზე ბევრი მკითხველი გამოეხმაურა. აღმოჩნდა, რომ თითოეულ მათგანს ძალზე „საინტერესო“ და „მრავალფეროვანი“ „გულისხმა“ ჰქონია. გულისხმა გეუბნებათ, რომ თქვენი სატრფო გახდილი უნდა ნახოთ? მაშ, დაუჯერეთ მეორე გულისხმას, რომელიც გეუბნებათ, რომ ამისათვის საჭიროა, ჯერ ჩააცვათ მას. სხვაგვარად არ შეიძლება. თანაც, რაც უფრო მეტ ტანისამოსს ჩააცმევთ, მით უფრო საინტერესოდ მოგეჩვენებათ საპირისპირო პროცესი...

მარი ჯაფარიძე

„...ჩემი თავი შემძულდა... ასე დამღუპა გულისთქმის აყოლამ“

თუ გსურთ, ქალის გული მოიგოთ, შეგიძლიათ გაითვალისწინოთ ამერიკელი სოციოლოგების გამოკვლევის შედეგები: 1. ქალების 30% გულგრილია მოდის მიმართ; 2. 28%-მა ყოველთვის ზუსტად იცის, თუ რომელი ტანისამოსის ყიდვა სურს. 3. მხოლოდ 6% ყიდულობს ტანისამოსს ბაზრობაზე, დანარჩენები დადიან მაღაზიებში სწორედ იმ დროს, როდესაც ვიტრინაზე გამოკრულია წარწერა: ფასდაკლება – ყოველი მეექვსე როლინგი – უფასოდ; 4. 15% ირწმუნება, რომ ტანსაცმელი მხოლოდ იმისთვის არის საჭირო, რომ პრობლემური ზონები დაფაროს (სად არის ეს ზონა, მამაკაცების საქმე არ გახლავთ, ამიტომ საყვარელი ქალბატონისთვის ტანისამოსის შერჩევისას იხელმძღვანელეთ იმ აზრით, რომ მას დასაფარი არაფერი აქვს); – ამ „იგავს“ კი, პირველი რესპონდენტის ამბავს რომ გაეცნობით, ბოლომდე მაშინ ჩასწვდებით... 5. ქალების 63% აღიარებს, რომ ოცნებობს შავ ან წითელ, მაქმანებიან საცვლებზე...

საშწუხაროა, რომ ჩვენს ერთ-ერთ მკითხველს ყოველივე ამის შესახებ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. სწორედ ამიტომ, გულისხმას აყოლილი, სავალალო სიტუაციაში აღმოჩნდა. გვიამბობს 30 წლის ლევანი:

მეოცნებე შეფი და „პრაქტიკული“ მდივანი

„ერთ-ერთი კერძო ფირმის დირექტორი ვარ. მდივანი გოგონა გამითხოვდა. ამის გამო იძულებული გავხდი, გაზეთში განცხადება გამომექვეყნებინა, ვაკანტური ადგილის დასაკავებლად. ყველა მსურველი ერთ დღეს დავიბარე და დავიწყე მათი სათითაოდ მიღება გასაუბრებისთვის. უამრავმა გოგონამ მოიყარა თავი მისაღებში. 7 საათის განმავლობაში, შეუსვენებლივ ვიძახებდი მათ და ვესაუბრებოდი. ზოგი გარეგნობით არ მომეწონა, ზოგი, ლაპარაკის მანერით დავიწუნე... საღამო ხანს, ისეთი დაღლილი ვიყავი, საკუთარი გაჩენის დღეს ვწყევლიდი. თან ვბრაზობდი: რამ გადაავიშა ასე ეს ქართველი გოგონები, რომ ას გოგონაში ერთი მდივანი ვერ შევარჩიე-მეთქი?! არაქათგამოცლილმა დავიძახე – შემდეგი-მეთქი! კარი გაიღო და ისეთი ქალი შემოვიდა, პირი ღია დამრჩა. სავარძლიდან უცებ წამოვდექი. ის კი, თეძოების რხევით მოდიოდა, ისე, როგორც ჯიშიანი ცხენი. მაღალი, ზომიერად ფერხორციანი, გრძელი, ხვეული, წითელი თმით... ჩემს გაწვდილ მარჯვენას ზედაც არ შეხედა, ისე მოკალათდა სავარძელში და თვალების ფახულით მომაჩერდა. ერთი-ორი სიტყვა გავუცვალეთ ერთმანეთს და ვუთხარი: – შეგიძლიათ, ორშაბათიდან საქმეს შეუდგეთ-მეთქი. იმ ღამით მასზე ფიქრმა არ მომასვენა. მომავალი 10 წელი მაინც დავგეგმე. თვალწინ მედგა ლოგინის სცენები თუ მისი ჩაცმა-გახდის პროცესი და ორშაბათის დადგომას მოუთმენლად ველოდი. დილით საგანგებოდ გამოვიპრანჭე და უჩვეულოდ ადრიანად გამოვცხადდი სამსახურში. იმ დღიდან დაიწყო ჩემი ტანჯვა. სოფიკო ისე მექცეოდა, თითქოს უფროსი ის გახლდათ, მე კი – მისი რიგითი თანამშრომელი ვიყავი. ამან უარესად გამახელა. ყოველთვის ისეთ ტანისამოსს იცვამდა, რომ კაბის ჭრილი თუ გულისპირი იქ მთავრდებოდა, სადაც ყველაზე საინტერესო უნდა დაწყებულიყო. თავისი ქცევით კი ისეთ ხათრსა და რიდს ნერგავდა, რომ ზედმეტს ვერაფერს ვუბედავდი. 8 მარტის დადგომამდე დღეებს ვითვლიდი, რომ რაიმე ტანისამოსი მეყიდა – სწორედ ისეთი, საინტერესო ადგილს რომ გამოუკვეთდა. ასეც მოვიქეცი. ჩემი ნაყიდი მაისური ტანზე მართლაც გამომწვევად მოადგა... ერთხელ ბანკეტზე მიწვევა მივიღე, სადაც ქალაქის ელიტა იქნებოდა თავმოყრილი. სოფოს შევთავაზე, ჩემთან ერთად წამოსულიყო. იუარა და მიზეზად შესაფერისი ტანისამოსის არქონა დაასახელა. მეორე დღესვე წავიყვანე საუკეთესო მაღაზიაში და ჩემი გემოვნებით შერჩეული საღამოს კაბა შევუძინე. ყველაზე ლამაზი ქალი მე მიმშვენებდა გვერდს იმ ბანკეტზე. მე კი, თავგზა ისე მქონდა აბნეული, რომ 15 წლის ბიჭივით ვიქცეოდი... შემდეგ, დაბადების დღისთვის, მართალია, გაგანია ზაფხული იყო, მაგრამ ძვირად ღირებული „შუბა“ ვაჩუქე. მისი გულწრფელი მადლობა მაინც ვერ დავიმსახურე. ჩემი ძმაკაცებიც თვალებს აჭყეტდნენ მის დანახვაზე, მაგრამ ჩემი შიშით ვინ რას ეტყოდა?.. ამასობაში, ზამთარიც მოვიდა. მე ისევ ისე შორიდან ვეტრფოდი სოფოს, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, მის ცხოვრებაში სხვადასხვა მამაკაცი არსებობდა და პირველი მე არ ვიქნებოდი... ზამთარში ჩექმაც ვაჩუქე, შემდეგ კი ვუთხარი: – საგანგებოდ გამოეწყვე, რესტორანში ხარ დაპატიჟებული-მეთქი. ის კი დავუმალე, რომ მხოლოდ მე და ის ვიქნებოდით. მთელი ღამე ოცნებაში გავათენე. გადაწყვეტილი მქონდა, რესტორნიდან შინ მომეყვანა და მასთან ვნებიანი ღამე გამეტარებინა. ჩემს ნაყიდ კაბაში, ჩექმასა და „შუბაში“ გამოწყობილი მოვიდა. აღფრთოვანებული დავრჩი, ისეთი ლამაზი იყო. საღამო რესტორანში გავატარეთ, შინ კი ნამცხვარსა და ყავაზე დავპატიჟე. უარი არ უთქვამს... სანთლის შუქზე ვისხედით გვერდიგვერდ და მუსიკას ვუსმენდით.

შემდეგ ხელი გადავხვიე, ჩავიხუტე და გახდა დავუწყე. არ გამძალიანებია. კაბა გავხადე, თან აღტაცებისა და ნეტარებისგან ვცახცახებდი, ჩექმაზე შესაკრავები ნელ-ნელა გავუხსენი და გავხადე, მაგრამ იმის იქით აღარ გამიშვა. საცვლებისა და კოლგოტის ამარა დარჩა. ვემუდარებოდი, გაიხადე-მეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად. იცით, რა მითხრა? – შენი ნაყიდი რაც მეცვა, იმის გახდის უფლება გქონდა, დანარჩენი შენ არ გიყიდია, ამიტომ არც იოცნებო, რომ გავიხდიო... მაშინ ვინანე, რომ იმდენი ვერ მოვიფიქრე, საცვლებიც მეყიდა მისთვის. როგორც ჩანს, ჩემმა გულისხმამ ბოლომდე ვერ მიკარნახა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი“.

ქალის სიმთვრალის რამდენიმე სახეობა არსებობს: 1. „კონკიასებრი“ – როცა შინ ცალი ფეხსაცმლით მიდიხარ; 2. „ფიფქიასებრი“ – როცა დილით შვიდ მამაკაცთან ერთად იღვიძებ; 3. „წითელქუდასებრი“ – როცა დილით ბებიის სწოლში იღვიძებ; 4. „ძმინარე მზუთანხავისებრი“ – როცა 100 წელი არაფერი გახსოვს; 5. „ამორძალისებრი“ – როცა თევზის სუნით ყარხარ; 6. „კოლუმბისმაგვარი“ – არ იცი, სად მიდიხარ. მიხვედი – არ იცი, სად ხარ; 7. „მიკიმაუსისებრი“ – როცა ყურები დასივებული გაქვს, თეთრი ხელთათმანი გაცვია და მთლად შიშველი ხარ... ეს ხუმრობით, მაგრამ თუ სერიოზულად დავფიქრდებით, მაინც ვერ მივხვდებით, „ვისებრი“ სიმთვრალე ახასიათებს ჩვენს მომდევნო რესპონდენტს, რომელიც გულისხმას აყოლილი კარგად შექეიფიანდა და შემდეგ... თუმცა ჯობს, თვითონ თამუნას მოვუსმინოთ.

„ღორივით მოთხუპნილი მიველი შინ...“

„შარშან ზაფხულში მეგობრებმა გადავწყვიტეთ, ბუნების წიაღში გვექეიფა. შევიკრიბეთ და ორი მანქანით ბაზალეთისკენ მიმავალ გზას დავადექით. ტყეში კოცონი დავანთეთ, მწვადი შევწვით და კარგად მოვილხინეთ. საერთოდ, სასმელს არასოდეს ვსვამ, სუნსაც კი ვერ ვიტან, მაგრამ იმ დღეს, კაეშანი შემომწვა, შეყვარებულთან უთანხმოების გამო და რატომღაც დათრობა მომინდა. ავყევი გულისხმას და ჭიქას ჭიქაზე ვცლიდი; არც განსხვავებულ სასმისზე ვამბობდი უარს. ერთი სიტყვით, მაგრად დავთვერი და ერთ-ერთი სუფრის წევრი თვალში აღარ მომივიდა (ის მეგობარ ბიჭს ახლდა). ავუხირდი და ჯერ თავზე სასმელი დავასხი, შემდეგ, გადავუბრუნე ხის კუნძი, რომელზეც ვჯდა და წავაქციე... უკვე კარგად დაღამებული იყო, როდესაც შინისკენ გამოვწიეთ. გზაში ავტყდი – გამიჩერეთ, ტუალეტში მინდა-მეთქი. რომ არ გამიჩერეს, ჯერ ვიტირე, მერე ვიჩხუბე და ვაიძულე, გაეჩერებინათ. ტყის პირას ვიყავით. გადავწყვიტე, შიგნით შევსულიყავი (იმდენი აზრი კი მქონდა, რომ იქვე ჩაცუცქება სირცხვილი იყო), რაღაც არხს გადავახტი, ჩემი საქმე მოვითავე და უკან დაბრუნებისას, იმ არხში ცალი ქოში ჩამივარდა. გრძელი სარაფანი მეცვა. ზევით ავიწიე, წავიკუზე და ქოშის ძებნა დავიწყე. წავიქეცი. ფეხები გავშალე და ისე დავიწყე ფეხსაცმლის ძებნა, რადგან ფეხზე ადგომის თავი არ მქონდა. ვატყაპუნებდი ტალახში ხელებს და ვტიროდი: რაღა მეშველება? შინ ფეხშიშველი როგორ მივიდე-მეთქი?!. ვერ ვიპოვე, ამიტომ მეორე ქოშიც გავიძვრე და შორს მოვისროლე. პირდაპირ წამოდგომა ვერ შევძელი, ამიტომ გვერდზე გადავბრუნდი, ოთხზე დავდექი და ისევ წავიქეცი. ამასობაში, რომ შემაგვიანდა, ძებნა დამიწყეს და როგორც იქნა, მიპოვეს. თავიდან ფეხებამდე ტალახში ამოსვრილი ვიყავი. – ასე დასვრილი მანქანაში როგორ ჩაგსვათო?.. – მეუბნებოდნენ; მეტი რა გზა ჰქონდათ? ასე, ღორივით მოთხუპნილი მივედი შინ, თანაც – ფეხშიშველი. მამაჩემმა კინაღამ დამახრჩო... მეორე დღეს, მანქანა მე გამარეცხვინეს. მერე, მთელი თვე ვისმენდი რჩევა-დარიგებებს მშობლებისგან და უკვე მთელი წელია, დამცინიან მეგობრები“...

შემდეგი რესპონდენტი, 29 წლის ქალბატონი გახლავთ. არ ვიცი, თქვენ როგორი შთაბეჭდილება დაგრჩებათ, მაგრამ მე მისი გულისხმა მაინცდამაინც არ მომწონს. ნათქვამია – ანაბარი მგელმაც იცისო, – ამიტომ, ნდობა, რომელიც ადამიანებმა შენ მიმართ გამოხატეს, ეფიქრობ, უნდა გაამართლო... აი, რას გვიამბობს ქეთი:

„დავუმალე, რომ მშობლები ჰყავს...“

„ზესტაფონში გავიზარდე. სკოლა რომ დავამთავრე, თბილისში, უცხო ენათა ინსტიტუტში ჩავაბარე, მშობლებმა დიდუბეში ერთოთახიანი ბინა დამიქირავეს და დაიწყო ჩემი სტუდენტური ცხოვრება. ჩემს მეზობლად, ოჯახი ცხოვრობდა, რომელსაც ერთი შვილი ჰყავდა, ჩემზე 4 წლით უფროსი ვაჟი. ჩემსა და ზაზას შორის თავიდანვე მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. მე მხოლოდ 17 წლის ვიყავი და ზაზას მშობლები დიდ ყურადღებას მაქცევდნენ. ძალზე მოკრძალებულად ვცხოვრობდი და ამის გამო, სულ მაქებდნენ. სულ მალე ზაზამ გამიმხილა, რომ შეყვარებული ჰყავდა, გამაცნო კიდეც. ძალზე კარგი გოგონა იყო. შემდეგ მათ გადაწყვიტეს, გაპარულიყვნენ და მე ძალზე დიდი წვლილი შევიტანე მათ დაქორწინებაში. ერთი სიტყვით, ისე გავიხარე, როგორც საკუთარი ძმის ბედნიერებით გავიხარებდი. მალე ზაზას მშობლები ამერიკაში წავიდნენ. ახალგაზრდები მარტონი დარჩნენ და მე მათი ოჯახის განუყრელი წევრი გახლდით. როცა ნინო ფეხმძიმედ იყო, საოჯახო საქმეში ვეხმარებოდი, შემდეგ, როცა იმშობიარა, ღამესაც მათთან ვათევდი და პაწაწინა გვანცას მოვლაში ვეხმარებოდი. გვანცა ჩემს ხელში გაიზარდა. ძალზე მიყვარდა. ორი დღეც რომ გასულიყო ისე, რომ არ მენახა, უზომოდ მენატრებოდა... ბავშვი 2 წლის რომ გახდა, ზაზამ და ნინომ გადაწყვიტეს, მშობლებთან სტუმრად ამერიკაში წასულიყვნენ. ამისთვის მათ 6 თვე სჭირდებოდათ, ბავშვის დამტოვებელი კი არ ჰყავდათ, რადგან ნინოს დედა არ ჰყავდა, მამას კი სხვა ოჯახი ჰქონდა. მთხოვეს – ბავშვი დაიტოვე, სამაგიეროდ, რომ დავბრუნდებით, პატივისცემას არ მოგაკლებთო. უარი არ მითქვამს. მაშინ მე-4 კურსს ვამთავრებდი. ზაფხულში მაინც არდადეგები მქონდა, მერე კი რაღაცას მოვახერხებ-მეთქი – ვუთხარი და ისინიც დამშვიდებული გაემგზავრნენ. დაიწყო ჩემი და გვანცას თანაცხოვრება. ბავშვს არაფერს ვაკლებდი. ფულს იქიდან მიგზავნიდნენ, ჩემი საქმე მხოლოდ მისთვის ყურადღების მიქცევა იყო. გავიდა 6 თვე. ზაზამ დამირეკა და მითხრა: მე და ნინო ერთი წლით დავრჩებით, შენი ბინა დაცალე, საცხოვრებლად ჩვენს ბინაში გადადი, ჩვენ კი არაფერს მოგაკლებთ, არც შენ და არც ბავშვსო. საწინააღმდეგო რა უნდა მქონოდა?.. ასეც მოვიქეცი. ინსტიტუტი წვალებ-წვალებით დავამთავრე, გვანცა თან დამყავდა ხოლმე, ხშირად ლექციებს ვაცდენდი კიდეც. მაგრამ როგორც იქნა, სახელმწიფო გამოცდაც ჩავაბარე. ერთი წელი უსასრულოდ გაიწელა და 7 წლად იქცა... გვანცა საკუთარი შვილივით გავზარდე. სკოლაშიც მე მივიყვანე, ყველას მის დედად წარვუდგებოდი ხოლმე. ბავშვი „დედას“ მეძახდა და დღემდე დარწმუნებულია, რომ ჩემი შვილია: მე მას დავუმალე, რომ მშობლები ჰყავს და საზღვარგარეთ არიან... გვანცა უკვე 9 წლისაა და წარმოდგენა არა აქვს, თუ ვინ არის მისი ნამდვილი დედა. ახლა მისი მშობლები დაბრუნებას აპირებენ. აღარ ვიცი, რა ვქნა. გვანცა რომ წამართვან, მოკვდები. ამ გოგონას გარეშე ჩემი ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. ის ჩემი შვილია, მას შევწირე საუკეთესო წლები, არც გავთხოვდი. ახლა გვანცას გარეშე როგორ უნდა ვიყო?.. გულისხმა მეუბნება, რომ ბავშვიანად საზღვარგარეთ წავიდე და ჩემი ადგილსამყოფელი არავის შევატყობინო. ორ ცეცხლს შუა ვარ და თუ ეს პრობლემა ვერ გადავჭერი, თავს მოვიკლავ...“

შემთხვევით ყურმოკრულ ტელეფონის ნომერზე თუ დარეკავთ საკუთარი გულისკარნახით, შესაძლოა, ბედსაც ეწოთ – ისე, როგორც ეს ჩვენს მომდევნო რესპონდენტს შეემთხვა.

„პაემანზე გაცეცხლებული მივდიოდი...“

„ერთხელ ღამით აივანზე გავედი. მეზობელი აივნიდან უცნობი ბიჭის გაცხარებული ლაპარაკი მომესმა. შეყვარებულს ეჩხუბებოდა ტელეფონით. მერე უთხრა: იქნებ, ჩემი მობილურის ნომერიც დაგავიწყდაო? – და ნომერიც ხმამაღლა თქვა. რატომღაც კაიფის ხასიათზე დავდექი, გულისხმას ავყევი და ამ ნომერზე მესიჯი გავაგზავნე: – გამარჯობა, სიხარულო, სად დამეკარგე? ასე უნდა დავიწყება? – პასუხმა არ დააყოვნა: – ვინ ხარ და შემთხვევით შენი სახელიც ხომ არ ვიცი?.. – მერე წავიჩხუბეთ და ამ ბიჭს უკვე ველარ ვიტანდი. არადა, აღარ მანებებდა თავს და შეხვედრას მთხოვდა. მერე მითხრა – ვიცი, ვინც ხარ და ჩემი ტელეფონის ნომერი საიდან გაქვს. შემხვდი და თუ ვცდები, ბოდიშს მოგიხდიო. კიდევ ერთხელ ავყევი გულისხმას და დავთანხმდი შეხვედრაზე. პაემანზე გაცეცხლებული მივდიოდი. ვფიქრობდი – ერთს კარგად გამოვლანძღავ და წამოვალ-მეთქი, – მაგრამ რომ დავინახე, იმდენად მოვიხიბლე მისი გარეგნობით, რომ გაღიმება მოვახერხე მხოლოდ: აღმოჩნდა, რომ ნომერი შემშლია და ასე შემთხვევით გავიცანი ბიჭი, რომელმაც ჩემი გულის დაპყრობა შეძლო და ულამაზესი გრძნობა მაჩუქა. ასე რომ, სულაც არ ვნანობ, გულისხმას რომ ავყევი“.

ხშირია შემთხვევა, როდესაც იძულებული ხარ, მშობლებსა და საყვარელ ადამიანს შორის არჩევანი გააკეთო... გააჩნია, გულისხმა რას გიკარნახებს და საით გადაიხრები. მოვუსმინოთ ნინოს. მისი წერილიდან ჩანს, რომ ნაშვილებია, მაგრამ ახლა სხვა პრობლემის წინაშე დამდგარა:

„მთელი საქართველოს წინაშე ვთხოვ დედაჩემს...“

„6 წლის წინ შემიყვარდა ბიჭი. მასაც შევუყვარდი, მაგრამ სიამაყის გამო ვერ ვუმხელდი. თვითონ კი ხვდებოდა, მაგრამ... ვფიქრობ, ქვეყანაზე ბევრი ბოროტი ადამიანი არსებობს და სწორედ ასეთ ადამიანებს ჩემთან ცუდი ამბები მოჰქონდათ. ჩვენი ურთიერთობის წინააღმდეგი იყო ჩემი ოჯახი. ამიტომ არ მინდოდა, ჩემიანებისთვის გული მეტკინა. გრძნობის წინაშეც უძლური აღმოჩნდი... როცა ვფიქრობდი, რომ უკვე დავივიწყე და სხვაზე გათხოვებას ვაპირებდი, სწორედ იმ დღეს აწკრიალდა საბედისწერო ზარი. როცა მისი ხმა გავიგონე, ყველაფერი დამავიწყდა. მივხვდი, რომ ამ უდიდეს სიყვარულზე უარს ვერ ვიტყოდი. მინდოდა, სიამაყე გამომჩინა, მაგრამ ველარ დავმალე და ვუთხარი, რომ თავდავიწყებით მიყვარდა... მშობლებს ყველაფერი ავუხსენი, ვთხოვე, გაეგოთ ჩემთვის, მაგრამ გაჯიუტდნენ. იცით, რა ცუდია იმის ცოდნა, რომ ნამდვილმა მშობლებმა არ ისურვეს შენი აღზრდა, გაგაშვილეს და ბედნიერების დღეს, არც გამხრდელი მშობლები გეყოლება გვერდით?.. სწორედ ეს არ მინდა მოხდეს. მაგრამ ვერც დათოზე ვიტყვი უარს. მე უკვე გონებით კი არა, გულით ვმოქმედებ, ვფიქრობ, გაამართლებს. მთელი საქართველოს წინაშე ვთხოვ დედაჩემს, რომ გამიგოს და მიიღოს ის ადამიანი, რომელიც მიყვარს. წინასწარ გიხდით მადლობას. ნინო“.

„გთხოვთ, მკაცრად ნუ განმსჯით...“

„მე საკუთარმა გულისთქმამ დამღუპა. შარმან ზაფხულში ჩემმა ერთ-ერთმა მასწავლებელმა დამპატიჟა თავისი ვაჟის მეგობრებთან ერთად ექსკურსიაზე. უარი არ მითქვამს. მშობლები არ მიშვებდნენ, მაგრამ მაინც წავედი. წლოვანებით ყველაზე უმცროსი მე ვიყავი. გავუდექით გზას. ჩემი მასწავლებლის შვილის გვერდით ადგილი თავისუფალი იყო და იძულებული გავხდი, იქ დავმჯდარიყავი. ცოტა ხანს ვისაუბრეთ, მერე ხელი გადამხვია, თვალებში ჩამხედა და მითხრა: – ძალზე ლამაზი ტუჩები გაქვს, კარგი გოგო ხარ და მიყვარხარო. გავოცდი: – როდის შეგიყვარდი-მეთქი?!. – არ ვიცი,– მიპასუხა... აი, სწორედ აქ ავყევი გულისთქმას და როცა ყველას თვალწინ ძალზე ვნებიანად მაკოცა, წინააღმდეგობა არ გამიწევია... მერე მდინარეშიც ვიბანავეთ. დედამისი გახარებული იყო და ცდილობდა, მარტონი დავეტოვებინეთ. მთელი დღე მოცინიდა და მეფერებოდა ჩემი კავალერი. მეც, თითქოს გონება დამიბნელდა – არც ვეურჩებოდი... შინ ღამის 2 საათზე მივედით. ოჯახში ყველა შეშფოთებული დამხვდა. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ 10 წუთში რეკავდნენ და ამბებს ივებდნენ... მას შემდეგ ის ყოველდღე მნახულობდა. ჩემი დაბადების დღე შინ აღვნიშნე და დედამისი და მისი და მოვიდნენ სტუმრად. მეორე დღეს, დილით კი, თვითონ მოვიდა. ჩემი მშობლები სამსახურში იყვნენ წასული და შინ მარტო ვიყავი. ვისაუბმეთ. ცოტა ხნის შემდეგ კი მითხრა: – შენ გგონია, მართლა მიყვარხარ? ვერთობიო... ხმაც არ ამომიღია, მივედი და ვაკოცე. საღამომდე ერთად ვიყავით. მერე წავიდა და ერთმანეთს გამარჯობასაც აღარ ვეუბნებით. დედამისსაც ძალზე ცუდად ულაპარაკია ჩემზე. მთელ ახლობლებს მოსდო ჩემი და მისი შვილის ურთიერთობის ამბავი. როცა დავფიქრდი, ჩემი თავი შემძულდა. ჯერ ძალზე ახალგაზრდა ვარ და ასე დამღუპა გულისთქმის აყოლამ. ძალზე განვიცდი მომხდარს. გთხოვთ, მკაცრად ნუ განმსჯით! მარი, დაბეჭდე ეს მესიჯი: ის ადამიანები წაიკითხავენ, საკუთარ თავს ამოიცნობენ და მიხვდებიან, რომ საშინლად დამიმახინჯეს სული და ხორცი...“

ახლა კი, ტრადიციისამებრ – მოკლე მესიჯები.

„აი, როგორი მარცხი ვიგემე“...

„გზის“ წინა ნომერში პატიმრის მიერ გამოგზავნილი მესიჯი წავიკითხე. მინდა ბაჩოს ვუთხრა, რომ ნუ შეეცდება ჩემთან ურთიერთობას, მე ჩემს გულისთქმას აღარ ავყვები“...

„როცა გულისხმას ავყევი, სწორედ მაშინ დავიღუპე. როგორც იქნა, გ. შემიყვარდა. ის ჩემზე 12 წლით უფროსია. გულისხმას რომ ავყევი და გავუმხილე, მას შემდეგ დაიკარგა. ნია“.

„სკოლის მოსწავლე რომ ვიყავი, ერთ ბიჭს ვეპრანჭებოდი. ქალი ჭკუაზე არ ვიყავი. რას არ ვაკეთებდი, რომ მისი ყურადღება მიმეპყრო. ჰოდა, ერთხელ, თავის გამოჩენის მიზნით, მის დასანახავად თანაკლასელს სირბილში გავეჯიბრე. შუა სტადიონზე მორბენალი კვიცივით მივრბოდი. მივუახლოვდი თუ არა ჩემს ტურფას, შუა სტადიონზე გავიშხლართე. როგორ დამცინებდნენ, ხომ აზრზე ხართ?!. აი, როგორი მარცხი ვიგემე, როცა გულისკარნახს ავყევი“.

„რამდენად უაზროდაც არ უნდა მოგეჩვენოთ, სიმართლეა, რომ ერთი ბიჭი ტელეფონით შევიყვარე. აზრზე არ ვიყავი, ეს როგორ მოხდა. ისე ავყევი გულისხმას, ღამის რაიონში ჩავაკითხე. მერე, გაცნობისას, მაგრად „გადამაგდო“. ახლა მასზე გაბრაზებული, ყველა ბიჭს ვეკაიფები. აბა, მიყურონ! ყველა ქალის ჯინი უნდა ვიყარო. შენ კი, სამტრედიელო გადარეულო, მაგრად მიფრთხილდი, თორემ, შენც აჰყვები გულისხმას და მერე მეძიე, რამდენიც გინდა. ხატია“.

„ავყევი გულისხმას და ერთი ნახვით შევიყვარე გელა დ-ძე. ის კი, აღგა და ვიღაც სოფოზე გამცვალა. დღემდე ვიტანჯები. ასე დავისაჯე. სოფიკო“.

„ნეტავ, გულისხმას ავყოლოდი და ბოროტი ენებისთვის ყური არ დამეგდო. ალბათ, ახლა ერთად ვიქნებოდით, ნიკუშ. გულსაც არ გატკენდი. მაპატიე. ცხოვრება მიდის რეპეტიციის გარეშე“.

„გულისხმას რომ ავყევი, შენი სიყვარულის ძალა ვიგრძენი. გულისხმას რომ ავყევი, შენც დაგკარგე. გულისხმას რომ ყურს ვუგდებ, უზომოდ მენატრები. გიო, მეც მიყვარხარ“.

ამჯერად „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო თემად კი გთავაზობთ: – ჩემი უგუნური ნაბიჯი. დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომრზე: 8(77) 45.68.61. მოგვწერეთ, როდის და რატომ გადადგით ასეთი ნაბიჯი. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. ■

აკვიატებული მოქმედება

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ყველა ადამიანს ჰქონია რაღაც აკვიატება: ზოგი გამუდმებით ითვლის თეთრ ავტომანქანებს, ზოგი ცდილობს, ასფალტის ყველა ნაპრალს გადააბიჯოს, ზოგი დღეში ასჯერ მაინც იბანს ხელებს. რა არის ეს — უბრალო ჩვევა თუ სერიოზული დაავადების დასაწყისი?

აღმოჩნდა, რომ ეს სულელური ჩვევები, რომელთა ტყვეობაშიც დროდადრო ხვდება ადამიანი, სავსებით ნორმალური მოვლენაა, თუკი იგი ხასიათის თავისებურებად არ იქცევა.

ყველასთვის ნაცნობია სიტუაცია, როცა თავში რაიმე სიმღერის მოტივი ან ცნობილი ფრაზა განუწყვეტლივ გვიტრიალებს. აკვიატებული აზრები ხანგრძლივად რჩება ცნობიერებაში. საკმაოდ გავრცელებულია შინ მიბრუნების აკვიატებული სურვილი, რათა გადავამოწმოთ, გამორთულია თუ არა უთო ან ჩაკეტილია თუ არა კარი. ადამიანს ტანჯავს ასეთი მდგომარეობა, მაგრამ თავს ვერ აღწევს მას.

თუ მოქმედებები (და არა აზრები) მეორდება გაფუჭებული ფირფიტის მსგავსად, მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ აკვიატებულ მოქმედებებზე. სისუფთავისადმი ავადმყოფური სწრაფვა აიძულებს ადამიანს, გამუდმებით იბანოს ხელები, ხარშოს თეთრეული, ჩაატაროს დეზინფექცია თავის საცხოვრებელში. თვლისადმი მისწრაფება კი, საგნების მრავალჯერ გადათვლაში გამოიხატება. ვერც ერთ საქმეს ვერ მიიყვანთ ბოლომდე, თუ მუდმივად გდევთ საკუთარი მოქმედების გადამოწმების სურვილი. ზოგიერთი აკვიატებული ჩვევა საკმაოდ სასაცილოდ გამოიყურება. მაგალითად, ვიღაც ჩაციკლულია იმაზე, რომ ტანსაცმელი მაინცდამაინც მკაცრად განსაზღვრული თანამიმდევრობით უნდა ჩაიცვას.

გამომწვევი მიზეზები

● აკვიატებული ჩვევა ზოგჯერ გაუცნობიერებლად წარმოადგენს საკუთარ თავში აგრესიის დათრგუნვის, რაღაც უსიამოვნებისგან გაქცევის მცდელობას.

● წარსულში განცდილი წარუმატებლობები და ფსიქიკური ტრავმები ადამიანის მეხსიერებაში გარკვეულ კვალს ტოვებს — თავის ტვინში წარმოიქმნება ე.წ. აგზნების უძრავი კერა, რომელიც შემდგომ, გაუცნობიერებელ მოქმედებებს მართავს.

● უაზრო მოქმედებები შესაძლოა, არასრულფასოვნების შეგრძნებით იყოს გამოწვეული. მაგალითად, პედანტურ ადამიანებს „დიდ ბრძოლებში" დამარცხების ეშინიათ და ამიტომ წვრილმანებისთვის იბრძვიან.

მეტისმეტი პედანტიზმი თავის ტკივილის, უძილობის, სექსუალური მოშლილობის მიზეზი ხდება. მაგრამ როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ასეთი ხასიათი ზოგჯერ კარიერის გაკეთებაში ეხმარება ადამიანს: ზოგიერთი პროფესიისთვის ხომ სწორედ ადამიანის მოქმედებების მუდმივი ანალიზი და ყველა წვრილმანის შესრულებაა წარმატების საწინდარი.

აკვიატებულ მდგომარეობებს ბევრი საერთო აქვს ფობიებთან (შიშებთან), რომლებიც გარკვეულ სიტუაციებთანაა დაკავშირებული. ადამიანი ცდილობს, მოერიდოს, გვერდი აუაროს იმას, რაც მისი შიშის საგანია. ამგვარად ადამიანს შეუძლია, თავიდან აიცილოს ტრავმული სიტუაცია. აკვიატებული მდგომარეობის ნევროზი კი, მოშლილობაა, რომელსაც პაციენტი გამუდმებით განიცდის: იგი არღვევს ცხოვრების ნორმალურ რიტმს, ხელს უშლის ურთიერთობებს, სრულყოფილ მუშაობას, დასვენებას.

როგორ მოვიქცეთ?

მრავალი ტანჯვის მომტანი აკვიატებებისაგან თავისთავად გათავისუფლება პრაქტიკულად შეუძლებელია. მსგავსი ნევროზების დროს, ადამიანი კარგავს საყრდენ წერტილს საკუთარ თავში და მხარდაჭერას ირგვლივმყოფებში ეძებს. კარგი იქნება, თუ ასეთ დროს ფსიქოთერაპევტს მიმართავთ.

აკვიატებული მდგომარეობის მოსახსნელად იყენებენ სხვადასხვაგვარ ფსიქოთერაპიულ მეთოდიკას, რეფლექსოთერაპიას. ფსიქოთერაპიასთან ერთად ინიშნება ანტიდეპრესანტები და ტრანკვილიზატორები.

კარგ შედეგებს იძლევა ე.წ. ქცევის ფსიქოთერაპია. პაციენტს სავარჯიშო რეჟიმში აიძულებენ, რამდენჯერმე ზედიზედ გადაიტანოს საშიში სიტუაცია. ამ პროვოკაციის შემდეგ კი სთავაზობენ, ჩვეული რიტუალი (მაგალითად, ხელების დაბანა) მინიმალურ დროში შეასრულოს. თურმე, ამგვარად უმკლავდებოდა თავის სისუსტეებს გოეთე. მას სიმაღლის ეშინოდა და ამ შიშის დასაძლევად, ხშირად ადიოდა მთაზე...

თუ აკვიატებული იდეების ტყვეობაში ჩავარდით, ეს იმის ნიშანია, რომ სერიოზული პიროვნული პრობლემების წინაშე დგახართ. ნუ შეებმებით ისეთ საქმეს, რომლის წარმატებაშიც დარწმუნებული არა ხართ. როგორც ჩანს, ზედმეტად მომთხოვნი ხართ საკუთარი თავისა და გარშემო მყოფებისადმიც. საუკეთესო გამოსავალია — შეამცირეთ ყოველგვარი დატვირთვა და სხვადასხვა წვრილმანი, ყოფითი სიხარულით დატკბეთ. ■



ანტიბიოტიკები და კოფეინი

ექიმებმა, რომლებიც სტაფილოკოკზე ანტიბიოტიკების ზემოქმედებას შეისწავლიდნენ, დაასკვნეს, რომ კოფეინი შესამჩნევად ზრდის ანტიბიოტიკის ეფექტურობას. მაგალითად, კარბენიცილინისთვის კოფეინის დამატების შემდეგ, სტაფილოკოკზე წამლის ზემოქმედება ოთხჯერ ძლიერდება.

კოფეინი და მისი მსგავსი ნივთიერება ამინოფილინი მნიშვნელოვნად ზრდის გენტამიცინის ეფექტსაც. ანტიბიოტიკებისგან განსხვავებით, ამ ნივთიერებებს ანტიბაქტერიული მოქმედება არ ახასიათებს.

გამოკვლევის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ეს მონაცემები ძალზე დაეხმარება სპეციალისტებს იმაში, რომ წამლების მიმართ ბაქტერიების მდგრადობის პრობლემა გადაჭრან. ყველაზე მეტად კი ეს კანის ადგილობრივი ინფექციების მკურნალობას წაადგება. ■

ყველაფერი თავბრუსხვევით იწყება

დისცირკულატორული ენცეფალოპათია თავის ტვინის სისხლძარღვთა ქრონიკულ დაავადებებს მიეკუთვნება. მისი განვითარების ძირითადი მიზეზებია არტერიული ჰიპერტონია და ათეროსკლეროზი. კისრის მალების ოსტეოქონდროზი და თავის ქალის ტრავმა დიდ როლს თამაშობს ამ დაავადებების განვითარებაში. დისცირკულაციისადმი განწყობას ხელს უწყობს შაქრიანი დიაბეტი, სიგარეტის მოწევა, ალკოჰოლი, ჭარბი წონა, სტრესი.

დისცირკულატორული ენცეფალოპათიის დროს არტერიები კარგავს ელასტიკურობას, გრძელდება, თხელდება. მაღალი წნევის ზემოქმედებით მათში წარმოიქმნება წვრილი ანევრიზმები (თხელკედლიანი ტომრები), რომლებიც შეიძლება გასკდეს წნევის ცვალებადობის დროს. სისხლის ჩაქცევის ადგილას წარმოიქმნება ნაწიბურები და ტვინის უჯრედები ამ უბანში წყვეტს ფუნქციონირებას. ამგვარად, ჰიპერტონიული კრიზები „მცირე ინსულტების“ განვითარების გამო იწვევს ტვინის პროგრესირებად იშემიას.

ათეროსკლეროზული პროცესის დროს კი, სისხლძარღვის სანათურის შევიწროებას ქოლესტერინული ფოლაქების წარმოქმნა უდევს საფუძვლად. ამის გამო ქვეითდება ტვინის სისხლმომარაგება და ვითარდება ტვინის ქსოვილის იშემიური ატროფია (განლევა).

განასხვავებენ დისცირკულატორული ენცეფალოპათიის სამ ხარისხს:

1. ავადმყოფს აწუხებს თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, სხვადასხვა ინტენსივობის ხმაური თავში, გაღიზიანებადობა, ხასიათის ცვალებადობა, გულჩვილობა, ძილის დარღვევა, მეტეომგრძნობელობა. პროფესიული მოღვაწეობის უნარი შენარჩუნებულია, მაგრამ ადამიანი კარგავს ინტერესს საყვარელი სამუშაოსადმი. დღის განმავლობაში მას დამატებითი დასვენება ესაჭიროება.

2. პროგრესირებს მეხსიერების დაქვეითება. ავადმყოფს კარგად ახსოვს ბავშვობის დროინდელი მოვლენები, მაგრამ ავიწყდება ღილების შეკვრა, არ ახსოვს, რა მიირთვა საუზმეზე. სიჯიუტე, სიბრაზე, ეჭვიანობა ცვლის მის რბილ, მოსიყვარულე ხასიათს. ჩნდება აგრესიის ელემენტები. ზიანდება პროფესიონალური მეხსიერება, ნაწილობრივ იკარგება შრომისუნარიანობა.

3. ნევროლოგიური სიმპტომატიკა მატულობს. ჩნდება ყლაპვის დარღვევის, ხმის ჩახლეჩის, არამყარი სიარულის ნიშნები. ბოლოს ვითარდება ჭკუასუსტობა. ავადმყოფის არამოტივირებული ქცევები აიძულებს ახლობლებს, მიმართონ ფსიქიატრს. ასეთ ავადმყოფს მუდმივი მეთვალყურეობა ესაჭიროება.

დაავადების მიმდინარეობა პროგრესირებადია. ნელ-ნელა, საფეხურებრივად მატულობს სიმპტომები. ავადმყოფის მკურნალობისთვის მნიშვნელოვანია დამზოგავი რეჟიმი, ახლობელთა სითბო და თანაგრძნობა. არ შეიძლება მისი მარტო დატოვება. აუცილებელია სიგარეტზე, სპირტიან სასმელზე უარის თქმა, რაციონიდან მეტისმეტად ცხიმიანი და ნახშირწყლოვანი საკვების ამოღება. მცენარეული და რძის პროდუქტები სისხლში მომატებული ქოლესტერინის მქონე ავადმყოფის ძირითადი საკვებია. ჰაერზე ყოფნა, მსუბუქი ვარჯიში სასარგებლოა პაციენტის ორგანიზმისათვის.

წამლებით მკურნალობის კურსს მხოლოდ ექიმი დანიშნავს.

დიცირკულატორული ენცეფალოპათიით დაავადებულზე დადებითად მოქმედებს ხანგრძლივი ფიტოთერაპიაც.

ყველაზე რაციონალური მცენარეული ნაკრებებია:

1. კრაზანა, მინდვრის ია, ასკილის ნაყოფი;
2. კუნელი, ტყის მარწყვის ფოთლები, გრაკის ხე (გრაკლა);
3. ყვავისკუდა, დათვისყურა, სამფერა ია, კოწახურის ნაყოფი;
4. უკვდავა, პიტნა, გვირილა;

ნაყენი უნდა მიიღოთ 1/2 ჭიქა 2-3-ჯერ დღეში, თაფლთან ერთად. ენცეფალოპათიის დროს (I და II სტადიაზე) კარგ შედეგს იძლევა წყლის პროცედურები: ზღვის მარილის, იოდბრომიანი აბაზანები. წყლის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 38-39 გრადუსს. ერთი კურსი 10-25 აბაზანისაგან შედგება. თითოეული აბაზანის ხანგრძლივობა 25-30 წუთია.

ხერხემლის მასაჟი, კისრის და თავის მსუბუქი მასაჟი, ნემსთერაპია, ლაზეროთერაპია ასევე დასაშვებია ადრეულ სტადიებზე.

მაგრამ შორს წასული ენცეფალოპათიის დროს, ფსიქიატრს გვერდს ვერ ავუვლით... ■

მიეცით ბავშვს მაგალითი

როგორ ვაიძულოთ ბავშვი, უარი თქვას ტკბილეულზე და ხილისა და ბოსტნეულის ჭამას მიეჩვიოს? ლონდონის უნივერსიტეტის ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ საუკეთესო მეთოდი მშობლების პირადი მაგალითია. სპეციალისტების მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ, რომელშიც რამდენიმე ათასი ადამიანი მონაწილეობდა, დაადასტურა, რომ ბავშვის დამოკიდებულება „გემრიელი და ჯანსაღი საკვების მიმართ“ მშობლების მაგალითს ემყარება. როცა მშობლები დილა-საღამოს ნამცხვარს მიირთმევენ, სასარგებლო საკვებს კი ივიწყებენ, ბავშვს ვერაფრით აიძულებთ, რომ წვნიანი ან ფაფა მიირთვას, ხოლო როცა შინ ყოველდღე, ჯანსაღი საკვებით გაწყობილ სუფრას მიუსხდებიან, ბავშვს ხვეწნა აღარ სჭირდება. აქედან დასკვნა: თუ გსურთ, თქვენი შვილი ჯანმრთელი გაიზარდოს, საკუთარ ჯანმრთელობაზე იზრუნეთ! ■

კითხვა + პასუხი



კითხვა: **მამაჩემმა ერთი თვის წინ გადაიტანა ინფარქტი. საკმაოდ მძიმედ იყო — კლინიკური სიკვდილი განუვითარდა. შემდეგ მდგომარეობა გამოუსწორდა, მაგრამ საავადმყოფოში ყოფნისას დაეწყო ხველა. ვასვით ხველის საწინააღმდეგო ბევრნაირი წამალი, მაგრამ უშედეგოდ — ხველა არ უწყდება, განსაკუთრებით ღამღამობით. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

პასუხი: ხველას შეიძლება სხვადასხვა მიზეზი იწვევდეს, კერძოდ, იგი ხშირად ახლავს თან ზოგიერთი საგულე პრეპარატის — მაგალითად, კაპოტენის, ენაპის მიღებას. თუ მამთქვენი ისეთ წამალს იღებს, რომლის გვერდით მოვლენებში მინიშნებულია ხველა, საჭიროა, რომ ის მოიხსნას და დანიშნოს სხვა ჯგუფის პრეპარატი.

შესაძლოა, ხველა გულის უკმარისობის გამოვლინებაც იყოს. ინფარქტის გადატანის შემდეგ ხომ ასეთი რამ საკმაოდ ხშირად ხდება. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელად უნდა გადაისინჯოს მკურნალობის კურსი. თუ ხველა მშრალია, შესაძლოა, იგი ზედა სასუნთქი გზების ანთების (ტრაქეიტის, ფარინგიტის) შედეგი იყოს.

ექიმი განიხილავს ყველა შესაძლო მიზეზს და მხოლოდ დიაგნოზის დაზუსტების შემდეგ დაგინიშნავთ საჭირო მკურნალობას. ავადმყოფი კიდევ ერთხელ გასინჯეთ კარდიოლოგს.

კითხვა: **ჩემს 40 წლის დედას ძალიან სტკივა ხელის თითების სახსრები. ექიმმა უთხრა, რომ აქვს პოლიართრიტი და დაუნიშნა დიკლოფენაკი. როცა ამ წამალს სვამს, თითები აღარ სტკივა, მაგრამ როგორც კი შეწყვეტს, ისევ ასტკივდება ხოლმე. როგორ შეიძლება ვუმკურნალოთ?**

პასუხი: პოლიართრიტი სახსრების ანთებას ნიშნავს, მაგრამ იგი სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული. კერძოდ, სახსრების ანთება ვითარდება ნივთიერებათა ცვლის ასაკობრივი ცვლილებების გამოც და ისეთი სერიოზული დაავადების დროსაც, როგორებიცაა: რევმატოიდული ართრიტი, სისტემური წითელი მგლურა. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია სწორი დიაგნოზის დასმა. — ამაზე იქნება დამოკიდებული მკურნალობა. გირჩევთ, კონსულტაციისთვის რევმატოლოგს მიმართოთ. ■

ინტიმი შეტევის შემდეგ

გულის შეტევის გადატანის შემდეგ, ადამიანისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, ინტიმური ურთიერთობის განახლებაა. ამის მიზეზი ისაა, რომ გაჭრელებულია აზრი, თითქოს სქესობრივმა კონტაქტმა შეიძლება, ახალი შეტევის პროვოცირება გამოიწვიოს.

არის შემთხვევები, რომლებიც ადასტურებს ამ მოსაზრებას. ბევრი კარდიოლოგი მიიჩნევს, რომ სექსუალური აქტი არ იწვევს უფრო მეტ დატვირთვას, ვიდრე მეორე სართულზე ასვლა. თუმცა, ბევრი შეტევაგადატანილი ადამიანი ვერ ბედავს ამ პრობლემის თაობაზე ექიმისთვის შეკითხვის დასმას.

1996 წელს, ამერიკელი მეცნიერის მიულერის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ გულის შეტევის შემდეგ, ინტიმური ურთიერთობით გამოწვეული რისკი მინიმალურია.

მკვლევარებმა გამოჰკითხეს 858 პაციენტი, რომლებმაც გულის შეტევა გადაიტანეს, შეტევის განვითარებამდე ერთი წლის განმავლობაში კი, აქტიურ სექსუალურ ცხოვრებას ეწეოდნენ. თუ გულის შეტევის რისკი ჯანმრთელ ადამიანებში მილიონიდან ერთია, სექსუალური ქმედება ამ მაჩვენებელს მილიონიდან მხოლოდ ორ შემთხვევამდე ზრდის.

თუმცა, მიუხედავად ამისა, ბევრი ექიმი ემხრობა იმ მოსაზრებას, რომ სექსუალური აქტიურობა გულის შეტევის შემდეგ, საშიშია.

მკვლევარები ფიქრობენ, რომ მათ მიერ მიღებული შედეგები მიიპყრობს ექიმთა ყურადღებას. პაციენტისთვის ხომ მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ დარჩენილი წლების ხანგრძლივობა, არამედ სიცოცხლის ხარისხიც.

ძირითადი რეკომენდაციები ასეთია:

- ემოციური დაძაბულობის დროს, თავი შეიკავეთ სქესობრივი ურთიერთობისაგან, რადგან ემოციები აიძულებს გულს ხშირად შეიკუმშოს და სექსი ამ დროს გულის დამატებით დატვირთვას გამოიწვევს.
- ნუ მიიღებთ წამლებს უშუალოდ სქესობრივი აქტის წინ.
- გაესაუბრეთ ექიმს. ზოგი ადამიანი, სიმორცხვის გამო, არაფერს ეუბნება ექიმს ამ პრობლემის თაობაზე.
- საკვების მიღების შემდეგ, რამდენიმე საათი შეიცადეთ.
- უნდა იცოდეთ, რომ ინტიმური ურთიერთობის განახლების შიში და დეპრესია ადამიანში ხშირად, სექსუალური ინტერესის დაქვეითებას იწვევს. ეს ნორმალურია და შემთხვევათა 85%-ში დეპრესია სამი თვის განმავლობაში გაივლის.
- ეცადეთ, მთლიანად მოდუნდეთ და დღის განმავლობაში მიღებული ემოციები საძინებლის მიღმა დატოვოთ. ■

ნოხი	შტატი აშშ-ში, ესაზღვრება კანადას	როგორიც ბერიო, ისეთი ...	სახელმწიფო ევროპაში	... ექიმი, იგივე დერმატოლოგი	მდინარ ინდოეთ
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
პიგმენტაცია კანზე	შემჭკნარი ყურძენი	ის, რასაც აქვს დიდი განი	ნორვეგიის დედაქალაქი	თბილისის ერთ-ერთი უბანი	თხის ნაშიერი	ნამ

მკვებავი კრემი ზაფხულის მცხუნვარე მზისაგან დაგიცავთ

მართალია, წლევანდელ ზაფხულს აუტანელი სიცხეებით ჯერ არ შევუწუხებივართ, მაგრამ მზის გავლენა ქალის სახის კანზე მაინც გასათვალისწინებელია. იმაზე, თუ როგორ მოვუაროთ სხვადასხვა ტიპის სახის კანს, კოსმეტოლოგი ციური კოხოძე მოგვითხრობს.

მზის სხივებისაგან სახის კანის დაცვა აუცილებელია, რადგანაც მზე კანს აშრობს. სპეციალური პუდრისა და მკვებავი კრემის საშუალებით კი, ამის თავიდან აცილება საკმაოდ იოლია. მაგრამ ცხიმიანი კანისათვის სასურველი არ არის მკვებავის წასმა, რადგან ასეთი სახის კანი ხელოვნურად უნდა გამოშრეს (სახის გაწმენდის დროს) და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი იმ კრემების გამოყენება, რომლებიც ნორმალური სახის კანისათვის არის განკუთვნილი.

მშრალ კანს კი, აუცილებლად ესაჭიროება მკვებავის სისტემატური გამოყენება, რაც სასიკეთოდ იმოქმედებს თქვენს კანზე. შეგიძლიათ, მკვებავი დღეში რამდენჯერმეც წაისვათ და რასაც კანი არ შეიწოვს, ხელსაწმენდით შეიმშრალოთ.

ცხიმიანი კანის დამახასიათებელი თვისება სიპრიალეა. ასეთი სახის კანი იოლად ავადდება. იგი უნდა დაიბანოთ საპნით, რათა ბაქტერიები განადგურდეს. ცხიმიან კანს ხშირად უჩნდება ფერიმჭამელა და ამიტომ განსაკუთრებულ მოვლას საჭიროებს.

მშრალ კანს კი, დაკარგული აქვს ელასტიკურობა, ადვილად ნაოჭდება, კარგავს ვარდისფერს და თეთრი ან აჭრელებული ხდება.

ყველა ამ ნიშან-თვისებით ვფიქრობ, მიხვდებით, თუ რომელ კატეგორიას მიეკუთვნება თქვენი სახის კანი და ალბათ სათანადოდ მოუვლით.

არსებობს ე.წ. „დეკორატიული" სახეც — მაგალითად, ზოგიერთ ადამიანს მარტო ცხვირი ან შუბლი აქვს ცხიმიანი, სახის დანარჩენი ნაკვთები კი — მშრალი, რომელიც სიცივის დროს ექერცლება კიდეც. ამ შემთხვევაშიც, მკვებავის ხშირი გამოყენებაა საჭირო, განსაკუთრებით — ზაფხულში, როდესაც გარუჯვას დაესპირებთ. მკვებავი კრემის წასმა შეიძლება, თუნდაც სახის მხოლოდ იმ უბანზე, სადაც კანის სიმშრალე შეინიშნება.

სახის კანზე საუცხოოდ მოქმედებს მასაჟი, რომელიც იცავს მას ნაოჭების გაჩენისაგან და ამავდროულად, ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზეც სასარგებლოდ ზემოქმედებს. მათ, ვისაც რბილი კანი აქვთ და იოლად უჩნდებათ ნაოჭები, შეუძლიათ, მასაჟის საშუალებით შეაჩერონ ეს პროცესი.

თვალის გარშემო წასასმელად გამოიყენეთ კვერცხის გულის, თაფლისა და ლიმონის წვეთებისაგან დამზადებული სითხე. რაც შეეხება კრემს — მხოლოდ სპეციალურად თვალისათვის დამზადებული იხმარეთ. მოერიდეთ გამწმენდი სითხის გამოყენებას, რადგანაც ამ შემთხვევაში, ნაოჭების მომრავლების დიდი ალბათობაა.

ფერიმჭამელების მოსაშორებლად, სახეზე ნაზად წაისვით მჭადის ფქვილის, სოდისა და მარილისაგან დამზადებული მასა, 5-10 წთ გაიჩერეთ და მერე, თბილი წყლით ჩამოიბანეთ. ამ პროცედურის დასრულების შემდეგ, მკვებავის წასმა არ დაგავიწყდეთ.

მაგრამ თუ მიხვდით, რომ ფუჭად ებრძვით ფერიმჭამელებს, თქვენი ხელით ნუ ამოიღებთ. ჯობს, კოსმეტოლოგს მიმართოთ, რათა კანი მეტად არ გაიღიზიანოთ.

ფორიანი სახისათვის სასურველია, ნიღბების გაკეთება. მაგალითად, თიხის ნიღაბს, რომელსაც კაოლინსაც ვუწოდებთ, სახის გაწმენდის შემთხვევაშიც ვიყენებთ. იგი ათეთრებს, აშშვიდებს და ანაზებს კანს.

- ოჯახურ პირობებში, დიასახლისებს შეუძლიათ, ზაფხულის ხილისაგან დამზადებული ნიღბების სახეზე დადება. კარგია ალუბლისა და კივის ნიღბები. მარწყვისას ჯობს, ერიდოს ის, ვინც ალერგიულია.
- გახეხილი პომიდორი არბილებს და ათეთრებს კანს, კიტრის ნაფცქვენები კი ხავერდოვანს ხდის მას.
- ამ ნიღბების სისტემატური გამოყენება ხელს შეუწყობს თქვენი სახის კანის გაახალგაზრდავებას.

ბოლოს, გთავაზობთ მკვებავი კრემის მარტივ რეცეპტს, რომელიც შეგიძლიათ, წაისვათ გარუჯულ სახეზე და ამით დაიცვათ თქვენი კანი გამოშრობისაგან.

მასალა: თაფლის სანთელი — 50 გ, სპერმაცეტი 100 გ, ზეითუნის ზეთი 50 გ.

დამზადების წესი:

საჭიროა ამ მასალის ორთქლზე გადადნობა, რის შემდეგაც ზემოთ აღნიშნული მკვებავი კრემი მზად იქნება.

მოამზადა ნინო მაჭავარიანმა

| ძალიან თხელი | | |

მორენა მერკვილაძე

ქრისტიანულ სათნოებათაგან — ეი. ქველ (კეთილ) საქმეთაგან ყველაზე მთავარი და აუცილებელი სათნოებებია: რწმენა, სასოება და სიყვარული. ამ სამი მთავარი და საწყისი სათნოებიდან წარმოიშვება შემდეგი სათნოებები: ლოცვა, მარხვა და მოწყალება: „ისინი რწმენისაგან აღმოცენდებიან, სასოების მეშვეობით, რომელსაც სიყვარული განაცხოველებს და ასე შეიქმნებიან სათნონი ღვთისათვის“ — განმარტებულია „სარწმუნოების მართლმადიდებლურ აღსარებაში“. ამრიგად, ლოცვისა და მარხვის მსგავსად, მოწყალებაც უდიდეს სათნოებად ანუ ღვთისთვის კეთილი საქმის ქმნად ითვლება, რომლის გარეშეც ადამიანი სრულად (სრული სისავსით) ვერ ცხონდება...

„ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ“

რა არის მოწყალება?

„მოწყალება არის გულმოწყალების საქმე, როცა ვინმე კეთილს უყოფს გაჭირვებული ადამიანის სულს ან სხეულს, ისე, რომ არ განარჩევს, თუ ვინ არის ის პირი, ვინც ამგვარ მოწყალებას საჭიროებს“ („სარწმუნოების მართლმადიდებლური აღსარება“). მოწყალება, როგორც უდიდესი სათნოება, ადამიანს მარადიული ნეტარი ცხოვრების მოპოვებაში ეხმარება. ნეტარ ადამიანთა შორის მაცხოვარი ისეთ ადამიანებსაც იხსენიებს, რომლებიც მოწყალების საქმეებს აღასრულებენ. ასეთ ადამიანებს უფალმა ღვთის სამსჯავროს წინაშე წარდგომის დროს შეწყალება აღუთქვა, რაც მეხუთე ნეტარების სახით გვამცნო: „ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ“ (მათე 5, 7). მოწყალების მაგალითი მაცხოვარმა გვიჩვენა იგავით მოწყალე სამარიტელზე, რომლის შესახებაც საუბარია მათეს „სახარების“ მეათე თავში. ამ იგავს მაცხოვარი უამბობს ერთ-ერთ სჯულის მცოდნეს. მასში ნათქვამია: ერთი კაცი იერუსალიმიდან იერიხონს მიდიოდა. გზად ავაზაკებმა გაძარცვეს, დაჭრეს და ცოცხალმკვდარი მიატოვეს. იმავე გზაზე შემთხვევით მღვდელმა გამოიარა, მაგრამ დაჭრილს არანაირი ყურადღება არ მიაქცია. გვერდი აუქცია და გზა განაგრძო. ასევე მოიქცა ლევიტელიც. შემდეგ გამოიარა სამარიტელმა, დაინახა დაჭრილი კაცი, შეეცოდა, ჭრილობები შეუხვია, ზეთი და ღვინო სცხო, შემდეგ თავის სახედარზე შესვა და სასტუმროში მიიყვანა. მეორე დღეს, წასვლისას, სამარიტელმა სასტუმროს მეპატრონე იხმო, ფული მისცა და დაავალა ავადმყოფისთვის მიეხედა: იზრუნე მასზე და თუ ზედმეტი ხარჯი მოგივა, რომ დავბრუნდები, მოგცემო... როდესაც მაცხოვარი იგავის თხრობას მორჩა, სჯულის მცოდნეს ჰკითხა: „რას ფიქრობ, იმ სამიდან რომელია უფრო ყაჩაღების ხელში ჩავარდნილის მოყვასი?“ სჯულის მცოდნემ კი უპასუხა: „ვინც მას მოწყალება უყო“, რაზეც მაცხოვარმა უთხრა: „წადი და შენც ასე მოიქეცი“. მოწყალე სამარიტელის მსგავსად, ყველა ჭეშმარიტმა ქრისტიანმა უნდა იზრუნოს გაჭირვებაში მყოფი ადამიანისთვის, თუნდაც ის სრულიად უცხო იყოს ჩვენთვის.

მოწყალების საქმეები

მოწყალება შესაძლოა გავიღოთ, როგორც სულისთვის, ასევე სხეულისთვის. აქედან გამომდინარე, არსებობს ხორციელი და სულიერი მოწყალება. ხორციელი მოწყალების საქმეები სულ შვიდია. პირველი ორი არის: მშიერთათვის საზრდოს მიცემა და მწყურვალთათვის სმევა ანუ მშიერ-მწყურვალთა დახმარება. ბუნებრივია, რამდენის გაღების საშუალებაც გვაქვს. მაგრამ მოწყალება უნდა გავიღოთ იმ ქონებიდან, რომელიც პატიოსანი გზით, საკუთარი შრომის ფასად გვაქვს შეძენილი. მოწყალება უნდა გავიღოთ არა მხოლოდ იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ცხადად ითხოვენ ჩვენგან ამას, არამედ მათთვისაც, რომლებსაც სიმორცხვის გამო არ შეუძლიათ მოწყალება ითხოვონ.

ხორციელი მოწყალების მესამე საქმეა შიშვლის შემოსვა – ანუ ისეთი ადამიანის დახმარება, რომელსაც იმდენად უჭირს, რომ ვერ ახერხებს სიშიშვლის დაფარვას ან თავისი სამოსით ვერ ახერხებს სიცივისგან თავის დაცვას. მოწყალების მეოთხე საქმედ კი ითვლება პყრობილთა მონახულება საპყრობილეში. ქრისტიანმა ადამიანმა უნდა მოინახულოს პატიმრები და ნუგეში სცეს მათ, შეეწიოს ისე, როგორც შეუძლია, ისე, რომ არ გამოიძიოს, თუ ვინ რა სასჯელისთვისაა საპყრობილეში მოხვედრილი. ყოველივე ამ კეთილ საქმეთა ქმნისათვის, უფალი უდიდეს საზღაურს მიაგებს ადამიანს განკითხვის დღეს და ეტყვის: „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ გამზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამითგან სოფლისაით, რამეთუ მშიოდა და მეცით მე ჭამადი, მწყუროდა და მასუთ მე; უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ მე, შიშველ ვიყავ და შემმოსეთ მე; საპყრობილესა ვიყავ და მოხუედით ჩემდა“ (მათე 25, 34-36). როგორც ვხედავთ, ხორციელი მოწყალების ერთ-ერთ საქმედ ითვლება უცხოს შეწყნარება ანუ უცხო ადამიანის (მწირის) შეყვანა საკუთარ სახლში და მისი გამასპინძლება. განსაკუთრებით დიდი სიყვარულით უნდა მივიღოთ ის უცხო ადამიანები, რომლებიც წმინდა ადგილების მოსალოცად მოგზაურობენ და მოსასვენებლად დასახლებულ ადგილებში ჩერდებიან.

ხორციელი მოწყალების საქმეებია ასევე: სნეულთა მიხედვა და მიცვალებულთა დამარხვა. სნეულებაში მყოფთ, უპირველესად უნდა შევეწიოთ იმ თანხის გაღებით, რისი საშუალებაც გვაქვს. ასევე აუცილებელია, ვანუგეშოთ და შევაგონოთ, რომ ავადმყოფობა უფლისგან გვეძლევა, ამიტომ სნეულება მოთმინებით უნდა მივიღოთ და გადავიტანოთ. გარდა ამისა, საჭიროა, სნეულთათვის შევუკვეთოთ ჯანმრთელობის პარაკლისი და აღვასრულოთ ეკლესიის მიერ დაწესებული სხვა წესები (ნაკურთხი ზეთის ცხება სნეულთათვის და სხვა). სნეულებაში მყოფთ უნდა შევახსენოთ აგრეთვე, რომ იმკურნალონ მხოლოდ მედიცინის მუშაკთა მიერ დანიშნული საშუალებებით და არავითარ შემთხვევაში არ მიმართონ ექსტრასენსებსა და სხვა სჯულის მკურნალთ, რადგან ამგვარი მეთოდებით მკურნალობა ვნებს ადამიანის სულსაც და სხეულსაც. რაც შეეხება მიცვალებულთა დამარხვას, ყოველი ქრისტიანი ვალდებულია მიცვალებული დაკრძალოს ქრისტიანული წესების ზუსტი დაცვით. დაკრძალვის შემდეგ კი, არ შეწყვიტონ ზრუნვა მიცვალებულთათვის – ილოცონ გარდაცვლილის სულის საოხად და შეასრულონ ყველა ის ქრისტიანული წესი, რომელიც დადგენილია წმინდა ეკლესიის მიერ.

P.S. სულიერი მოწყალების საქმეებისა და მოწყალებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ, „გზის“ მომდევნო ნომერში გესაუბრებით.

■

როგორ შეინარჩუნა თითქმის 4 საუკუნის მანძილზე ფერეიდანში მცხოვრებმა ქართველობამ მშობლიური ენა? ეს კითხვა მთელი სიცხადით კიდევ ერთხელ დადგა ჩვენ წინაშე, როდესაც ირანში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტისას გადაღებულ ტელერეპორტაჟებში, გარეგნულად სპარსელი მამაკაცები, ქალები და მოზარდები ქართულად გველაპარაკებოდნენ...

შესაძლოა, მომავალში ამ კითხვაზეც უფრო ზუსტი პასუხი გაგვცეს იმ სამეცნიერო კვლევამ, რომელსაც ამჟამად გერმანიაში, მაქს პლანკის საზოგადოების ევოლუციური ანთროპოლოგიის ინსტიტუტში მოღვაწე ქართველი ანთროპოლოგი ვანო ნასიძე აწარმოებს. კვლევის საგანია კავკასიის მოსახლეობის პოპულაციური გენეტიკა.

გენები – ჩვენი წარსულის „მემატიანე"



სად გაჩნდა პირველი ადამიანი, როგორ მოხვდა კავკასიაში და რა გვაახლოებს ევროპელებზე მეტად, სპარსელებსა და თურქებთან?

ნანა ქიბიშაური

— ბატონო ვანო, კონკრეტულად რა დასკვნამდე მიხვედით კავკასიის მოსახლეობის გენეტიკის მრავალწლიანი კვლევის შედეგად?

— ახლახან დავასრულეთ რამდენიმე დიდ პროექტზე მუშაობა, შევისწავლეთ კლასიკური გენეტიკური მარკერების განაწილება 20-ზე მეტ პოპულაციაში, დავადგინეთ ის, რომ ეთნოსის გენეტიკური თავისებურებების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ენამ ითამაშა: ეს ნიშნავს იმას, რომ ორი პოპულაცია, რომელიც ერთ ენაზე მეტყველებს, მაგრამ გეოგრაფიულად დაშორებულია ერთიმეორისაგან, გენეტიკურად უფრო მსგავსია, ვიდრე ტერიტორიულად ახლოს მყოფი ორი პოპულაცია, რომელიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ისეთ მნიშვნელოვან გეოგრაფიულ ბარიერს, როგორიც კავკასიის ქედია, არ ჰქონია გენეტიკური ბარიერის მნიშვნელობა. ისტორიის განმავლობაში ინტენსიურად ხდებოდა გენების გაცვლა ამიერ და იმიერკავკასიის რეგიონს შორის. ზემოთ ხსენებული სამუშაოები კლასიკური გენეტიკური მარკერების – სისხლის ჯგუფისა და ცილების შესწავლის საფუძველზე სრულდებოდა, 1998 წლიდან კი საშუალება მოგვეცა გენეტიკური მარკერები მოლეკულურ დონეზე – ე.ი. დნმ-ის მოლეკულებზე დაკვირვებით შეგვესწავლა.

— რა დასკვნამდე მივიდნენ საბოლოოდ მკვლევარები — როდის და სად წარმოიშვა ადამიანი ან როდის დასახლდა ის ევროპასა და კავკასიაში?

— ანატომიურად, თანამედროვე ადამიანი წარმოიშვა აფრიკაში 150-200 ათასი წლის წინ. ეს თარიღი ე.წ. მიტოქონდრიული დნმ-ის შესწავლის საფუძველზე დავადგინეთ. თუმცა, ადამიანს მანამდე, განვითარების დიდი ხნის ისტორია აქვს. კერძოდ, თანამედროვე ადამიანის გამოჩენამდე, დიდი ხნის მანძილზე არსებობდა მთელი რიგი სახეობებისა, რომლებიც ჩვენი წინაპრები კი იყვნენ, მაგრამ განსხვავდებოდნენ ჩვენგან მთელი რიგი ნიშან-თვისებებით, კერძოდ: თავის ტვინის ზომით, თავის ქალის მორფოლოგიით, ტანის ზომითა და პროპორციებით, სხვა მორფოლოგიური თუ ქცევის თავისებურებებით. მათ შორის იყო ე.წ. ავსტრალოპითეკი, მოგვიანებით, ე.წ. Homo Erectus – გამართულად მოსიარულე ადამიანი, რომლის თავის ქალის ნაშთებიც დმანისში აღმოაჩინეს; შემდეგ იყო „ხელმარჯვე" ადამიანი, რომელიც უკვე პრიმიტიულ იარაღებს ამზადებდა; შემდეგ – ნეანდერტალელი, რომელიც ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში სახლობდა. ბოლოს კი, თანამედროვე სახის ადამიანი, რომლის ნაკვთებიც 150-200 ათასი წლის წინ ჩამოყალიბდა. ის საკითხი კი, თუ სად, როდის და როგორ განსახლდა ადამიანი, ჯერ კიდევ ინტენსიური კვლევის საგანია. თუმცა, ზოგიერთ შედეგზე დღეს უკვე შეიძლება ლაპარაკი. მაგალითად, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ანატომიურად თანამედროვე ადამიანი ევროპაში 30-40 ათასი წლის წინ გამოჩნდა – მაშინ, როდესაც აფრიკიდან ისეთ შორეულ კონტინენტზე, როგორიცაა ავსტრალია, პირველი ადამიანი 60-65 ათასი წლის წინ დასახლდა. კონკრეტულად აფრიკიდან მიგრაციის გზების მითითება სადღეისოდ შეუძლებელია. თუმცა შეიძლება ვილაპარაკოთ ზოგადად მიგრაციის მიმართულებებზე. ამ მხრივ კავკასიას არცთუ ისე უმნიშვნელო როლი აქვს. თუ ევროპაში ადამიანი 30-40 ათასი წლის წინ გამოჩნდა და ვივარაუდებთ, რომ ევროპისკენ მიგრაციის ერთ-ერთი მარშრუტი კავკასიაზე გადიოდა, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანატომიურად თანამედროვე ადამიანი კავკასიაში პირველად, 40 ათას წელზე ადრე გამოჩნდა. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანის წინაპრები გაცილებით ადრე ესტუმრნენ ამ რეგიონს. ამის ნათელი მაგალითია დმანისში ნაპოვნი ჰომინიდების ძვლის ნაშთები, რომლებიც 1 მილიონ წელზე უფრო ძველია.

— საინტერესოა, როგორ წარ-

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. სადაური იყო ცნობილი ავტომრგოლელი ნიკი ლაუდა?

ა) ავსტრიელი;
ბ) იტალიელი;
გ) შვეიცარიელი.

2. პიკასოს სახელოსნოში სისტემატურად იდო ერთი უზარმაზარი ტილო, რომელზეც მხოლოდ:

ა) მხატვრის პორტრეტი იყო გამოსახული;
ბ) მხატვრის ხელმოწერა იყო;
გ) ფუნჯის ერთი მონასმი იყო.

3. რა ერქვა ვახტანგ ნინუას პარტნიორ გერმანულ ნაგაზს გაადურ წულაძის ფილმში „გლადიატორი“?

ა) ფრიცი;
ბ) ჯინა;
გ) ლასკა.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

მოიშვა რასები? რას ამბობს ამის შესახებ მეცნიერება?

— მეცნიერები დიდი ხნის განმავლობაში კამათობდნენ, არიან თუ არა ერთი რასის წარმომადგენლები ბიოლოგიურად ერთგვაროვანნი. ამ პოლემიკას მხოლოდ გენეტიკური ანალიზის გაშიფვრის შემდეგ დაესვა წერტილი. აღმოჩნდა, რომ რასები გენეტიკურად არ განსხვავდებიან. რასობრივი ნიშან-თვისებები — კანის ფერი, თვალების ჭრილი და ა.შ. — მხოლოდ და მხოლოდ გარემოსთან შეგუების შედეგია.



აღმოჩნდა, რომ რასები გენეტიკურად არ განსხვავდებიან...

— კაცობრიობა ერთი წყვილის გამრავლების შედეგია?

— რა თქმა უნდა, არა. საუბარი უნდა იყოს ჩვენს წინაპართა გარკვეულ პოპულაციაზე, რომელმაც სათავე დაუდო კაცობრიობას. ამასთან ერთად, გენეტიკური ინფორმაციის გამოყენების საფუძველზე განისაზღვრა მისი რიცხვიც — ეს პოპულაცია დაახლოებით 10000 ადამიანისგან შედგებოდა. თუმცა, ხაზი მინდა გავუსვა იმასაც, რომ ეს რიცხვი პირობითია და არ არის გამორიცხული, საკმაოდ მცდარიც იყოს.

— როგორი ნათესაობა გვაქვს კავკასიელებს ერთმანეთთან? ჰაოსი, ქართლოსი და თარგამოსი მართლა ძმები იყვნენ?

— გენეტიკურმა ანალიზმა ნათლად უჩვენა, რომ კავკასიის მოსახლეობის გენოფონდზე ამ რეგიონის საკმაოდ ჩახლართული ისტორიის კვალია ასახული. მრავალფეროვნების მიუხედავად, შემიძლია ვთქვა, რომ კავკასიის მოსახლეობა გენეტიკურად უფრო ახლოს დგას წინა აზიის ჯგუფებთან (ირანელებთან, თურქებთან და არაბეთის ქვეყნებში მოსახლე ერებთან), ვიდრე ევროპის მოსახლეობასთან და ეს არცაა გასაკვირი, თუ მხედველობაში მივიღებთ რეგიონის ურთულეს ისტორიას, მრავალრიცხოვან შემოსევასა და დაპყრობას სპარსელების, თურქებისა თუ არაბების მხრიდან. ვინაიდან დამპყრობლები ძირითადად მამაკაცები იყვნენ, Y ქრომოსომით კავკასიის მოსახლეობა გაცილებით ახლოს დგას წინა აზიელებთან, ვიდრე „მიტო დნმ“-ით, რომელიც შთამომავლობაზე დედიდან გადადის.

— თქვენს ინსტიტუტში ადამიანისა და მაიმუნის გენების მსგავსებაზე თუ მუშაობს ვინმე?

— სწორედ ეს საკითხი წარმოადგენს ინსტიტუტის დირექტორის სვანტე პაობოს კვლევის საგანს. ჩვენი განყოფილების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ადამიანისა და უმაღლესი მაიმუნების (შიმპანზე, გორილა და ორანგუტანგი) გენეტიკური შედარებაა. ჩვენ შევისწავლეთ ერთ-ერთი გენი — ე.წ. Foxp2, რომელიც პასუხისმგებელია არტიკულაციაზე — ანუ მეტყველებაზე და აღმოვაჩინეთ, რომ მაიმუნისგან განსხვავებით ადამიანს ახასიათებს სპეციფიკური მუტაციები ამ გენში, რომლებიც საბოლოო ჯამში მას მეტყველების უნარს ანიჭებს. ადამიანისა და მაიმუნის გენის შედარებითი კვლევები გრძელდება. ასევე ლაბორატორიული კვლევების სტადიაზე ვართ, თმის საფრის გენებთან დაკავშირებით. ვსწავლობთ ე.წ. hairless gene-ს. ამ გენში მიმდინარე მუტაციები იწვევს თმის საფარვლის სრულ დაკარგვას თაგვში, ზოგიერთ მაიმუნსა და ადამიანში. ვნახოთ, რა შედეგამდე მიგვიყვანს კვლევა. ჯერჯერობით მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ მუშაობის პროცესი მართლაც, ძალზე საინტერესოა.

P.S. ვანო ნასიძესთან დაკავშირებისა და ამ ინტერვიუს მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით მეცნიერის ყოფილ თანამშრომელსა და მეგობარს თენგიზ ბერიძეს.

■

„ეს ბავშვი სულ კუდში დამდევდა და რაღაცას მეტიკტიკებოდა...“

„არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ მათზე არასდროს არავის მოუხდენია გავლენა და ამით ამაყობენ კიდეც. მე ამაში საამაყოს ვერაფერს ვხედავ. თუ ცხოვრებაში არასდროს შეგხვედრია ისეთი ადამიანი, რომელსაც შენზე რაღაც დოზით უმოქმედია, ეი. „ღარიბი“ ადამიანი ხარ. მე ამ მხრივ მდიდარი ვარ“... — მითხრა ბატონმა ბაადურ წულაძემ, როცა მას ჩვენი რუბრიკის არსი შევახსენე.

ხათუნა ჯავახიშვილი

— ბავშვობაში ჩემზე ყველაზე დიდი გავლენა მამიდაჩემმა — კატომ მოახდინა. მამა გადამისახლეს და დედა იძულებული იყო, 24 საათი ეშრომა. ამიტომ ჩემი და ჩემი დის აღზრდა მამიდაჩემმა ითავა. ბებუაჩემი მოვდელი, ძალზე განათლებული ადამიანი გახლდათ. ჰქონდა ურთიერთობა ვაჟა-ფშაველასთან, ნიკო ნიკოლაძესთან. ამის წყალობით, მამიდაჩემიც ნაკითხი და განათლებული ქალი იყო. სოფელში ძალიან დიდი ბიბლიოთეკა ჰქონდა, რომელიც ბოლშევიკებმა გაანადგურეს. ერთი მომცრო, წიგნებით სავსე ზანდუკი დარჩა და მათზე აღვიზარდე. პატარა ვიყავი, კითხვა ჯერ არ ვიცოდი, მაგრამ მამიდა მიკითხავდა ქართულ ზღაპრებს, ლიტერატურას და პოეზიას. მისი მონაყოლით, ეს ყველაფერი ზეპირად ვიცოდი. დღესაც, თუ წიგნს არ წავიკითხავ, ის დღე ჩემთვის დაკარგულია. ეს მისი დამსახურებაა. მისი უსაყვარლესი პოეტი იოსებ გრიშაშვილი იყო. გვქონდა პატეფონის ფირფიტა, რომელზეც ჩაწერილი იყო გრიშაშვილის „ძველი თბილისი“, თავად პოეტის მიერ წაკითხული. სწორედ მისი მოსმენისას ვისწავლე საკმაოდ პატარა ასაკში ეს ლექსი ზეპირად. ამ დროს, ძალიან გამხდარი და ფიზიკურად სუსტი ვიყავი. თუმცა, ამის კომპლექსი არ მქონია: ყველამ იცოდა, რომ არავის არაფერს დავუთმობდი ქუჩაში, კლასში. ერთი უპირატესობა მქონდა: ომის შემდგომი პერიოდი იყო, წიგნები ჭირდა, მე კი — ეს ყველაფერი ვიცოდი და ჩემს წაკითხულს სხვებს ვუყვებოდი. ამის გამო დიდ პატივს მცემდნენ. ეს ყველაფერი მამიდაჩემის წყალობით შევიძინე.

შემდეგ ჩემს ცხოვრებაში შემოვიდა ჩემი ბიძაშვილი — ალიოშა მჟავანაძე. იმ პერიოდში ის ჩემთვის ყველაფერი იყო. თვითონ სპორტსმენი გახლდათ და მეც აქეთ-იქით დამარბენინებდა. მავარჯიშებდა. სპორტი შემაყვარა და ფიზიკურად ძლიერი გავხდი.

სკოლის დამთავრების შემდეგ, რუსეთში წავედი და ВГИК-ში *(კინემატოგრაფიის ინსტიტუტი. — ავტ.)* ჩავბარე, სარეჟისორო ფაკულტეტზე. იქ გავიცანი ცნობილი რეჟისორი და უნიკალური პიროვნება — თამაზ მელიავა. მას საოცარი იუმორის გრძნობა ჰქონდა. ეს იყო მესამე ადამიანი, რომელმაც ძალზე დიდი გავლენა იქონია ჩემზე...

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, თბილისში დავბრუნდი. ამ პერიოდშივე ჩამოვიდა საფრანგეთიდან სერგი წულაძე („ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე მთარგმნელი), თავისი ოჯახით. მე საცხოვრებელი ადგილი არ მქონდა და დიდი ხნის განმავლობაში მათთან ვცხოვრობდი. ის უნიკალური მოვლენა იყო, უზომოდ განათლებული პიროვნება. საბჭოთა პერიოდი გახლდათ და ყველას გვაინტერესებდა, თუ რა ხდებოდა დასავლეთში. ჰოდა, იქაურ ამბებს სერგისგან ვიგებდი. სწორედ მაშინ, მისგან შევიტყვე, რომ იდეალურად ყველაფერი არც იქ არის... იდეალური სამყარო არ არსებობს. არის ცხოვრება, რომელიც შენ უნდა აშენო...

იდეალური სამყარო არ არსებობს. არის ცხოვრება, რომელიც შენ უნდა აშენო...

— ბატონო ბაადურ, ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც თქვენი პიროვნების ჩამოყალიბებაზე მოახდინეს გავლენა. იქნებ, გაიხსენოთ საინტერესო შეხვედრა ადამიანთან, რომელიც არასოდეს გავიწყდებათ?

— შარშანწინ გადამიღეს ყაზახეთში ფილმში — „ლეილას ლოცვა“. მთავარ როლს 14 წლის გოგონა — აიან ესმაგომბეტოვა ასრულებდა. ბევრი საერთო სცენა გვქონდა, ამიტომ ბევრ დროს ვატარებდით ერთად. რატომღაც ძალიან შემეჩვია ეს ბავშვი, სულ კუდში დამდევდა და რაღაცებს მეტიკტიკებოდა... ფილმში ვთამაშობ ებრაელს, რომელიც მთელი ცხოვრება ისრაელში წასვლაზე ოცნებობს, მაგრამ ისე კვდება, რომ ამას ვერ ახერხებს... მე უკვე წამოსული ვიყავი, როცა იღებდნენ სცენას, სადაც ამ გოგონას გმირმა უნდა დაიტიროს ჩემი გმირი. აიანს უთხრეს: წარმოიდგინე, თითქოს შენ წინ მკვდარი ბაადური წევსო. ისეთი ამბავი აუტეხია, ისე უტირია, რომ ძლივს დაუმშვიდებიათ... არასდროს დამავიწყდება ეს ბავშვი, ძალიან ნიჭიერი გოგონაა. ახლა ყაზახეთში ამერიკელები იღებენ ფილმს, სადაც მთავარ როლს აიანი ასრულებს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მისი კარიერა... ■

სწორედ ეს „წოდება მიენიჭა ჩინური წარმოშობის ამერიკელ მსახიობს, ფილმში — „მოკალი ბილი“ — კილერ ო-რენ შის როლის შემსრულებელს MTV Movie Awards-ის დაჯილდოების ცერემონიაზე, რომელზეც შარშანდელ ლაურეატებს ასახელებდნენ. ეს სავსებით ლოგიკური იყო, რადგან ლიუს სამსახიობო აქტივში, ცნობილი „ჩარლის ანგელოზის“ გარდა, უკვე ათობით „კინოვამპირია“...

Liusi Liu

წლის საუკეთესო ათეულში

ლიუსი ალექსის ლიუ 1968 წლის დეკემბერში, ნიუ-იორკის ქვინსტაუნის უბანში, ჩინელი ემიგრანტების ოჯახში დაიბადა. მისი მშობლები (მამა — ინჟინერი, დედა — ბიოქიმიკოსი) შვილების აღზრდისას, მკაცრ, კონსერვატიულ შეხედულებებს იჩენდნენ. მაგალითად, ლიუსისა და მის უფროს და-ძმას ტელევიზორის ყურება მხოლოდ კვირა დღეს, ისიც — მხოლოდ ერთი საათის მანძილზე შეეძლოთ, როცა უოლტ დისნეის პროგრამას უჩვენებდნენ. მაგრამ ვინ არ იცის, რომ აკრძალული ხილი ყველაზე გემრიელია?.. ამიტომაც, ცოტა რომ წამოიზარდა ლიუსიმ ფარულად კინოში სირბილი დაიწყო. ერთხელ მან ნახა ტრილერი „ჰელოუინ 3“ და... „ისეთ შიშს განვიცდიდი, — იგონებდა ის შემდგომ, — რომ მინდოდა, სადმე გავქცეულიყავი, მაგრამ დამბლადაცემულივით, განძრევის თავი არ მქონდა. მთელი წელი ვერ ვიძინებდი მარტო ჩემს ოთახში და მერჩივნა, ხან ძმისა და ხან დის ოთახში იატაკზე დამეძინა. მაგრამ სწორედ მაშინ ვიფიქრე — იქნებ, მართლაც, მშობლები ცუდს არაფერს გვირჩევენ?..“

ლიუსიმ, ბოლოს და ბოლოს, დაუჯერა მამას და სასწავლებლად მუსიკალურ სკოლაში შევიდა, ხოლო როცა მას საკრავის არჩევა შესთავაზეს — ან ვიოლინო, ან აკორდეონი, — მან დაუფიქრებლად აირჩია მეორე. იმ პერიოდშივე, ლიუსიმ სერიოზულად მოჰკიდა ხელი ჩინური ენის შესწავლას, რომლის გაკვეთილებიც სკოლაში ტარდებოდა.

სკოლაში სწავლის პერიოდში, ლიუსის ბედი არ წყალობდა მეგობრების მხრივ. 70-იანი და 80-იანი წლების მიჯნაზე ბარბის სტილის — ე.ი. ოქროსფერთმიანი და ცოტა პუტკუნა გოგონები სარგებლობდნენ პოპულარობით, ლიუსი ლიუ კი ხმელ-ხმელი ტანის, თმის უფორმო ვარცხნილობის მქონე მოზარდი იყო, თანაც — აზიელი. თუმცა გოგონების გარემოცვა მას დიდად არც იზიდავდა, ის ძმის მეგობარ ბიჭებთან ერთად დაქროდა ქუჩებში და მათსავით ყველანაირ ბიჭურ ძიძგილაობაშიც მონაწილეობდა. იმ პერიოდშივე გოგონამ ხელჩართული ბრძოლის ხელოვნების — Kali-eskrima-silats („დანისა და ჯოხის ბრძოლა“) — შესწავლას მიჰყო ხელი.

სკოლის დამთავრების შემდეგ, ლიუ ნიუ-იორკის უნივერსიტეტში ჩინური ენისა და კულტურის უფრო ღრმად შესწავლის მიზნით შევიდა. შემდეგ მიჩიგანის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა. სტუდენტობისას, მომავალი მსახიობი მონაწილეობდა კონკურსში — „მულტიმედიური პლასტიკა“, რომელსაც ნიუ-იორკში ცნობილი, სოჰოს გალერეა აწყობდა და მოიპოვა გრანტი, რომელიც მის ისტორიულ სამშობლოში საკუთარი ოსტატობის სრულყოფის კურსის გავლას ითვალისწინებდა.

უნივერსიტეტის დამამთავრებელ კურსზე სწავლისას, ლიუსიმ სცენაზე, სტუდენტურ თეატრალურ დადგმაში — „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ — მოსინჯა ძალები. დღეს მას არ უყვარს თავისი პირველი სამსახიობო გამოცდილების გახსენება, მაგრამ როგორც ჩანს, ის სწორედ ამ სპექტაკლის შედეგად დარწმუნდა იმაში, რომ ლინგვისტიკა მისი მოწოდება არ იყო. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, ლიუ ლოს-ანჯელესში გაემგზავრა. 6 წლის მანძილზე ის სხვადახვა კასტინგზე დარბოდა, ზოგჯერ ეპიზოდურ როლს გამოჰკრავდა ხელს, სარჩოს კი, ხან მდივნის, ხან აერობიკის ინსტრუქტორის, ხან ოფიციანტის დროებითი სამუშაოთი შოულობდა.

1997 წელს იღებდნენ სერიალს — „ელი მაკბილს“, რომელიც უმალ პოპულარული გახდა. ლიუსი, რომელიც არც ერთ სერიოზულ კასტინგს არ ტოვებდა, სასინჯ გადაღებაზე მივიდა. სერიალის ავტორი დევიდ კელი გააოგნა ლიუს ამპარტავნობამ (როგორც მან თქვა, გოგონა ციმბირში გატარებულ ორ კვირაზე უფრო ცივად გამოიყურებოდა...) და მან საგანგებოდ დებიუტანტისთვის ახალი პერსონაჟი — აფთარი ადვოკატი ლინ ვუ გამოიგონა. ამ როლმა ლიუს სახელი და ათასობით ამერიკელის სიძულვილიც მოუტანა: მაყურებელთათვის ვუ, მსოფლიოში ყველაზე ბოროტი ადვოკატის გან-

„ჩარლის ანგელოზები“, დრიუ ბერიმორსა და კამერონ დიასთან ერთად

ზაკ ჰელმთან ურთიერთობა ალბათ მალე ქორწილით დაგვირგვინდება...

სახიერებას წარმოადგენს. „ხალხს იმდენად ეშინოდა ლინ ვუსი, – იხსენებდა მოგვიანებით მსახიობი, – რომ როცა ქუჩაში მცნობდნენ, ცდილობდნენ, სასწრაფოდ გამცლოდნენ...“

იქიდან მოყოლებული, მას გამუდმებით სთავაზობდნენ აფთარი ქალების როლებს. სამაგიეროდ, მას სახელგანთქმულ მსახიობებთან პარტნიორობა უწევდა, მათ შორის: მელ გიბსონთან, ჯეკი ჩანთან, ვუდი ჰარელსონთან, ანტონიო ბანდერასთან, რიჩარდ გირთან.

რამდენიმე წლის წინ, 70-იანი წლების ფილმის – „ჩარლის ანგელოზების“ რიმეიკის შესაქმნელად შექმნილ ჯგუფს მესამე „ანგელოზი“ აკლდა. კასტინგზე მისული ლიუსი ამაოდ გაისარჯა – ის არ მიიღეს. მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ, მსახიობმა კვლავ სცადა ბედი. ამჯერად ის ალექსის როლზე დაამტკიცეს.

2002 წელს, ანტონიო ბანდერასმა, რომელიც მონაწილეობდა ფილმის – „თავზეხელაღებულნი“ – გადაღებებისთვის მზადებაში, თავისი ეკრანული მოწინააღმდეგის როლზე ლიუსის მიწვევა შესთავაზა პროდიუსერს. სიუჟეტის მიხედვით, საიდუმლო აგენტი ქალი შვილის მკვლელებზე იძიებს შურს და ათობით მტერს კლავს... როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ამ როლმაც უბიძგა კვენტინ ტარანტინოს იმისკენ, რომ მიეწვია მომხიბლავი ჩინელი ამერიკელი ბოევიკში – „მოკალი ბილი“ – დაუნდობელი იაპონელი ო-რენის როლზე.

„ხომ არ გწყდებათ გული იმის გამო, რომ „საუკეთესო აფთრის“ წოდება მოგანიჭეს?“ – ჰკითხეს ლიუს MTV დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ. მან უპასუხა: „აფთრობა ამ შემთხვევაში, არის არა სულის მდგომარეობა, არამედ ადამიანისადმი მის გარშემო მყოფთა დამოკიდებულება... სულაც არ მწყინს ეს, რადგან თითოეულ აფთარს, რომელიც ეკრანზე განმისახიერებია, ძალზე კეთილი გული აქვს...“ – უპასუხა მსახიობმა. ■

რიჩარდ გირთან ერთად „ჩიკაგოს“ პრემიერაზე

ალიშა ქისმა სტივენ სპილბერგის წინადადება უარყო

რიტმ-ენ-ბლუზის პოპულარული შემსრულებელი ალიშა ქისი ოდენ მუსიკალური საქმიანობით როდი შემოიფარგლება. 23 წლის მომღერალი ავტობიოგრაფიის წერას შეუდგა და პარალელურად, საკუთარი კინოდებიუტისთვის შესაფერის სცენარსაც ეძებს. მისი მენეჯერის თქმით, ალიშამ უკვე შეარჩია როლი: ეს იქნება პიანისტი ქალის ფილიპა შუილერის სახე, მისი ცხოვრების ამსახველ ბიოგრაფიულ ფილმში, რომლის პროდიუსერადაც კინოვარსკვლავი ჰოლი ბერი მოგვევლინება. როგორც ამბობენ, ალიშა ძალზე გულმოდგინედ არჩევდა სცენარს და ბევრ წინადადებაზე თქვა უარი, მათ შორის – სტივენ სპილბერგის მიერ შეთავაზებულ როლზე, რომლის შესახებაც ამბობს: „ეს სახე უცხოა ჩემთვის. ამ პერსონაჟთან საერთო არაფერი მაქვს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, რაღაც სხვა მეპოვა“. რაც შეეხება შუილერს, ალიშა მასა და საკუთარ თავს შორის ბევრ მსგავსებას ხედავს: ორივე ნიუიორკში, მანჰეტენზე გაიზარდა, ორივეს ბავშვობიდან უყვარდა მუსიკა და უკრავდა პიანინოზე, ორივეს, სხვადასხვა რასის წარმომადგენელი მშობლები ჰყავდა... ფილიპა შუილერი 1967 წელს, 36 წლისა დაიღუპა ვიეტნამში, როცა საომარი მოქმედებების ზონიდან ბავშვების გამოხსნას ცდილობდა. ■



შემოსავლის გაზრდას ალიმენტის გაზრდა უნდა მოჰყვეს

ფილმში – „ბეჭდების მბრძანებელი“ – არაგონის როლის შემსრულებელს ვიგო მორტენსენს, თუმცა კრიმინალი არ ჩაუდენია, შესაძლოა, მოუწიოს სასამართლოს წინაშე წარდგომა. საქმე ის გახლავთ, რომ მის ცოლყოფილს ექსინ სერვენკას შეუტანია სარჩელი, რომელშიც ალიმენტის გაზრდას მოითხოვს. მისი გამოთვლებით, ყოფილი მეუღლის ყოველთვიურმა შემოსავალმა შარშან 276 ათას დოლარს მიაღწია, ამიტომ ქალი მოითხოვს, რომ ამიერიდან ვიგომ მათ ვაჟიშვილს თვეში 18 ათასი გადაუხადოს. წარსულში პანკ-როკ ჯგუფის სოლისტი, ამჟამად ბიბლიოთეკის თანამშრომელი ექსინ სერვენკა მიიჩნევს, რომ ქმრის გამდიდრება აძლევს საფუძველს, მოსთხოვოს ყოფილ მეუღლეს შვილისთვის მეტის გადახდა. არადა, მისი პრეტენზია ძალზე უდროო აღმოჩნდა მსახიობისთვის, რომელიც შემოქმედებით კრიზისსა და ფინანსურ სიძნელეებს განიცდის: ტრილოგიის მესამე ფილმის გადაღებები ჯერ კიდევ ერთი წლის წინ დამთავრდა და მას შემდეგ, ვიგოს არც ერთი საინტერესო შემოთავაზება არ მიუღია. „მთელი წელიწადი მხოლოდ იმით ვიყავი დაკავებული, რომ ახალ როლებზე ვლაპარაკობდი, – აღნიშნა ერთ-ერთ ინტერვიუში მორტენსენმა, – მაგრამ სამწუხაროდ, მოლაპარაკების გამართვისთვის ფულს არავინ იხდის. გულახდილად გეტყვით, რომ არ მეგონა, თუ ტრილოგიის შემდეგ, მომგებიანი პროექტები შემომაკლდებოდა“. ■

ჯონი დეპმა უკაცრიელი კუნძული იყიდა

როგორც ჩანს, მსახიობი იმდენად შეეჩვია „კარიბის კუნძულის მეკობრეების“ დეკორაციებს, რომ საცხოვრებლადაც უკაცრიელი კუნძულის შეძენა განიზრახა. კუნძული – Little Halls Pond Cay, რომლის სიგრძე 1,6 კმ-ს შეადგენს, ბაჰამის კუნძულების დედაქალაქ ნასაუდან ასიოდე კმ-ში მდებარეობს და კინოვარსკვლავს 3,3 მლნ დოლარი დაუჯდა. კუნძულზე 6 ქვიშის პლაჟი, პალმებით გარშემორტყმული ვილა და იახტისთვის განკუთვნილი მომცრო ნავსადგურია. ამჟამად დეპი მეუღლესთან – ფრანგ მსახიობ ვანესა პარადისა და ორ შვილთან ერთად საფრანგეთში ცხოვრობს. ცოტა ხნის წინ მან ხელი მოაწერა კონტრაქტს, მეკობრეებზე კიდევ ერთ ფილმში მონაწილეობის შესახებ. ■

ტომ ჰენქსი ეკრანზე მოამზადებს დინ რიდს განასახიერებს

კინოვარსკვლავი და სტუდია Dream Works, წარსულში ცნობილი მომღერლისა და მსახიობის დინ რიდის ბიოგრაფიის ეკრანიზაციას აპირებენ. რიდი 1938 წელს, აშშ-ში დაიბადა, მაგრამ 50-იან წლებში, სამხრეთ ამერიკაში ემიგრირება გადაწყვიტა. სწორედ იქ მოიპოვა მან პოპულარობა და აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობასაც ეწეოდა – უმეტესად, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის კრიტიკით გამოდიოდა. 1966 წელს, ის დეპორტირებული იყო არგენტინიდან და საცხოვრებლად გადავიდა იტალიაში, სადაც ე.წ. სპაგეტი-ვესტერნების გადაღებებში მონაწილეობდა. 1973 წლიდან კი, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამკვიდრდა, თამაშობდა ფილმებში, გამოსცემდა ალბომებს, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. 1985 წელს ის უკანასკნელად ჩავიდა აშშ-ში და სამშობლოში დაბრუნებაზეც ფიქრობდა, მაგრამ არ დასცალდა: 1986-ში დინ რიდის უსულო სხეული აღმოსავლეთ ბერლინის მიდამოებში, მისი სახლის მახლობლად მდებარე ტბაში იპოვეს. მისი ახლობლების ერთი ნაწილი ვარაუდობდა, რომ მსახიობმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, მაგრამ მისი ოჯახის წევრებსა და აშშ-ში მცხოვრებ ნათესავებს მიაჩნიათ, რომ რიდი გდრ-ის სპეცსამსახურებმა მოკლეს. ■

მიქჰემი ქალიშვილზე ოცნებობს

სახელგანთქმული ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი და მისი ცოლი ვიქტორია ადამსი თურმე, მესამე შვილის გაჩენაზე ზრუნვას იწყებენ და საამისოდ მაროკოშიც კი გამგზავრებულან!.. აქამდე ცოლ-ქმრის ჩანაფიქრის ხორცშესხმას მოუცლელობა და სხვადასხვაგვარი ოჯახური პრობლემა უშლიდა ხელს. ახლა მათ გადაწყვიტეს, აღარ დაუცადონ საქმიან გრაფიკში შესვენების დადგომას, გააუქმეს ე.წ. საპრომოუშენო ტურნე ამერიკაში და ორი კვირით აფრიკაში გაემგზავრნენ. მეუღლეები იმედოვნებენ, რომ შვებულებაში ყოფნისას შეძლებენ, აღადგინონ უწინდელი ურთიერთობები, რომლებიც პირად ასისტენტთან, რებეკა ლურდესთან დევიდის ხანმოკლე რომანის შედეგად შეირყა...

როგორც ცნობილია, ბექჰემებს ორი ვაჟი – 5 წლის ბრუკლინი და 2 წლის რომეო ჰყავთ და ერთ-ერთი მეგობრის თქმით – „დიდი ხანია, მესამე შვილის გაჩენას აპირებენ და სიხარულით ცას ეწევიან, თუ გოგონა შეეძინებათ. საერთოდ, ისინი ჭკუას კარგავენ შვილებისთვის, დევიდს კი, მათ გვერდით ყოფნისას, ქვეყანაზე ყველაფერი ავიწყდება... გოგონა რომ გაუჩნდეთ, ეს უეჭველად დაავიწყებს ცოლ-ქმარს მომხდარ კონფლიქტს და ახალი ცხოვრების დაწყებაშიც შეუწყობს ხელს...“ ■



უმდიდრესთა ასეულს სათავეში გიმსონი მოექცა

პირველობა „სახელგანთქმული ადამიანების ასეულში“, რომელსაც ყოველწლიურად, ავტორიტეტული ამერიკული ფინანსურ-ეკონომიკური ჟურნალი Forbes ადგენს, ამჯერად მსახიობსა და რეჟისორს მელ გიბსონს ხვდა წილად. შარშან მისმა შემოსავალმა 210 მლნ დოლარი შეადგინა. ჟურნალის შეფასებით, გიბსონი არა მარტო უმდიდრესი, არამედ უპოპულარულესი შემოქმედი გახდა, რაც მისმა ახალმა ფილმმა – „ქრისტეს ვნებანი“ – განაპირობა. რა თანხას მოუტანს ავტორს ამ სურათის მსოფლიო პრემიერა – ეს ჯერ მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეიძლება გამოითქვას.

შარშანდელი ასეულის ლიდერმა – მსახიობმა ჯენიფერ ენისტონმა ამჯერად 16 პოზიციით დაიხია უკან. თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც წინ უსწრებს თავის ქმარს – ბრედ პიტს, რომელსაც ასეულში მხოლოდ 37-ე ადგილი უკავია.

როგორც ჩანს, ქალთა ლიდერობა ჰოლივუდურ ოჯახებში ტრადიციად მკვიდრდება. მაგალითად, კეტრინ ზეტა-ჯონსი 56-ე საფეხურზეა, მაშინ, როდესაც მისი მეუღლე მაიკლ დუგლასი საერთოდ ვერ მოხვდა ასეულში. თავბრუდამხვევი ნახტომი გააკეთა ტომ კრუზმა, რომელიც მანამდე, 2 წლის მანძილზე არ მოხვედრილა ხელოვნებისა და შოუბიზნესის უმდიდრეს წარმომადგენელთა ასეულში: ამჯერად ის მეოთხეა. ■

პოპულარობის მომტანი ქესტემი

ყველა ადამიანს აქვს რაღაც ჩვევები, რომლებსაც ის თავად ვერც კი ამჩნევს. ბუნებრივია, არც ვარსკვლავები წარმოადგენენ გამონაკლისს. თუმცა, ზოგი მათგანი არათუ ვერ ამჩნევს, არამედ პირიქით – აფიქსირებს და კარგადაც იყენებს ამა თუ იმ ჩვევას საკუთარი თავის უკეთ წარმოსაჩენად. მაგალითად, ჯენიფერ ლოპესს იმდენი უჩიჩინეს ჟურნალისტებმა თუ კოლეგებმა – მსოფლიოში საუკეთესო უკანალი გაქვსო, – რომ კამერების წინ პოზირებისას, მუდამ ისე დგება (ან ჯდება, ან წვება...) რომ მისი სხეულის ეს ნაწილი გამოკვეთილად ჩანდეს. ამ რამდენიმე ხნის წინ კი, მსახიობმა ერთ-ერთ სარეკლამო ფირმას იმისთვის უჩივლა, რომ მან აფიშაზე ჯეი ლოს უკანალი დააპატარავა!..

საკუთარი სხეულის ღირსეული ადგილების დემონსტრირების მოყვარულთა რიგს განეკუთვნება ლიზ ჰარლიც. წვეულებასა თუ პრეზენტაციაზე ის ხშირად ევლინება პუბლიკას, საღამოს გრძელ, მაგრამ აუცილებლად ღრმად ქობაშეჭრილ კაბაში. ბუნებრივია, ეს ნაკარნახევია ვარსკვლავის სურვილით, რომ თაყვანისმცემლები კვლავაც დარწმუნდნენ მისი ფეხების სილამაზეში.

ორი დასახელებული კოლეგისგან მკვეთრად განსხვავდება შერონ სტოუნი: მას თავისი ფიზიკური მონაცემების ჩვენება აღარ ესაჭიროება, განსაკუთრებით – „ძირითად ინსტინქტში“ შესრულებული როლის შემდეგ. ამდენად, თითოეული თავისი ჟესტითა და პოზით ცდილობს საკუთარი ძალების რწმენის დემონსტრირებას. ამიტომაც ხშირად შეიძლება ვიხილოთ, როგორ აჩვენებს თითებით ლათინურ V-ს (Victory – გამარჯვება): მან კარგად აითვისა გამარჯვების მიღწევის ხელობა.

სტოუნისგან განსხვავებით, მასზე არანაკლებ ცნობილი გოლდი ჰოუნი ამჯობინებს, არა თვითკმაყოფილი და საკუთარ ძალებში დარწმუნებული ქალბატონის, არამედ კეკლუცი ლამაზმანის იმიჯით წარდგეს საზოგადოების წინაშე და ამიტომ ხშირად ათამაშებს თავის გრუზა თმას... მსგავსი ქცევით გამოირჩევა კალისტრა ლოკჰარტი, რომელსაც პატარა გოგონას მსგავსად, ზურგს უკან ხელების დამალვა სჩვევია... არადა, მის თაყვანისმცემლებს კარგად მოეხსენებათ, რომ მორცხვი და მოკრძალებული გოგონას მიღმა, ძლიერი ნებისყოფის მქონე ქალის ხასიათი იმალება.



ასეა – ვარსკვლავებს მოსწონთ, რომ ადამიანები ჟესტებით ცნობდნენ მათ, რადგან ეს პოპულარობას უწყობს ხელს. ■

(დასაწყისი იხ. „გზა“ № 26-28)

მცვალებლის ინსტინქტი

რუსუდან ბერიძე

ახალგაზრდა ბიზნესმენ ანდრო სვანიძეს თავისი ბიზნესპარტნიორი შალვა ოშხერელი მცხეთაში, ნარკოტიკების გამსაღებლებთან სალაპარაკოდ ჩაიტყუებს. ანდროს თავისი თანამშრომელი და საყვარელი დალი ხაჩიძე ახლავს თან. რესტორანში, სადაც ანდრო და შალვა მოდავეებს ხვდებიან, ვიღაც უმისამართო სროლას ატეხს და ერთ ტყვიას კინაღამ ანდროსაც მოარტყამს. პასუხად, ანდროც რამდენჯერმე გაისვრის ჰაერში. სწორედ იმწუთას, მეზობელ მაგიდასთან მჯდარი ახალგაზრდა კაცი იატაკზე უსულოდ დაეცემა. სროლის ხმაზე, გასაკვირი ოპერატიულობით მოვარდნილი პოლიციელები ანდროს იარაღით ხელში დაიკავებენ...

მას ეჭვმიტანილად ცნობენ და წინასწარი დაკავების იზოლატორში მოათავსებენ. ანდროს ფირმის ადვოკატი მოულოდნელად ავტოკატასტროფაში მოყვება. მისი რჩევით, დალი ხაჩიძე დახმარებისთვის თავის ძველ მეგობარს მეგი ლაღიძეს მიმართავს.

ანდროს საქმეს ადამიანების დაშანტაჟებაში დახელოვნებული გამომძიებელი სულიკო ჟვანია იძიებს. ის ანდროსაც მალე გამოიყვანს წონასწორობიდან: როცა ერთ-ერთი დაკითხვის დროს ირონიულად შენიშნავს — შენს ცოლყოფილს დაკითხვაზე ხშირად ვატარებო, — გაცოფებული ანდრო გამომძიებელს ყელში სწვდება... თავზარდაცემული მეგი ანდროს მკლავებში კივილით ჩააფრინდება: ხელი გაუშვი, არ შემოგაკვდესო! კივილზე ოთახში ბადრაგი შემოვარდება... იმავე დღეს, მოსამართლე, ანდროს წინასწარ სამთვიან პატიმრობას მიუსჯის.

მომხდარის შემდეგ შინ დაბრუნებულ დათრგუნვილ მეგის კარზე ყოფილი დიდი სიყვარული კახა სუთიძე მიადგება...

მოულოდნელობისგან მეგის ტელეფონის ყურმილი ყურზე მიეყინა. შემდეგ კარს წამით მოშორდა, შუბლი გამეტებით მოისრისა და ისევ საჭვრეტელში გაიხედა: კახა სუთიძე კართან ფეხმოუცვლელად იდგა.

— რას იზამ? — გაისმა უცბად ყურმილში მისი შემპარავი ხმა. — შემომიშვებ თუ?..

— ეს რა უნიჭო ხუმრობაა?! — როგორც იქნა, გონს მოეგო მეგი.

— გეთანხმები, — მშვიდად უპასუხა კახამ, — მაგრამ შენც იცი, რომ იუმორის მოჭარბებული გრძნობით არასდროს გამოვირჩეოდი... ასე რომ, ან კარი უნდა გამიღო, ან არა და, რომ იტყვიან, გზას ბარაქას დავაყრი...

— რაც მალე, მით უკეთესი!.. — წაუსისინა მეგიმ.

— შენი გადაწყვეტილება საბოლოოა?..

— მოიცა! — უცბად ყურმილი გამეტებით დააზეთქა მეგიმ, კარს ეცა, საკეტები ერთმანეთის მიყოლებით გახსნა და რკინის მძიმე კარი ყრუ ხმაურით გამოაღო: — მობრძანდი!

მეგის მყისიერი გადაწყვეტილებით შემკრთალმა კახამ ზღურბლს ცოტა დაბნეულმა გადააბიჯა, თუმცა, ქალის საკოცნელად მაინც გაიწია. მეგი მოხერხებულად გადგა განზე და დაუპატიჟებელ სტუმარს გზა დაუთმო.

— ხელი მაინც ჩამომართვი... — ხმაში წყენა დაეტყო კახას.

მეგიმ უხალისოდ გაუწოდა ხელი, კახამ კი ქალის ხელი ხელში წამით შეაჩერა და თვალებში გამომცდელად ჩახედა:

— სულ აღარ გიყვარვარ?

— სულ... — ხელი სწრაფად გამოჰგლიჯა მეგიმ, შემდეგ სასტუმრო ოთახში შეუძღვა და დალის მიერ ამოჩემებულ სავარძელზე ანიშნა: — დაბრძანდი...

— მხოლოდ შენ შემდეგ... — სავარძლის გვერდით მორჩილად გაჩერდა კახა.

— რა თავაზიანი გამხდარხარ!.. — ხმაში ირონია გამოურია მეგიმ და ტახტის კიდეზე ჩამოჯდა.

კახა მაშინვე სავარძელში ჩაეშვა და ოთახი გულდაგულ მოათვალიერა:

— კარგად მოწყობილხარ... მგონი, ეს ბინა ბებიამ დაგიტოვა, ხომ?

— მგონი... — ცივად უპასუხა მეგიმ.

— ავეჯიც ახალი შეგიძენია...

— ძალიან დაკვირვებული ბრძანდები! — გააწყვეტინა მეგიმ. — ყველაზე ახალი კი, შენ რომ ზიხარ, ის სავარძელია.

— არა, ეს სავარძელი ადრეც გქონდა... — კვლავ მშვიდად განაგრძო კახ-

ამ. — ოღონდ, მასში ჩავჯდომა მე პირადად, პირველად მეღირსა, იმიტომ, რომ როგორც წესი, დალის ჰქონდა ხოლმე „ოკუპირებული“. კიდევ კარგი, რომ ახლა მაინც არ არის აქ.

— სხვათა შორის, ერთი ფეხით გაგასწრო.

— მართლა?.. — გაუკვირდა კახას და თან, ფეხი ფეხზე შინაურულად გადაიდო. — საინტერესოა, ამ შუაღამისას რამ შეაწუხა?

— რამაც დილით და შუადღისას... — გაღიზიანდა მეგი. — მაგრამ არ გეჩვენება, რომ შენ აქ შეკითხვებს არ უნდა სვამდე?

— კი, ნამდვილად მეჩვენება და ბოდიშსაც გიხდი. უბრალოდ, პროფესიულმა ჩვევამ მძლია. შეიძლება, აღარ გახსოვს, მაგრამ მოსკოვში წასვლამდე ხომ ერთი წელი, გამომძიებლად ვმუშაობდი...

— ჯერ მახსოვრობას არ ვუჩივი, — ცივად უპასუხა მეგიმ. — ისიც კი მახსოვს, ბოლოს რა საქმეს იძიებდი.

— მართლა?.. — ვითომ გაუკვირდა კახას. — რას?

— რას და ერთი მეზობელი მეორეს ედავებოდა, „პადვალი“ წამართვაო... — აგდებულად უპასუხა მეგიმ.

— მართალი ხარ... — ჩაიბურტყუნა ნირწამხდარმა კახამ. — დიდი ვერაფერი საქმე იყო... მით უმეტეს, შენისთანა სახელგანთქმული ადვოკატის გადასახედიდან... მაგრამ ალბათ მაინც დამეთანხმები, რომ ჩვენი ცხოვრება მარტო ამაღლებული იდეალებისთვის კი არა, „პადვლების“, ლოჯიებისა თუ „პადიეზდებისთვის“ ბრძოლაცაა.

— ნამდვილად დაგეთანხმები, მაგრამ არა მგონია, ამ შუაღამისას აქ ესოდენ „ღრმად ფილოსოფიური“ აზრების გადმოსაფრქვევად იყო მოსული. ასე რომ, დროა, საქმეზეც გადახვიდე!..

— კი, ბატონო!.. სავარძელში ნერვიულად შესწორდა კახა. — საქმე ნამდვილად მაქვს.

— გისმენ, — მართლაც, სმენად იქცა მეგი, — რა გაგჭირვებია?

— პატიების სათხოვნელად მოვედი... — თავი დამნაშავესავით დახარა კახამ.

— რის სათხოვნელად? — გაოცდა მეგი.

— პატიების...

— ათი წლის შემდეგ?

— რა მოხდა მერე?.. არ გაგიგონია — სჯობს გვიან, ვიდრე არასოდესო?..

— კი, გამიგონია... — ნერვიულად ჩაილაპარაკა მეგიმ და თან, ოთახს თვალი საგულდაგულოდ მოავლო.

— რა იყო? — ღიმილი ვეღარ შეიკავა კახამ. — რამე მძიმეს ხომ არ ეძებ, რომ თავში დამიშვა?..

— აზრი არა აქვს... — კბილებში გამოცრა მეგიმ. — რა ცინიკოსიც იყავი, იგივე დარჩენილხარ...

— მართალი ხარ... — თეატრალურად ამოიოხრა კახამ. — ანუ როგორც ერთმა ჭკვიანმა კაცმა თქვა, ადამიანები კი არ იცვლებიან, არამედ მჟღავნდებიან...

— მოვრჩეთ, რა, ამ მიეთ-მოეთს! — უცბად ფეხზე დემონსტრაციულად წამოდგა მეგი.

კახაც მაშინვე მას აჰყვა და თან, პიჯაკის ღილების საგულდაგულოდ შეკვრაც დაიწყო.

— მართლა! კინაღამ არ დამავიწყდა?!. — პიჯაკის ღილები ისევ ერთმანეთის მიყოლებით შეიხსნა მან, შემდეგ, უბის ჯიბიდან იის კონა ამოიღო და მეგის მოწიწებით გაუწოდა: — ეს — შენ!

— იები? — ყვავილებს თვალი ვეღარ მოსწყვიტა მეგიმ.

— არ მითხრა ახლა, იებიც აღარ მიყვარსო...

— არა, იები ძველებურად მიყვარს... უბრალოდ, იმან გამაოცა, ამ გაგანია ზაფხულში იები სად ნახა-მეთქი?..

— გული გულობდეს, თორემ...

— თუ ფული ფულობდეს?.. — კვლავ კბენის ხასიათზე დადგა მეგი, თუმცა, კახას იები მაინც ჩამოართვა და დაყნოსა.

— არც იმდენი ფული მაქვს, შენ რომ გგონია... — იწყინა კახამ.

— მე არაფერიც არ მგონია, — თაიგული ჟურნალების მაგიდაზე უხეშად მოისროლა მეგიმ. — როგორც ჩანს, შენ გგონია რაღაც, თორემ, ამ დროს კარზე არ მომადგებოდი. ამიტომ, იძულებული ვარ, გაგაფრთხილო, რომ ის გულუბრყვილო პატარა გოგო აღარ ვარ, ერთ დროს მამაშენის ფულებითა და მანქანით რომ გააბრუე და...

— მამაჩემის ფულებისა და მანქანის გარდა, არაფერი დაგამახსოვრდა?.. — აშკარად გული ჩასწყდა კახას.

— კარგი არაფერი... მართლა, ცოლი თუ გყავს? — დაინტერესდა უცბად მეგი.

— მყავდა, მაგრამ მალევე გავეყარე...

— რატომ?.. ხასიათი ვერ შეგიწყო?

— არა... მიღალატა... — თავი ჩაქინდრა კახამ.

— გიღალატა?.. შე-ენ?.. ყოჩაღ, ქალო!.. — გამხიარულდა მეგი. — მაგარი ვინმე ყოფილა! აბა, მე კი არ მგავს, შენი ღალატი 10 წლის შემდეგაც რომ ვერაფრით მომიხერხებია...

— მართლა?! — სახე გაუნათდა კახას და მაჯაზე ნაზად შეეხო მეგის: — გამოდის, რომ...

— არაფერიც არ გამოდის... — ხელი ცივად გააშვებინა მეგიმ. — მე შენ კი არა, საკუთარ თავს ვერ ვღალატობ. და კიდევ: ამჯერად ვერანაირი ფულით ვეღარ მიყიდი, გასაგებია?!.

— გასაგებია... — მრავალმნიშვნელოვნად აათვალიერ-ჩაათვალიერა კახამ ქალი და დასძინა: — მე ეგ არც მიფიქრია. მით უმეტეს, რომ უკვე სხვებმა გიყიდეს...

— რას ჰქვია, მიყიდეს?!. — თვალები დააკვესა მეგიმ. — ვის გულისხმობ?

— ვის და შენს ახალ კლიენტს. არ მითხრა ახლა, მის ადვოკატობას უფასოდ ვაპირებო...

— რა თქმა უნდა, არა... — შვებით ამოისუნთქა მეგიმ. — თუ ყიდვაში ამას გულისხმობ, შემიძლია გაგახარო: ნამდვილად კარგ თანხად მიყიდეს.

— მაინც რამდენად?

— არ მესმის, შენ ეს რატომ უნდა გაინტერესებდეს!..

— იმიტომ, რომ მე ორ იმდენს მაინც გადაგიხდიდი.

— რაში?

— მაგ საქმეზე უარის თქმაში.

— კი, მაგრამ შენ ამ საქმით ასე რატომ დაინტერესდი? რამდენადაც ვიცი, მხოლოდ ერთ-ერთი რიგითი მოწმე ხარ და მეტი არაფერი...

— მე — იმდენად არა, მაგრამ ჩემი მეგობრები ნამდვილად სერიოზულად არიან დაინტერესებული...

— რით?

— გულახდილად გითხრა?

— გულახდილად ლაპარაკი შენს ინტერესებშია... ისე — როგორც გენებოს...

— კარგი, პირდაპირ გეტყვი... — თვალი თვალში გაუყარა კახამ მეგის. — ჩემს მეგობრებს უნდათ, რომ ანდრო სვანიძე ციხეში რაც შეიძლება, დიდხანს დარჩეს და ამაზე შენი აზრიც ძალიან აინტერესებთ.

— აი, თურმე, რა ყოფილა!.. — ყურადღებით ათვალიერ-ჩაათვალიერა მეგიმ

კახა. — შენი მეგობრები კონკრეტულად ვინ არიან?

— ამას ჯერჯერობით ვერ გეტყვი.

— მაშინ გადაეცი შენს ინკოგნიტო მეგობრებს, რომ ჯერჯერობით მეც ვერაფერს შევპირდები... — მშვიდად მიუგო მეგიმ.

— კი, მაგრამ დრო რომ არ ითმენს?! — შეწუხდა კახა.

— აი, ეგ კი მხოლოდ შენი და შენი მეგობრების პრობლემაა.

— მეგი, მისმინე... — უცბად განერვიულდა კახა. — შენ ჯერ არ იცი, რაში გაყავი თავი, ვის დაეტაკე!..

— იმედია, მალე გავიგებ.

— რომ გაიგებ, უკვე გვიან იქნება...

— იქნება და იყოს! არ მესმის, შენ რა გადარდებს?!.

— რა და შენი პირადი უსაფრთხოება.

— რას მეუბნები?.. — დამცინავად გაელიმა მეგის. — როდის აქეთაა, ჩემი უსაფრთხოებით დაინტერესდი?! ისე, შემიძლია, დაგამშვიდო: თავს საკმაოდ უსაფრთხოდ ვგრძნობ...

— ცოტა ხანში ვეღარ იგრძნობ!.. — ხმას აუწია კახამ. — მე აქ სწორედ იმიტომ ვარ, რომ გაგაფრთხილო და თუ საჭირო გახდა, კიდეც...

— რას გეტყვი, იცი?!. — ხელის აწევით გააწყვეტინა მეგიმ. — ათი წელია, საკუთარ უსაფრთხოებაზე მხოლოდ თავად ვზრუნავ და როგორც ხედავ, ცოცხალი და ჯანმრთელი ვარ. ასე რომ, ნურც ახლა შეწუხდები.

— კარგი... — საფეთქლები ნერვიულად მოისრისა კახამ. — ვატყობ, შენთან შეგონებებით ლაპარაკი, წყლის ნაყვაა.

— სწორად შეგიტყვია.

— მაშინ ფაქტებზე გადავიდეთ. იცი, ანდრო სვანიძის ადვოკატს რა დაემართა?

— ვიცი. ავარიაში მოყვა.

— კი არ მოყვა — მოაყოლეს!

— რა-ა? — გაფითრდა მეგი. — ვინ?.. რატომ?..

— იმათ, ვინც მე შენთან გამომგზავნეს... მეგი, დამიჯერე, დაანებე ამ საქმეს თავი!

— ნამდვილად იცი, რომ სვანიძის ადვოკატის მანქანას ვიღაც შეგნებულად დაეჯახა?

— მარტო ეგ კი არა, ისიც ვიცი, კონკრეტულად რა მანქანა დაეჯახა.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი!.. სასამართლოზე ერთ-ერთ მთავარ მოწმედ შენც გამოგიძახებ!

— გაგიჟდი?! — ხმას აუწია კახამ. — რომელ სასამართლოზე?

— რომელზეც ანდრო სვანიძეს გაამართლებენ! — შემოსასვლელში გავარდა მეგი და კარი ფართოდ გამოაღო: — ახლა კი, მართლა — ღამე მშვიდობისა! ხვალ მძიმე დღე მაქვს და გამოძინება უნდა მოვასწრო!..

მაგრამ მარტოდ დარჩენილი მეგის თვალს იმ ღამით ძილი თითქმის არ მიჰკარებია. ჯერ იყო და, რაღაც უცნაურმა, გაუცნობიერებელმა შიშმა აიტანა. ისიც კი მოეჩვენა, თითქოს შემოსასვლელ კართან ვიღაც იდგა და კარის გარედან გაღებას ჯიუტად ლამობდა. მეგიმ კარის სახელურის გადატრიალების ხმაც კი ისე აშკარად გაიგონა, რომ მანამდე საწოლის კიდეზე მიგდებულ თხელ საბანსაც დასწვდა და კინაღამ დამფრთხალი ბავშვივით, თავზე გადაიფარა... მაგრამ სწორედ იმწუთას, საწოლის გვერდით, ტუმბოზე მდგარი ტელეფონი აწკრიალდა. მეგი ტელეფონს მაშინვე ფეთიანივით დააცხრა:

— გისმენთ!.. მითხარით, რა გინდათ ჩემგან?..

— ალო, მეგი, მე ვარ, დალი ვარ... — მოისმა ყურმილში ქალის ნაცნობი ხმა.

— დალი?.. რომელი დალი?.. — მაინც ვერ გემოერკვა მეგი.

— დალი ხაჩიძე. გაგაღვიძე, ხომ? — შეწუხდა იგი.

— კარგი ქენი, რომ გამაღვიძე! — როგორც იქნა, სული მოითქვა მეგიმ. — რაღაც საშინელება მესიზმრებოდა...

— მეც არ გამიკვირდა, ვის ებრძვისმეთქი?..

— ისე, საბრძოლველი არც ცხადში მაკლია... — ძილისგან საბოლოოდ გამოერკვა მეგი. — შენ რაღამ შეგაწუხა ამ დილაადრიან?..

— ვიფიქრე, მერე ვეღარ დაგიჭერდი და ახლა იმიტომ გირეკავ. ძალიან საჩქარო საქმე მაქვს...

— გისმენ. მითხარი, რა მოხდა?

— ტელეფონში ვერ გეტყვი. მოდი, ათიოდე წუთით შინ შემოგირბენ. ჯერ ხომ არ გადიხარ?

— ჯერ არა. ოღონდ, ძალიან არ დააგვიანო.

— ოც წუთში მანდ გავჩნდები!

— კარგი, გელოდები. მანამდე საუზმეს მოვამზადებ, თორემ, მერე შეიძლება, ჭამისთვის საერთოდ ვეღარ მოვიცალო...

მეგიმ ყურმილი დაკიდა, საწოლიდან წამოდგა, ხალათი შემოიცვა, სამზარეულოში გავიდა და გაზქურაზე ჩაიდანი შემოდგა. ცოტა ხანშიც, კარზე ზარის ხმა გაისმა, რომელმაც მეგი ისე შეაკრთო, რომ ადუღებული წყლით სავსე ჩაიდანი კინაღამ ხელიდან გაუვარდა.

— რა გული გისკდება?! — ხმამაღლა შეუძახა მან საკუთარ თავს. — დალი იქნება!

სანამ მეგი შემოსასვლელ კართან მივიდოდა, ზარის ხმა გამეორდა. მეგი კარს თითის წვერებზე შემდგარი მიუახლოვდა და საჭვრეტელში ისე გაიხედა. კართან მართლაც, დალი იდგა და შუბლზე ჩამოშლილ ჯიუტ თმას ნერვიულად ისწორებდა. მის დანახვაზე მეგიმ მშვიდად ამოისუნთქა და კარის საკეტები გადაატრიალა. მაგრამ ამჯერად კარი უცბად აღარ დაემორჩილა, ამიტომ სახელური მთელი ძალით გამოქაჩა და კარი უცნაური ხრიალით გამოაღო. ამ უცნაურმა ხმამ დალიც დააფრთხო და ინსტინქტურად უკან დაახევინა:

— აჰ, შენ ხარ? — გულზე ხელი იტაცა მან.

— აბა, ვინ უნდა იყოს?.. — გაუკვირდა მეგის და სტუმარს გზა დაუთმო: — შემოდი, რაღას უდგახარ?

მაგრამ დალი ადგილიდან აღარ დაძრულა.

— რა არის, იცი?.. — დამნაშავესავით შეხედა მან მეგის.

— ჯერ არა, — მშვიდად უპასუხა მეგიმ. — შემოდი და მერე ამიხსენი ყველაფერი.

— მარტო რომ არ ვარ?.. — მზერა ახლა სადარბაზოს კუთხისკენ გაექცა დალის.

— მარტო არ ხარ?!. — გაუკვირდა მეგის და თავი კარში გაყო.

სადარბაზოს კუთხეში კახა სუთიძე იდგა და ქვეშ-ქვეშ იცქირებოდა. მეგი მას ისე მიაშტერდა, თითქოს პირველად ხედავსო და გაღიზიანებული მიუბრუნდა დალის:

— ეს კაცი ამ დილაადრიან სად ნახე?

— ქუჩაში შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს, — დალის პასუხი დაასწრო კახამ.

— მერე?.. ქუჩაში ვისაც ნახავ, ყველა ჩემთან უნდა მოიყვანო?.. — ისევ დალის შეუღრინა მეგიმ.

— მოდი, შემოვალთ და ყველაფერს მერე აგიხსნით, კარგი? — სთხოვა დალიმ.

— მობრძანდით!.. — სტუმრებს დემონსტრაციულად ზურგი აქცია მეგიმ და ნერვიული ნაბიჯებით გაემართა სამზარეულოსკენ.

დალი და კახა ჰოლში უხმოდ შევიდნენ, კარიც ასევე უხმაუროდ მიხურეს და თავადაც სამზარეულოს მიაშურეს. გაზქურასთან მდგარ მეგის მათკენ არც კი გაუხედავს, ისე ჰკითხა:

— ყავას მიირთმევთ თუ ჩაის?

— მე ყავას, — მაშინვე უპასუხა დალიმ.

— მეც, — აიტაცა მისი ნათქვამი კახამ.

მეგიმ ჩაიდანი ანთებულ ქურაზე შედგა და კარადიდან „ნესკაფეს“ მოზრდილი ქილა გამოიღო:

— მარტო უნალექო მაქვს...

— შესანიშნავია! — ხელები საქმიანად მოიფშვნიტა კახამ და მაგიდას მიუჯდა. — მე მხოლოდ მაგას ვსვამ.

— მეც... — წამოიკნავლა დალიმ.

— აშენებულხართ და ეგ არის! — კიდევ ერთხელ წაკბინა სტუმრებს მეგიმ და თან, ქაფქაფა ყავით სავსე ფინჯანი მიაწოდა კახას: — ეს — დაუპატიჟებელ სტუმარს. იმედია, მალე დალევს და დაგვტოვებს: მე და დალის სერიოზული სალაპარაკო გვაქვს...

— რა არის, იცი?.. — მეორე ფინჯანი ფრთხილად ჩამოართვა მეგის დალიმ. — კახასაც აქვს შენთან სალაპარაკო...

— მე და კახამ უკვე ყველაფერზე ვილაპარაკეთ... — მოკლედ მოუჭრა მეგიმ. — ასე რომ...

— მეგი, მოიცა!.. — ხელის აწევით შეაჩერა დალიმ. — სულ ტყუილად ბრაზობ! კახას მხოლოდ ჩვენი დახმარება სურს...

— ჩვენში ვის გულისხმობ?

— როგორ თუ ვის?.. ჩემს თავს, შენ, ანდროს...

— რას მეუბნები?! უკვე ანდროსაც ეხმარება?!. საინტერესოა, მაინც როგორ?..

— თუ საშუალებას მომცემ, მე აგიხსნი... — როგორც იქნა, ქალების ლაპარაკში კახამაც მოახერხა სიტყვის ჩაგდება.

— გისმენ. ამიხსენი, — თვალი თვალში გაუყარა მას მეგიმ.

— საქმე ისაა, რომ დალიმ ანდროსთვის ახალი ადვოკატის აყვანა გადაწყვიტა. მე კი ჩემი ნაცნობი ადვოკატი შევთავაზე. სხვათა შორის, ძალიან გამოცდილი იურისტია...

— სახელი და გვარი არა აქვს? — ცივად გააწყვეტინა მეგიმ.

— როგორ არა? ბესო... ბესიკ ცივაძე. მგონი, მას შენც კარგად უნდა იცნობდე.

— კი, ცივაძეს ნამდვილად კარგად ვიცნობ. მაგრამ მანამდე, იქნებ, ჩემთვისაც გეკითხათ რამე?

— აქ სწორედ მაგის საკითხავად, უფრო სწორად — სათქმელად მოვედი... — დამნაშავე ხმით უპასუხა დალიმ.

— ყველაფერი გასაგებია... — თავისთვის ჩაილაპარაკა მეგიმ. — ანდრო სვანიძე თუა საქმის კურსში? აცილება ხომ პირადად მან უნდა მომცეს?!

— ანდროს აზრი ჯერ არ ვიცი... — ძლივს ამოიკნავლა დალიმ. — დღეს საღამოს, ალბათ, როგორმე მოვახერხებ მის ნახვას და ყველაფერს ავუხსნი...

— კი, ბატონო, საღამოს რაც გინდა, ის აუხსენი. ახლა კი უნდა წავიდე, თორემ, დამაგვიანდება.

— ციხეში მიდიხარ? — დაინტერესდა დალი.

— ჰო, საპყრობილეში. შენც ახლავე ხომ არ წამოხვიდოდი?

— მანქანით ვარ, — პასუხის გაცემა აღარ აცალა დალის კახამ. — სადაც მეტყვით, იქ წაგიყვანთ!

— კარგი... — ალმაცერად გახედა მეგიმ კახას. — როგორც ერთმა ბრძენმა კაცმა თქვა, ჩათრევას ჩაყოლა სჯობსო... იმას მაინც ვნახავ, სადამდე შეიძლება თქვენი ჩაყოლა...

საპყრობილეში მისულ მეგის ახალი ამბავი დაახვედრეს: სულიკო ჟვანია ექიმებმა გამოკვლევაზე იძულებით დააწვინეს, ანდრო სვანიძის საქმის გამოძიება დროებით სხვას გადაეცა, იმ სხვამ კი საქმის გასაცნობად რამდენიმე დღე ითხოვაო...

ამ საქმისგან სულიკო ჟვანიას ჩამოცილებით გახარებული მეგი ანდროს მოყვანას უჩვეულო გულისფანცქალით ელოდა.

„რა მომდის?.. — გულში რამდენჯერმე ჰკითხა მან საკუთარ თავს. — ისე ვარ აფორიაქებული, თითქოს კლიენტთან კი არა, შეყვარებულთან მქონდეს პაემანი!..“

ამასობაში, ბადრაგმა ზურგზე ხელებდაწყობილი ანდრო შემოიყვანა. მეგი მას, მკაცრი მასწავლებლის გამოჩენით დამფრთხალი მოსწავლესავით მაშინვე ფეხზე წამოუდგა.

— ბრძანდებოდეთ... — მეგის უჩვეულო შეკრთომა არ გამოჰპარვია ანდროს.

— თქვენც დაბრძანდით... — სული ძლივსღა მოითქვა მეგიმ და როგორც იქნა, თვალი გაუსწორა ანდროს...

გაგრძელება იქნება

„ბრძოლა წესების გარეშე“ სპორტის სახეობათა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც ჩვენმა საზოგადოებამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაიცნო. ორთაბრძოლის ეს ექსტრემალური ფორმა საქართველოში თანდათან პოპულარული ხდება, თუმცა მის მიმართ დღემდე არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს. ერთნი მას არაესთეტიკურ, უხეშ სანახაობად მიიჩნევენ, ხოლო მეორენი — ვაჟკაცობის გამოვლენის საუკეთესო საშუალებად. „თვით სახელწოდება — „ბრძოლა წესების გარეშე“ — უფრო ხალხშია მიღებული, თორემ, გარკვეული შეზღუდვები სპორტული ორთაბრძოლის ნებისმიერ სახეობას აქვს. მაგალითად, არც ერთი მათგანში არ შეიძლება მეტოქისთვის კბენა, თვალის არეში დარტყმა და ა.შ. ერთი სიტყვით, წესების გარეშე ბრძოლას მხოლოდ ქუჩაში თუ ვნახავთ“, — ამბობს საქართველოს შიდოკანისა და პანკრატიონის ფედერაციის პრეზიდენტი იოსებ კობერიძე, რომლის თაოსნობით თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ შეჯიბრებებში ჩვენმა ნაკრებმა დამაჯერებლად სძლია რუსეთისა და სომხეთის გუნდებს.

ანე უნდოდ მხოლოდ ქუჩაში იბრძვიან საით მიეუკავართ სამურაის გზას

ალექსი რეხვიაშვილი

– 10-15 წლის ასაკში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას მივდევდი. შემდეგ კიოკუშინკაი კარატეში დავიწყე ვარჯიში. 1998 წელს დავაარსე შიდოკანისა და პანკრატიონის ფედერაცია, რომელიც მსოფლიოსა და ევროპის ფედერაციებში გავაწევრე. შიდოკანი კარატეს, კრივსა და ჭიდაობას აერთიანებს, ხოლო სპორტული პანკრატიონი იგივეა, რაც „ბრძოლა წესების გარეშე“. ვარ შიდოკანისა და კიკბოქსინგის მსოფლიო ჩემპიონატების მესამე პრიზიორი. პანკრატიონის მსოფლიო პირველობაზე კი, პირველი ადგილი დავიკავე. ვფლობ მესამე დანის შავ ქამარს.

— საინტერესოა, კარატესთან შედარებით, რატომ მიანიჭე უპირატესობა შიდოკანსა და პანკრატიონს?

– კარატეს შეჯიბრებებში გარკვეული შეზღუდვები მოქმედებს. ვგულისხმობ ორთაბრძოლის წესებს. ჩვენს სახეობაში კი ეს შეზღუდვები მინიმუმამდეა დაყვანილი. როგორც უკვე აღვნიშნე, შიდოკანი კრივის, ჭიდაობისა და კარატეს ილეთებს მოიცავს. ამ მხრივ ის უფრო რთულია, ვიდრე ცალკე აღებული რომელიმე ორთაბრძოლის სახეობა, მაგრამ ამავე დროს, გაცილებით საინტერესოცაა. რეალურ ორთაბრძოლასთან მაქსიმალურად მიახლოებულ დისციპლინაში მსურდა საკუთარი შესაძლებლობების გამოცდა და ეს სახეობა იმიტომ ავირჩიე.

— კი, მაგრამ „ბრძოლა წესების გარეშე“ ხომ უფრო სარისკოცაა, რადგან მისმა მიმდევარმა შეიძლება ძალიან მძიმე ტრავმა მიიღოს. ასე არაა?

– პირიქით, რაც უფრო ექსტრემალურია ორთაბრძოლის სახეობა, მით უფრო მცირეა ტრავმის მიღების რისკი: როდესაც იცი, რომ მინიმუმამდეა დაყვანილი შეზღუდვები, უფრო მობილიზებული ხარ და მოწინააღმდეგეს ტრავმის მოყენების შესაძლებლობას არ აძლევ. და პირიქით – როდესაც ორთაბრძოლაში მრავალი შემზღუდავი წესი მოქმედებს, მონაწილენი უფრო ხშირად არღვევენ მათ და ამის გამო, სხეულის დაზიანების ალბათობაც იზრდება. საერთოდ, იაპონური სიტყვა „შიდოკანი“ სამურაის გზას ნიშნავს – ე.ი. ორთაბრძოლისას ყველაფრისთვის მზად უნდა იყო...

— მაშინ გულწრფელად მიპასუხე: როდესაც რინგზე გადიხარ, ტრავმის მიღების საერთოდ არ გეშინია?

– რინგზე ისე გავდივარ, როგორც ჩვეულებრივ სამუშაოზე. ადრე, ორთაბრძოლის წინ, აღელვებული მართლაც, ვიყავი, მაგრამ ახლა ამგვარი რამ გამორიცხულია.

— ცხვირი როდესაც გაგიტეხეს?..

– ო-ო, ჩემმა ცხვირმა შეგიყვანა შეცდომაში?!. 6 წლის ვიყავი, ბავშვები ვთამაშობდით, წავიქეცი, ცხვირი ბორდიურზე დავარტყი და გავიტეხე, რის შემდეგაც ეს დიდი და ლამაზი კეხი გამეზარდა... საერთოდ, ვარჯიშის დროს გაცილებით მეტ დარტყმას ვიღებ, ვიდრე შეჯიბრზე.

— ოჯახის წევრები როგორ ეგუებიან შენს საქმიანობას?

– მშობლები, მეუღლე და ორივე ქალიშვილი სულითა და გულით მქომაგობენ. ჩემმა შვილებმა იციან, რომ მამიკო ყოველთვის გაიმარჯვებს. ამიტომ ისინი შედარებით მშვიდად არიან, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვი დედაჩემზე, რომელიც არათუ ჩემს შეჯიბრებებზე არ დადის, არამედ ვიდეოჩანაწერსაც ვერ უყურებს.

იოსებ კობერიძე შიდოკანის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ, იოშიჯი სოენოსთან ერთად

— სოსო, „წესების გარეშე ორთაბრძოლის“ მიმდევრებს ხშირად, თანამედროვე გლადიატორებს უწოდებენ. შენ რას იტყვი ამაზე?

— ზოგიერთ სპორტსმენს ამგვარი შედარება მართლაც, მოსწონს. მაგალითისთვის, ჩემს მოადგილეს, გია ჩირაღიშვილს დავასახელებ, რომელსაც მეტსახელად გლადიატორი ჰქვია და ზურგზე სწორედ ეს სიტყვა აქვს ამოსვირინგებული. საკუთარი თავი გლადიატორად ნამდვილად არ მიმაჩნია: გლადიატორები ტყვეობასა და მონობაში ცხოვრობდნენ, ჩვენ კი ეს გზა თვითონ ავირჩიეთ.

იოსებ კობერიძე (მარცხნივ) სპარინგ-პარტნიორთან ერთად

— აი, კიდევ ერთი ნიუანსი, რომელიც „წესების გარეშე მებრძოლთათვისაა“ დამახასიათებელი: თითქმის ყოველ მათგანს დოსიეში უწერია (რომელსაც ორთაბრძოლების წინ შეჯიბრების წამყვანი კითხულობს), რომ მისი ჰობი — ქალებია. ამგვარად მექალთანეების იმიჯს იმკვიდრებთ?

— ძალიანაც კარგია, რომ ამ ბიჭების ჰობი ქალებია და არა კაცები... თუმცა, მე დოსიეში ყოველთვის ვწერ, რომ ჩემი ჰობი, მუსიკა და ლუდია. ძალიან მიყვარს ბილიარდიც, მაგრამ სამწუხაროდ, კარგად ვერ ვთამაშობ.

— ბოლო დროს კიდევ ერთი პროფესია შეითავსე: სპორტის სასახლეში გამართულ შეჯიბრებებზე ორთაბრძოლების კომენტატორად მოგვევლინე...

— მიკროფონთან დაჯდომას სულაც არ ვაპირებდი. ეს უბრალოდ, ბატონი ჯამლეტ ხუხაშვილის თხოვნით გავაკეთე. მას ჩემი დებიუტი ძალიან მოეწონა და ხუმრობით იმასაც ამბობდა, კონკურენტი გამომიჩნდაო.

— თავად, შენს ორთაბრძოლებს როგორ შეაფასებდი?

— 23 მაისს, საქართველოსა და რუსეთის გუნდების შეხვედრისას ძალიან ძლიერი მეტოქე მყავდა. მას ბოლო რაუნდში მცირე უპირატესობით მოვუგე, რამაც ძალიან გამახარა. რაც შეეხება სომხეთის ნაკრებთან დაპირისპირებას, ამ შეჯიბრებაში 17-18 კგ-ით მძიმე მოწინააღმდეგე შემხვდა. ორთაბრძოლისას ერთ-ერთ მომენტში შეცდომა დავუშვი და დავეცი. მაგრამ საბოლოოდ, მტკივნეული ილეთით მეტოქის სუფთად დამარცხება მაინც შევძელი.

— ჩვენს ნაკრებს გასვლითი შეხვედრა თუ ჩაუტარებია რომელიმე ქვეყანაში?

— 19 ივნისის ბუქარესტში ჩატარდა საერთაშორისო მატჩი. რუმინელებმა მსოფლიო ნაკრებს უმასპინძლეს, რომლის შემადგენლობაშიც ერთი მებრძოლი საქართველოდანაც იყო მიწვეული: ჩვენი ქვეყნის ღირსებას გია ჩირაღიშვილი (გლადიატორი) იცავდა, მე კი, მისი სეკუნდანტი გახლდით. გიამ ურთულეს ორთაბრძოლაში მოიპოვა ლამაზი გამარჯვება. საერთოდ, ის შეჯიბრება მსოფლიო ნაკრების აბსოლუტური უპირატესობით — ანგარიშით 5:0 (ორივე გუნდი 5-5 ათლეტით იყო წარმოდგენილი) დასრულდა. გლადიატორის ასპარეზობით კი, მასპინძლები იმდენად მოიხიბლნენ, რომ შემდეგ, ქუჩაში აჩერებდნენ. ასე რომ, გია არაოფიციალურად აღიარეს რუმინეთის საპატიო მოქალაქედ.

— სოსო, ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ „ბრძოლა წესების გარეშე“ ჩვეულებრივი, კარგად დადგმული შოუა და სხვა არაფერი. ამგვარ მოსაზრებას თუ აქვს საფუძველი?

— ეს არაკომპეტენტური ადამიანების შეხედულებაა, მაგრამ ყველას აქვს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება. ეს ჩვენ სულაც არ გვიქმნის პრობლემას, ამიტომ — ილაპარაკონ, რამდენიც უნდათ.

— სპორტის სასახლეში გამართული შეჯიბრებების შემდეგ, სახელმწიფოს ან კერძო სტრუქტურების მხრიდან თქვენდამი დაინტერესება თუ გაიზარდა?

— ჯერჯერობით ამგვარი არაფერი გვიგრძნია. საერთოდ, ეს ორი შეჯიბრება არაფერია იმ წარმატებებთან შედარებით, რასაც საერთაშორისო ასპარეზზე მივაღწიეთ. არავითარი დახმარების იმედი არ გვაქვს. უბრალოდ, ხელს ნუ შეგვიშლიან ჩვენს საქმიანობაში და ერის ფიზიკურ და სულიერ გაჯანსაღებაში მნიშვნელოვან წვლილს შევიტანთ. ჩემი აზრით, აუცილებელია, სახელმწიფომ იზრუნოს იმაზე, რომ ქართველ მამაკაცში მებრძოლი სულის აღორძინება მოხდეს...

— რინგზე ყოველთვის საქართველოს დროშით რომ გამოდიხარ, ესეც ამ ამოცანას ემსახურება, არა?

— რასაკვირველია. ვამაყობ იმით, რომ ქართველი ვარ და ყველას ვანახვებ ჩვენს ახალ, ლამაზ დროშას. სხვათა შორის, ამ დროშით პირველად რინგზე შარშან დეკემბერში, ამერიკაში გავედი — ე.ი. მაშინ, როდესაც ის ჯერ საქართველოს სახელმწიფო დროშა არ იყო...

— საინტერესოა, შენი ფიზიკური უპირატესობის ქუჩურ კონფლიქტებში გამოყენება თუ გიხდება ხოლმე?

— საერთოდ, ყოველთვის ვცდილობ, რომ ქუჩურ კონფლიქტში არ ჩავება. თუ ასეთ სიტუაციაში მაინც აღმოვჩნდი, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიური უპირატესობის გამოყენებას ვამჯობინებ, მაგრამ თუ ამანაც არ გაჭრა...

— ისე, ნოკაუტით ბევრი ორთაბრძოლა გაქვს მოგებული?

— საკმაოდ ბევრჯერ გამიმარჯვია ნოკაუტით, მაგრამ ამას რინგზე თუ ვერ მივაღწიე, შეჯიბრების შემდეგ გამართულ ბანკეტზე — სუფრასთან მაინც ვახერხებ ხოლმე *(იცინის)*...

— ფედერაციის გეგმებზე რას გვეტყვი?

— შემოდგომაზე, თბილისში ევროპის ნაკრების ჩამოყვანას ვაპირებთ, რომელიც ჩვენს გუნდს შეხვდება. დაგეგმილი გვაქვს აგრეთვე გასვლით შეჯიბრებებში მონაწილეობა.

— კიდევ რამდენ ხანს აპირებ ასე „წესების გარეშე“ ბრძოლას?

— სპორტის ამ სახეობაში მებრძოლი 35-36 წლის ასაკში აღწევს პიკს. მე 31 წლის ვარ. ასე რომ, ჯერჯერობით ყველაფერი წინ მაქვს...

— ალბათ აქტიური სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ, ისევე, როგორც არაერთი ცნობილი სპორტსმენი, შენც პოლიტიკაში ან ბიზნესში წახვალ, არა?

— ამას ნამდვილად არ ვაპირებ. პირიქით — პოლიტიკოსებსა და ბიზნესმენებს მოვუწოდებ, სპორტში გადმოვიდნენ...

■



„რა დასამალია და, ყველაზე მეტად, სანდრა რულოვსს რომ ვხატავდი, მაშინ განვიცდიდი; მეშინოდა, ცუდად არ გამომსვლოდა: პრეზიდენტის ცოლს ხატავ, ხუმრობა ხომ არ არის?!" — ამბობს მხატვარი, რომელმაც ტელეგადაცემის — „პირველი ნახევარი" — მსვლელობისას, რესპონდენტის პორტრეტი უნდა შექმნას.

ნუგზარ ლაცაბიძე პროფესიონალი მხატვარი არ გახლავთ, მაგრამ აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწევა და სხვადასხვა ჟანრში არაერთხელ მოუსინჯავს ძალები: ეკლესიის კედლებიც მოუხატავს, ინტერიერის დიზაინზეც უმუშავია და ხეზე ჩუქურთმებიც ამოუჭრია. შინ თითქმის ყველაფერი საკუთარი ხელით აქვს გაკეთებული. დანარჩენს თავად მოგვითხრობს.

„ნაცვლად ტუბოდან ქუთაისში მიმავალი ორი" ანუ

ის საეჭვო აქვს მოყვარული მხატვარი სევას დიდ ჯულიეტიონთან

ელენე ხირსელი

— ნუგზარ, როგორ მოხვდი გადაცემაში, „პირველი ნახევარი"?

— ჩემი მეზობელი მხატვრის ოლეგ ტიმჩენკოს რეკომენდაციით. გია გაფრინდაშვილი ეძებდა მხატვარ-გრაფიკოსს, ოლეგმაც ჩემი თავი ურჩია. გიამ ნახა ნახატები, მოეწონა და მიმიწვია მასთან სამუშაოდ, როცა ნატურა პოზირებს, ხატვა ბევრად იოლია, მაგრამ თუ ხატავ ადამიანს, რომელიც არ არის შეზღუდული მოძრაობაში, ხან ანფასში ხედავ, ხან პროფილში, თანაც, განსაზღვრულ დროში უნდა ჩაეტიო, მუშაობა შედარებით რთულია.

— ცაიტნოტში ხომ არ ხვდები ხოლმე?

— ერთი რესპონდენტის ჩაწერა დაახლოებით 1 საათი გრძელდება, მე კი 15-20 წუთში, მაქსიმუმ — ნახევარ საათში ვეტევი. დრო თავზე საყრელად მრჩება. რა უნდა ვაკეთო? გულხელდაკრეფილი ხომ არ დავჯდები?.. ვზივარ და უკვე დასრულებულ ნახატს ტყუილად ვუსვამ ფანქარს. გარდა ამისა, ერთი პორტრეტის ნაცვლად, რამდენიმე ჩანახატს ვაკეთებ. ერთი სტუმარს მიაქვს სამახსოვროდ, დანარჩენები გადაცემის არქივში რჩება.

— წინასწარ თუ იცი ხოლმე სტუმრის ვინაობა?

— სტუმრის ვინაობას ჩაწერის დღეს ვიგებ. გადაცემის ვიდეოჩაწერა სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში" მიმდინარეობს. საღამოს 9 საათზე უკვე ადგილზე ვარ, 11-ზე კი, როცა მოსამზადებელი სამუშაოები დასრულებულია, იწყება ჩაწერა. გადაცემაზე 20-25 კაცი მუშაობს. ჭიანჭველებივით ირევიან, არის ერთი აყალმაყალი და აურზაური. მაგრამ ჩაწერა რომ იწყება, ყველაფერი ერთი ხელის მოსმით გადასხვაფერდება ხოლმე და იქმნება რომანტიკული საღამოს ატმოსფერო — ისეთი, თითქოს ქვეყანაზე მხოლოდ ორი, გულითადად მოსაუბრე ადამიანი არსებობს.

— ყველაზე მეტად ვისი დახატვა გესიამოვნა?

— მანანა არჩვაძის. ძალიან საინტერესო დასახატია. სხვათა შორის, თვითონაც მოეწონა ნახატი, — აუცილებლად ჩარჩოში ჩავსვამო, — მითხრა, ბიძინა კვერნაძის მეუღლემ კი იწყინა — ასეთი ლამაზი რატომ დამხატეო?.. ირაკლი ოქრუაშვილის მეუღლე, როგორც ჩანს, ძალიან ცნობისმოყვარეა, ინტერვიუს მსვლელობისას ხშირ-ხშირად ნახატისკენ აპარებდა თვალს. როცა სანდრა რულოვსს ვხატავდი, მთელი კოლექტივი დაძაბული იყო. სასტუმროსთან ცნობისმოყვარე ხალხი შეიკრიბა. ბავშვები მინას ეკვროდნენ. ერთი სიკვდილი გავათავეთ... ჩაწერა რომ დამთავრდა, თენგიზ ჩანტლაძის ნათქვამისა არ იყოს, 20 წლის ჩასუნთქული, ერთბაშად ამოვისუნთქე.

— მოდი, ახლა პირადად შენზე ვისაუბროთ. ვინ არის ნუგზარ ლაცაბიძე?

— დავიბადე ხარაგაულის რაიონში სოფელ ნებოძირში, დავამთავრე თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ხატვა ბავშვობიდან მიყვარდა. სულ ვხატავდი

სასტუმროსთან ცნობისმოყვარე ხალხი შეიკრიბა. ბავშვები მინას ეკვროდნენ. ერთი სიკვდილი გავათავეთ...

სტამბოლამდე სულ ხატვა-ხატვით ჩავედი. ქუჩაში ვიჯექი და მსურველებს ვხატავდი. ფანქრით ნახატში 5 დოლარს მიხდიდნენ...

ვინც რა უნდა თქვას, ოჯახს ვერაფერი შეედრება!..

— მზის ჩასვლას, მზის ამოსვლას, წავიდოდი ტყეში და ვხატავდი ბალახებს, იებს... 8 კლასი რომ დავამთავრე, „ნიკოლაძეში“ *(იაკობ ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებელი. — ავტ.)* ვაპირებდი ჩაბარებას, მერე კი სამხატვრო აკადემიას ვუმიზნებდი. მაგრამ როგორც ამბობენ —კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. ერთმა კურიოზმა მთლიანად შეცვალა ჩემი გეგმები: სასწავლებელში საბუთების ჩასაბარებლად რომ მივედი, უეცრად აღმოვაჩინე, რომ ატესტატი მაკლდა, თურმე გზაში დამკარგვია... საშუალო სკოლა რომ დავამთავრე, აკადემიაში ჩაბარება აღარ მიცდია. უკვე კომპლექსი მქონდა — მეგონა, ჩაწყობის გარეშე ვერ მოვხვდებოდი. ჩავაბარე გეოლოგიის ფაკულტეტზე, რადგან, მაინც რომანტიკული პროფესიაა და ჩემს მისწრაფებებს ემთხვევა: ექსპედიციები, ლაშქრობები...

— ხშირად მოგზაურობდი?

— სანამ დავოჯახდებოდი, ერთ ადგილას ვერ ვჩერდებოდი, სულ გზაში ვიყავი: ხან ბათუმში ამოვყოფდი თავს, ხან თბილისში, ხან თურქეთში ვიყავი, ხან მოსკოვში. ყველაფერი რომ მომბეზრდებოდა, ისევ სოფელში მივდიოდი. ქვეყანაში არეულობა იყო და მეც არეული ვიყავი. შეიძლება ითქვას, სტამბოლამდე სულ ხატვა-ხატვით ჩავედი. ქუჩაში ვიჯექი და მსურველებს ვხატავდი. ფანქრით ნახატში 5 დოლარს მიხდიდნენ, ზეთში დახატული კი, უფრო ძვირად იყიდებოდა. მოსკოვშიც იმავე საქმიანობას ვეწეოდი, სასულიერო სემინარიის და საბავშვო ბაღის კედლებიც მოვხატე, ვმონაწილეობდი ეკლესიის აღდგენაში... 33 წლის რომ გავხდი, ასეთი ცხოვრება აღარ მაკმაყოფილებდა, მივხვდი, რომ სულ სხვა რაღაც მჭირდებოდა.

— და გადაწყვიტე ოჯახის შექმნა, არა?

— სწორად მიმიხვდი. ვინც რა უნდა თქვას, ოჯახს ვერაფერი შეედრება!.. მომავალი მეუღლე ია, ჩემი სიძის — დის მეუღლის ოჯახში გავიცანი; იმ პერიოდში უმუშევარი ვიყავი. ფული არ მქონდა, შეყვარებულს ვერსად დავპატიჟებდი. ვფიქრობდი, რით მომეწონებინა თავი? ამ შემთხვევაშიც, ფანქარმა მიხსნა. პირველსავე შეხვედრაზე ვაკის პარკში წავიყვანე და დავხატე. დანარჩენი შეხვედრებიც ამგვარი იყო. დავეხეტებოდით ქალაქის ქუჩებში, ვხუმრობდით, ვსაუბრობდით ხელოვნებაზე... მალე ცოლადაც გამომყვა. მშობლიურ სოფელ ნებოძირში თავის დროზე, ჩემი თაოსნობით აღვადგინეთ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, სადაც პირველებმა მე და იამ დავიწერეთ ჯვარი. ახლა გვყავს 5 წლის გოგონა და 3 წლის ბიჭი. გოგონას ძალიან უყვარს ხატვა და ცეკვა, ოცნებობს ბალერინობაზე, ბიჭი კი კუბურებით ისეთ სახლებს აშენებს, ნამდვილად არქიტექტორი გამოვა.

— ნუგზარ, ნახატებს სახელის მაგივრად, SEVA-ს აწერ. ეს აბრევიატურაა?

— ეს ჩემი მეორე სახელია. „არსენა მარაბდელში“ არის ვინმე სევასტია ლაცაბიძე. ჰოდა, თანაჯგუფელები მემასხრებოდნენ ხოლმე — სევასტია ლაცაბიძე ხარო. ასე ნელ-ნელა, ხუმრობა-ხუმრობაში შემერქვა სევასტია, შემოკლებით — სევა. მეც შევეჩვიე ამ სახელს და ახლა მომწონს კიდეც. ოჯახის წევრების გარდა, თითქმის ყველა, სევას მეძახის, ბევრმა არც კი იცის ჩემი ნამდვილი სახელი.

...ასე ნელ-ნელა, ხუმრობა-ხუმრობაში შემერქვა სევასტია, შემოკლებით — სევა

— შენს ნახატებს რომ ვათვალიერებდი, თავისთავად გაჩნდა კითხვა: რატომ ხატავ ამდენ მძინარე ადამიანს?

— როცა ადამიანს სძინავს, მასში აღარ იგრძნობა ხელოვნურობა: ამ დროს ის ვერ აკონტროლებს სახის გამომეტყველებას, კუნთები ბუნებრივად მოშვებულია. ამის წყალობით, შეიძლება, ამოიკითხო მისი შინაგანი სამყარო, მისი მისწრაფებები... ადამიანი თუ მძინარე არ გინახავს, ჩათვალე, რომ არც იცნობ. ერთი სიტყვით, მძინარე ადამიანი ვიზუალურად ძალიან საინტერესოა და ამავე დროს, ღიმილის მომგვრელიც. ის

მძინარე ადამიანი ვიზუალურად ძალიან საინტერესოა და ამავე დროს, ღიმილის მომგვრელიც. ის თითქოს თავადვე ითხოვს — დამხატეო...

თითქოს თავადვე ითხოვს — დამხატეო... ამდენი „მძინარე ადამიანი“ კიდევ იმიტომ მომიგროვდა, რომ როდესაც მათ ტრანსპორტში ვხატავდი, ნახატის მისაცემად აღარ ვაღვიძებდი. სხვათა შორის, „მძინარე ადამიანების“ გამოფენაც მოვაწყვე, „თეატრალურ სარდაფში“ და „ცისფერ გალერეაში“. მაშინ ისეთი პერიოდი იყო, ხალხს მართლაც ეძინა (გადატანითი მნიშვნელობით)... ახლა მინდა, „მჭამელი ადამიანების“ ციკლი დავიწყო.

— წელან თქვი — ტრანსპორტში ვხატავდიო. გვიამბე, ეს როგორ ხდებოდა?

— მატარებელი ჩემი სოფლიდან თბილისამდე ჩამოსვლას ორ საათ-ნახევარი უნდება. უწინ კი, როდესაც დენი ხშირად ითიშებოდა, უკეთეს შემთხვევაში, გზაში ორ დღეს ვატარებდით, უარეს შემთხვევაში კი — მთელ კვირას. ხალხი სანოვაგით დატვირთული მგზავრობდა. მგზავრები ერთმანეთს ეცნობოდნენ, საუბრობდნენ, იმართებოდა დისკუსიები

პოლიტიკაზე, გაჭირვებაზე, ომზე... კამათი გაწევ-გამოწევაში გადაიზრდებოდა ხოლმე. მოვიმარჯვებდი ფანქარს და ვიწყებდი ხატვას. გაგიკვირდებათ და ეს მეთოდი დამამშვიდებლად მოქმედებდა ბევრზე. საკუთარ გამომეტყველებას რომ დაინახავდნენ ქაღალდზე, უცებ დაშოშმინდებოდნენ ხოლმე. მერე, თითქოს ფირფიტა გადაბრუნესო, გამხიარულდებოდნენ და ისმოდა სიცილ-ხარხარი. მხატვარიაო, ფიქრობდნენ ჩემზე და რატომღაც ამიტომ, ჭკვიანი ვეგონე. ყურადღებით მისმენდნენ, სისულელეც რომ მეთქვა, ჭეშმარიტება ეგონათ...

— ახლაც ხატავ ტრანსპორტში?

— ახლაც. რომ არ დავხატო, ცუდად ვხდები. სადაც არ უნდა წავიდე, ფურცელი და ფანქარი მუდამ თან მიმაქვს: რა იცი, რას წააწყდები?! ყველგან ვხატავ: მეტროში, „მარშრუტკასა“ თუ ავტობუსში. ზოგს ისეთი საინტერესო სახე აქვს, შეიძლება ქუჩაში გავედევნო და ვთხოვო — დაგხატავ-მეთქი.

— ამ ადამიანებს უსასყიდლოდ აძლევ ნახატებს?

— რა თქმა უნდა. მათ გახარებულ და გაოცებულ სახეებს რომ ვუყურებ, მსიამოვნებს... სხვათა შორის, საკუთარ ქორწილშიც კი ვხატავდი.

— რომელიმე შემთხვევა თუ დაგამახსოვრდა განსაკუთრებულად?

— ერთხელ ხარაგაულიდან მატარებლით მოვდიოდი. ჩემ წინ ლამაზი გოგონა იჯდა. მეც, რა თქმა უნდა, დავხატე. გმადლობთო — ჩაეცინა გოგონას და ნახატი ჩანთაში ჩაიდო, იქიდან კი სხვა ჩემი ნახატი ამოიღო: თურმე, 3 წლის წინაც დამიხატავს.

— ვინმეს უარყოფითი რეაქცია თუ ჰქონია?

— უმეტესად მემადლიერებიან, მაგრამ ზოგს გავულანძღივარ კიდევ. მახსოვს, ერთმა მითხრა — მამაჩემმა „დამხატა“, შენი დახატვა რაღად მინდაო?.. არც აცია, არც აცხელა, დაკუჭა და პირდაპირ სახეში მესროლა, მამამისმა კი საქმე გამირჩია — ჩემი ქალიშვილის დახატვა როგორ გაბედეო?.. ჩემმა მეგობარმა აიღო დაკუჭული ქაღალდი, გასწორა და დღემდე შენახული აქვს. ზუსტად გალაკტიონივით არ დამემართა? — გალაკტიონიც ხომ წყალტუბოდან მატარებლით მოდიოდა, ერთ მშვენიერ ქალიშვილს ექსპრომტად ლექსი მიუძღვნა, მან კი ფურცელი დაკუჭა და გადააგდო. მერე ვიღაცამ იპოვა და ასე შემოგვრჩა ლექსი — „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო“...

■

ჩვენი რუბრიკისთვის მომავალ სტუმრად, შალვა რამიშვილი ავირჩიე, რომელსაც ტელეკომპანია „202“-ში შევხვდი. თავიდან მითხრა — უახლოეს მომავალში, ტელევიზიაში მაყურებლებს უამრავ სიახლეს შევთავაზებთ; პირველ რიგში, ტელევიზიის გაფორმებას შევცვლით, გადაცემებს კიდევ ერთი სერიალი და იუმორისტული ტოქშოუ დაემატებაო... პირველი პაემანი კი, ჩვენმა რესპონდენტმა ვერაფრით გაიხსენა და მაინც...

შალვა რამიშვილი:

როდესაც ქალს ვხვდები, პირდაპირ ვეუბნები, რა მინდა მისგან...

მერი კობიაშვილი

— პირველი სიყვარულის გასახსენებლად დაფიქრება მმართებს *(ფიქრობს)*... ყოველთვის ვიღაც მიყვარდა (ანუ ჩემს ცხოვრებაში ყოველთვის არსებობდა სათაყვანებელი ობიექტი). ვინ იყო პირველი, ნამდვილად აღარ მახსოვს. სკოლის პერიოდში, ძალიან ბევრს ვკითხულობდი. ჩემს რომანტიკულობას, რომელიც ასაკთან ერთად „მიგროვდებოდა“, კითხვაში „ვახალასტოებდი“. აქედან გამომდინარე, სასიყვარულო ამბები არ გადამხდენია სკოლაში და არც მერე — უნივერსიტეტში. როცა რადიოში დავიწყე მუშაობა და სერიოზულ საქმიანობას მოვკიდე ხელი, დიდი და სერიოზული „სიყვარულებიც“ მქონდა. ჩემი პირველი და სერიოზული სიყვარული, არავისთვის დასამალი არაა, რომ იყო თიკა კანდელაკი. ერთმანეთს „მანაზე“ შევხვდით. მერე ჩემთან რადიოში მოვიდა.

— თქვენთან სათანამშრომლოდ მოსულ გოგოსთვის სექსუალური მოთხოვნები თუ წაგიყენებიათ?

— საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც შოუბიზნესში დამწყებ გოგონას არ უხდება „სექსუალური ხარკის“ გადახდა. სხვა ქვეყნებში, თუ პროდიუსერთან ან რეჟისორთან არ დაწექი, წარმატებას ვერ მიაღწევ, როგორი ნიჭიერიც არ უნდა იყო... საქართველოში სულ სხვა სიტუაციაა. ჩემს პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა არ ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ჩემი ცხოვრება რეჟისორად და პროდიუსერად ვმუშაობ.

— პაემანზე წასვლის წინ, ძალიან ნერვიულობდით ხოლმე?

— ჩემი აზრით, ყველა მამაკაცი უნდა ფიქრობდეს, რომ ნებისმიერი ქალი მისით აღფრთოვანებული უნდა იყოს. სხვა შემთხვევაში, შეყვარებულთან წარმატებას ვერ მიაღწევს. რადგან ასეთი თვითრწმენა ჩემში ძალიან ძლიერი იყო, ისედაც ძალიან თავდაჯერებული და თავხედი ადამიანი ვარ, პაემნისთვის წინასწარ მომზადება არ დამჭირვებია. პარტნიორთან, შეყვარებული იქნებოდა ის თუ სიმპათიის ობიექტი, ყოველთვის ვცდილობდი, ლიდერის პოზიცია შემენარჩუნებინა. ხშირად ეს წარმატების მომტანიც იყო. უნდა იყო ისეთი, როგორიც ხარ. ეს საკმარისია იმისთვის, რომ ქალი მოხიბლო. ეს რწმენა ყოველთვის მქონდა — განსხვავებით სხვა მამაკაცებისგან, რომლებიც პაემნებზე ნერვიულობენ და დაზეპირებული ფრაზებით მიდიან...

— შეყვარებულის გულისთვის რომანტიკულ საქციელს ხშირად სჩადიოდი?

— შეიძლება, ძალიან კარგია, როცა ახალგაზრდა ბიჭი გოგოს უამრავ ყვავილს მიართმევს ან ფეიერვერკებს უწყობს ფანჯრის წინ, მაგრამ მე ასეთი რამე არასდროს ჩამიდენია. როდესაც ქალს ვხვდები, პირდაპირ ვეუბნები, რა მინდა მისგან — თანამშრომლობა, ცოლად მოყვანა თუ სხვა რამ. მირჩევნია, შეხვედრიდან 5 წუთში ვუთხრა მას ყველაფერი, ასეთ პირდაპირობას კი რომანტიზმი ნაკლებად მოჰყვება.

— პირველ პაემანს როგორ იხსენებ ხოლმე?

— უამრავ გოგონას ვხვდებოდი. უმეტესი შემთხვევა კრახით დამთავრდა. ბუნებრივია, არ შეიძლება, ყველას მოსწონდე. ხანდახან ჩემს მეხსიერებაში იმ გოგონების სახეები გამოკრთება ხოლმე, რომლებსაც ვხვდებოდი, მაგრამ მერე მავიწყდება. პირველი პაემანიც მათ რიგშია.

— გოგონებს შალვა რამიშვილში რა არ მოსწონდათ?

— უამრავი რამ, რაც შეიძლება, არ მოეწონოს ადამიანს ადამიანში. ამაზე რომ დავიწყო ფიქრი, დეპრესიაში უნდა ჩავვარდე. არ მოსწონხარ და მორჩა — სხვა უამრავია ისეთი, ვისაც მოეწონები...

— დეპრესიაში არასდროს ყოფილხარ ჩავარდნილი?

— თითქმის არასდროს.

— არც თიკა კანდელაკის გამო?

— არა. როცა პირად ცხოვრებაში რაიმე წარუმატებლობა შემხვდება, მუშაობაში ეს ძალებს მმატებს...

— როცა ძველ შეყვარებულს ხვდები — თუნდაც, თიკას — რა გრძნობა გეუფლება? ყოფილი სიყვარულისგან რა ემოცია დაგრჩათ?

— ეს გრძნობა დიდი ხანია დამთავრდა. რასაკვირველია, საინტერესოა თიკას ნახვა. მან ძალიან დიდ წარმატებას მიაღწია ცხოვრებაში. თიკა 2 ნოემბრის არჩევნების წინ იყო თბილისში ჩამოსული და ჯუმბერ პატიაშვილს უჭერდა მხარს. შეიძლება ამ პოლიტიკოსს ადამიანთა გარკვეული წრე პატივს სცემს, მაგრამ მე მათ რიგს არ მივეკუთვნები. ვერ ვიტან კომუნისტური წყობის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებს, მიმაჩნია, რომ ისინი მინიმუმ, პატიოსანი ადამიანები არ იყვნენ... ის ქალი კი, რომელიც მე ოდესღაც მიყვარდა, ამ კაცის მხარდასაჭერად ჩამოვიდა. მე წამსვე გამიქრა მასთან შეხვედრის სურვილი.

— რა გიზიდავს ქალში?

— გააჩნია, რა მინდა ქალისგან. ქალის ავკარგიანობას მისი დიასახლისობით არ ვაფასებ. რომ მომეწონოს, ქალს ინტელექტი უნდა ჰქონდეს და სექსუალურიც უნდა იყოს.

— ხშირად ამბობ — გააჩნია, ქალისგან რა მინდაო...

— საბოლოო ჯამში, ყველა მამაკაცს ქალი სექსისთვის უნდა. ბევრი ნიღბავს ამას და ჯერ უმეგობრდება. მე მიმაჩნია, რომ უფრო სწორია, პირდაპირ უთხრა, რა გინდა მისგან.

— ყველაზე დასამახსოვრებელი პაემანი ვისთან გქონდა?

— ჩემს მომავალ მეუღლესთან *(თეა აბაშმაძე. — ავტ.)* პაემნები კარგად მახსოვს. კატასტროფულად იგვიანებდა. დროსთან მიმართებაში სპეციფიკური დამოკიდებულება ჰქონდა. ერთხელ, მის ლოდინში „მარჯანიშვილის მეტროსთან“ 2 საათი გავატარე. თავი იმით იმართლა — საქმე გამომიჩნდა და გზაშიც დიდხანს ვიარეო. საქმეს ისიც ართულებდა, რომ მაშინ მობილური ტელეფონები არ იყო.

— მოთმინების ძაფი 2 საათის განმავლობაში როგორ არ გაგიწყდა?

— ჯერ ერთი, ვიცოდი, რომ მოვიდოდა, მეორეც — სიგიჟემდე მიყვარდა... თან, ყოველთვის ვაღწევ დასახულ მიზანს. ამიტომ არ ამევსო იმ დროს მოთმინების ფიალა.

ჩემს მომავალ მეუღლესთან *(თეა აბაშმაძე. — ავტ.)* პაემნები კარგად მახსოვს. კატასტროფულად იგვიანებდა

— რომანტიკულ საქციელს არ ჩავდიოდიო, — თქვი და საინტერესოა, შეყვარებულებს ლექსებს თუ უძღვნიდი?

— ბავშვობაში ბევრი არარომანტიკული თეთრი ლექსი მაქვს შეყვარებულისთვის მიძღვნილი. ოღონდ, ზეპირად არც ერთი აღარ მახსოვს.

— შეყვარებულისთვის თუ გიმღერია?

— არა. სმენა არა მაქვს და ტრავმა რატომ უნდა მივაყენო საყვარელ ადამიანს?..

— რას ურჩევდი ბიჭებს, რომლებიც პირველ პაემანზე წასასვლელად ემზადებიან?

— მგონი, თუ გოგო პაემანზე მოდის, უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია. უბრალოდ, პაემანზე ცოტას კეკლუცობენ ხოლმე. ამიტომ ბიჭები თამამები და მტკიცენი უნდა იყვნენ და საწადელს აუცილებლად მიაღწევენ.

■



მე წამსვე გამიქრა მასთან შეხვედრის სურვილი...

კბილების გასწორება ნებისმიერ ასაკში ბრეკეტ-სისტემით

სტომატოლოგიური კლინიკა „ბეოდენტი“

გამსახურდიას გამზ. №33
☎ 37-60-16

ნახევარსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე მამაკაცთა ჟურნალი Playboy ტრანსნაციონალურ კომპანიად — Playboy Enterprises — იქცა, რომელიც XX საუკუნის 70-იან წლებში ყვაოდა, 80-იან წლებში კი, კრიზისს განიცდიდა. მიუხედავად ყველაფრისა, ჟურნალის ლოგოტიპი მსოფლიოს ყველაზე იოლად საცნობ ბრენდებს შორის — Coca-Cola-სა და Mercedes-ის შემდეგ, დღემდე მესამე ადგილს ინარჩუნებს.

კლუბებმა, სადაც „ბანი-გოგონები“ გამოდიოდნენ, ჰიუ ჰეფნერს უდიდესი მოგება მოუგანა

ჰიუ ჰეფნერი

და მისი კურდღლები

პირველი მილიონი

აშშ-ში 1953 წლის გაზაფხული იდგა. 27 წლის ჩიკაგოელმა ჰიუ ჰეფნერმა 8.000 დოლარს დიდი გაჭირვებით მოუყარა თავი. ამ თანხით მას მამაკაცთა ჟურნალის დაარსება ჰქონდა განზრახული.

ჰეფნერს საგამომცემლო საქმისაკენ ბავშვობიდანვე მიუწევდა გული – სკოლაში მან კედლის გაზეთის ორგანიზება მოახერხა, რომელსაც თავადვე ამარაგებდა შარჟებით; ჯარში ყოფნისას, მთელი დღეების განმავლობაში კარიკატურებს ხატავდა; ხოლო ილინოისის უნივერსიტეტის სამხატვრო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ კი, მამაკაცთა ჟურნალ „ესკვაირის“ სარეკლამო განყოფილებაში მუშაობდა.

თავდაპირველად ჰიუ ჰეფნერმა გადაწყვიტა, რომ თავისი ჟურნალისთვის Stag Party („უცოლშვილოთა წვეულება“) დაერქმია და თავის მეგობარს, კარიკატურისტს არვა მილერს შესაბამისი ემბლემის შემუშავებაც კი სთხოვა. მილერმა სმოკინგში გამოწყობილი ირემი დახატა. მაგრამ ახალი გამოცემის გამოსვლამდე ერთი თვით ადრე, ჟურნალმა Stag-მა სახელწოდებაზე თავისი უფლება განაცხადა. მაშინ ჰიუმ გადაწყვიტა, რომ თავისი ჟურნალის სახელწოდებას, ავტომობილების გამყიდველ პატარა კომპანია Playboy-ს დასესხებოდა, სადაც მისი ერთ-ერთი მეგობარი მუშაობდა. მოგვიანებით მხატვარმა არტურ პოლმა შექმნა ემბლემა, რომელზეც სმოკინგში გამოწყობილი სხვა ცხოველი – კურდღელი ბანი გახლდათ გამოსახული.

აყვავების ხანაში Playboy-ს უდიდესი შესაძლებლობები ჰქონდა, მაგალითად, მას შეეძლო, ჩიკაგოში 171-მეტრიანი შტაბბინა ჰქონოდა

ჰეფნერს არც იმის საშუალება ჰქონდა, რომ რედაქციისთვის ცალკე ფართობი ექირავა, ამიტომ ჟურნალის ნომრის მაკეტი მისი ბინის სამზარეულოში იგეგმებოდა, იხატებოდა, კორექტირდებოდა და კოწიწდებოდა. როდესაც ჰიუ ფიქრობდა იმაზე, თუ რით მიეპყრო პოტენციური მკითხველის ყურადღება, მას გაახსენდა, რომ ჯარში ყოფნისას თვითონაც და სხვა ჯარისკაცებიც თავ-თავიანთ საწოლებთან კინომსახიობ გოგონათა ფოტოებს აკრავდნენ ხოლმე. ასე დაიბადა პირველი იდეა – ჟურნალის შუა ორ გვერდზე მოთავსებულიყო ლამაზმანის ფოტო, რომლის შემდგომში ამოღება და კედელზე გაკვრა იქნებოდა შესაძლებელი. სხვათა შორის, გასული საუკუნის 50-იან წლებში ეს იდეა სულაც არ გამოიყურებოდა ბანალურად. თავდაპირველად ჰეფნერი ჟურნალში სტერეოფოტოს (იმხანად აშშ-ში სტერეოკინო ძალზე პოპულარული გახლდათ) მოთავსებას აპირებდა, მაგრამ როცა სტერეოსათვალის ღირებულება გამოთვალა, რომლის ჩადებაც ყოველ ნომერში აუცილებელი იქნებოდა, ამ იდეაზე უარი განაცხადა. სამაგიეროდ, დროულად გაახსენდა თავისი დიდი ხნის მეგობარი ჯონ ბაუმგარტი – ჩიკაგოს ერთ-ერთი კომპანის მფლო-

ბელი, რომელიც ლამაზმანების ფოტოსურათებიან კალანდრებს ბეჭდავდა. ჰეფნერმა მისგან ახალგაზრდა მსახიობ ჯინ მორტენსონის (მოგვიანებით მსახიობი პუბლიკამ მერილინ მონროს ფსევდონიმით გაიცნო) ფოტო 50 დოლარად შეიძინა და Playboy-ს პირველი ნომრის გარეკანზე დაბეჭდა.

ვინაიდან ჰეფნერის მიერ შეგროვილი 8.000 დოლარი მხოლოდ დაბეჭდვის ხარჯების დასაფარად აღმოჩნდა საკმარისი, ჟურნალის რეკლამირებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ჰიუმ პერიოდიკის გამსაღებელი მსხვილი ქსელის წარმომადგენლები გზავნილებით აავსო: ის ამტკიცებდა, რომ ახალი პროექტის უკან „ესკვაირის“ ხალხი იდგა, საკუთარ თავს კი, კომპანია American News Co-ს მენეჯერად ასაღებდა. მის წერილს ერთი პატარა, დამოუკიდებელი ქსელი – Empire News Co გამოეხმაურა. 1953 წლის დეკემბერში გამოსული ჟურნალის (რომლის ყდაზეც მერილინ მონროს ფოტო იყო მოთავსებული) წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა – პირველი ნომრის ტირაჟმა 52 ათასი ეგზემპლარი შეადგინა. ამან ჰეფნერს მეორე ნომრის დაფინანსების საშუალება მისცა.

1955 წელს ჰეფნერმა გადაწყვიტა, რომ თავის ჟურნალში კინოვარსკვლავების ფოტოსურათებთან ერთად არაპროფესიონალი მოდელების ფოტოებიც მოეთავსებინა. „პლეიბოიმ“ „თვის გოგონას“ ფოტო გამოაქვეყნა (გამოგონილი გვარ-სახელით – ჯენეტ პილგრიმი), რომელიც სინამდვილეში, რედაქციის ხელმოწერის განყოფილებაში მუშაობდა. აზრი, რომ ლამაზი გოგონები მხოლოდ ჰოლივუდში კი არა, ჩვეულებრივი ადამიანების გვერდითაც ცხოვრობენ, იმხანად რევოლუციურად აღიქმებოდა. ჟურნალის ნომრები თვალის დახამხამებაში იყიდებოდა და უკვე 50-იანი წლების ბოლოსათვის „პლეიბოის“ ტირაჟმა 1 მლნ ეგზემპლარს მიაღწია. მხოლოდ ჟურნალის საცალო ვაჭრობიდან შემოსულმა ყოველწლიურმა მოგებამ 6 მლნ დოლარი შეადგინა და ამან, საშუალება მისცა ჰიუ ჰეფნერს, რომ საჟურნალო თემა – „თვის გოგონა, რომელიც ჩვენს მეზობლად ცხოვრობს“, ახალ ამპლუაში გაეგრძელებინა.

საზოგადოებაში გამოსვლა

1959 წელს „პლეიბოიში“ გამოქვეყნებულ განცხადებაზე, რომელიც მკითხველს ჩიკაგოს კლუბის Gashoghtის „კარის გასაღებს“ სთავაზობდა, ჰეფნერმა რედაქციაში 3 ათასზე მეტი გამოხმაურება მიიღო. ამის შემდეგ, მან საკუთარი კლუბის გახსნა გადაწყვიტა. „პლეიბოის“ პირველი გასართობი დაწესებულება ჩიკაგოში 1960 წლის თებერვალში დაარსდა; ერთი წლის მანძილზე ანალოგიური კლუბი გაიხსნა მაიამიში, ახალ ორლეანსა და ნიუ-იორკში. მას, ვინც „გასაღებში“ 25 დოლარს გადაიხდიდა, რესტორანი, ბარი, ჯაზი და კაბარე ელოდა კლუბში. „პლეიბოის“ კლუბში ატმოსფეროს ჰეფნერის კიდევ ერთი ნიუ-ჰაუ – „ბანი-გოგონები“ ქმნიდნენ. მამაკაცებს მათთან მიკარება ეკრძალებოდათ. ტანზე მომდგარ ბოდიში გამოწყობილი გოგონები, რომლებსაც კურდღლის ყურები და ფუმფულა კუდი ამშვენებდათ, სულ მალე, 60-იანი წლების სექსსიმბოლოდ იქცნენ. „პლეიბოიში“ „ბანი-გოგონას“ პროფესიის რანგში განიხილავდნენ. ისინი უშვებდნენ სარეკლამო ბროშურებს, სადაც კლუბში სამუშაოდ მისულ ქალიშვილებს წარმატებულ კარიერასა და კვირაში 200-დოლარიან ანაზღაურებას ჰპირდებოდნენ.



მამაკაცებს „ბანი-გოგონებთან“ მიკარება ეკრძალებოდათ

60-იანი წლების შუა ხანებისთვის, მთელ მსოფლიოში, „პლეიბოის“ 30 კლუბში ერთი მლნ ადამიანი იყო გაწევრებული, საერთოდ კი „პლეიბოის“ 2,5 მლნ „გასაღები“ ჰქონდა გაყიდული და მისი შემოსავალი 60 მლნ დოლარს შეადგენდა.

60-იან წლებში ჟურნალი საკულტო გამოცემად იქცა. ჰეფნერის ახალი წარმატებული ნაბიჯი გახლდათ „პლეიბოის“ ფურცლებზე სრულიად სერიოზული სტატიების გამოქვეყნება. კერძოდ, ინტერვიუ ვლადიმირ ნაბოკოვთან, ფიდელ კასტროსთან, მარტინ ლუთერ კინგთან, ენდი უორჰოლთან. 70-იანი წლების დასაწყისისთვის აშშ-ში „პლეიბოის“ ტირაჟმა 7 მლნ-ს გადააჭარბა – ეს რეკორდი გახლდათ. ჟურნალის წლიურმა შემოსავალმა 11 მლნ შეადგინა. 1971 წელს კომპანია Playboy Enterprises საჯარო გახდა – მისი აქციები ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე გამოჩნდა. ახალმა წარმატებამ კომპანიას საზღვარგარეთული ბაზრის დაპყრობის საშუალება მისცა. 1972 წელს, „პლეიბოის“ გერმანული გამოცემა გამოვიდა, 3 თვის შემდეგ სტარტი აიღო იტალიურმა გამოცემამ. ოდნავ მოგვიანებით დღის სინათლე იხილეს ფრანგულმა, ბრაზილიურმა, იაპონურმა, მექსიკურმა და ესპანურმა გამოცემებმა (დღესდღეობით პოლონური და რუსული გამოცემებიც გამოდის).

დიდი დანაკარგი

70-იანი წლების შუა ხანებისათვის საკლუბო მოდა შეიცვალა: პუბლიკას სურდა, რომ კლუბებში ცეკვისა და საპირისპირო სქესის წარმომადგენელთა გაცნობის საშუალება მისცემოდა; „ბანი-გოგონები“ მათთვის შესაფერ გასართობს აღარ წარმოადგენდნენ. პორნოფილმები და „ათცენტიანი“ პიპშოუ თანდათან პოპულარობას იძენდა, „პლეიბოის“ კლუბები კი, შემოსავალს კარგავდა და იხურებოდა. მაგრამ არსებობდა ერთი დაწესებულება, რომელსაც კომპანიისათვის ისეთივე მოგება მოჰქონდა, როგორიც თავად ჟურნალს. ეს გახლდათ კომპანიის მიერ 1964 წელს გახსნილი ლონდონის კაზინო, რომელიც 70-იანი წლების ბოლოსათვის მთელ ევროპაში ყველაზე შემოსავლიან სათამაშო ბიზნესდაწესებულებას წარმოად-

რთულ პერიოდში ჰიუ ჰეფნერს მისი ქალიშვილი კრისტი ამოუდგა მხარში

გენდა. ეს იყო ადგილი, სადაც მბრუნავი რულეტებისა და „პოკერის“ მოყვარული არაბი შეიხები „ბანი-გოგონებთან“ მილიონებს აგებდნენ. ექსპერტების გამოანგარიშებით, კაზინოს შემოსავალი 26 მლნ დოლარს აღწევდა, ხოლო კომპანიის ოფიციალური წლიური შემოსავალი (კლუბებიდან და სათამაშო ბიზნესიდან), 1980 წლისთვის 163 მლნ დოლარს შეადგენდა.

უცხოური კომპანიის ასეთმა წარმატებამ დიდი ბრიტანეთის კაზინოების უმსხვილესი ქსელის მფლობელი კომპანიის – Ladbrokes მეპატრონე გაანაწყენა. მან „პლეიბოის“ სათამაშო დაწესებულების წინააღმდეგ მიზანმიმართული კამპანია წამოიწყო. Ladbrokes-ელმა კონკურენტებმა სათამაშო ბიზნესის კომისიაში იჩივლეს და განაცხადეს, რომ ბრიტანეთის კანონმდებლობით აკრძალვის მიუხედავად, „პლეიბოის“ კაზინოში სტუმრებს კრედიტს აძლევდნენ. ამას დიდი სკანდალი მოჰყვა. 1981 წელს, საქმის განხილვის შემდეგ კომპანია Playboy Enterprises იძულებული გახდა, საკუთარი ლონდონური ბიზნესი გაეყიდა. კომპანიის წარმომადგენლები მთელ იმედებს ოკეანის მეორე ნაპირას მდებარე ატლანტიკ-სიტიზე ამყარებდნენ, სადაც Playboy Enterprises-მა და კომპანია Elsinore-მა ერთობლივად ააშენეს კაზინოს, კლუბისა და ოტელის კომპლექსი, რომელიც საბაზრო ექსპერტების მიერ 140-150 მლნ დოლარად იყო შეფასებული. მაგრამ ჰეფნერს ბედმა ამჯერადაც უმუხთლა: ლონდონში აგორებული სკანდალის ტალღამ ატლანტიკ-სიტის ხელისუფლების ყურამდეც მიაღწია და მათ Playboy Enterprises-ს ლიცენზიის გაცემაზე უარი უთხრეს. ჰეფნერი იძულებული გახდა, ატლანტიკ-სიტიში მდებარე კომპლექსის 47,5% კომპანია Elsinore-ის პარტნიორებისთვის მიეყიდა.

80-იანი წლების დასაწყისში Playboy Enterprises-ის იმპერიამ სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებული პრობლემების გამო, მთელი თავისი 363-მილიონიანი შემოსავლის (1980 წლის მაჩვენებლით) 45% დაკარგა. გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, იმ პერიოდისათვის აშშ-ში მორალურმა ღირებულებებმაც განიცადა ტრანსფორმირება. „პლეიბოის“ აქტიურად შეუტიეს შიდ-

ნელი ბიჩიკაშვილი: ნუ დაანგრევთ სხვის ოჯახს ჯადოებით

ნანა სისაური

ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს მომავლის წინასწარმეტყველების ნიჭი ბებიისგან მემკვიდრეობით გადაეცა. მას უამრავი ადამიანი ემადლიერება. როცა რაიმე პრობლემა აქვთ გადასაწყვეტი, მაშინვე ნელისთან მიდიან. ნათელხილვის უნიკალური ნიჭის წყალობითა და შელოცვებით ბევრი ოჯახი გადაარჩინა მოსალოდნელი უსიამოვნებისგან, ხალხი ქალბატონ ნელისთან რაიონებიდანაც ჩამოდის. ბიზნესმენები მისი რჩევის გარეშე ახალ საქმეს არ იწყებენ.

– ჩემთან მოვიდა ქალბატონი, რომლის ქმარსაც საყვარელმა თავგზა აუბნია. რასაც შოულობდა, მასთან მიჰქონდა, შვილებს კი სანახევროდ აშიმშილებდა, შინ ღამეს იშვიათად ათევდა.

— რატომ ექცეოდა ასე ცუდად ოჯახის წევრებს?

– კაცს საყვარელი ჯადოებს უკეთებდა, რომ ცოლ-შვილი მიეტოვებინა და სამუდამოდ მასთან ყოფილიყო. იმდენი ვირის ტვინი აჭამა, რომ ლოგიკურად აზროვნების უნარი დააკარგვინა, მოჯადოებულ მამას შვილებიც კი არ ახსენდებოდა, ავადმყოფ ბავშვთან არ მიდიოდა სანახავად. ცოლმა მთხოვა – რამე უშველე, თორემ, ჩემი ქმარი, ალბათ, მალე გაგიჟდებაო. დავიწყეთ შელოცვები და შედეგმაც არ დააყოვნა – როგორც კი განეიტრალდა ჯადოს მავნე ენერგეტიკული ზემოქმედება, კაცი აზრზე მოვიდა, საღად განსჯის უნარი დაუბრუნდა, საყვარლის გავლენის ქვეშ აღარ იყო და ცოლ-შვილს შეურიგდა.

— რა ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე ვირის ტვინი?

– ვირის ტვინი შეიცავს ნივთიერებას, რომელიც ცენტრალური ნერვული სისტემის პარალიზებას იწვევს და ადამიანს დროებით აკარგვინებს მოვლენათა კრიტიკულად შეფასების უნარს. მოჯადოებული მამაკაცი ბრმად ენდობა მხოლოდ მას, ვინც ჯადო გაუკეთა, მისი სიტყვა მისთვის კანონია, დანარჩენების ლაპარაკს კი ყურადღებას არ აქცევს. ვირის ტვინს ხშირად იყენებენ მოღალატე ცოლები, რათა ქმრები გამოალენჩონ, საღად განსჯის უნარი დააკარგვინონ, დააჯერონ რასაც ეტყვიან და თავიანთი გავლენის ქვეშ მიაქციონ.

— ვირის ტვინს შეუძლია, ადამიანი გააგიჟოს?

– როცა დიდი ხნის განმავლობაში საყვარელი ან ცოლი სისტემატურად აჭმევს კაცს ვირის ტვინს, ცენტრალური ნერვული სისტემის ხშირი პარალიზების გამო, ვითარდება შიზოფრენია. ამ შემთხვევაში შელოცვა საქმეს ვეღარ უშველის, რადგანაც ჯადოს ზემოქმედებით ორგანული დაავადება ვითარდება და შესაბამისად, საჭიროა ფსიქიატრის ჩარევა.

P.S. დარეკეთ და ჩაეწერეთ წინასწარ! მისამართი: წერეთლის №12 (მეტრო „წერეთლის“ გვერდით), II სადარბაზო, II სართული, ბინა №24; საკონტაქტო ტელეფონები: 35.29.72, 893.30.65.51; 899.20.37.64

R

სის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოების წევრებმა და ქალთა უფლებების დამცველი საზოგადოების წარმომადგენლებმა. 1985 წლისთვის, აშშ-ში ჟურნალის ტირაჟი 4,1 მლნ-მდე დაეცა. მოკლე ხანში კი, აშშ-ის პრეზიდენტის რონალდ რეიგანის მიერ შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ, პორნოგრაფიასთან ბრძოლის მიზნით, შემოიტანა შეზღუდვა – მთელი რიგი ეროტიკული გამოცემები მხოლოდ სპეციალიზებული დახლებიდან უნდა გაყიდულიყო. სადისტრიბუტორო ქსელის ათასობით ადგილას აიკრძალა ჟურნალის გაყიდვა. ჰიუ ჰეფნერი იძულებული გახდა, თავისი სახელგანთქმული 119-მეტრიანი თვითმფრინავი „ბიგ-ბანი“ 4 მლნ დოლარად გაეყიდა. უნიკალური აერობუსი აღჭურვილი გახლდათ საცეკვაო მოედნით, კინოთეატრით, ბარებით, საძინებლებით (სადაც 16 სტუმრის განთავსება იყო შესაძლებელი); საწოლზე კი ტასმანიური ოპოსუმის ბეწვის ხელით ნაკერი გადასაფარებელი ეფარა. ყოველივე ეს 70-იან წლებში მას 5,5 მლნ დოლარი დაუჯდა. 1982 წელს ჰეფნერმა კომპანიის პრეზიდენტი დერიკ დენიელსი თანამდებობიდან გაათავისუფლა. 3 წლის შემდეგ კი, მას მერე, რაც ჰიუმ ინსულტი გადაიტანა, იმპერიის მართვა მისმა ქალიშვილმა კრისტი ჰეფნერმა იტვირთა.

ქალიშვილი მამის ადგილზე

პრეზიდენტის თანამდებობის დაკავების შემდეგ, კრისტი ჰეფნერმა კომპანიის პროდუქციის გასასაღებლად ახალი ბაზარი იპოვა. თანაც ეს „პლეიბოის“ საგამომცემლო ბიზნეს არ უკავშირდებოდა. 80-იანი წლების წარუმატებლობის შემდეგ, შემოსავლის გასაზრდელად კომპანიამ ვიდეოპროდუქციის გასაღებას მოჰკიდა ხელი, მოგვიანებით კი, საკუთარი საკაბელო ტელეარხი – Playboy TV გახსნა. სატელევიზიო ეთერით „პლეიბოი“ ადრეც გამოდიოდა. 1959 წლის ოქტომბერში ეთერში გავიდა გადაცემა Playboy's Penthouse (მოგვიანებით მას სახელი შეეცვალა და Playboy After Dark დაერქვა), სადაც ჰიუ ჰეფნერი საკუთარ კლუბებს თავადვე უწევდა რეკლამირებას.

80-იან წლებში სხვა პრიორიტეტები გამოიკვეთა – პოპულარული გახდა „საშინაო ვიდეო“. ამათან დაკავშირებით, Playboy Enterprises-მა რეგულარულად დაიწყო თავისი ჟურნალის ვიდეოვერსიის გამოშვება და საკაბელო არხის – Playboy TV-ს ყურების მსურველთა ხელმოწერების შეგროვება (საკაბელო არხის ყოველთვიური გადასახადი 10-15 დოლარს შეადგენდა). 1990 წელს კომპანიის ახალი განყოფილების – Playboy Licensing-ის შემოსავალმა 28,1 მლნ დოლარს გადააჭარბა. იმ ბრუნვის მაჩვენებელს კი, რომელსაც კომპანია თავის დროზე სათამაშო ბიზნესიდან იღებდა, „პლეიბოის“ ვიდეოგანყოფილებამ 90-იანი წლების შუა ხანებისთვის მიაღწია. ამაში უდიდესი წვლილი კრისტი ჰეფნერს მიუძღოდა, საერთაშორისო ბაზარზე გასვლა ხომ მისი იდეა გახლდათ. საკაბელო არხს – Playboy TV-ს მოგვიანებით Spice TV-სა და Vivid-ის ქსელი დაემატა, რომლებიც საკუთარ ხელმომწერებს შედარებით უფრო მძაფრ ეროტიკას სთავაზობდნენ.

თანდათან ტელეარხების გეოგრაფიული არეალიც გაიზარდა: აშშ-ის გარდა, კომპანია ევროპაში, ლათინურ ამერიკასა და აზიაში 22 ტელექსელს ფლობს. „პლეიბოის“ „საშინაო ვიდეოკასეტები“ კი, 90-იანი წლებიდან მსოფლიოს 200 ქვეყანაში ვრცელდება. ■

„ევრო-2004“-ის ლამაზმანები

როგორც ცნობილია, ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას, ამა თუ იმ ნაკრების ქომაგი გოგონები საყვარელი გუნდის მხარდასაჭერად გაშიშვლებასაც არ ერიდებოდნენ. გამონაკლისი არც თავად ფეხბურთელების მეუღლეები ყოფილან, რომლებიც საპატიო სტუმრებისთვის განკუთვნილი ტრიბუნებიდან უჭერდნენ მხარს ქმრებს (მოგეხსენებათ, რომ რუსეთის ნაკრების წევრთა ცოლები ეროტიკულ ფოტოსესიაშიც კი მონაწილეობდნენ). ჰოდა, გერმანულმა Bild-მა გულშემატკივრებში სპეციალური გამოკითხვა ჩაატარა, მოთამაშეთა ყველაზე მომხიბვლელი მეორე ნახევრების გამოსავლენად. აი, „ევრო-2004“-ის ლამაზმანებიც: მიხაელ ბალოკის ცოლი სიმონა, დევიდ ტრეზეგეს საყვარელი ბეატრისი და დანიელი ებე სანდის მეგობარი გოგონა, რომლის სახელიც, როგორც ჩანს, ჟურნალის მესვეურებმა ვერ დაადგინეს. სხვათა შორის, ამ უცნობმა ლამაზმანმა უკან ჩამოიტოვა მაიკლ ოუენის რჩეული. რამდენადაც არ უნდა გაგიკვირდეთ, ამ გამოკითხვაში ვერ მოხვდა ვერც ერთი რუსი ფეხბურთელის სტრიპტიზის მოყვარული ცოლი – რომ აღარაფერი ვთქვათ, ვიქტორია ადამსზე. ■

სპოლარი და ჯომპანია მედლებით დაჯილდოეს

„ევრო-2004“-ის ფინალში განცდილი მარცხის მიუხედავად, პორტუგალიის პრეზიდენტმა ჟორჟე სამპაიომ ქვეყნის ეროვნული ნაკრების მწვრთნელები და მოთამაშეები სპეციალური მედლებით დააჯილდოვა. „ცრემლი, რომელიც თქვენს თვალებზე ფინალური მატჩის შემედგ ვიხილე, თქვენს პატრიოტიზმზე მეტყველებს, – დასძინა დაჯილდოების ცერემონიაზე პრეზიდენტმა, – ამიტომ მსურს, რომ მოგილოცოთ. ბოლო შეხვედრა წააგეთ, მაგრამ ჩვენ თქვენით მაინც ვამაყობთ“. ■

ოლივერ ჯანი ცოლ-შვილთან ერთად სიცოცხლით ტკბება

ვიდრე „ბავარიის“ შემადგენლობა მომავალი საფეხბურთო სეზონისთვის ემზადება, გუნდის კაპიტანი ოლივერ კანი ისვენებს. ეს გარემოება ალბათ გასაკვირი ნამდვილად არავისთვის არ უნდა იყოს, რადგან სახელგანთქმული მეკარე, თავისი არაერთი მიუნხენელი თანაგუნდელისგან განსხვავებით, ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობდა. უჩვეულოა მხოლოდ ის, რომ ოლი, რომელიც ბოლო დროს, ნამდვილად არ გახლდათ მისაბაძი მეუღლე, სარდინიის კურორტ კოსტა-სმერალდაზე ცოლთან სიმონესთან და სამ შვილთან ერთად იმყოფება. როგორც ცნობილია, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, კანმა სწორედ მაშინ გაიჩინა საყვარელი, როდესაც სიმონე ფეხმძიმედ იყო. ამის შემდეგ ისინი დიდი სკანდალის ვითარებაში გაიყარნენ. თუმცა, როგორც ჩანს, უკვე შერიგებაც მოასწრეს და ახლა შვილებთან ერთად სიცოცხლით ტკბებიან. ■

ანა და მარია ერთმანეთს დაუპირისპირდებიან

მას შემდეგ, რაც მარია შარაპოვამ უიმბლდონის ტურნირზე გაიმარჯვა, იგი მთელი მსოფლიოს მასმედიის ყურადღების ცენტრში მოექცა. მაგალითად, „ინდეპენდენტი“ ხაზს უსვამს: „შარაპოვა კურნიკოვაზე არანაკლებ მომხიბვლელია და ამ უკანასკნელზე 10-ჯერ უკეთესად თამაშობს ჩოგბურთს“. სხვათა შორის, პაპარაცებს არ გამორჩენიათ კიდევ ერთი პიკანტური ფაქტი, რომელიც უიმბლდონის ტურნირზე მოხდა. ახალგაზრდა ბრიტანელი ვარსკვლავის, მაილს კასირისა და ახალზელანდიელი უილიამ უორდის მატჩის მსვლელობისას, კორტზე წელს ზემოთ გაშიშვლებული გოგონა შევარდა. წესრიგის დამცველებმა მისი გაყვანა მხოლოდ მას შემდეგ მოახერხეს, რაც სტრიპტიზიორმა ფოტოკამერების წინ პოზირებაც მოასწრო. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ იგი 25 წლის ვინმე ნამა მაკდონალდი ყოფილა.

აქვე გაცნობებთ, რომ მარია შარაპოვა და ანა კურნიკოვა ერთმანეთს წყვილთა თანრიგში დაუპირისპირდებიან. აშშ-ში მსოფლიო გუნდური ჩოგბურთის პროფესიონალური ლიგის ახალი სეზონი გაიხსნა. ტურნირში მთავარი ტიტულისათვის 10 გუნდი სამი კვირის განმავლობაში იბრძოლებს. შეჯიბრებაში მონაწილეობენ მსოფლიო ჩოგბურთის ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც ანდრე აგასი და მარტინა ნავრატილოვა არიან. გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, Pro League-ს 2004 წლის სეზონში მარია შარაპოვა და ანა კურნიკოვაც იასპარეზებენ. ანა კლუბ „კანზას-სიტი ექსპლორერსის“ ღირსებას დაიცავს, ხოლო მარია „ნიუპორტ-ბიჩ ბრეიკერსის“ სახელით გამოვა. რუსი ლამაზმანები ერთმანეთის წინააღმდეგ 17 და 21 ივლისს ითამაშებენ. ცოტა ხნის წინ, ორწლიანი შესვენების შემდეგ, ანა კურნიკოვამ თავისი პირველი ორი ოფიციალური მატჩი გამართა. წყვილთა თანრიგში ჩოგბურთის რუსმა სექსსიმბოლომ ხორვატ სილვია ტალაიესთან ერთად გაიმარჯვა, ხოლო ავსტრალიელ დევიდ მაკფერსონთან ერთად დამარცხდა. შარაპოვასა და კურნიკოვას შეხვედრა ერთი წლის წინ უნდა გამართულიყო, მაგრამ მაშინ ანას ზურგის ტრავმამ არ მისცა ასპარეზობის საშუალება. საინტერესოა ისიც, რომ ანა კურნიკოვამ, რომელსაც უკვე ჩოგბურთელად აღარავინ მიიჩნევს, სარეკლამო საქმიანობით შარშან 6 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. მარიას კი, კომერციული თვალსაზრისით კიდევ უფრო დიდ წარმატებას უწინასწარმეტყველებენ. ექსპერტების ვარაუდით, მომავალი 10 წლის მანძილზე, შარაპოვა სულ მცირე, 160 მილიონ დოლარს იმ შემთხვევაშიც კი იშოვის, თუ ტრავმას მიიღებს და დროებით ჩამოშორდება აქტიურ სპორტს. ■

რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

A კლასის მომცრო ვერსია

კომპანია „მერსედეს-ბენცი“ ბაზარზე A კლასის მოდერნიზებულ ვერსიას უშვებს. დილერები ამ მოდელს უკვე სექტემბრის შუა რიცხვებისთვის მიიღებენ. შვიდივე ძრავა, რომლითაც ეს მანქანა აღიჭურვება, საგრძნობლად გაუმჯობესებული ეკოლოგიური მახასიათებლებით გამოირჩევა: თითოეული მათგანი Euro-4-ის უმკაცრესი ნორმის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. გაზრდილია დიზელის ძრავების სამუშაო მოცულობა: წინანდელ 1689 კუბ/სმ-დან – 1991 კუბ/სმ-მდე. ბუნებრივია, გაზრდილია სიმძლავრეც. მაგალითად, დიზელის ძრავა – A 160 CDI ახლა 82 ცხ.ძ-ს ავითარებს – წინანდელ 75 ცხ.ძ-ს ნაცვლად. შვიდიდან ოთხი აგრეგატი – ბენზინისაა. მათი სამუშაო მოცულობა საშუალოდ, 100 კუბ/სმ-ით გაიზარდა. ყველაზე მძლავრი მოდიფიკაცია იქნება A 200 Turbo – 193 ცხ.ძ. A კლასის ყველა ვერსია ოპციის სახით, აღიჭურვება ავტომატურ გადაცემათა კოლოფით – Autotronic, რომელიც ძირითადის გარდა, მექანიკურ რეჟიმშიც იმუშავებს. ■

BMW-ს „ჰიბრიდი“ ნახმოებისთვის მზადაა

ისევე, როგორც სხვა ავტოგიგანტები, გერმანული კომპანია ჰიბრიდული ამძრავით (ე.წ. შიგაწვის ძრავასა და ელექტროძრავას შეზავების) ექსპერიმენტებს მისდევს. ბავარიელმა ინჟინრებმა შეიმუშავეს ძალზე პროგრესული მოდელი – BMW X5 Efficient Dynamics, რომელიც დინამიკურობის თვალსაზრისით, დიდი სიმკვირცხლით გამორჩეულ, ჩვეულებრივ X5-ს სჯაბნის.

ჰიბრიდული X5-ის ძირითადი ძრავა, 4,4 ლ სამუშაო მოცულობის 8-ცილინდრიანი აგრეგატია; დამხმარე, ე.წ. ასინქრონული ელექტროძრავა 70 კილოვატი სიმძლავრისაა – თუმცა, ეს მაქსიმალური სიმძლავრე მხოლოდ ხანმოკლე დროში შეიძლება განავითაროს. ავტომანქანის ჯამური სიმძლავრე 286 ცხ.ძ-ა. მანქანაში ე.წ. აქტიურ გადაცემათა კოლოფს გამოიყენებენ. მასში ინტეგრირებულია: მოჭიდვის სისტემა, ელექტროძრავა, გენერატორი და ძრავას მართვის ელექტრონული ბლოკი. ამგვარი სქემის წყალობით, ელექტროძრავა ნებისმიერ საჭირო მომენტში შეიძლება ამოქმედდეს, „აგორების“ ფაზაში კი, ის მაქსიმალურ სიმძლავრეს აღწევს. კონსტრუქციაში გამოყენებულია აგრეთვე უახლესი კონდენსატორები, რომლებიც კარებშია ჩამონტაჟებული. ასეთი საკონსტრუქტორო ხერხი, ძრავას დანაყოფში ადგილის ეკონომიას ემსახურება. რაც შეეხება მანქანის ეკონომი-

ურობას – ჰიბრიდული X5 ამ მხრივ, „ჰონდისა“ და „ტოიოტას“ ჩამოუვარდება: X5 თავის წინამორბედზე 15%-ით ნაკლებ საწვავს ხარჯავს. მაგრამ ბავარიელი კონსტრუქტორები ამ მაჩვენებელს ახალი მოდელის ნაკლად არ მიიჩნევენ. მათი აზრით, ჰიბრიდული ავტომანქანები უპირველესად, სისწრაფითა და დინამიკურობით უნდა გამოირჩეოდეს.

X5 Efficient Dynamics ჯერჯერობით მხოლოდ ექსპერიმენტული მოდელია. მაგრამ კომპლექსური ცდები, რომლებიც მას ჩაუტარდა, ადასტურებს, რომ ფირმა მის სერიულ გამოშვებას უახლოეს მომავალში აპირებს. ■

Toyota და Daihatsu – „ტყუპი ძმა“

კომპანიები Toyota და Daihatsu მსგავსი ტიპის ავტომობილების წარმოებას იწყებენ. მოდელები – Passo და Boon მცირე კლასს განეკუთვნება და დიდი ქალაქებისთვისაა გათვალისწინებული. Toyota Passo და Daihatsu Boon ორი ტიპის ძრავებითაა აღჭურვილი – 1 ლ მოცულობის სამცილინდრიანი (71 ცხ.ძ. სიმძლავრის) და 1,3 ლ მოცულობის ოთხცილინდრიანი (90 ცხ.ძ.) აგრეგატებით. ორივე მანქანა ოთხკარიანია. მათი სიგრძე 3,595 მ-ს, საბორბლე ბაზა კი – 2,44 მ-ს შეადგენს.

ეს მოდელები ჯერჯერობით მხოლოდ იაპონური ბაზრისთვისაა გათვალისწინებული. მწარმოებელთა მთავარი ამოცანაა, დაიკავოს ის ნიშა, რომელიც „ტოიოტა იარისსა“ და ამომავალი მზის ქვეყანაში ძალზე პოპულარულ მინიატურულ ავტომანქანებს შორისაა.

„პასოსა“ და „ბუნის“ ერთი პლატფორმის ბაზაზე აგება იმით იყო განპირობებული, რომ „დაიჰაცუ“ ფაქტობრივად, „ტოიოტას“ შვილობილი კომპანიაა: ავტოგიგანტს აქციათა საკონტროლო პაკეტი – 51,2% ეკუთვნის.

ექსპერტთა ვარაუდით, „ტყუპი“ ევროპის ბაზარზე არ გაიყიდება. 2005 წელს „ტოიოტა“ საგანგებოდ ევროპისთვის აპირებს ჩეხეთში ახალი მანქანის წარმოების აწყობას. ეს პროექტი ფრანგულ კომპანია „რენოსთან“ ერთად განხორციელდება. ■

Ford Explorer სასტიკად დაჯახიდა

კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-დიეგოს სასამართლომ ამერიკული ავტოგიგანტი – კორპორაცია „ფორდი“ 349 მლნ დოლარით დააჯარიმა. საქმე 49 წლის ამერიკელი ქალის ბენეტ ბიულუილსონის სარჩელის შეტანის გამო განიხილებოდა: 2 წლის წინ, ამ მარკის ყველგანმავლის საჭესთან მჯდომი, ის მძიმე ავტოავარიაში მოყვა; მანქანა მძღოლ ქალბატონს არ დაემორჩილა და ამოტრიალდა; მიღებული ტრავმების შედეგად, ბიულუილსონმა უმძიმესი ტრავმები მიიღო, ლოგინად ჩავარდა და დღემდე, უძრავ მდგომარეობაში იმყოფება.

ბუნებრივია, კორპორაცია „ფორდი“ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს. მაგრამ თუ ის ძალაში დარჩა, ავტოგიგანტს მოსარჩელისთვის 123 მლნ-ის (კომპენსაციის სახით) და 246 მლნ-ის (ჯარიმის სახით) გადახდა მოუწევს.

სან-დიეგოს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველს წარმოადგენს ის დასკვნა, რომელიც საქმის გარჩევისას ნაფიცმა მსაჯულებმა გამოიტანეს: მათი აზრით, „ფორდი“ შეგნებულად უმალავს მომხმარებლებს აღნიშნული ავტომობილის საკონსტრუქტორო ნაკლს. თურმე, Ford Explorer-ისთვის იმთავითვე დამახასიათებელი ყოფილა მკვეთრ მოსახვევში ამოტრიალება და ამის ეშვი კარგა ხანია, არსებობდა, მაგრამ მისი მწარმოებლები მუდამ ახერხებდნენ იმის დამტკიცებას, რომ ეს იაპონური საბურავების – Firestone-ის მიზეზით ხდებოდა. რამდენიმე ავარიის შესწავლის შედეგად, ექსპერტებმა მართლაც, დაადგინეს, რომ ეს საბურავები ძალზე მგრძნობიარეა მაღალი ტემპერატურული რეჟიმისადმი. Firestone-ის მწარმოებელმა იაპონურმა ფირმა Bridgestone-მა თავადაც აღიარა ამ ნაკლის არსებობა, მაგრამ ამავე დროს, მანქანის ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებაც მოითხოვა. აქამდე ამის მიღწევა ვერ მოხერხდა, მაგრამ სან-დიეგოს სასამართლოს პრინციპულმა გადაწყვეტილებამ და უკომპრომისობამ სიტუაცია რადიკალურად შეცვალა... ■

ბრილიანტი, რომელიც 20 წელი მაინც იბრწყინებს

მინიდოსიე:
დაბადების თარიღი: 1985 წლის 24 ოქტომბერი
დაბადების ადგილი: Croxeth (ლივერპული)
სიმაღლე: 180 სმ
წონა: 75 კგ
კლუბი: „ევერტონი“ (თამაშობს 2002 წლიდან)
დებიუტი ეროვნულ ნაკრებში: ავსტრალიასთან შეხვედრისას 2003 წლის 12 თებერვალს
პირადი მიღწევები: ინგლისის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი 2002 წელს
გუნდური მიღწევები: ევროპის 2002 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი

ალექსი რეხვიაშვილი

უკვე დიდი ხანია, რაც „ევერტონის“ ახალგაზრდა ფორვარდ უეინ რუნის, მაიკლ ოუენს ადარებენ. „ევრო-2004“-ის შემდეგ კი, ამ ფეხბურთელებს შორის მსგავსებაზე კიდევ უფრო მეტს ილაპარაკებენ. საკმარისია გავიხსენოთ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, როდესაც არგენტინელებთან მერვედფინალში წაგების შემდეგ, ინგლისის ნაკრების ქომაგებს (და საერთოდ ფეხბურთის ჭეშმარიტ გულშემატკივრებს) ყველაზე მეტად იმან დასწყვიტა გული, რომ ტურნირზე 18 წლის მაიკლ ოუენს ვეღარ იხილავდნენ. ანალოგიურად განვითარდა მოვლენები განვლილ ევროპის ჩემპიონატზეც. ალბიონელები მეოთხედფინალში მასპინძლებთან დამარცხდნენ და პირველობას გამოეთიშნენ. ქომაგებს კი, ყველაზე მეტად ვუნდერკინდი უეინ რუნი შეეცოდათ, რომელმაც პირველობაში ჩატარებულ ოთხივე მატჩში უჩვეულო საფეხბურთო ნიჭი და ბრძოლის ჟინი გამოავლინა.

„ევერტონის“ მწვრთნელს დევიდ მოიესს უეინ რუნისთვის „ქუჩის ფეხბურთელი“ უწოდებია. თუ მხედველობაში მივიღებთ უეინის სათამაშო მანერას, ალბათ ეს მეტსახელი მასზე მართლაც, ზედგამოჭრილია. ახალგაზრდა ფეხბურთელმა, რომლის გამომეტყველებაც ხშირად მოკრივისას მოგვაგონებს, პირველად პრემიერლიგაში 16 წლის ასაკში გაიბრწყინა, ამჯერად მას უკვე „ევერტონის“ ისტორიაში ყველაზე ლეგენდარულ მოთამაშედ აღიარებულ დიკსი დინს ადარებენ.

უეინ რუნი ლივერპულის გარეუბანში, „ევერტონის“ ერთგულ ქომაგთა ოჯახში დაიბადა. პატარა უეინის პირველი საჩუქარი, ბურთი გახლდათ, რომელიც მან მამისგან მიიღო. მას შემდეგ, მას ტყავის ბურთი აღარ მოუცილებია. ერთხელ, როდესაც 9 წლის რუნი ეზოში ჩვეული მონდომებით დარბოდა, იგი „ევერტონის“ სკაუტმა, ბობ პენდლეტონმა შენიშნა და უმალვე მიიწვია საბავშვო გუნდში, რომელიც ბავშვთა საფეხბურთო ლიგაში ასპარეზობდა. პირველსავე სეზონში უეინმა 99 გოლი გაიტანა, რის შემდეგაც, იგი ერთი წლით უფროსთა ლიგაში გადაიყვანეს.

ინგლისის ნაკრების მომავალმა ფორვარდმა იქაც გამოიჩინა თავი და ერთ სეზონში 72 გოლი გაიტანა. ბობ პენდლეტონი იხსენებს, რომ ფეხბურთის ვუნდერკინდის თამაშს ჯერ კიდევ მაშინ, ყველა დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს. ბავშვთა გუნდების მატჩებზე ასობით გულშემატკივარი დადიოდა, რომელთათვისაც უეინ რუნი მალე საყვარელ მოთამაშედ იქცა.

14 წლის რუნი უკვე „ევერტონის“ 19 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა გუნდის ღირსებას იცავდა, ხოლო ახალგაზრდულ გუნდებს შორის ინგლისის თასის გათამაშების 8 მატჩში მას 8 გოლი ჰქონდა გატანილი. ერთი წლის შემდეგ კი, ის ქვეყნის მოზარდთა ნაკრების წევრი გახდა, ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ იქცა, 5 შეხვედრაში ხუთჯერ გამოიჩინა თავი, თანაც მესამე ადგილისთვის მატჩში ესპანელთა კარში ჰეთ-თრიკიც შეასრულა და თავის გუნდს დიდი ანგარიშით – 4:1 გაამარჯვებინა.

მიუხედავად ასეთი დიდი წარმატებისა, უეინ რუნი იხსენებს, რომ ბავშვობაში მას ფეხბურთის მიტოვების სურვილიც გასჩენია. „კვირაში 5 დღე უნდა მევარჯიშა და ყოველ შაბათს ან კვირას, მატჩში უნდა მიმეღო მონაწილეობა. ამის გამო შინ ყოველთვის გვიან ვბრუნდებოდი, რის გამოც მეგობრებთან ერთად გართობას ვეღარ ვახერხებდი; ისინი კინოში მიდიოდნენ ან უბრალოდ, სეირნობდნენ, მე კი, სპორტულ ფორმას ვიცვამდი და სავარჯიშოდ მივეშურებოდი. დგებოდა მომენტები, როდესაც ყველაფრის მიტოვების სურვილი მიჩნდებოდა და უბრალოდ, დასვენება ან თანატოლებთან ერთად გასართობად სადმე

წასვლა მსურდა. მაგრამ მშობლები ამის უფლებას არ მაძლევდნენ. ისინი მეუბნებოდნენ, რომ თუ ფეხბურთელობა მსურდა, მაშინ მსხვერპლიც უნდა გამეღო. ერთი სიტყვით, დაუღალავი ვარჯიშისა და მკაცრი დისციპლინის შედეგად გავხდი ფეხბურთელი. როდესაც უკან ვიყურები, ვერ წარმომიდგენია, ვინ უნდა გამოვსულიყავი და რა უნდა მეკეთებინა იმ შემთხვევაში, თუ ვარჯიშს მართლაც მივატოვებდი. მე შანსი მომეცა და გამოვიყენე კიდეც. ახლა კი, საკუთარ ოცნებებს ვისრულებ", – ამბობს ახალგაზრდა თავდამსხმელი, რომელიც „ევერტონის" მთავარი გუნდის ღირსებას 2002 წლის აპრილიდან იცავს. იმავე წლის პირველ ოქტომბერს კი, მან 153 დღით გაუმჯობესა 67 წლის წინ ლეგენდარული ტომი ლოუტონის რეკორდი: უეინი იქცა კლუბის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელად, რომელმაც ოფიციალურ მატჩში გაიტანა გოლი. ვუნდერკინდმა ეს ლიგის თასის გათამაშების შეხვედრაში მოახერხა, როდესაც ჯერ 17 წლისაც კი არ იყო, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ, იგივე მიღწევა პრემიერლიგაშიც გაიმეორა. ეს გახლდათ ფენომენალური გოლი, რომელმაც ლონდონის „არსენალის" 30-მატჩის წაუგებელი სერია შეწყვიტა. მაშინ უეინმა შეხვედრის 89-ე წუთზე ბრწყინვალედ მოატყუა მეკარე დევიდ სიმენი და ბურთი ცარიელ კარში შეაგდო. თამაშის შემდეგ „არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა, არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ რუნის სახით მან ყველაზე ნიჭიერი ინგლისელი ფეხბურთელი იხილა. სწორედ 2002 წლის შედეგების მიხედვით, უეინს BBC-ის მიერ „წლის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენისთვის" დაწესებული პრიზი გადასცეს.

2003 წლის 12 თებერვალს, ვუნდერკინდმა კიდევ ერთი, – 124 წლის წინ ჯეიმს პრაინსეპის მიერ დამყარებული რეკორდი გაუმჯობესა და ავსტრალიელებთან ჩატარებულ მატჩში ინგლისის ნაკრების ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელად მოგვევლინა. მას შემდეგ, უეინი ალბიონელთა მთავარი გუნდის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ ითვლება. აი, რუნის კიდევ ერთი რეკორდი: 2003 წლის 6 სექტემბერს მან ეროვნული ნაკრების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდულ ასაკში გაიტანა გოლი, რითიც მაიკლ ოუენის 1998 წლის მიღწევა გაუმჯობესა. წარმატებას უეინმა მაკედონიის გუნდთან შეხვედრისას მიაღწია და იმ თამაშში გარდატეხა შეიტანა, რის შემდეგაც ალბიონელებმა 2:1 მოიგეს. მაშინ ქუჩის ფეხბურთელი ჯერ 18 წლისაც არ იყო.

უეინ რუნის ორი უმცროსი ძმა ჰყავს. 15 წლის გრემი კრივს მისდევს, ხოლო 12 წლის ჯონი „ევერტონის" ახალგაზრდულ გუნდში თამაშობს. ამბობენ, რომ თუ ჯონი, უეინის მსგავსად, წარმატებულად გაიკვლევს გზას დიდ ფეხბურთში, შეიძლება მან ამ უკანასკნელის მიღწევების გაუმჯობესებაც მოახერხოს.

უეინ რუნის უკვე უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს. მაგალითად, ინგლისური ტრიო Atomic Kitten-ის ერთ-ერთი ვოკალისტი ქალი ლიზ მაკლემანი არ მალავს, რომ იგი უეინის დიდი გულშემატკივარია. „ძალიან ბედნიერი ვარ, რომ რუნი გავიცანი, – ამბობს გოგონა, – ცხოვრებაში ის ძალიან სასიამოვნო და გულისხმიერი ახალგაზრდაა. უეინი ხომ „ევერტონის" ნამდვილი სიმბოლოა". თავად ქუჩის ფეხბურთელი კი საკუთარ თავზე ყოველთვის მორიდებით საუბრობს: „ისე ვთამაშობ, როგორც ყველა და არავითარი განსაკუთრებული თვისებით არ გამოვირჩევი. გარდა ამისა, ჯერაც ვერ ვახერხებ ყველა მატჩის მაღალ დონეზე ჩატარებას. თუმცა, არც იმას დავმალავ, რომ ძალიან მსიამოვნებს, როდესაც ჩემით ასეთი სიმპათიური გოგონები ინტერესდებიან."

ცოტა ხნის წინ დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე უეინ რუნიმ 4 მატჩში (258 წთ) 4 გოლი გაიტანა. ახლა კი მოვისმინოთ, თუ რას ამბობენ ვუნდერკინდის შესახებ საქვეყნოდ ცნობილი პიროვნებები.

დიეგო მარადონა: „ის უნიკალური ნიჭის მქონე მოთამაშეა და ინგლისელები მას უნდა მოუფრთხილდნენ. ასეთი ფეხბურთელები იშვიათობას წარმოადგენენ. როდესაც 18-19 წლისა ხარ, უბრალოდ გარშემო მყოფთა მხარდაჭერა გჭირდება, რათა შენი ნიჭი უკვალოდ არ გაქრეს".

ბობი რობსონი: „მის ახალგაზრდულ მხრებზე დიდი თავია მიბმული, რომლის საშუალებითაც ის პოზიციას ფანტასტიკურად ირჩევს და ბურთის დამუშავებისას იშვიათად უშვებს შეცდომას. ეჭვი არ მეპარება, რომ უეინი, ნაკრებში გატანილი გოლების რაოდენობის მიხედვით, ალან შირერის რეკორდს გაუმჯობესებს. რუნი ნამდვილი ბრილიანტია, რომელიც კიდევ 20 წელი მაინც იბრწყინებს".

პოლ გასკოინი: „დიდი სურვილი მაქვს, რომ ეს ნიჭიერი ბიჭუნა მოსალოდნელი ცდუნებებისგან დავიცვა. ამ ასაკში ათასგვარმა ცხოვრებისეულმა სიამოვნებამ – ალკოჰოლმა და აზარტულმა თამაშებმა შეიძლება გაგიტაცოს. არ მინდა, რომ იგი „ვარსკვლავური სენით" დაავადდეს".

სხვათა შორის, პოლ გასკონის მიერ გამოთქმული მოსაზრება უსაფუძვლო ნამდვილად არ არის. არცთუ ისე დიდი ხნის წინ, უეინს იმის გამო აკრიტიკებდნენ, რომ მან თავისი საყვარელი მომღერლის, რობი უილიამსის კონცერტზე წასასვლელად ვერტმფრენი იქირავა(!), ხოლო როდესაც 18 წლის გახდა, ისეთი გრანდიოზული და ხმაურიანი დაბადების დღე გადაიხადა, რომ თვით „ევერტონის" მწვრთნელი, დევიდ მოიესიც კი აღაშფოთა... უეინი იმ საღამოს უზომოდ ნამდვილად არ დამთვრალა, მაგრამ გუნდის თავკაცის აღსაშფოთებლად ისიც საკმარისი აღმოჩნდა, რომ დროს ტარება დილამდე გაგრძელდა.

თუმცა, ვუნდერკინდი ამ გარემოებას ალბათ უკვე შეგუებულია: მან ხომ ჯერ კიდევ ბავშვობაში გააცნობიერა, რომ დიდი ფეხბურთელობის შემთხვევაში, ბევრ ამქვეყნიურ სიამოვნებაზე მოუწევდა უარის თქმა. ■

კვირის (19 - 25 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: ურთიერთობა ახლობელ ადამიანებთან მთლად ისე ვერ წარიმართება, როგორც თქვენ გსურთ, მაგრამ არ იდარდოთ, მალე მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვლება. ჯობს, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები შემდეგ კვირაში მიიღოთ.

მამაკაცი: ყური დაუგდეთ ახლობლებს და გაითვალისწინეთ მათი რჩევები. გაუფრთხილდით ნერვებს და დროის უმეტესი ნაწილი სასიამოვნო ადამიანების გარემოცვაში გაატარეთ.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: გამოიჩინეთ მომჭირნეობა და მთელ დანაზოგს ერთბაშად ნუ დახარჯავთ. შესაძლოა, უახლოეს მომავალში სასურველ ადგილას დასვენების პერსპექტივა გამოგიჩნდეთ. შეყვარებულ კუროებს ძალზე ბობოქარი კვირა ელით.

მამაკაცი: იოლად ღიზიანდებით. ზოგჯერ უმიზეზოდ ბრაზობთ და ამით ძაბავთ ვითარებას თქვენ გარშემო. ნერვებს მოუფრთხილდით და სიფიცხის გამო ნუ გაირთულებთ ურთიერთობას ახლობლებთან.

მარჩხეთი – 22/V-21/VI

ქალი: საუცხოო დროა, გადადებული საქმეების დასამთავრებლად. კვირის ბოლოს, თუ მეგობრები ერთად დროს ტარებას შემოგთავაზებენ, უარს ნუ ეტყვით – წინ ძალზე საინტერესო თავგადასავალი გელით.

მამაკაცი: სწორედ ახლა შეიტყობთ, თუ ვინ არის თქვენი ნამდვილი მეგობარი. ჯობს, თქვენი პრობლემების მოგვარებაში ახლობლები დაიხმაროთ. ამგვარად, უფრო იოლად და სწრაფად დააღწევთ თავს რთულ სიტუაციას. უქმეები თქვენს რჩეულთან ერთად გაატარეთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: ეცადეთ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება მომდევნო კვირისთვის გადადოთ, მანამდე კი, კარგად დაისვენოთ. ახალი თაყვანისმცემელი და რომანტიკული თავგადასავალი გელით.

მამაკაცი: ზედმეტად ნუ მოხვდებით თვალში ხელმძღვანელობას. განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდეთ დაკისრებულ მოვალეობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ახალი სამსახურის ძებნა მოგიწევთ.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: თუ თქვენი პარტნიორები ახალი საქმის წამოწყებას შემოგთავაზებენ, ყურადღებით მოუსმინეთ მათ. შესაძლოა, როგორც ქალს, სრული ინფორმაცია არ მოგაწოდონ, რაც მომავალში უეჭველად გაზარალებთ.

მამაკაცი: არავითარ შემთხვევაში არ ჩაერიოთ სხვის საქმეში, განსაკუთრებით – ქალების კონფლიქტში. თუ ოჯახში სუსტი სქესის წევრებს შორის დაპირისპირება მოხდება, ჯობს, გაერიდოთ და შინ მხოლოდ მას შემდეგ დაბრუნდეთ, როცა ქარიშხალი ჩადგება...

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: რაც შეიძლება მეტად იზრუნეთ ოჯახის მატერიალურ უზრუნველყოფაზე. ამ კვირაში, ფინანსური ოპერაციების წარმატებით ჩატარების მეტი საშუალება მოგეცემათ, ვიდრე თქვენი ოჯახის წევრ მამაკაცებს.

მამაკაცი: ნუ ენდობით შემთხვევით გაცნობილ ადამიანებს. გულუბრყვილობა ბევრ პრობლემას შეგიქმნით. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებს – მათ თქვენი მზრუნველობა ესაჭიროებათ.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: ამ კვირაში, იმ ქალბატონებს, რომლებიც ბიზნესით არიან დაკავებული, განსაკუთრებით გაუმართლებს. წარმატებით განხორციელებული ყიდვა-გაყიდვის ოპერაციის შემდეგ, უქმე დღეები ბუნების წიაღში გაატარეთ.

მამაკაცი: მოერიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს, სუსტი სქესის წარმომადგენლებისგანაც შორს დაიჭირეთ თავი. შეგიძლიათ საინტერესო წიგნის კითხვით ან ფილმების ყურებით ისიამოვნოთ. ეს კვირა ერუდიციის ამაღლებას დაუთმეთ.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: თუ ეჭვი გეპარებათ საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში, ჯობს ეს დროულად გამოხატოთ: მეგობრები კარგ რჩევას მოგცემენ. მოსალოდნელია გართულება პირად ცხოვრებაში, ურთიერთობების დარეგულირება კი მხოლოდ თქვენს ხელთაა.

მამაკაცი: თუ გინდათ, ამ კვირაში გონივრული გადაწყვეტილებები მიიღოთ, დაუჯერეთ თქვენი ოჯახის წევრ ქალბატონებს – ისინი სასარგებლო რჩევების მთელ „არსენალს“ შემოგთავაზებენ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: თქვენი შრომისნაყოფიერება ნულის ტოლია. მთლიანად სასიყვარულო ინტრიგებში ხართ ჩაფლული. გირჩევთ, მაქსიმალურად მოიკრიბოთ ძალები და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას დაუბრუნდეთ.

მამაკაცი: წარმატება თითქოს თქვენთან თავისით მოდის. მთავარია, არ დაიზაროთ და ოდნავ მაინც გაანძრიოთ ხელი. ამ კვირაში იოლად მოხიბლავთ სუსტი სქესის წარმომადგენლებს და თუ თქვენი ხელმძღვანელი ქალია, შეგიძლიათ, წარმატებულ კარიერაზე იფიქროთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: დროა, ცხოვრებით დატკბეთ. წადით სამოგზაუროდ საყვარელ ადამიანთან ერთად. ეს კვირა საუკეთესოა პირადი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. ამიტომ გირჩევთ – სხვა საქმეების მოსაგვარებლად დროს ნუ დაკარგავთ.

მამაკაცი: დაძაბული კვირა გელით – უმნიშვნელო მიზეზიც გეყოფათ საიმისოდ, რომ სკანდალი ატეხოთ. თავშეკავებას თუ არ გამოიჩენთ, საყვარელ ადამიანს უმიზეზოდ აწყენინებთ.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: დაიცავით თქვენი უფლებები. მოიშველიეთ არგუმენტები და ფაქტები. თუ სიმშვიდეს შეინარჩუნებთ, იოლად გააგებინებთ ოჯახის წევრებს, თუ რას ითხოვთ მათგან.

მამაკაცი: ეს კვირა წარმატებას მხოლოდ აქტიურ ადამიანებს მოუტანს. ასე რომ, თუ სათანადოდ გაირჯებით, შრომა დაგიფასდებათ. თავი შეიკავეთ არაკორექტული ტონისა და ზედმეტი შენიშვნებისაგან. საქმეს ნურაფერს დააკლებთ – ამით მხოლოდ მოგებული დარჩებით.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: კარგ საზოგადოებაში დასვენება გუნებას გამოგიკეთებთ. ახალგაცნობილ ადამიანებს შორის, ერთ-ერთი, განსაკუთრებით დაგაინტერესებთ. მოიწესრიგეთ თავი, შეიძინეთ ახალი ტანსაცმელი და პაემანზე საზეიმო განწყობილებით წადით.

მამაკაცი: რთული კვირა გელით. შეიძლება, თქვენი ნათქვამი, როგორც საჭიროა, ისე არ გაიგონ. ამიტომ ჯობს, ენას კბილი დააჭიროთ და საკუთარი აზრი ხმამაღლა არ გამოთქვათ.



ავტო-ქარხანა რუსეთში	„ცვლადი სიმსუქნის“ ქართველი მომღერალი	რაჭული შაშხი	მეცნიერი	6-სიმიანი საკრავი		ნიკოლოზ II-ის ვითომდა გადარჩენილი ქალიშვილი		ღვთის მოციქული						
ი	ჭ	ლ	ე	ბ	ნ	ა								
იონების წარმოქმნა	ი	ნ	ო	რ	ა	ბ	„გიაური“ (ინგლისელი პოეტი)							
ი	ლ	ა	რ	ო	ტ	ს	ა	კ						
ო	ი	შ	ი	ნ	ა	ტ	სხეული	ოთარ იოსელიანის ფილმი						
ნ	არაგვისპირელი / შემოსავალი კაპიტალიდან	ვ	„ლიდსის“ ყოფილი მწვრთნელი	ტ	რ	ა	ბ	ვეტერანი გერმანელი ფეხბურთელი						
ი	რ	ი	ლ	ო	ა	ს	ა	შ						
ზ	ე	ლ	შექსპირის ტრაგედიის პერსონაჟი	ლ	ფრანგი მომღერალი და მსახიობი	ი	მ	უ	ი	ნ	ი	მ		
ა	ი	ნ	ლ	ო	კ	ა	ა	ს	ი	ნ	ქართველი პოეტი ... გელოვანი	ქართული ანბანის ასო	მაქსიმუმის ანტიპოდი	
ც	ტ	ა	შხამიანი გომბეშო	ა	ა	ა	იტალიელი მსაჯი	რ	ტ	რ	რუსული ტელეკომპანია (აბრევიატურა)	ვერცხლის ტარიანი სასმისი	ა	პატარა ნაკადული
ი	ა	ე	მეცნიერული ვარაუდი	ჯ	ი	პ	ო	თ	ე	ზ	ა	ძლიერი სასყვრული ტრაქტატი	რ	უ
ა	ბ	ლ	ბ	ლ	ო	კ	ა	ვ	რ	ა	ზ	ი	ა	ღვინის საცავი
ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ

ჯაჭვრეული აღამიანების ოსტროვსკული ჯამონაკვამები

აკრძალული სიგნალი

სახელგანთქმულ უნგრელ დირიჟორს არტურ ნიკიშს, ლონდონში გასტროლების დროს, საყვირების ხმისათვის რაც შეიძლება მეტი სიშორე რომ მიეცა, პირველი მესაყვირე იარუსზე დასვა.

მაგრამ საჭირო მომენტში, მჟღერი სიგნალის ნაცვლად, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმა გაისმა.

ნიკიში არ დაიბნა და ორკესტრში მეორე მესაყვირეს ანიშნა, რომელმაც მყისვე მისცა საჭირო სიგნალი. ანტრაქტზე დირიჟორი პირველ მესაყვირეს მივარდა:

— ეს რა ქენით! რატომ არ მიეცით სიგნალი? ხომ შეიძლებოდა, ამით მთელი უვერტიურა ჩაგეფუშათ ჩემთვის!

— მომიტევეთ, — დარცხვენით წაიბურტყუნა მან, — მაგრამ საყვირი ტუჩებთან მივიტანე თუ არა, კაპელდინერი მომვარდა, ხელიდან გამომგლიჯა და მისაყვედურა: როგორ არა გრცხვენიათ? აქ ხომ სახელოვანი ნიკიში დირიჟორობსო!

მორწმუნე ლომი

გასული საუკუნის ბოლოს, პეტერბურგში დიდი წარმატებით მიდიოდა ცნობილი ბალეტმაისტერის მარიუს პეტიპას მიერ დადგმული ბალეტი „ფარაონის ქალიშვილი“. პირველ მოქმედებაში ლომი ფიგურირებდა, რომელიც კლდიდან მონადირის ისრით მოკლული ძირს ვარდებოდა. ლომს „თამაშობდა“ გამოცდილი სტატისტი. ამ როლისათვის კარგა ბლომად ფულს იღებდა. ერთხელ ის ავად გახდა. პეტიპას უნდოდა სპექტაკლის გადადება, მაგრამ მეორე სტატისტმა შესთავაზა თავისი სამსახური.

პეტიპა თვალს ადევნებდა მოქმედების მიმდინარეობას. აი, გამოჩნდა „ლომი“, მონადირემ ისარი სტყორცნა, მაგრამ „ლომი“ შეშინდა და არ უნდოდა „უფსკრულში“ ჩავარდნა. პეტიპა განერვიულდა და სტატისტს მუშტი მოუღერა. და აი, მოხდა საოცრება: „ლომი“ უკანა თათებზე დადგა, წინა მარჯვენათი პირჯვარი გადაიწერა და დაბლა გადმოეშვა.

გამონაკლისი წესიდან

რიმსკი-კორსაკოვი თავის ერთ გაკვეთილზე მოწაფეებს უხსნიდა, რომ სიმფონიის უკანასკნელი ნაწილი ანდა სონატები აუცილებლად ჩქარ ტემპში უნდა იყოს დაწერილი.

— მაშ, ჩაიკოვსკის მეექვსე სიმფონიის მეოთხე ნაწილი რატომ აქვს დაწერილი ნელ ტემპში? — ჰკითხა მომავალმა კომპოზიტორმა მიხაილ გნესინმა.

პროფესორმა წამიერად იყუჩა, მერე კი საზეიმოდ წარმოთქვა:

— გამონაკლისები დასაშვებია, თუ ისინი გენიალურია.

ანეკდოტები

***

აგარაკის ეზოში დაღლილი ძაღლი მიწას ბარით თხრის. მეზობლის ძაღლი გაოცებით შესცქერის. მიწის მთხრელი მიუბრუნდა და ეუბნება:

— ეეჰ... ყურშა, გაითვალისწინე, ყველაფერი ფლოსტების მიტანით დაიწყო.

***

აფთიაქარი ეუბნება პრაქტიკანტს:

— დაიმახსოვრე... კოლლეგა... ძალიან ხშირად რეცეპტი გაკრული ხელით არის ნაწერი და გარჩევა ჭირს... მაგრამ თუ საერთოდ ვერაფერი ამოიკითხე, მაშინ... ნუ დაღონდები, წამალი ამ ფლაკონიდან ჩამოუსხი...

***

— მარო... გახედე ერთი, რატომ ტირის ჩვენი პატარა ოქრო?

— ეგა მეზობლის ბავშვია.

— ვაა... რა ვირივითა ყროყინებს, ეგ შობელძაღლი, ეგა...

***

— ყოველ დაბადების დღეზე ცოლი ქურქს მთხოვს.

— კი, მაგრამ რად უნდა ამდენი ქურქი?

— აზრზე არა ვარ... ჯერ არც ერთი არ მიყიდია.

***

— ინგლისურად საუბრობთ?

— მხოლოდ ლექსიკონთან... ადამიანებთან მერიდება...

***

ექსკურსიაზე ბავშვები პოლიციის განყოფილებას ეწვევნენ. დაფაზე ფოტოებია გამოფენილი. ქვეშ მინაწერია: „მათ პოლიცია ეძებს“. პატარა მიხო კითხულობს:

— ძია... ამათ დაეძებთ?

— ჰო, მაგათ! — პასუხობს მორიგე.

— იი... რას ამბობთ... როცა სურათს უღებდით, მაშინ რატო არ დაიჭირეთ?

***

— როდის ქორწინდები, კოჩია?

— 21 ივნისს...

— ეს... როცა ყველაზე მოკლე ღამეა?

— ჰო.

— მშიშარა ხარ, გენაცვალე...

***

შვილიშვილი მოხუცს:

— ბაბუ, გავიგე, ტყვედ ყოფნისას, ფაშისტები როგორ გაწამებდნენ, ფრჩხილებს გაგლეჯდნენ, ფეხისგულებს გიწვავდნენ, ლურსმნებზე გაცეკვებდნენ. როგორ გადაიტანე ეს ყოველივე, ტკივილის მიმართ უგრძნობი ხარ?

— არა, ბაბუ, უბრალოდ... მე მაშინ უკვე ცოლიანი ვიყავი.

***

ექიმი პაციენტს ამშვიდებს:

— დამშვიდდით, საშიში არაფერია. რამდენიმე წლის წინ მეც ეს დაავადება მჭირდა, მაგრამ ხომ ხედავთ, კარგად ვარ.

— დიახ... მაგრამ თქვენ ხომ სხვა ექიმი გყავდათ.

***

— დედა, მართალია, რომ ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვა?

— დიახ!

— მაშ, გამოდის, რომ შენ და მამამ მიშვილეთ?

ხართ თუ არა ცნობისმოყვარე?

1. გიყვართ თუ არა გაგრძელების მქონე რომანების კითხვა?
ა) დიახ – 0;
ბ) არა – 1.

2. უცხო ადგილას ვინმესთან ერთად სეირნობისას იოლად იმახსოვრებთ თუ არა გზას?
ა) დიახ – 1;
ბ) არა – 0.

3. გირჩევნიათ თუ არა წინასწარ იცოდეთ, რას მიიღებთ საჩუქრად დაბადების დღესა თუ რაიმე დღესასწაულზე?
ა) დიახ – 0;
ბ) არა – 1.

4. თუ უყურებთ სატელევიზიო გადაცემებს ექსტრასენსებზე, უფოლოგიასა და სხვა უჩვეულო მოვლენებზე?
ა) დიახ – 1;
ბ) არა – 0.

5. მაღაზიების გაჩახჩახებული ვიტრინები იქცევს თუ არა თქვენს ყურადღებას?
ა) დიახ – 0;
ბ) არა – 1.

6. მიღებისთანავე კითხულობთ თუ არა წერილს, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ძალზე დაკავებული ხართ?
ა) დიახ – 1;
ბ) არა – 0.

7. გიყვართ თუ არა მრავალსერიიანი ფილმების ყურება?
ა) დიახ – 0;
ბ) არა – 1.

8. ვთქვათ, თქვენს საკუთარ ბინაში აბსოლუტურად ჩვეულებრივი ნივთი ფრიად უჩვეულო ადგილას აღმოაჩინეთ. ეცდებით თუ არა იმის გაანალიზებას, მაინც როგორ მოხვდა ეს ნივთი ამ უჩვეულო ადგილზე?
ა) დიახ – 1;
ბ) არა – 0.

9. გაზეთის კითხვას ბოლო გვერდიდან ხომ არ იწყებთ ხოლმე?
ა) დიახ – 0;
ბ) არა – 1.

10. ყოველთვის ხომ არ ჩერდებით ხოლმე სტენდთან, სადაც განცხადებებია გამოკრული?
ა) დიახ – 1;
ბ) არა – 0.

11. სიამოვნებას განიჭებთ თუ არა თქვენთვის საინტერესო ფილმის რამდენჯერმე ნახვა?
ა) დიახ – 0;
ბ) არა – 1.

12. თუკი უცნობი ადამიანი მოგესალმათ, დაიწყებთ თუ არა იმაზე ფიქრს, მაინც სად შეიძლებოდა შეხვედროდით ერთმანეთს?
ა) დიახ – 1;
ბ) არა – 0.

დაანგამეთ ქულები

1-4 ქულა: თამამად შეიძლება ითქვას, რომ თქვენ არაცნობისმოყვარე ადამიანი ხართ. არასოდეს სვამთ ზედმეტ შეკითხვებს და არც არავის უძვრებით სულში. პრინციპში, ეს თქვენს მეგობრებსა და ახლობლებს მოსწონთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ზოგჯერ (და სხვათა შორის, არცთუ უსაფუძვლოდ) თქვენი ნაკლებცნობისმოყვარეობა მათ შესაძლოა, გულგრილობად აღიქვან. ეცადეთ, საკუთარი მეგობრებისა და ახლობლების მიმართ უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინოთ და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ყველაფერი გამოსწორდება.

5-8 ქულა: თქვენ ზომიერად ცნობისმოყვარე ხართ. გაინტერესებთ თქვენ ირგვლივ არსებული სამყაროს მრავალფეროვნება. თუმცაღა, თქვენი ცნობისწადილი არასოდეს სცილდება ზღვარს, რამეთუ ყოველთვის ცდილობთ, რომ კორექტულად და ტაქტიანად მოიქცეთ. შესაძლოა ზოგჯერ მეგობრებს თქვენი არ ესმით, რადგან ყველასგან და ყველაფერში „საზღვრების“ დაცვას მოითხოვთ, მაგრამ ერთი რამ უდავოა: ისინი უსაზღვროდ აფასებენ თქვენს თავშეკავებას, გონიერებას და ტაქტს.

9-12 ქულა: უნდა გითხრათ, რომ ძალზე ცნობისმოყვარე ადამიანი ბრძანდებით. გაითვალისწინეთ, — „ყველაფრის ცოდნის“ წყურვილი შესაძლოა, ცუდად შემოგიბრუნდეთ. ვთქვათ, თქვენ რომელიმე სათამაშო სპორტის სახეობის გულშემატკივარი ბრძანდებით, თქვენი უსაზღვრო ცნობისმოყვარეობის გადამკიდე, შესაძლოა ცხოვრებაში დაგიდგეთ მომენტი, როცა თავად თამაში აღარ დაგაინტერესებთ და მხოლოდ საბოლოო შედეგის შეტყობით დაკმაყოფილდებით. წიგნის კითხვისას, ხშირად ბოლო გვერდებისკენ გაგირბით თვალი, ესეც თქვენი უზომო ცნობისწადილის ბრალია, რომელიც უპირველეს ყოვლისა, ნაწარმოების ფაბულისკენაა მიპყრობილი. ამის გამო ამა თუ იმ ნაწარმოების სიღრმისეულ წვდომას ვერ ახერხებთ და მხოლოდ ზედაპირული ინფორმაციის მიღებით კმაყოფილდებით. პოლიტიკაშიც, როგორც წესი, თქვენ უფრო ცნობილი ადამიანების პირადი ცხოვრების დეტალები გიტაცებთ, ვიდრე ის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებსაც პოლიტიკოსები იღებენ. როგორც ხედავთ, ზედმეტმა ცნობისმოყვარეობამ ადამიანს შესაძლოა პრობლემებიც შეუქმნას, ასე რომ, გირჩევთ, სძლიოთ ცნობისწადილს და გაწონასწორდეთ.

ბოსნიელმა მამაკაცმა 400 ათასი ბოთლი ლუდი დალია

ბოსნიელი მამაკაცი, რომელიც მსოფლიოში ლუდის ყველაზე დიდ მოყვარულად ითვლება, ყოველდღიურად 30 ბოთლ ლუდს სვამს. ამის გამო ლუდის დამამზადებელმა მსხვილმა კომპანიამ, 60 წლის მარიან კამბერს სარფიანი კონტრაქტიც კი შესთავაზა – რეკლამა გაუწიოს მათ პროდუქციას.

როგორც კამბერი ამბობს, მან ლუდის სმა 50 წლის წინ დაიწყო, და მას შემდეგ არც ერთი დღე არ ჩაუგდია. „ერთხელ, საკუთარ თავს გამოცდა მოვუწყვე და 80 ბოთლი ლუდი დავლიე. თუმცა მაინც არ დავმთვრალვარ. ცხოვრებაში სულ სამჯერ დავთვერი, მაგრამ მაშინაც – არა ლუდით, არამედ სხვა ალკოჰოლური სასმლით.“

კამბერის აზრით, ლუდი ყველაზე დიდი ამქვეყნიური სიამოვნებაა. „სექსი – წუთიერი ტკბობაა, თანაც არა ყოველთვის ხელმისაწვდომი. აი, ლუდს კი ვერაფერი შეედრება – ამ ღვთიური სითხით ნებისმიერ დროს შეგიძლიათ ისიამოვნოთ“, – დასძინა მან. ■

მგზავრი ჯონდუქტორს მეტროს გვირაბში დაემალა

პრაღაში მეტროს მოძრაობა 20 წუთით შეჩერდა. საქმე ის გახლდათ, რომ მეტროს ვაგონში მყოფი უბილეთო მგზავრი კონტროლიორის დანახვისას ვაგონიდან გადახტა და გვირაბში, მომდევნო მეტროსადგურის მიმართულებით გაიქცა. უბედური შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით, მატარებლების მოძრაობა სასწრაფოდ შეაჩერეს. კონტროლიორი მგზავრს გაეკიდა, მაგრამ ვერ დაეწია. აქოშინებულმა გოგონამ შემდეგ სადგურამდე მიირბინა, სადაც ის სადგურის მორიგემ დააკავა.

აღსანიშნავია, რომ უბილეთო მგზავრობისთვის ჯარიმა პრაღის მეტროში 800 კრონია (დაახლოებით 30 დოლარი). ■

სახეჯერამო აბრა ავარიების მიზეზი გახდა

ორიგინალური სარეკლამო აბრა – მანეკენი-სტუდენტი ნოუთბუქით ხელში – რომელიც ოჰაიოს შტატში, ქალაქ კლივლენდის გზატკეცილზეა განთავსებული, უკვე რამდენიმე ავტოსაგზაო შემთხვევის მაპროვოცირებელი გახდა. მიუხედავად ამისა, მის გაუქმებას არავინ აპირებს. ავარიის მიზეზი კი ისაა, რომ ტრასაზე მიმავალ ზოგიერთ მძღოლს ეჩვენება, თითქოს ბილბორდის ბოძზე ვიღაცაა ამძვრალი და გადმოსახტომად ემზადება. შედეგად, შეშინებული მძღოლები, ავტომობილს მკვეთრად ამუხრუჭებენ...

თვითმხილველთა თქმით, ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე, იმ ადგილას სულ ცოტა, ხუთი ავარია მაინც მოხდა. თუმცა პოლიციელები აცხადებენ, რომ ბილბორდი თავის ადგილას დარჩება, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში დამნაშავენი მძღოლები არიან. ■

უკრაინელი მოთამაშე მილიონერი გახდა

უკრაინის ქალაქ ჩერნოვცის მცხოვრებმა ლატარიაში „სუპერლოტო“, ორჯერ მოიგო მსხვილი თანხა, რომლის საერთო ჯამი 5 მლნ გრივენია (950 ათასი დოლარი).

როგორც „უკრაინული ნაციონალური ლატარიის“ წარმომადგენელმა განაცხადა, ერთი კვირის წინ, მოთამაშემ 3,65 მილიონ გრივენის (688,6 ათასი დოლარი) ოდენობის ჯეკპოტი მოხსნა, გასული წლის ნოემბერში კი იღბლიანმა მოთამაშემ ლატარია „სუპერლოტოში“ 1,48 მლნ გრივენი (279,2 ათასი დოლარი) მოიგო. „საერთო ჯამში მის მიერ „სუპერლოტოში“ მოგებული თანხა 5 მილიონ გრივენს შეადგენს. ამხელა თანხა უკრაინაში ჯერ არავის მოუგია“, – აღნიშნეს კომპანია „უკრაინის ნაციონალური ლატარიის“ თანამშრომლებმა. ■

ფოტოკუთხეები





ეკლესია!

გამოვიდა ივლისის ნომერი

№6, ივლისი, 2004

ფასი 80 თეთრი

ეკლესია

მართლმადიდებლური ჟურნალი

ივლისის თემა:
ალსარებიდან ზიარებამდე

ქრისტიანი თუ ხარ, ზიარება უნდა გენატრებოდეს

ხატი ზეცის სარკმელია

დიდმოწამე მარინეს პატიოსანი მკლავი ზუგდიდშია დაბრძანებული

მეუფე თეოდორე: „ისე და იქ უნდა მესახელოს შფალს, როგორც და სადაც თავად ღმერთი მოითხოვს“

მორმონები უკვე საქართველოშიც ჩამოვიდნენ

ნაბიჯი ჭეშმარიტებისაკენ